

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ჯემალ ჯარალიძე

**აწარა 1878-1903 წლებში**

*პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური  
ვითარება*



გამომცემლობა  
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“  
ბათუმი – 2009

მონოგრაფიაში განხილულია XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XX საუკუნის დასაწყისის აჭარის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრობლემები.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, სპეციალისტების და საქართველოს ერთ-ერთი კუთხის – აჭარის ისტორიით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

**რედაქტორი:** **ვახტანგ გურული** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**რეცენზენტები:** **ოთარ გოგოლიშვილი** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
**ნანა ხახუტაიშვილი** – აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი  
**ირაკლი გორგილაძე** – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ISBN 978-9941-409-99-8

© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2009

## შესავალი

თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდგომარეობის გამო კავკასია უხსოვარი დროიდან ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ გზაჯვარედინს წარმოადგენდა. მასზე გადიოდა გზები, რომელთა მეშვეობითაც როგორც დასავლეთი და აღმოსავლეთი, ისე ჩრდილოეთი და სამხრეთი ერთმანეთთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ურთიერთობებს ამყარებდა. ამ გზების დაუფლებისა თუ მათზე კონტროლის დაწესების სურვილი ყველა დროის დიდ სახელმწიფოებს ჰქონდათ. საქართველო ფაქტიურად კავკასიის გასაღებს წარმოადგენდა, რის გამოც მისდამი ინტერესი განსაკუთრებული იყო. მძიმე განსაცდელის ხანა დაუდგა ჩვენს სამშობლოს გვიან შუა საუკუნეებში, როცა ფეოდალური წინააღმდეგობებით დასუსტებულ და პრაქტიკულად დანაწევრებულ საქართველოს სხვადასხვა მხრიდან ძლიერი დამპყობი გამოუჩნდა. სამწუხაროდ, კრიზისით მოცულმა ქვეყანამ მრავალრიცხოვან მტერთან გამკლავება ვერ შეძლო. განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. რეგიონი, სადაც ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი დაირწა და ძველი ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ცენტრი – კოლხეთი ჩამოყალიბდა, ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოექცა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დანარჩენი მხარეების ბედი გაიზიარა აჭარამაც, XVI საუკუნიდან ისიც ოსმალ დამპყრობთა ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა.

ოსმალთა ბატონობა მეტად მძიმე და ხანგრძლივი აღმოჩნდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა აქ სასურველი წესრიგის დამყარება დაიწყეს. დაპყრობილ ქართულ მიწა-წყალზე ოსმალთა მტკიცედ გაბატონებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მიწათმფლობელობის ოსმალური წესების დანერგვას. ცხადი იყო, რომ ოსმალთა მიზანს ქართული ფეოდალური წესწილობის სრული განადგურება შეადგენდა.

აჭარის მოსახლეობას არასდროს დაუკარგავს დედასამშობლოსთან დაბრუნების იმედი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მტრისაგან მიტაცებული მიწა-წყლის

დაბრუნებისათვის ქართველ პოლიტიკოსთა არაერთი თაობა დაუინებოთ იბრძოდა. სამწუხაროდ, საკუთარი ძალებით ოსმალთა მიერ დაპყრობილი ქართული მიწების განთავისუფლება ვერ მოხერხდა. XIX საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფო მეორე დიდი დამპყრობლის, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. XVIII საუკუნის დასასრულს რუსეთმა კარგად გამოიყენა ახლო აღმოსავლეთში დიდი სახელმწიფოების გამწვავებული ურთიერთობა. რუსეთს ამ რეგიონში დამკვიდრებისაკენ სწრაფვა როგორც ეკონომიკური, ისე უსაფრთხოების უზრუნველყოფით იყო გამოწვეული.

აჭარის, კერძოდ ბათუმის შეერთება ამიერკავკასიაში რუსეთის დამკვიდრების შემდეგდროინდელი საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილად იქცა.

1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებას სიხარულით შეხვდა ქართული საზოგადოება. ეს სიხარული და აღტაცება უსაფუძვლო არ ყოფილა. ქართველობა მიიჩნევდა, რომ დაწყებულ ომს შედეგად მოჰყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლება.

მართალია რუსეთის ჯარმა ბათუმის მიმართულებით წინსვლა ვერ შეძლო, მაგრამ დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული ბალკანეთში. მათ აიღეს პლეენა და კონსტანტინეპოლს მიუახლოვდნენ. რუსეთის არმიამ გადამწყვეტ წარმატებას მიაღწია ასევე კავკასიის ფრონტის ძირითად მიმართულებაზე – აღებულ იქნა ყარსის ძლიერი ციხესიმაგრე. ყარსისა და პლეენის დაცემის შემდეგ ოსმალებმა დაკარგეს რა ომში გამარჯვების მოპოვების იმედი, ევროპის სახელმწიფოებს მიმართეს რუსეთთან საზავო მოლაპარაკებაზე შუამდგომლობის თხოვნით.

1878 წლის 19 თებერვალს (3 მარტს) გაფორმდა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება, რომლის პირობები სავსებით შეესატყვისებოდა გამარჯვებული რუსეთის ინტერესებს.

ომში მიყენებული ზარალის სანაცვლოდ სულთნის ხელი-სუფლება კისრულობდა რუსეთისათვის გადაეხადა სულ ათას ოთხას ათი მილიონიმანეთი. ოსმალეთი გადასახდელი თანხის

2/3 სანაცვლოდ რუსეთს უთმობდა სამხრეთ ბესარაბიას, ხოლო კავკასიაში ყარსს, ბაიაზეთსა და ბათუმს.

სან-სტეფანოს საზავო პირობები რუსეთის სერიოზულ წარმატებებს აკანონებდა როგორც ბალკანეთში, ისე კავკასიაში. ეს კი მიუღებელი იყო ინგლისისათვის, რომელსაც მხარს უჭერდნენ ავსტრია-უნგრეთი და საფრანგეთი. გაფორმებული ზავით ევროპის სახელმწიფოთა უკმაყოფილება მხოლოდ პროტესტით არ შემოიფარგლებოდა. მათ აშკარად ომისათვის დაიწყეს მზადება.

რუსეთი ახალი დიდი ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. რის გამოც იძულებული გახდა დათანხმებოდა სან-სტეფანოს საზავო პირობების გადასინჯვას ევროპის სახელმწიფოთა კონგრესზე.

1878 წლის 1 (13) ივნისს ბერლინში გაიხსნა ევროპის დიდი სახელმწიფოების კონგრესი, რომელსაც უნდა გადაესინჯა სან-სტეფანოს ზავის პირობები. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ რუსეთის, ოსმალეთის, ინგლისის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, საფრანგეთისა და იტალიის დელეგაციები. კონფერენციაზე მწვავე კამათი გამოიწვია ბათუმის საკითხმა. ინგლისს აშკარად არ სურდა ასეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული და ეკონომიკური ცენტრი რუსეთს გადასცემოდა. საბოლოოდ ბათუმი რუსეთს გადაეცა პორტო-ფრანკოს-თავისუფალი სავაჭრო ნავსადგურის სტატუსით. ინგლისის დელეგაცია დათანხმდა ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებას იმ მიზნით, რომ მომავალში მას რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო და ეკონომიკური შეტევებისათვის გამოიყენებოდა.

ბერლინის კონგრესის შემდეგაც ბათუმი ოსმალთა ხელში რჩებოდა. ბათუმის გადაცემის საკითხის საბოლოოდ შესათანხმებლად შეიქმნა რუსეთ-ოსმალეთის ერთობლივი კომისია. რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა კავკასიის არმიის მთავრსარდლის თანაშემწე გენერალ-ადიუტანტი თავადი სვიატოპოლკ-მირსკი. შერეული კომისიის სხდომა გაიმართა ქ.ქუთაისში 12-20 აგვისტოს. ოსმალეთის მხარემ ვაღდებულება აიღო, რომ ბათუმიდან ჯარებს გაიყვანდა 25 აგვისტოსათვის.

19 აგვისტოს რუსეთის ჯარებმა დაიკავეს ქობულეთი (ჩურუქსუ), 25 აგვისტოს, 11 საათზე რუსთა და ქართველთა ჯარი ბათუმში შევიდა. თურქთა უკანასკნელმა ნაწილებმა დევრიშ ფაშას სარდლობით ბათუმი დატოვა.

აჭარის განთავისუფლებას და დედა საქართველოსთან დაბრუნებას აღტაცებით მიესალმა ქართველი ინტელიგენცია. ილია ჭავჭავაძე წერდა: "...ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად მებრძოლი შაგი ბედისა, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი ძველი საქართველო, ჩვენი განათლებისა და სწავლების აკვანი, დღეს ჩვენ შემოგვიერთდა".

ცარიზმის დამპყრობლური ინტერესებისა და შემდეგში მის მიერ წარმოებული კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნება უდავოდ პროგრესული და ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო.

სწორედ ეს, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებიდან ბათუმის ოლქის აღდგენამდე მონაკვეთი გავიხადეთ საკვლევ პერიოდად. საარქივო მასალების, თანადროული პრესის, სხვა დოკუმენტური წყაროებისა და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით შევეცადეთ კომპლექსურად შეგვესწავლა 1878-1903 წლების აჭარის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების რთული, ხშირად წინააღმდეგობრივი, მაგრამ ამავე დროს მეტად საინტერესო ისტორია.

# თ ა ვ ი ი წყაროები და ისტორიოგრაფია

## § I წყაროები

1878-1903 წლების აჭარის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარების შესახებ დიდძალი მასალაა დაცული საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო, ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო, აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივების ფონდებში, აჭარის სამუხეუმო გაერთიანების ხელნაწერთა ფონდებში. მრავალმხრივი და საყურადღებო ცნობები მოიპოვება შესაბამისი პერიოდის ქართულ თუ რუსულ პრესაში: "დროებაში", "ივერიაში", "კვალში", "ცნობის ფურცელში", "კავკაზში", "ობზორში" და სხვ. XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის აჭარის შესახებ მეტად მრავალფეროვანი ცნობებია მოტანილი როგორც იმ პერიოდის ქართველ და უცხოელ მოგზაურთა, ისე უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა: დ.ბაქრაძის, გ.ყაზბეგის, თ.სახოკიას, ზ.ჭიჭინაძის, ა.ფრენკელის, ვ.ლისოვსკის, ჯ.პალგრევის და სხვათა ნაშრომებსა თუ ოფიციალურ მოხსენებებში. საინტერესო და მრავალფეროვანი მასალებია დაცული და გამოქვეყნებული სხვადასხვა სტატისტიკურ თუ საიუბილეო კრებულებში.

საარქივო მასალები. დიდძალი და მნიშვნელოვანი მასალებია დაცული საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდებში. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა კავკასიის მთავარმართებლის სამოქალაქო ნაწილის (სასამართლო განყოფილება 1883-1905 წწ) (ფონდი 12) და კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიები (1905-1917 წწ) (ფონდი 13). ამ ფონდებში დაცული მასალები ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი საკვლევი პერიოდის აჭარის (და საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს- ავტ.) საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიის შესასწავლად.

ამ თვალსაზრისით საყურადღებო ცნობებია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის სხვა ფონდებშიც. კერძოდ: კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებული სამხედრო-სამოქალაქო მმართველობა (1883-1908 წწ.) (ფონდი 229), კავკასიის მთავარმართებლის სამოქალაქო ნაწილის სამშენებლო-საგზაო კომიტეტი (1868-1883 წწ.) (ფონდი 203), კავკასიის რკინიგზის სამმართველოს გზებისა და შენობების შეკეთების სამსახური (1892-1918 წწ.) - ფონდი 292, გზათა მიმოსვლის კავკასიის მხარის სამმართველო (1868-1918 წწ.) - ფონდი 324, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფოქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებული (1883-1917 წწ.) - ფონდი 243, კავკასიის საუფლისწულო მამულების სამმართველოს ინსპექტორი (1892-1917 წწ.) - ფონდი 351, საუფლისწულო მამულების სამმართველო (1831-1918 წწ.) - ფონდი 354, ამიერკავკასიის საარქივო სამმართველო - ფონდი 370, კავკასიის საბაჟო ოკრუგის სამმართველო (1831-1918 წწ.) - ფონდი 378, ამიერკავკასიის სტატისტიკის კომიტეტი (1875-1917 წწ.) - ფონდი 415 და სხვა.

ზემოთ აღნიშნულ ფონდებში მოიპოვება მეტად საინტერესო მასალები განსახილველი პერიოდის აჭარაში მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმების, კერძო მიწისმფლობელთა, მუჰაჯირების ადგილ-მამულების, კოლონისტების დასახლების, საერთოდ მიწების ყიდვა-გაყიდვის, ბეგარა-გადასახადების, ბათუმის ოლქის ადგილობრივი მოსახლეობისა და მოახალშენების საჩივრების, რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებიდან მოსული ინსტრუქციების, დადგენილებების შესახებ, რომლებიც ძვირფასი პირველწყაროა როგორც საერთოდ აჭარაში სოციალ-ეკონომიკური ვითარების შესასწავლად, ისე ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წარმოსაჩენად ახლადშემოერთებულ მხარეში. ამავე ფონდებში მნიშვნელოვანი მასალებია ბათუმის ოლქში სამრეწველო მიწათმოქმედების (მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მეთამბაქოეობის და სხვ.) და საერთოდ კაპიტალისტური წარმოების, ცალკეულ მეწარმეთა, მათ მიერ დაქირავებული მუშახელის, წარმოებული პროდუქციის და სხვათა შესახებ.



განსახილველი პერიოდის აჭარის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. 1883 წლის 12 ივნისს ბათუმის ოლქი გაუქმდა და იგი ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა. 20 წლის მანძილზე ბათუმისა და ართვინის ოკრუგები ადმინისტრაციულად ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა. ბათუმის ოლქის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის აღდგენა მოხდა 1903 წლის 1 ივნისს. 1883-1903 წწ. ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს, საოკრუგო სასამართლოს, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა საგუბერნიო სამმართველოს უფლებამოსილება ვრცელდებოდა აჭარაზეც, სადაც მათი სპეციალური წარმომადგენლები იმყოფებოდნენ თანაშემწის სტატუსით. ისინი საგუბერნიო უწყებებს აწვდიდნენ სრულ ინფორმაციას მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით. ამ გზით აჭარის შესახებ სტატისტიკური მონაცემები ხვდებოდა ქუთაისის გუბერნიის ყოველწლიურ ანგარიშებში, რაც დღეს საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივიღოთ აჭარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების (სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, სოფლის მოსახლეობის შემადგენლობის, ადმინისტრაციული დაყოფის, ბათუმის სამრეწველო საწარმოების, მასში დასაქმებული მუშათა რაოდენობისა და სხვათა) შესახებ. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მე-18, 130-ე და 186-ე ფონდებში.

1878-1903 წწ. აჭარის შესახებ საყურადღებო მასალებია დაცული აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებში. აღსანიშნავია, რომ აქ ზოგიერთი ისეთი მასალაა დაცული, რომელიც სხვა არქივებში არ გვხვდება. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ფონდში (ი-1) გვხვდება ცნობები აჭარაში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ. განსაკუთრებით უხვადაა აჭარაში მუშათა რევოლუციური მოძრაობისა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობის ამსახველი მასალები.

მიწების ყიდვა-გაყიდვის, იჯარის და საიჯარო ფასების, ადგილ-მამულების საკუთრებაში დამტკიცებაზე თხოვნა –

საჩივრების, ნოტარიუსის გაცემული საბუთების, სასამართლო განაჩენების, საქალაქო მეურნეობის, მრეწველობისა და ტრანსპორტის შესახებ საყურადღებო ცნობებია ბათუმის ქალაქის გამგეობისა (ი-6) და ბათუმის საქალაქო სათათბიროს (ი-7) ფონდებში.

ნავთობის ექსპორტის, ბათუმის სავაჭრო ტვირთბრუნვის, ნავსადგურის მშენებლობის, გემების მიმოსვლის, პორტო-ფრანკოს პერიოდის მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი მასალებია ბათუმის (ი-14) და ჩურუქ-სუს საბაჟოს (ი-15) და ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის სამმართველოს (ი-34) ფონდებში.

აჭარის, როგორც სუბტროპიკული კულტურების მოშენებისათვის მეტად ხელსაყრელი (განსაკუთრებით მისი ზღვისპირა ზოლის) ადგილით როგორც რუსი მოახალშენეების, ისე საუფლისწულო მამულების მთავარი სამმართველოს დაინტერესება, ი.კლინგენის ჩაქვში ჩამოსვლის, ხელისუფლების მიერ აქ საუფლისწულო მამულის მოწყობისადმი განსაკუთრებული ყურადღების, სამრეწველო მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის პირველი წარმატებების შესახებ საინტერესო მასალებია ჩაქვის საუფლისწულო მამულის (ი-22) ფონდში.

აჭარის 1878-1903 წლების ისტორიის შესახებ მნიშვნელოვანი მასალებია აჭარის სახელწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში. აქ გვხვდება ბათუმის ოლქის შესახებ ყოფილი საბჭოთა კავშირის არქივებიდან ამოღებული მასალები, სხვადასხვა პირთა მოგონებები, საველე მუშაობისას შეკრებილი ეთნოგრაფიული ცნობები. მათში მოთხრობილია ჩვენთვის სინტერესო პერიოდის აჭარის მრეწველობის, სოფლის-მეურნეობის, ფულად-საკრედიტო ურთიერთობების, ვაჭრობის, მიწათმფლობელობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და აგრარული მოძრაობის, პოლიტიკური პარტიების შესახებ.

საინტერესო მასალები მოიპოვება ქუთაისის გუბერნიისა და ბათუმის ოლქის მიმოხილვებში. ბათუმის ოლქის მიმოხილვა სულ ორჯერ გამოქვეყნდა (61;1904) ხოლო ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვა სისტემატურად გამოდიოდა. მათში მოცემულია 1883-1903 წლების ცნობები ბათუმის ოლქის და კერძოდ აჭარის

შესახებ. აღნიშნული ცნობები გვეხმარება აჭარის და საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარებისა და ადმინისტრაციული მმართველობის მდგომარეობის შესასწავლად. ამ მიმოხილვების ღირსება იხილავს, რომ ისინი ხშირად არ იფარგლებიან ოლქსა თუ ოკრუგში შექმნილი ვითარებით და ცალკეულ საპოლიციო უბნებში არსებულ მდგომარეობასაც ასახავენ.

საყურადღებო წყაროა "კავკასიის კალენდარი", რომელშიც შეტანილია მრავალფეროვანი სტატისტიკური ცნობები და ისტორიულ-გეოგრაფიული თუ სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მიწათმფლობელობის, გადასახადების, ეროვნული თუ სოციალურ-კლასობრივი შემადგენლობის, ადმინისტრაციული მმართველობის და სხვათა შესახებ. "კავკასიის კალენდარში" მოცემული მასალები ხშირად გვეხმარება თვალი გავადევნოთ აჭარის განვითარების პროცესს, დავინახოთ მისი განვითარების გარკვეული თვისებურებები.

ბათუმის ოლქში (აჭარაში) სამთამადნო მრეწველობის შესასწავლად საყურადღებოა კავკასიის სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს ანგარიშები, რომლებშიც დეტალური ცნობებია ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში წიაღისეული რესურსების ძიების, მადნეულის ამოღების, მეტალურგიული ქარხნების მშენებლობის და მათი საქმიანობის შესახებ, ნაჩვენებია ის უცხოელები, რომლებიც ამ დარგში საქმიანობდნენ (62;1914).

აჭარის შესახებ მრავალმხრივი და უხვი მასალაა მოცემული ბათუმის რუსეთთან შეერთების 25 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემულ კრებულში (57;1906). ნ.დერჟავინის, მ.ჯანაშილის, ტ.სტეფანოვის, გენერალ პოტოს, ა.კრასნოვის, ს.ტიმოფევის, ლ.მარკოვის, ნ.წერეთლის, ი.მესხის სტატიებში განხილულია აჭარის ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრაფიული, ოსმალთა პერიოდის ადმინისტრაციული მმართველობის, რუსული მმართველობის დამყარების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, ფულად-საკრედიტო ურთიერთობების, მიწათმფლობელობის საკითხები.

მართალია კრებული შედგენილია ტენდენციურად, ცარიზმის კოლონიური ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ იგი გვაწვდის დიდხალ ფაქტოლოგიურ მასალას აჭარის 1878-1903 წლების განვითარების სხვადასხვა საკითხის გასაშუქებლად.

აჭარის 1878-1903 წლების მდგომარეობის შესახებ მრავალმხრივი ცნობები მოიპოვება შესაბამისი პერიოდის ქართულ თუ რუსულ პრესაში. ქართული გაზეთები "დროება" და "ივერია" ჯერ კიდევ 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე ყურადღებით აკვირდებოდა "ოსმალის საქართველოში" მიმდინარე მოვლენებს. არაერთი სტატია მიუძღვნეს მათ საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და კერძოდ, აჭარის ისტორიას, დამპყრობთა წინააღმდეგ თავდადებულ ბრძოლას, რითაც უცხოელ დამპყრობთა ბატონობის ქვეშ მყოფ თვისტომთა ეროვნული გამოღვიძების საქმეში ფასდაუდებელი როლი ითამაშეს. ქართული პრესა ფხიზლად ადევნებდა თვალს ორი დიდი დამპყრობლის – რუსეთისა და ოსმალეთის გამწვავებულ ურთიერთობას, ომისათვის სამზადისს, ვრცლად აშუქებდა ომის მსვლელობას, ხოლო აჭარაში რუსეთის ბატონობის დამყარების შემდეგ სამზეოზე გამოჰქონდა რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ შექმნილი მძიმე მდგომარეობა, ადგილობრივი მოსახლეობის მუჰაჯირად წასვლის მიზეზები და ცდილობდა მათ აღმოფხვრა-გამოსწორებას. ქართული პრესა "დროება", "ივერია", "კვალი") დაწვრილებით აშუქებდა აჭარის ცხოვრებაში მიმდინარე ყველა სიახლეს. გამოქვეყნებული წერილები გვაწვდიან ძვირფას მასალას განსახილველი პერიოდის აჭარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის აჭარის ისტორიის შესასწავლად აუცილებელია ქართული თუ უცხოელი მოგზაურების ცნობების გათვალისწინება. ზოგიერთმა მათგანმა აჭარა მოინახულა ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ხოლო ზოგმა რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ. ამ თვალსაზრისით მათი ცნობები საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მომხდარი ცვლილებები.

რუსეთ-ოსმალეთის მოსალოდნელი ომის ვითარებაში ქართული ინტელიგენცია სამხრეთ საქართველოს ისტორიული წარსულის წარმოჩენით ცდილობდა ცარიზმის დაინტერესებას ამ მხარის შემოერთებისადმი. სწორედ ამ მიზნით ომის წინა პერიოდში აჭარაში იმოგზაურეს ცნობილმა მეცნიერებმა, რომელთაც ამ მოგზაურობის შემდეგ ბრწყინვალე ნაშრომები დაგვიტოვეს, რომელიც დღეს ძვირფასი წყაროა აჭარის თუ საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხის შესასწავლად.

დომიტრი ბაქრაძემ 1873 წელს იმოგზაურა გურია-აჭარაში და შესანიშნავი ნაშრომი დაგვიტოვა (6;1987,56;1873). მის მიერ აღწერილ მდიდარ არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა აჭარის მკვიდრთა სამეურნეო საქმიანობისა და ცალკეული დარგების განვითარების ამსახველი ცნობები.

1874 წელს აჭარაში იმოგზაურა გიორგი ყაზბეგმა და გამოაქვეყნა შესანიშნავი ნაშრომები: "სამი თვე თურქეთის საქართველოში", "Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского санджака (составленные генерального штаба подполковникомъ Казбекомъ" (47;1995, 58;1876). აღნიშნულ ნაშრომებში სხვადასხვა ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობებთან ერთად ავტორი მიმოიხილავს აჭარაში მიწათმოქმედების, მევენახეობის, მეხილეობის, მეფუტკრეობის, მეთამბაქოეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას. იგი გვაწვდის საინტერესო ცნობებს აჭარის სხვადასხვა რაიონის სამეურნეო სპეციალიზაციაზე.

XIX საუკუნის დამლევის აჭარის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის თედო სახოკია (30;1985). მან ვრცლად აღწერა აჭარის მოსახლეობის შრომითი საქმიანობა და კულტურული განვითარება, დაახასიათა სოციალური შემადგენლობა. ცალკე პარაგრაფი მიუძღვნა მხარის ეკონომიკურ განვითარებას: მიწათმოქმედებას, მევენახეობას, მეფუტკრეობას, მეხილეობას, ხელოსნობას.

ოსმალეთის ბატონობისაგან განთავისუფლებული აჭარის შესწავლისათვის საინტერესოა ცნობილი მოღვაწის ზაქარია ჭიჭინაძის საქმიანობა. მან აღწერა აჭარელთა სამეურნეო

საქმიანობა, ხელოსნობის განვითარება, სოციალური ურთიერთობები (52;1907).

აჭარის შესახებ მნიშვნელოვან სტატისტიკურ ცნობებს გვაწვდის სამხედრო კორესპონდენტი ა.ფრენკელი, რომელმაც 1878 წელს იმოგზაურა რუსეთის ახლადშემოერთებულ მხარეში და დაგვიტოვა საყურადღებო ნაშრომი "Очерки Чурук-су и Батума". ავტორი გვაწვდის ცნობებს აჭარის მკვიდრთა ოჯახის, ქალის მდგომარეობის შესახებ, ასევე სამეურნეო საქმიანობის შესახებაც. ცნობები შეეხება ცალკეულ სოფლებსაც კი.

საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ვ.ლისოვსკი, რომელმაც 1887 წელს იმოგზაურა აჭარაში და აღწერა სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა დარგი.

ბათუმის ოლქის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებისა და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ დაწერილებითი ცნობები მოიპოვება ფრანგი ორიენტალისტის ჟან მურიეს ნაშრომში, მან კავკასიაში XIX საუკუნის 80-იან წლებში იმოგზაურა.

ამრიგად, საკვლევ პერიოდთან დაკავშირებით ჩვენს მიერ გამოყენებული მრავალფეროვანი წყაროები საშუალებას გვაძლევს თანამედროვე გადასახედიდან გავაშუქოთ და შევაფასოთ 1878-1903 წლების აჭარის განვითარების ისტორიის სხვადასხვა საკითხი.

## § II. ისტორიოგრაფია

აჭარის ისტორიის მეცნიერული შესწავლა განსაკუთრებული ინტერესით დაიწყო XX საუკუნის 50-იანი წლებიდან. 1878-1903 წლების აჭარის ისტორიის სხვადასხვა საკითხი განიხილეს და საყურადღებო ნაშრომები გამოაქვეყნეს: ხ.ახვლედიანმა, ა.ავალიანმა, ი.ანთელავამ, ა.ბენდიანიშვილმა, ი.ბარამიძემ, კ.ბაბილოძემ, ნ.ბერძენიშვილმა, პ.გუგუშვილმა, ო.გოგოლიშვილმა, ვ.გურულმა, აღ.დაუშვილმა, ჯ.ვარდმანიძემ, ნ.ვარშანიძემ, თ.ვახტანგიშვილმა, ო.თურმანიძემ, ვ.იაშვილმა, ნ.კახიძემ, თ.კომახიძემ, შ.მეგრელიძემ, მ.ნიკოლეიშვილმა,

დ.ნაცვალაძემ, ვ.სიჭინავამ, მ.სიორიძემ, აბ.სურგულაძემ, მ.სვანიძემ, ი.სიხარულიძემ, ო.ტატიშვილმა, რ.უზუნაძემ, ზ.შაშიკაძემ, ვ.შამილაძემ, ნ.შენგელიამ, ჯ.ჩხეიძე, ვ.ჯიქიამ, ვ.ჯაოშვილმა და სხვ.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის აჭარის შესახებ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ეპოქაში გამოცემული ნაშრომები ზედმეტად იდეოლოგიზირებულია, გვაქვს ფაქტობრივი მასალების გაყალბების შემთხვევებიც. ტენდენციურობა განსაკუთრებით ატყვია საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიის საკითხთა შესწავლას. პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების მოღვაწეობა, სოციალ-დემოკრატიის ბოლშევიკური ფრთის გარდა, შეფასებულია უარყოფითად. ძირითადად ყურადღება გამახვილებულია მუშათა კლასის სოციალურ გამოსვლებზე და თითქმის მიჩქმალულია მოძრაობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათი.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა პერიოდში გამოცემულ ნაშრომებს სამეცნიერო ღირებულება დღესაც გააჩნია. მათი მეშვეობით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა მრავალი საარქივო მასალა და სხვა პირველწყარო, რამაც შემდგომ კვლევა-ძიებას სათანადო ისტორიოგრაფიული ბაზა შეუქმნა. ამ ნაშრომებმა კიდევ უფრო გააძლიერა მკვლევართა ინტერესი ჩვენი ისტორიის ამ მეტად რთული და თანაც საინტერესო პერიოდის მეცნიერული შესწავლისადმი.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის სრული ისტორია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება და ამ ეროვნულ საქმეში ქართველი ხალხის ერთსულოვანი მონაწილეობა განხილულია შ.მეგრელიძის შრომებში (23;1956, 24;1963, 25;1974). მკვლევარმა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა მანამდე უცნობი არაერთი საარქივო დოკუმენტი. მის ნაშრომებში საინტერესოაა გადმოცემული 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის საბრძოლო ოპერაციები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გაშლილი განმათავისუფლებელი მოძრაობა, ქართველთა თავგანწირული ბრძოლა ოსმალთა ბატონობისაგან თანამოქმეთა გასათავისუფლებლად. ავტორი,

სათანადოდ აშუქებს დიდი სახელმწიფოების დაინტერესებას კავკასიით, განსაკუთრებით ბერლინის კონგრესზე შექმნილ დაპირისპირებას ბათუმის საკითხის გამო, ინგლისის დელეგაციის, კერძოდ პრემიერ-მინისტრ დიზრაელის მცდელობას არ დაეთმოთ ბათუმი რუსეთისათვის. შ.მეგრელიძემ ცალკე ნაშრომი უძღვნა განთავისუფლების შემდეგ (1878-1882 წწ.-ავტ.) აჭარაში შექმნილ ვითარებას, კერძოდ მაჰმადიანი ქართველების ერთი ნაწილის ოსმალეთში გადასახლების, ე.ი. მუჰაჯირობის პრობლემას (23;1956).

ბოლო პერიოდში აჭარაში და საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მუჰაჯირობის პრობლემის შესწავლას ხელი მოჰკიდა მეკლევარმა ჯ.ვარდმანიძემ (14;2002).

აჭარის და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში გამორჩეული ღვაწლი მიუძღვის ხ.ახვლედიანს, რომელმაც ამ მხარის პრობლემებს არაერთი ნაშრომი მიუძღვნა (2;1944, 3;1956, 4;1972, 5;1987). მათში მოთხრობილია ოსმალთა მფლობელობის პერიოდის სამხრეთ საქართველოს მდგომარეობაზე (ოსმალურ მიწათმფლობელობაზე, ტყვეთა სყიდვაზე, ეკონომიკურ ცხოვრებაზე, საქართველოს ამ მხარის შვილთა განმათავისუფლებელ ბრძოლაზე), რუსეთის პოლიტიკაზე კავკასიაში და მის მიერ აჭარის შეერთების ცდებზე, 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომზე და აჭარის განთავისუფლებაზე. რუსეთთან შეერთების შემდგომი პერიოდის აჭარის ცხოვრებაზე – მუჰაჯირობაზე, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის განვითარებაზე ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან წინა პლანზე წამოსწია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მანამდე უცნობი დეტალები, გამოყო ამ მოძრაობის ეტაპები, სათანადოდ დაახასიათა განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

XIX საუკუნეში კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას და პოზიციების გამყარებას აქტიურად ეწინააღმდეგებოდა ინგლისი. იგი ცდილობდა ამ მიზნით გამოეყენებინა ოსმალეთი და ირანი. რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგობები განსაკუთრებით



გამწვავდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რაც გამოვლინდა ეირიმის ომისა და რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის დროს. ამ საკითხებს ეძღვნება ა.ჩხვიძის საინტერესო მონოგრაფიები (49;1973, 50;1974). მათში ავტორი უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით განიხილავს დიდი სახელმწიფოების, განსაკუთრებით ინგლისის დაინტერესებას ბათუმით, რაც აშკარად გამოვლინდა ბერლინის კონგრესის მსვლელობაში.

აჭარაში ოსმალთა ბატონობის ისტორიას, ოსმალური მიწათმფლობელობის ხასიათს და აჭარის მკვიდრთა ბრძოლას მტრის წინააღმდეგ ეხება ვ.იაშვილისა (19;1948) და ა.ავალიანის (1;1960) ნაშრომები.

XIX საუკუნის ბათუმის ისტორიას, საქალაქო ცხოვრების განვითარებას, ბათუმის ოლქში ნაოსნობის განვითარების პრობლემებს, მის როლს მხარის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაში განიხილავს თავის შრომებში რ.უზუნაძე (44;1997, 45;2001).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხელოსნობის განვითარების პრობლემებს, მაჭახლის ხეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებს ეძღვნება ნ.კახიძის გამოკვლევები (20;1974, 21;2004).

1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შექმნილ ვითარებას, მუჰაჯირობის მიზეზებს, საადგილმამულო ურთიერთობებს, ამ მიმართულებით რუსეთის ხელისუფლების აშკარა კოლონიურ პოლიტიკას ეხება ი.ბარამიძის ნაშრომი (7;1999).

საადგილმამულო ურთიერთობებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში, რუსეთის დამკვიდრების შემდეგ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას, განსაკუთრებით ახალი, სუბტროპიკული კულტურების მოშენებას, მათ სამრეწველო დამუშავებას ეხება ო.თურმანიძის ნაშრომები (16;1973, 317;2001, 18;2004). ავტორი სწავლობს ისეთ დარგებს, როგორცაა მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა, მეციტრუსეობა, მეყვავილეობა, ზეთისხილის მოშენება. გაანალიზებულია ცარიზმის აგრარულ-კოლონიური პოლიტიკის ხასიათი აჭარაში, სოციალურ ძალთა სტრუქტურა და განლაგება. თურმანიძემ სპეციალურად შეისწავლა რუსული

მმართველობის სისტემა, ბათუმის ოლქის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებები, რუსული ახალშენების შექმნა აჭარაში, ჩაქვის საუფლისწულო მამულის შექმნა და მისი როლი საქართველოში სუბტროპიკული კულტურების გავრცელების საქმეში.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, კერძოდ, მდ.ჭოროხის აუზი იყო მეტალურგიული წარმოების უძველესი კერა. მისი საქართველოსთან დაბრუნების (1878 წ.) შემდეგ დაიწყო ინტენსიური საძიებო-გეოლოგიური სამუშაოები. XIX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (მათ შორის აჭარაც-ავტ.) იქცა წიაღისეული რესურსების მოპოვებისა და სამრეწველო დამუშავების მნიშვნელოვან კერად. იქმნებოდა მეტალურგიული მრეწველობის სხვადასხვა დარგის განვითარების პერსპექტივები. ამ საკითხებზე საყურადღებო ნაშრომები აქვთ გამოქვეყნებული გ.მარგიანს (22;1976), თ.ვახტანგიშვილს (15;1976) და სხვებს.

აჭარის სამრეწველო განვითარებაში გადამწყვეტი როლი ბათუმმა შეასრულა. რუსეთთან შეერთების შემდეგ ბათუმი იქცა ბაქოს ნავთობის ექსპორტის ძირითად ბაზად. ბაქოდან ნავთობის ტრანსპორტირების, ბათუმში ნავთობპროდუქტების გატანისათვის საჭირო ჭურჭლის წარმოების განვითარებისა და საერთოდ ბათუმიდან ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული საკითხები განხილული აქვთ ო.ტატიშვილს (42;1948), ქ.მუშკუდიანს (27;1982), ნ.ტყეშელაშვილს (43;1958), გ.მარგიანს (22;1976).

1878-1903 წლების ბათუმის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ისტორიის შესასწავლად საყურადღებოა ვ.სიჭინავს მონოგრაფია (34;1948), ვტორი მდიდარ საარქივო მასალებსა და პირველწყაროებზე დაყრდნობით განიხილავს მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას ბათუმში. გაშუქებულია ნავთობის გასატანი ჭურჭლის წარმოების პროცესი, ნავთობპროდუქტების ექსპორტის საკითხები, ფულად საკრედიტო ურთიერთობები, ბანკების საქმიანობა. ვ.სიჭინავა ეხება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს: მუჰაჯირობას, რუსული მმართველობის დამყარებას და ცარიზმის კოლონიურ

პოლიტიკას, მუშათა კლასის ჩამოყალიბებასა და რევოლუციურ გამოსვლებს ბათუმში. ბევრი ღირსების მიუხედავად, ავტორი ბათუმის სამრეწველო განვითარების გაშუქებისას კმაყოფილდება მხოლოდ ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული მრეწველობის განხილვით და გვერდს უვლის ან ზოგადად ეხება ბათუმში არსებულ სხვა სამრეწველო საწარმოებს. ასევე არ მიგვაჩნია სარწმუნოდ მუჰაჯირობის ძირითად მიზეზად ბათუმის პორტო-ფრანკოს რეჟიმის მოყვანა. ვფიქრობთ, რომ პორტო-ფრანკოს რეჟიმთან დაკავშირებულმა ხელოვნურმა გართულებებმა გარკვეული გავლენა მოახდინა მუჰაჯირობის პროცესზე, მაგრამ ის გადამწყვეტი ფაქტორი არ ყოფილა. ასევე გადაჭარბებულად მიგვაჩნია ბათუმის მუშათა მოძრაობაში სოციალ-დემოკრატიის ბოლშევიკური ფრთის ერთადერთ წარმმართველ ძალად გამოყვანა.

XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ბათუმის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით საყურადღებოა მ.ნიკოლეიშვილის წიგნი (28;1994).

ბათუმის განვითარებისა და საქალაქო თვითმმართველობის ჩამოყალიბების, მისი საქმიანობის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ალ.ბენდიანიშვილის ნაშრომი (8;1982).

ბათუმში მუშათა კლასის ჩამოყალიბებას, მარქსისტული იდეების გავრცელებას, პირველი მარქსისტული ჯგუფების, შემდეგ რსდმპ ბათუმის კომიტეტის ჩამოყალიბებას და საქმიანობას სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა ი.ჩულოკმა (63;1970). მასში აგრეთვე განხილულია რსდმპ ბათუმის კომიტეტის საგამომცემლო, ორგანიზაციული, სააგიტაციო-პროპაგანდისტული მოღვაწეობა, შინაპარტიული მდგომარეობა, მისი როლი რევოლუციურ მოძრაობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ი.ჩულოკის ნაშრომში რსდმპ ბათუმის კომიტეტის ისტორია გადმოცემულია აშკარად ტენდენციურად, გაზვიადებულია ბოლშევიკების როლი. მცდარადაა განხილული რსდმპ ბათუმის კომიტეტის ორი ჯგუფის – ბოლშევიკებისა და მენშევიკების შიდაპარტიული დავა.

აჭარის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პ.ცქვიტარიამ (51;1959). "აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევებში" ავტორი ეხება მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებსაც. ძირითადი მსჯელობა ეხება რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესწავლას. უნდა აღნიშნოთ, რომ ავტორს გამოყენებული აქვს მდიდარი წყაროთმცოდნეობითი მასალა. მაგრამ პ.ცქვიტარია მსჯელობისას აშკარად უარყოფითად არის განწყობილი ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის მიმართ, გარდა ბოლშევიკებისა. 1902 წლის მარტის მოვლენებზე საუბრისას ეხება რა კ.ჩხეიძისა და ი.რამიშვილის და მათი მომხრეების საქმიანობას, მათ უწოდებს "ოპორტუნისტულ ჯგუფს, რომელიც უარყოფდა მუშათა სტიქიურ მოძრაობაში სოციალისტური შეგნების გარედან შეტანას, რევოლუციური ინტელიგენციის როლს მუშათა მოძრაობაში"(51;103-104). პ. ცქვიტარიას ნაშრომს აშკარად ემჩნევა საბჭოური ეპოქისათვის დამახასიათებელი ცენზურის გავლენა.

აჭარის ისტორიის სხვადასხვა საკითხები ასახულია მ.ნუცუბიძის (29;1976), ჯ.ჩხეიძის (48;1859), ვ.ჯაოშვილის (53;1966), გ.ქარჩავას (46;1970), ი. ჯიბლაძის (54;1960), ვ.ჯიქიას (55;1973) და სხვათა ნაშრომებში.

აჭარის ისტორიის სრულყოფილად შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანია აბელ სურგულაძის გამოკვლევები (36;1962, 37;1972, 38;1973, 39;1978, 40;1986, 41;1986), აჭარის ისტორიის სხვადასხვა საკითხს მან არაერთი მონოგრაფია მიუძღვნა: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია აჭარაში, აჭარელ მამულიშვილთა ცხოვრება-მოდგაწეობა, პორტო-ფრანკოს პერიოდის აჭარის ცხოვრება, მუშათა მოძრაობის დაწყება და პირველი მარქსისტული წრე ბათუმში, აი, საკითხთა არასრული ჩამონათვალი, რომელთა შესწავლასაც ეძღვნება მისი ნაშრომები.

ჩვენთვის საყურადღებო პერიოდის შესახებ გასათვალისწინებელია მალხაზ სიორიძის ნაშრომები (31;1987, 32;1995, 33;2003). მისი გამოკვლევები "ბათუმის როლი ნავთობის

მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში“, სამთო-მეტალურგიული მრეწველობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და უცხოური კაპიტალი (1878-1921 წწ.)“, „ბათუმის საბაჟო“, „პორტო-ფრანკო ბათუმში“ (თანაავტორობით), განსახილველი პერიოდის აჭარის ისტორიის მნიშვნელოვანი შენაძენია. მდიდარი დოკუმენტური მასალა, მოვლენათა განხილვა ზოგადი ისტორიული პროცესების კრილში უდავოდ ღირსებას მატებს მ.სიორიძის შრომებს.

ბათუმში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა და რსდმპ ბათუმის კომიტეტის შექმნის შესასწავლად საყურადღებოა ვ.გურულისა და მ.ვაჩნაძის მონოგრაფია (12;1999).

ი.სტალინის როლს რსდმპ ბათუმის კომიტეტის შექმნასა და 1902 წლის მარტის მოვლენების ორგანიზაციაში განიხილავს ალ.დაუშვილი თავის წიგნში (13;2004).

ბოლო პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიას წარმატებით იკვლევს ოთარ გოგოლიშვილი (9;1996, 10;2001, 11;2005). მისი მონოგრაფიები „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1910 წლებში“, „სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში“ და სამეცნიერო სტატიები გამოირჩევა გამოყენებული საარქივო მასალის სიუხვით, ეროვნული პრობლემატიკის წინ წამოწევით, ანალიზის სიღრმით. ავტორი მდიდარ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ახერხებს სამხეობაში გამოიტანოს საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მიჩქმალული ბათუმში მოქმედი სხვადასხვა პოლიტიკური ძალების – სოციალ-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების და სხვათა რეალური საქმიანობა.

საერთოდ გვინდა ავღნიშნოთ, რომ აჭარის ისტორიის შესახებ პოსტსაბჭოურ პერიოდში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც დაფუძნებულია ახალ საარქივო დოკუმენტებზე, თავისუფალია იდეოლოგიური გავლენისაგან, ქმნიან მკვიდრ ისტორიოგრაფიულ ბაზას ამ მხარის მართლაც

რთული და საინტერესო ისტორიის სრულყოფილად  
შესასწავლად.

**თ ა ვ ი ი I**  
**პოლიტიკური ვითარება აჭარაში 1878-1903**  
**წლებში**

**§ I აჭარის განთავისუფლება და ბათუმის ოლქის**  
**შექმნა და რუსული მმართველობის სისტემის**  
**შემოღება**

გვიანი შუა საუკუნეების ხანაში საქართველოს ძნელბედობა ყველაზე მეტად ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებს და კერძოდ, აჭარას დაატყდა თავს. პოლიტიკურად დასუსტებულმა და დანაწევრებულმა საქართველომ ვერ შეძლო სხვადასხვა მხრიდან მოძალებული დამპყრობლის მოგერიება. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი და მათ შორის აჭარაც ოსმალთა ბატონობის უღელქვეშ მოექცა. აჭარის ოსმალთა მფლობელობაში გადასვლის ზუსტი თარიღი დღემდე უცნობია. ეჩელების ცნობით, სულთან სულეიმან კანუნის (1520-1566) დროს აღწერილ იქნა ტრაპიზონი, მას ბათუმის სანჯაყიც შეუერთდა და ცალკე ვილაიეთი შეიქმნა. ტრაპიზონის ვილაიეთი ხუთი სანჯაყისაგან შედგებოდა: ჯანპას, ქვემო ბათუმის, ზემო ბათუმის, გონიოსა და ტრაპიზონის. ბათუმის ლივაში 13 ზიამეთი და 72 თიმარი იყო (109;82). თურქული ცნობებით ბათუმს XVII საუკუნეში ბეგლარ-ბეგი ჰყოლია "მთელი საქართველოს სერასქერად დაუნიშნავთ ბათუმის ბეგლარ-ბეგი ომერ-ფაშა" (107;259). ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული თვალსაზრისით აჭარა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიებს შორის ყველაზე გვიან, XVII საუკუნის პირველ ნახევარში იქნა ოსმალთაგან დაპყრობილი. ასეთი შეხედულებების საფუძველს ქმნიდა ის ფაქტი, რომ 1595 წელს შედგენილ "გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" აჭარა არ არის შეყვანილი. აღნიშნულ საკითხზე ბოლო პერიოდში საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა მკვლევარმა ზ. შაშიკაძემ, თურქეთის არქივებში ბოლო დროს აღმოჩენილი მასალების საფუძველზე იგი მიუთითებს: "ირკვევა, რომ აჭარის

ხეობა 1561 წლიდან უკვე ოსმალეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი ხდება და მის ტერიტორიაზე მყარდება თურქული ადმინისტრაციული მმართველობა. ეს კი, ამასთან ერთად ნიშნავს ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმების და საგადასახადო სისტემის დამკვიდრებასაც, რასაც ადასტურებენ აჭარის შესახებ არსებული, მომდევნო წლებით დათარიღებული დოკუმენტური მასალებიც” (106;151). ოსმალთა ასეთი მკაცრი მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბება-დამყარება თანდათან უნდა მომხდარიყო. ამას დამკვირობს XVI საუკუნის პოლიტიკური ვითარებაც აიძულებდა. “ოსმალეთის ხელისუფლება ჯერჯერობით მხოლოდ ხარაჯითა და ბაჟით კმაყოფილდებოდა” (108;41). დაკვირობილ ქართულ მიწა-წყალზე ოსმალთა მტკიცედ დამკვიდრებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მიწათმფლობელობის ოსმალური წესების შემოღებას. “ოსმალური წესით მიწათმფლობელი აუცილებლად მხედარი, სამხედრო პირი უნდა ყოფილიყო. ამასთან ერთად იგი უნდა ყოფილიყო მუსლიმანი. არა მუსლიმანს ოსმალეთში იარაღის ტარების უფლებაც კი არ ჰქონდა” (86;49-50). ამის მიღწევა მტერს ერთბაშად არ შეეძლო. ქართველობას, ყოველ შემთხვევაში მის მოწინავე ნაწილს, კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ამ წესების შემოღება “ოსმალეთის”, როგორც სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას მოასწავებდა პრაქტიკულად ეს ერის გადაშენება იქნებოდა. ამიტომ ქართველი მოსახლეობა ოსმალეთის მთავრობას შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა” (85;33). ოსმალები ფრთხილად, მაგრამ მიზანმიმართულად მოქმედებდნენ. ებრძოდნენ ყოველივე ქართულს: მიწათმფლობელობისა და მმართველობის ფორმებს, ენას, სარწმუნოებას, კულტურას საერთოდ. მათ თანდათან მიადწიეს წარმატებას. შემოიღეს ოსმალური მმართველობითი სისტემა (ვილაიეთი, სანჯაყი, ყაზა, ნაჰიე), რომელთა სათავეში გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალები დააყენეს. შემოიღეს მიწათმფლობელობის ოსმალური ფორმები (მულქი, ვაყუფი, ერახი-მირიე და სხვა)

აჭარაში ოსმალეთის გაბატონების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XIX საუკუნის 30-40-იან წლებში



თანზიმათის (რეფორმების) პერიოდში გატარებულ ღონისძიებებს. დამპყრობლებმა ქართული ფეოდალური წეს-წყობილების შემორჩენილ ელემენტებზე მიიტანეს იერიში. „XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან კი, თანზიმათის განხორციელებით, ვითარება რადიკალურად იცვლება. ამ კუთხის (იგულისხმება აჭარა - ავტ.) სეპარატიზმის აღმოფხვრისა და მოსახლეობის მთლიანი გაოსმალების დაჩქარების მიზნით ცენტრალურმა მთავრობამ ყველა ადრინდელი შედავათი გააუქმა“ (103;10). აჭარაში ჩქარი ტემპით დაიწყო ქართული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის უკანასკნელი ნაშთების ამოძრევა და მის ნაცვლად ცხოვრების ყველა სფეროში ოსმალური წესების, ზნე-ჩვეულებებისა და ინსტიტუტების დანერგვა, ოსმალური ადმინისტრაციის შექმნა და ენის ძალდატანებით გავრცელება (71;122). ოსმალები მაჰმადიანური სარწმუნოების განმტკიცების მიზნით აძლიერებენ ჯამე-მედრესეების გახსნას (110;36). ადგილობრივმა მოსახლეობამ სწორად შეაფასა რეფორმების გატარებით გამოწვეული საფრთხე და აღსდგა არსებობის შენარჩუნებისათვის. თანზიმათით გათვალისწინებული მიწათმფლობელობის სამხედრო-ღენური სისტემის გაუქმება საფრთხეს უქადდა ქართველ ფეოდალთა შთამომავლების პრივილეგიებს, ბუნებრივია, ისინი „ასეთ ღონისძიებებს პასიურად არ შეხვდებოდნენ. მათი პრივილეგიებისა და პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების საფუძველი სწორედ სამხედრო ღენები იყო... აჭარას და საერთოდ ოსმალურ საქართველოს ჰქონდა უდიდესი სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა, რაც ცენტრალურ მთავრობას აიძულებდა ერთგვარ დათმობაზე წასულიყო ადგილობრივი ფეოდალების წინაშე. ამგვარი კომპრომისის საფუძველი ქართველი ხალხის მედგარი წინააღმდეგობა იყო“ (72;42).

ოსმალთა ხანგრძლივმა ბატონობამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ აჭარის მატერიალური თუ სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს. „საქართველოს ბევრი დამპყრობი უნახავს. თურქებმა სამართლიანად დაიმსახურეს მათ შორის უარესთა სახელი. მხოლოდ სიკვდილი, აოსრება და გაველურება მოჰქონდათ მათ ყველგან,

სადაც კი ისინი გამოჩნდებოდნენ. მათ მიერ დაპყრობილ ქართულ ოლქებში განვითარებული მატერიალური კულტურა რამდენიმე საფეხურით ჩამოქვეითდა. ქალაქთა ცხოვრება მთლიანად ჩაკვდა, იქ, სადაც იგი წინათ სდუღდა და გადმოღუღდა. გაჰქრა ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურები... მხეცურად, არაადამიანურად სდევნიდნენ ქართველი ხალხის წმიდათაწმიდას - მის ენას, მის კანონებსა და ტრადიციებს, მამა-პაპათა კულტურასა და ტრადიციებს... ურჩ მოსახლეობას მასობრივად ერეკებოდნენ მამაპაპეული ადგილებიდან. იქ, სადაც VIII საუკუნეში აგებულ იქნა ბანას ტაძარი, მსოფლიო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი, იქ, სადაც, XII საუკუნეში გაისმა რუსთაველის უკვდავი ხმა, სადაც XIV საუკუნეშიც აშენებული იყო ჭულესა და საფარის დიდებული ტაძრები, თურქეთის შემოსევის შემდეგ და მათი ბატონობის მთელ მანძილზე არაფერი დადებითი არ შექმნილა. მენეთებადაც კი ქართულ ეკლესიებს იყენებდნენ.

მაგრამ თურქთა ბატონობის ქვეშ მოხვედრილი ქართველი მოსახლეობა მუდამ განაგრძობდა მზავრელთა წინააღმდეგ ბრძოლას. თურქებმა ვერ შეძლეს, რამდენადაც არ ეცადნენ აღმოეფხვრათ მათ მიერ მოწყვეტილი სამხრეთის რაიონების ორგანული კავშირი საქართველოსთან" (117;1945).

ქართველი პოლიტიკოსების არაერთი თაობის დაუინებელი და თავგანწირული ცდა, გაეთავისუფლებინათ მტრისაგან მიტაცებული მიწა-წყალი, წარმატებით ვერ დასრულდა. XIX საუკუნის დასაწყისში კი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები მოექცა მეორე დიდი დამპყრობლის, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. ქართული სამეფოების გაუქმება რუსეთის შორსმიმავალი ინტერესებით იყო განპირობებული. "იმერკავკასიის მთიანეთის დამორჩილები-სათვის, ოსმალეთის წინააღმდეგ მომავალი შეტევებისათვის, სპარსეთზე გავლენის მოპოვებისათვის და საერთოდ შუა აღმოსავლეთის პოლიტიკურ ქიშპში ძლიერად გამოსვლისათვის რუსეთს ეხლა ამიერკავკასიაში სუსტი მოკავშირე - საქართველო აღარ აკმაყოფილებდა. სამხედრო ფეოდალურ იმპერიას აქ ამიერკავკასიაში, მტკიცე დასაყრდენის შექმნა

გადაეწვიტა. ამისათვის კი საკმარისი აღარ იყო სუსტი საქართველოს მოკავშირეობა, არამედ საჭირო იყო მისი ქვეშევრდომობა“ (76;248). ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთებით რუსეთი მტკიცედ იკიდებს ფეხს ამიერკავკასიაში და ოსმალეთის მთავარი მეტოქე ხდება კავკასიაში ბატონობისათვის ბრძოლაში (87;212).

აჭარის, კერძოდ ბათუმის შეერთება რუსეთის ამიერკავკასიაში დამკვიდრების შემდგომდროინდელი საგარეო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა. 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამდე, ოსმალეთის საზღვრებში მოქცეული შავი ზღვის გამაგრებული პუნქტებისა და ნავსადგურების, კერძოდ კი ბათუმის დაჭერა, ერთ-ერთ ძირითად ამოცანად იყო გათვალისწინებული. 1806 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გენერალ გუდოვიჩს წერდა: “შავი ზღვის ნაპირებზე ოსმალეთთან ჩვენი საზღვრების მდგომარეობაში მოხანს ის უხერხულობა, რომ ტამანის ნახევარკუნძულიდან დაწყებული რუსეთის მფლობელობა წვეტილი ხდება ანაპის, სუხუმ-კალეს, ანაკლიის ციხესიმაგრეებით, შემდეგ იწყება სამეგრელოს სანაპირო, რომელიც ეკუთვნის რუსეთს, რიონის შესართავამდე. მდინარის გაღმა კვლავ იწყება თურქეთის სანაპირო სამფლობელოები ფოთი, ბათუმი, გონიო. ყველა ეს დასახლებული პუნქტი ძველთაგანვე ეკუთვნოდა საქართველოს სამეფოს. მაშასადამე, არ შეიძლება არ ვისურვოთ რუსეთის სახელმწიფოში ყველა ამ ადგილის გაერთიანება, რომ ამით უზრუნველყოთ რუსეთის ბატონობა საქართველოში“ (118;525). ამ ომის შედეგად როგორც ახალციხის საფაშოს, ისე აჭარის დიპლომატიური თუ სამხედრო ღონისძიებებით შეერთების მცდელობა მარცხით დამთავრდა. ბათუმის შეერთების განზრახვა ძალაში რჩებოდა 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროსაც. თავის მხრივ თურქებიც კავკასიის ფრონტზე ორი მიმართულებით აპირებდნენ შეტევას:ძირითადი ძალები ალექსანდროპოლის გავლით უნდა წასულიყვნენ თბილისის მიმართულებით, მეორე დაჯგუფება, რომელიც თავს იყრიდა ბათუმში, გურიის გავლით უნდა შეჭრილიყო სამეგრელოსა და იმერეთში.

რუსებიც შეტევას გეგმავენ. 1828 წლის ივნისის დასაწყისში გენერალი გესე, რომლის განკარგულებაში 3 ქვეითი ბატალიონი და საარტილერიო როტა იყო, ფოთს მიაღწა. რამდენიმე დღეში ფოთთან მივიდა დადიანი მილიციელთა 1500 კაციანი რაზმით. ფოთის ციხე-სიმაგრემ 14 ივლისს წინააღმდეგობა შეწყვიტა და კაპიტულაცია გამოაცხადა (121;117-118). იმავე წლის ოქტომბრის დასაწყისში რუსეთის ჯარებმა დაიკავეს ოზურგეთი, ნაგომარი, ასკანა და ლიხაური (100;27). ამის შემდეგ გესეს მთავარ ამოცანას ბათუმზე შეტევა წარმოადგენდა. ამავე დროს რუსები წარმატებით უტევდნენ ყარსისა და ბაიაზეთის მიმართულებით. 1828 წლის 23 ივლისს, 4 დღიანი გარემოცვის შემდეგ რუსებმა აიღეს ყარსი. ოსმალები გააფრთხილდნენ ცდილობდნენ ახალციხის დაცვას, მაგრამ 15 აგვისტოს რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა იგი აიღო. გამარჯვებულ პასკევიჩს თბილისში გრანდიოზული საზეიმო შეხვედრა მოუწვევს. ასეთი წარმატებების შემდეგ პასკევიჩმა დააგადა გესეს გაეგრძელებინა შეტევა და დაესრულებინა საომარი კამპანია აჭარისა და ბათუმის დამორჩილებით. გესეს შეტევის პარალელურად აჭარაში ახალციხის მხრიდან უნდა შესულიყო მეორე რაზმი გენერალ-მაიორ ბარონ ოსტენ-საკენის მეთაურობით (121;124). გამოცდილი პასკევიჩი ბათუმის მიმართულებით შექმნილ ვითარებას სწორად აფასებდა და აუჩქარებელ მოქმედებას მოითხოვდა. იგი ბათუმის პირდაპირი იერიშით აღებას საერთოდ გამორიცხავდა და მიიჩნევდა, რომ ქალაქის აღება შემოვლით, სამხედრო მანევრის საშუალებით უნდა მომხდარიყო (119;773). გესეს განკარგულებაში მხოლოდ 6 ბატალიონი და 8 ქვემეხი იმყოფებოდა, როცა ოსმალებმა ბათუმი-ციხისძირის მიმართულებით ძლიერ დაჯგუფებას მოუყარეს თავი. რუსეთის სარდლობა იძულებული გახდა შეეცვალა თავდაპირველი გეგმა – პასკევიჩმა ბათუმის მიმართულებით გესეს შეტევაზე გადასვლა დააგადა. შეტევა 1829 წლის 5 მარტს დაიწყო. მტერი გააფრთხილვლ წინააღმდეგობას უწევდა რუსთა ჯარს. გესე ციხისძირის მისადგომებთან შეჩერდა. ოსმალებმა აგიტაციითა და დაშინებით მოახერხეს ადგილობრივი მოსახლეობის

გარკვეული ნაწილის მიმხრობა. გერემ სცადა ქობულეთის ბეგების მიმხრობაც, მაგრამ ვერ შეძლო (100;31). 4 აგვისტოს შეტევაზე გადავიდა რუსთა ჯარი კინტრიშის მიმართულებით. პოლკოვნიკ პრისოცკის რაზმის გარღვევის წყალობით რუსთა და ქართველთა რაზმებმა 9 აგვისტოს კინტრიშის სიმაგრე დაიკავეს. 15 სექტემბერს გესემ ციხისძირზე შეტევა დაიწყო, მაგრამ წარუმატებლად. დიდი მსხვერპლის შემდეგ იძულებული გახდა უკან დაეხია. რუსეთისათვის წარუმატებელი აღმოჩნდა ახალციხის მხრიდან აჭარაში ოსტენ-საკენის რაზმის შეტევაც. პასკევიჩის დავალებით ოსტენ-საკენი მოლაპარაკებას აწარმოებდა ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილთან რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების თაობაზე. თუმცა ამ დიპლომატურ მისიას თავი ვერ გაართვა. მაშინ იგი აჭარაში შეიჭრა, 16 აგვისტოს უკვე ხულოში იყო. ახმედ ხიმშიაშვილზე ზემოქმედების მიზნით მშვიდობიანი სოფლები გაძარცვა და გადაწვა (94;64). რუსების ასეთმა საქციელმა მოსახლეობა აღაშფოთა და იარაღი ააღებინა ხელში. მათ ოსტენ-საკენი დიდი ზარალით უკუაგდეს აჭარიდან. ოსტენ-საკენის საქციელმა მთავარსარდალ პასკევიჩის გულისწყრომაც გამოიწვია. ამდენად 1828-1829 წლების ომის დროს აჭარისა და ბათუმის დაკავების ცდა რუსეთისათვის მარცხით დამთავრდა. მაგრამ რუსეთმა 1826-1828 წლების რუსეთ-ირანისა და 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიჭირა ამიერკავკასიაში. რუსეთის პოზიციების განმტკიცება კავკასიაში მოსვენებას არ აძლევდა ინგლისს. "ინგლისი განსაკუთრებით იმის გამო იყო გაღიზიანებული, რომ რუსეთი ამიერკავკასიის შეერთებით შავი ზღვის სანაპიროების მნიშვნელოვან მონაკვეთზეც დაფუძნდა, ხოლო 1833 წელს უნკიარისკელესის ხელშეკრულების ძალით, სრუტეებში საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა" (112;10). ინგლისმა მაღე, 1841 წლის ლონდონის კონვენციით შეძლო თურქეთისაგან რუსეთის ფლოტისათვის სრუტეების ჩაკეტვის თანხმობა მიეღო. ეს კი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა რუსეთის აღმოსავლურ პოლიტიკას. ნიკოლოზ 1-მა გადაწყვიტა ოსმალებთან ახალი ომით

მიეღწია შავ ზღვაზე გაბატონებისა და სრუტეებში რუსეთის ფლოტის გატარების უფლების მოპოვებისათვის.

აჭარასა და ბათუმს რუსეთის სამხედრო გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ყირიმის ომის პერიოდშიც. რუსეთმა "ყირიმის ომში ბათუმის შეერთება პრაქტიკულ ამოცანად დაისახა" (112;11). 1854 წლის მაისში კოვალევსკის რაზმი ზემო აჭარაში შეიჭრა და დაიკავა სოფლები ბაკო, თხილვანა" (120;802). მაგრამ ამ შეტევას სერიოზული წარმატება არ მოჰყვა. უფრო შედეგიანი იყო 1855 წელს გურიის რაზმის შეტევა ქობულეთის მიმართულებით (93;45). მაგრამ ოსმალეთის მხარეზე ომში ინგლისისა და საფრანგეთის ჩაბმამ რუსეთის მდგომარეობა გაართულა, ის საბოლოოდ დამარცხდა და ლამის კავკასიაში ადრე ოპოვებული წარმატებებიც დაჰკარგა. ე.ი. აჭარისა და ბათუმის საკითხი რუსეთისათვის კვლავ გადაუჭრელი დარჩა.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიზანს პარიზის არახელსაყრელი საზავო პირობების გაუქმება წარმოადგენდა. სამრეწველო-ეკონომიკური ჩამორჩენილობა, რომელმაც განსაზღვრა რუსეთის მარცხი ყირიმის ომში, დასაველეთ ევროპის სახელმწიფოებთან არათანაბარ პირობებში აყენებდა მას და ჰქმნიდა იმის საფრთხეს, რომ "რუსეთის მრეწველობა ჩაკლული იქნებოდა უცხოური საქონლის ექსპორტით, ხოლო თვით სახელმწიფო საერთაშორისო ასპარეზზე მეორეხარისხოვან როლს შეასრულებდა" (123;23). ამ საფრთხის გამოსასწორებლად XIX საუკუნის 60-70-იან წლებში რუსეთის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი სოციალ-ეკონომიკური და სამხედრო ხასიათის რეფორმები განახორციელა. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზანს ყირიმის ომის შედეგად შელახული საერთაშორისო ავტორიტეტის აღდგენა წარმოადგენდა. ამდენად, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ძირითადი კვლავ "აღმოსავლეთის საკითხი" იყო.

1875 წელს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ოსმალთა წინააღმდეგ სლავი ხალხების აჯანყება დაიწყო. რუსეთი, რომელიც ტრადიციულად ბალკანეთის სლავთა მფარველის

როლში გამოდიოდა, მოუწოდებდა ოსმალეთის ხელისუფლებას შეეწყვიტა ქრისტიანი მოსახლეობის დარბევა და განეხორციელებინა რეფორმები. ოსმალეთმა, რომელიც რუმინეთის კვლავ დამორჩილებასა და კავკასიაში "დაკარგული" ტერიტორიების კვლავ დაბრუნებაზე ოცნებობდა, ყურად არ იღო ეს მოთხოვნა. რუსეთის მხრიდან შემდგომი ყოყმანი ბალკანეთის ხალხებში მის პრესტიჟს დასცემდა. 1877 წლის 12 (24) აპრილს იმპერატორმა ალექსანდრე 11 კიშინიოვში ხელი მოაწერა მანიფესტს ოსმალეთთან ომის დაწყების შესახებ. რუსეთი ამ ომში წარმატების შემთხვევაში გეგმავდა ყირიმის ომის შედეგად დაკარგული სამხრეთ ბესარაბიის დაბრუნებას და ბათუმის შეერთებას (123;196). ომის გამოცხადებას მიესალმა რუსეთის ლიბერალური დემოკრატია. "მოსკოვის უწყებანი" ომის დაწყებას "დიდ მოვლენას" უწოდებდა, რომელსაც დიდი ხანია ელოდა "მთელი რუსული მიწა" (128;1877).

ქართველი საზოგადოებრიობა სიხარულით შეხვდა ოსმალეთთან ომის დაწყებას, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ "მას შედეგად მოჰყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლება" (100;440). მტრისაგან მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნებისათვის სწრაფვა ქართველი ერს არასოდეს განელებია. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ბალკანეთის პრობლემის გამწვავებამ რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი გარდაუვალი გახადა. ქართული პრესა, კერძოდ კი "ივერია" და "დროება" განსაკუთრებული ყურადღებით მიმოიხილავდა ბალკანეთის საკითხის ირგვლივ შექმნილ ვითარებას, მისდამი ევროპის დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულებას. "დროება" 1877 წლის 12 იანვარს მოწინავეში "ომის საქმე" წერდა: "ოსმალეთი არც ერთ იმ წინადადებაზე არ დათანხმებულა, რომელიც სტამბოლის კონფერენციამ (აქ საუბარია ბალკანეთის პრობლემების მოსაგვარებლად შეკრებილ ევროპის დიდი სახელმწიფოების კონფერენციაზე-ავტ.) წარუდგინა იმას. დიდ რჩევას გადაუწყვეტია, რომ ოსმალთს მინისტრებმა სჯავდ არ უნდა იქონიონ ამ ევროპის წარმომადგენელთა წინადადებაზე. თუ ჰსურთ, შეუძლიან იმ წინადადებაზე დაიწყონ კონფერენციის წევრებმა მოლაპარაკება.

რომელიც ჩვენ წარუდგინეთო. კონფერენციას ამაზე თავის მხრივ უარი გამოუცხადებია და ამნაირად ამის მოვალეობა გათავებულა... კონფერენცია დათხოვნილია... ევროპამ თავისი მოვალეობა აასრულა, უნდოდა ომი აეცილებინა თავიდან, უნდოდა ოსმალსა და რუსეთს შორის შეტაკება არ მომხდარიყო, უნდოდა და ამ ჰაზრით სტამბულის კონფერენცია შეიკრიბა, მაგრამ... ვერა გააწყო რა... კონფერენციის დაშლა მოასწავებს იმას, რომ რუსეთი და ოსმალთა ახლა თავის ნებაზედ იქნებიან მიშვებულნი, შეუძლიათ პირდაპირ ომი გამოუცხადონ ერთმანეთს..." (40;1877).

რუსეთ-ოსმალეთს შორის ომის დაწყების შემთხვევაში კავკასია საომარი მოქმედებების ასპარეზად იქცეოდა. რა მოელოდა ამ შემთხვევაში საქართველოს? საერთოდ როგორი უნდა ყოფილიყო ქართველთა დამოკიდებულება მოსალოდნელი ომისადმი? ამ კითხვებზე პასუხს იძლევა გაზეთ "დროებაში" დაბეჭდილი ნ. ნიკოლაძის წერილი "საქართველო-ომი თუ იქნა": "აღმოსავლეთის ომი თუ ატყდა, ბრძოლა მარტო რუსეთსა და ოსმალეთს შუა კი არ დაბოლოვდება. მარტო ერთ შემთხვევაში შესაძლებელია ამგვარი "ომის შემოსაზღვრა". თუ რუსეთმა თავდაპირველშივე ხეირიანად დაამარცხა ოსმალეთის რაზმები, ისე რომ ოსმალეთს ომის გაგრძელება აღარ შეეძლოს და თუ რუსეთის დპლომატიამ იმ წამსვე წარუდგინა ოსმალეთს ადვილად მისაღები მორიგების პირობა, მაშინ შესაძლებელია, რომ ომი ადვილად და მალე დაბოლოვდეს. თუ ბრძოლა გაჭიანურდა მაშინ კი ოსმალეთის ევროპული მომხრეები მისთვის აუცილებლად თავს გამოიდებენ და ბრძოლა მთელს ევროპას მოედება... ჩვენს ქვეყანას დიდი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა მოეღოს აღმოსავლეთის ომში. საქართველოთი რუსეთი პირდაპირ შედის ოსმალეთში... საქართველოს კი, ეხლა მაინც, დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ინგლისის თვალში" (42;1877). მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა ნ.ნიკოლაძის წერილში მოცემული ანალიზის უტყუარობა. მართლაც, ინგლისი მთელი XIX საუკუნის მანძილზე ცდილობდა შავი ზღვიდან და შუა აღმოსავლეთიდან შეესუსტებინა რუსეთის



პოზიციები კავკასიაში (112;30). განსაკუთრებით გამოკვეთილი მიზანი ჰქონდა ინგლისს ბათუმის მიმართ. "დიზრაველი 1876 წელს ინგლისის ინტერესების შესაბამისად ახლოაღმოსავლური საკითხის "მოგვარების" კონკრეტულ გეგმებსაც ამუშავებდა. ამ გეგმებში მცირე აზიის აღმოსავლეთი და კავკასიის სამხრეთ-დასავლეთი მიწების, კერძოდ ბათუმის მიმართ დიდი დაინტერესება იგრძნობოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჯერ კიდევ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე ინგლისმა თვალი დაადგა იმ მიწებს, რომელთა მიმართ პრეტენზიები რუსეთსაც გააჩნდა... ბათუმის ხელში ჩაგდების საკითხი დიზრაველს პრაქტიკულად კაბინეტის წინაშეც დაუსვამს"(113;14-16). თუ როგორი პოზიცია უნდა დაეჭირა ქართველობას მოსალოდნელი საომარი მოქმედების დროს, ნ.ნიკოლაძე ამასთან დაკავშირებით წერდა: "ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყნის სახელი, სიკეთე და მომავალი ჩვენს საკუთარს საქციელზეა დამოკიდებული. ნუ შევირცხვენთ დღემდე პატივცემულ სახელს... ნუ დავიმაღვით სოროში. ჩვენი გონიერი, წესიერი და პატიოსანი საქციელი მაღლა ასწევს საქართველოს სახელს და მტერსა და მოყვარეს დაანახევებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პატივისცემის, მორიდების და კეთილდღეობის ღირსია"(43;1877).

რუსეთის მიერ ოსმალეთისადმი ომის გამოცხადების ფაქტს "ივერია" ასე ეხმაურებოდა: "12-ს აპრილს ხელმწიფე იმპერატორმა კიშინიოვში მოაწერა ხელი უმაღლეს მანიფესტსა, რომლითაც ომი გამოუცხადა ოსმალეთს და მხედრობას რუსეთისას, საზღვრებზედ შეკრებილსა, ბრძანება მიეცა ოსმალეთის იმპერიაში შესვლისათვის... ეს ხმა ელვაზედ უმაღლეს მოედო მთელს ქალაქსა და ყველანი მარტო ამას კითხულობდნენ... ორს საათზედ მთელი სიონის სობორი აივსო ხალხითა, კაცითა და ქალითა... ბანზედ, ჩვეულებრივ ხალხი მოგროვდა", წერილი მოწოდებით მთავრდებოდა: ჩვენც ხმაღს ხელი უნდა ვიკრათ და ჩვენს ძმებთან ერთად სისხლი ვღვაროთ" (57;1877). ქართველთა ასეთი განწყობილების მიზეზს კარგად ხსნის პ.უმიკაშვილი წერილში "ოსმალის საქართველო": "ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კვლავ

შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ და ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდის და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე მიიყრდენს, თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლს უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიდვაროს, ნუთუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორიათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა“ (59;1877). (აღსანიშნავია, რომ პეტრე უმიკაშვილმა ადრეც არაერთი წერილი მიუძღვნა ოსმალეთის შემადგენლობაში მყოფი ქართული მხარეების (ისტორიული სამცხე-საათაბაგოს) ისტორიას, გეოგრაფიას, იქაურთა ყოფა-ცხოვრებას, რითაც ფასდაუდებელი საქმე გააკეთა - ავტორი).

საომარი მოქმედებები ერთდროულად ორ ფრონტზე – ბაღკანეთსა და კავკასიაში გაჩაღდა. ორთავე ფრონტს მეფის ძმები ხელმძღვანელობდნენ – დუნაის არმიას სარდლობდა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, ხოლო კავკასიის არმიას მეფისნაცვალ დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რუსეთის მთავარსარდლობის გეგმით, კავკასიის ფრონტს უნდა დაებანდებინა თურქთა ძალები მცირე აზიაში და აემულებინა ოსმალეთის სარდლობა გადმოესროლა რეზერვები ამ მიმართულებით.

საომარი მოქმედებების მსვლელობისას არსებითი მშინგნელობა ჰქონდა ოსმალთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების პოზიციას, მით უფრო მხარდაჭერას. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე სამხრეთ საქართველოში და კერძოდ აჭარაში ანტიოსმალური განწყობილება ძლიერდებოდა. კონსული ჯ.პალგრევი, მიმოიხილაგადა რა ოსმალთა ბატონობის ბოლო პერიოდის ვითარებას, წერდა: “ოსმალეთის ხელისუფლება არ უყვართ აქ (იგულისხმება აჭარა – ავტორი) კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ფოცხოვსა და ჩილდირში, რაც ხშირად აჯანყების საბაბად გვევლინება“ (131;122). XIX საუკუნის 30-40-იან წლებში ოსმალეთში გატარებული რეფორმების შედეგად შექმნილი ვითარებით აჭარის არც ზედაფენა იყო კმაყოფილი. შერიფ-ბეგ

ხიმშიაშვილი ივანე კერესელიძესთან საუბარში აცხადებდა: "ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი, მე მზად ვარ, რომ მაშინვე ჩემი ქვეყანა ქართველთ შვილებს შევუერთო და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისე გახდეს" (116;29-30). რუსეთის ცარიზში დიდ იმედს ამყარებდა ქართველ მოლაშქრეებზე, რომელთაც რეგულარული არმიის გვერდით უნდა ებრძოლათ. სულ ომის დროს 30 ათასი ქართველი მოხალისე იყო მობილიზებული" (127;47). რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ადგილობრივთა კეთილგანწყობის მოპოვებას, მით უფრო, რომ ოსმალთა პროპაგანდა აქტიურად ცდილობდა რუსეთის საწინააღმდეგოდ მოსახლეობის გადაბირებას. კავკასიის მეფინაცვალი, დიდი მთავარი მიხეილი, რომელიც იმავდროულად კავკასიაში მოქმედი ჯარების მთავარსარდალიც იყო, ასე მიმართავდა აჭარისა და ქობულეთის მოსახლეობას:

აჭარისა და ქობულეთის მცხოვრებნო!

სრულიად რუსეთის ხელმწიფე იმპერატორმა ინება და ჯარი ჩვენდამი მონღობილის კავკასიის მხედრობისა მოდის თქვენს ქვეყანაში.

ჩვენმა კეთილისმყოფელმა და კაცთმოყვარე ხელმწიფემ ამოიღო ხმალი არა იმისათვის, რომ დაჰსჩაგროს მშვიდობისმოყვარე მცხოვრებნი... იგი გზავნის ჯარს ჩაგრულთა დასაფარველად და მჩაგვრელთა შესაკავებლად. ხელმწიფესა სურს დაიცვას სიმაღლე და პატივი. მაშასადამე არც მუქარით მოდის თქვენს ქვეყანაში მხედრობა რუსთა ხელმწიფისა და არც რაიმე შიში მოსდევს მას მშვიდობისმყოფელ მცხოვრებთათვის. ნუ გეშინისთ! ყოველს თქვენგანს, რომელიც მტრად არ მოგვექცევა, ჩვენ მივიღებთ და მის ცოლშვილსა, ოჯახსა და ქონებას ჩვენ თვითონ მფარველად ვეყოლებით. რუსის ჯარის ყოფნამ თქვენს ქვეყანაში უნდა გვაშოროს ერთმანეთის მტრობასიძულვილი და გულით შეგვათვისოს და დაგვაახლოვოს ჩვენ თქვენთან. ჰოი, ძენო კეთილშობილის ქართველის ტომისანო, ძმანო ყოველთვის ერთგულთა და საყვარელთა ქვეშევრდომთა რუსის იმპერატორისათა" (58;1877). სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობას ჯერ კიდევ არ დაეკარგა ეროვნული ცნობიერება.

სწორედ ამის შედეგი იყო, რომ "რუსეთ-ოსმალეთის (1877-1878 წ.წ.) ომის დროს აჭარა მტკიცედ დადგა განმათავისუფლებელი არმიის მხარეზე"(103;45).

საერთოდ ქართველობა ამ ომში არნახულ ენთუზიამზს ავლენდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გურიის მცხოვრებნი. "გურულები ძალიან მხნეობასა და შესამჩნევ სურვილს ბრძოლაში მონაწილეობისას იჩენდნენ. ამას წინათ რამდენიმე 12-16 წლის ყმაწვილები მოვიდნენ თურმე ჯარის უფროსთან და ითხოვეს, რომ საცა ჩვენი მამები და ძმები არიან, ჩვენც იქ უნდა ვიყვეთო. თოფი მოგვეცით და ჯარში ჩაგვაყენეთო" (44;1877).

რუსეთ-თურქეთის ომისადმი ქართველი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების გამო "ივერია" და "დროება" მოიპოვებდა და აქვეყნებდა ომთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან მასალას: ჯარების გადაადგილების, მათი შეიარაღების, სიმაგრეთა მშენებლობის შესახებ ინფორმაციებს. ჯერ კიდევ ომის ოფიციალურად გამოცხადებამდე ეხებოდა რა "ოსმალის საქართველოს" თემას "დროება" იუწყებოდა: "ტრაპიზონს აქეთ სულ 5000 ბაში-ბუზუკი ჰყავს ოსმალეთს დამზადებული. ყველა ამათ ახალი სისტემის თოფები აქეთ დარიგებული. თვითონ ქობულეთში 4000 კაცი აკრიბეს, ყველას აგრეთვე თოფები დაურიგეს. მას გარდა თითო სოფელში ჩაუში (უნტეროფიცერი) არის დაყენებული, რომელსაც კვირაში ორჯერ გამოჰყავს მილიციაში ჩაწერილი კაცები და თოფის ხმარებასა და სხვა სამხედრო წესებს ასწავლის" (41;1877). ომის დაწყების შემდეგ ხშირად იბეჭდებოდა ცნობები მეომარ მხარეთა ჯარების რაოდენობაზე - "სულ ევროპაში ოსმალეთს შეუძლიან გამოიყვანოს 263.000 კაცი. აზიაში შეუძლიან გამოიყვანოს 130.000 (მათ შორის ყარსში-18.000, ბათუმში - 16.000, ერზრუმში - 20.000, ბათუმში -7.000)" (58;1877). საომარი მოქმედებების აღწერისას ვრცელი მასალები იბეჭდებოდა ბალკანეთის ფრონტის შესახებ, ხოლო კავკასიის ფრონტზე განსაკუთრებით შექდებოდა ბათუმის მიმართულებით მიმდინარე ბრძოლები: "29 აპრილს გენერალ ოკლობოვიოს მოწინავე ჯარი მუხაესტატედან დაბრუნდა და ომით დაუჭერია ძალიან კარგად

გამაგრებული ოსმალების მიერ ხუცუბნის მადლობი, ამ ომში ოსმალებისა ბევრი კაცი დახოცილა. ჩვენი 12 ჯარისკაცი მოუკლავთ. 1 მაისს ამ ხუცუბნის მადლობზედ, უწინდელს საქრისტიანო ტაძრის ნანგრევებზედ ჩვენებს პარაკლისი გადაუხდიათ და ღვთისათვის მადლობა შეუწირავთ გამარჯვებისათვის“ (60;1877). ქართული პრესის ყურადღების მიღმა არ რჩებოდა ბათუმის მიმართულებით სამხედრო ოპერაციების არცერთი დეტალი. 1877 წლის შემოდგომაზე მეორედ დარჩა საჭირო ოსმალთაგან ხუცუბნის განთავისუფლება.“15 ნოემბერს დერვიშ-ფაშამ უეცრად დაიხია უკან ხუცუბნიდამ და იქ მხოლოდ მცირეოდენი ჯარი დასტოვა. გამოთენისას პოლკოვნიკი ყაზბეგი სამი ბატალიონი ქვეითი ჯარით, 200 ცხენოსანი ყაზახით და რვა ზარბაზნით მიადგა ხუცუბანს და დაატოვებინა იქ დარჩენილ ჯარს ეს პოზიცია. ოსმალები მდინარე კინტრიშს გაღმა გაიქცნენ და ჩვენებმა სამებამდინ და ციხისძირამდინ სდიეს იმათა“ (40;1877).

ოზურგეთიდან ბათუმის მიმართულებით შეტევაზე გადასულ ოზურგეთის რაზმს გენერალ-ლეიტენანტი ოკლობიო მეთაურობდა. მას მოგვიანებით ქობულეთის რაზმი ეწოდა. ბრძოლამ თანდათან გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. რთულ რელიეფს თან ერთვოდა უამინდობა. საქმეს ართულებდა ისიც, რომ ზღვაზე ოსმალებს ჰქონდათ უპირატესობა. ამის გამო ბრძოლები ბათუმის მიმართულებით იმდენად ნელა წარიმართა, რომ ციხისძირს ქობულეთის რაზმმა მხოლოდ ივლისის დასაწყისში მიაღწია. საქმეს ვერც კავკასიის არმიის მთავარსარდლის მიხეილ რომანოვის ბრძოლის წინა ხაზზე (სოფ.მუხაესტატესთან) სტუმრობამ უშველა. კავკასიის ფრონტის მთავარსარდლობა ვერ ითმენდა ბათუმის მიმართულებით შექმნილ ვითარებას და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გადაწყდა, რომ ბათუმისაკენ შეტევაზე ქობულეთისა და ართვინის რაზმები ერთდროულად გადასულიყვნენ. ორივე რაზმის მეთაურად გენერალი კონსტანტინე კომაროვი დაინიშნა. მასვე დაევალა სასწრაფოდ დაეწყო შეტევა ციხისძირის მიმართულებით. სერიოზული მსხვერპლის მიუხედავად 1878 წლის 18 იანვრის შეტევას შედეგი არ მოჰყოლია.

სამაგიეროდ რუსეთის ჯარებს დიდი წარმატებები ჰქონდათ ბალკანეთში, სადაც აიღეს პლენა და კონსტანტინეპოლს მიუახლოვდნენ. რუსეთის არმიამ გადამწყვეტ წარმატებას მიაღწია კავკასიის ფრონტის ძირითად მიმართულებაზე აიღეს ძლიერი ყარსის ციხესიმაგრე. ყარსისა და პლენის დაცემის შემდეგ ოსმალეთმა დაჰკარგა ომის წარმატებით დასრულების იმედი და ევროპის სახელმწიფოებს მიმართა რუსეთთან საზავო მოლაპარაკებაზე შუამდგომლობის თხოვნით (127;88). ამ დროს, ბათუმი ჯერ კიდევ ოსმალთა ხელში რჩებოდა. მაშინ როცა, რუსეთს ბათუმისადმი, როგორც ბრწყინვალე ნავსადგურისა და მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტისადმი განსაკუთრებული ინტერესი გააჩნდა. ამ განწყობილებას კარგად გამოხატავდა "დროება" მოწინავეში: "ბათუმის დაპყრობა მარტო იმიტომ კი არ არის ჩვენთვის საჭირო, რომ ეს ჩინებული ნავსადგური ჩვენთვის დაეინარჩუნოთ, არამედ იმისათვისაც, რომ შემდეგ რიონის მხარეს აქედამ არასოდეს არავითარი შიში აღარ ჰქონდეს" (45;1877). მიუხედავად ასეთი გეგმისა და არერთგზის შეტევისა, რუსეთის ჯარმა ციხისძირის გადალახვა და ბათუმის განთავისუფლება ომის მსვლელობაში ვერ შეძლო.

რუსეთის მხარემ თავისი მოთხოვნები გადასცა მოწინააღმდეგე მხარეს, რომლის მიხედვითაც ოსმალეთს უნდა დაეტოვებინა არზრუმი, ბაიახეთი და ბათუმი. მოლაპარაკებების მიმდინარეობისას გრძელდებოდა საომარი ოპერაციები, რომელშიც წარმატებით შეტევას განაგრძობდა რუსეთის არმია. ამან აიძულა სულთანი დაეკმაყოფილებინა გამარჯვებულის მოთხოვნები. 19(31) იანვარს ადრიანოპოლში მხარეებმა ხელი მოაწერეს ომის შეწყვეტისა და მომავალი საზავო ხელშეკრულებების საფუძვლებზე შეთანხმებას" (124;208). 1878 წლის თებერვალში სან-სტეფანოში დაიწყო საზავო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკება. რუსეთის მხარეს წარმოადგენდა ნ.იგნატიევი და პ.ნელიდოვი, ხოლო ოსმალთა მხარეს საფეეტ-ფაშა და სადულაჰ-ფაშა. ოსმალეთის დიპლომატები ცდილობდნენ გაეჭიანურებინათ მოლაპარაკებების პროცესი, რადგან იმედოვნებდნენ წინასწარი შეთანხმების პირობების გადასინჯვას ევროპის ქვეყნების (განსაკუთრებით

ინგლისის) მხარდაჭერით. თავის მხრივ რუსული დიპლომატიაც ხვდებოდა, რომ ხელშეკრულების გაფორმება აიძულებდა ევროპას ეცნო მისი პირობები. რამდენიმე დღის დაძაბული დაპირისპირების შემდეგ, 1878 წლის 19 თებერვალს (3 მარტს) გაფორმდა საზავო ხელშეკრულება, რომლის პირობები საეხსებო შეესაბამებოდა გამარჯვებული რუსეთის ინტერესებს.

სან-სტეფანოს საზავო პირობებით ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ვითარება რუსეთის მოთხოვნების შესაბამისად წყდებოდა – სერბია, ჩერნოგორია და რუმინეთი დამოუკიდებლობას ღებულობდა. ბულგარეთს ენიჭებოდა სამთავროს სტატუსი (დამოუკიდებელი მთავრობით) ოსმალეთის მფარველობაში.

ომის შედეგად მიღებული ზარალისათვის რუსეთმა მოითხოვა და ბრწყინვალე პორტა ვაღდებულებას ღებულობდა გადაეხადა:

ა) 900 მილიონი მანეთი სამხედრო ხარჯებისათვის (არმიის შენახვის, სურსათის, სამხედრო დაკვეთების ხარჯზე)

ბ) 400 მილიონი მანეთი რუსეთის სამხრეთზე მიყენებული ზარალისათვის (ვაჭრობაზე, მრეწველობისა და რკინიგზაზე მიყენებული ზიანისათვის)

გ) 100 მილიონი მანეთი კავკასიაში შეჭრის დროს მიყენებული ზარალისათვის

დ) 10 მილიონი მანეთი თურქეთში რუსეთის ქვეშევრდომებისა და რუსულ დაწესებულებებზე მიყენებული ზიანისათვის.

სულ ათას ოთხას ათი მილიონი მანეთი (132;169).

ითვალისწინებდა რა ოსმალეთის მძიმე ფინანსურ მდგომარეობას და სულთნის სურვილს, იმპერატორი დათანხმდა გადასახდელი თანხის დიდი ნაწილის სანაცვლოდ მიეღო ტერიტორიული დათმობები. ოსმალეთი გადასახდელი თანხის 2/3 სანაცვლოდ უთმობდა რუსეთს სამხრეთ ბესარაბიას, ხოლო კავკასიაში ყარსს, არდაგანს ბაიაზეთსა და ბათუმს (133;170). აღნიშნული ტერიტორიები ეძლეოდა რუსეთს ათას ასი მილიონი მანეთის სანაცვლოდ (132;170).

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების 21-ე სტატიით რუსეთისათვის გადაცემული ტერიტორიების მოსახლეობას, რომელთაც სურვილი ექნებოდა გადასახლების, შეეძლოთ გაეყიდათ თავისი უძრავი ქონება ხელშეკრულების რატიფიკაციიდან 3 წლის განმავლობაში.

ამგვარად, რუსეთმა აიძულა თურქები დაეთმოთ ის ტერიტორიები, რომელზეც საუბარი იყო პირველი კავკასიური პროექტით: ბათუმი, ყარსი, ბაიაზეთი და მთელი ტერიტორია სოღანლულის ქედის ჩათვლით (127;101).

სან-სტეფანოს საზავო პირობები რუსეთის სერიოზულ წარმატებებს აკანონებდა როგორც ბალკანეთში, ისე კავკასიაში... რაც მიუღებელი იყო ევროპის სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით ინგლისისათვის. მას მხარს უჭერდნენ ავსტრია-უნგრეთი და საფრანგეთი. ევროპის სახელმწიფოთა უკმაყოფილება მხოლოდ პროტესტით არ შემოიფარგლებოდა, მათ ომისათვის დაიწყეს მზადება. პრემიერ-მინისტრ ბიკონსფილდის (დიზრაელის) შუამდგომლობით დედოფალმა ვიქტორიამ 1878 წლის მარტის ბოლოს თადარიგში მყოფთა მობილიზაცია გამოაცხადა. ინგლისის გემები დარდანელისაკენ დაიძრნენ. (122;226). რუსეთი ახალი დიდი ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა – ამიტომ დათანხმდა სან-სტეფანოს საზავო პირობების გადასინჯვას ევროპის სახელმწიფოთა კონგრესზე. რუსეთის ხელისუფლებამ თავის ელჩს ინგლისში გრაფ შუვალოვს დაავალა დაეზუსტებინა თუ რა დათმობებს მოითხოვდა ინგლისი რუსეთისაგან. 1878 წლის 18 (30) მაისს ლონდონში შუვალოვმა და სოლსბერიმ ხელი მოაწერეს ინგლის-რუსეთის შეთანხმებას სან-სტეფანოს ხელშეკრულების ცვლილებების თაობაზე. ეს შეთანხმება განსაზღვრავდა რუსეთის დათმობებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამიერკავკასიაზე მოდიოდა (95;86). თურქეთს უბრუნდებოდა ალაშქერტის ველი, არზრუმი და ბაიაზეთი, მაგრამ ინგლისი ამ წარმატებას არ დასჯერდებოდა და 4 ივნისს ოსმალეთთან გაფორმებული ხელშეკრულებით ვალდებულებას დებულობდა საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ძალით დახმარებოდა მას.



ასეთ ვითარებაში, 1878 წლის 1 (13) ივნისს ბერლინში გაიხსნა ევროპის სახელმწიფოთა კონგრესი, რომელსაც უნდა გადაესინჯა სან-სტეფანოს ზავის პირობები. ესწრებოდნენ რუსეთის, თურქეთის, ინგლისის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, საფრანგეთისა და იტალიის დელეგაციები. კონგრესის მსვლელობისას გამოირკვა, რომ რუსეთი ფაქტიურად საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა და იძულებული გახდა სერიოზულ დათმობებზე წასულიყო. გასაკუთრებით სერიოზული წინააღმდეგობა წარმოიშვა ბათუმის საკითხის გამო. ინგლისს არ სურდა ასეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული და ეკონომიკური ცენტრი რუსეთს გადასცემოდა. კონგრესზე წასვლის წინ ბიკონსფილდს უთქვამს მეგობრისათვის, რომ ბერლინში მიდის, რათა ხელი შეუშალოს სოლსბერის ბათუმის დათმობაში, რომ არასოდეს დათანხმებოდა რუსეთისათვის ბათუმისა და ყარსის გადაცემას (113;49). კონფერენციის მსვლელობისას ინგლისის დელეგაცია დაუინებით ცდილობდა რუსეთის შენაძენი ტერიტორიები შეემცირებინა კავკასიაში. ამ მიზნით იგი მხარს უჭერდა თურქეთის სომხეთის თურქეთის ფარგლებში დატოვებას და იმავდროულად წინ წამოსწია ლაზეთის სახანოს შექმნის საკითხი. ინგლისის დიპლომატიამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და რუსეთი იძულებული გახდა უარი ეთქვა ქართველებითა და სომხებით დასახლებული მიწების ნაწილის შეერთებაზე, რომელიც სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით მას უნდა გადასცემოდა. საბოლოოდ ბათუმი რუსეთს გადაეცა პორტო-ფრანკოს თავისუფალი სავაჭრო ნავსადგურის სტატუსით. ინგლისი დელეგაცია დათანხმდა ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებას იმ მიზნით, რომ მომავალში ქალაქი რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო და ეკონომიკური შეტევისათვის გამოეყენებინა (100;70).

მაგრამ ბათუმი ჯერ კიდევ ოსმალთა ხელში რჩებოდა. ბათუმის გადაცემის საკითხის საბოლოოდ შესათანხმებლად შედგა რუსეთ-ოსმალეთის ერთობლივი კომისია. რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა კავკასიის მთავარსარდლის თანაშემწე გენერალ ადიუტანტი თავადი სვიატოპოლკ-მირსკი. შემადგენლობაში იყვნენ: გენერალ მაიორი თავადი ტრუბეცკოი,

კავკასიის მეფისნაცვლის საველე კანცელარიის უფროსი პოლოვნიკი თავადი გრიგოლ დავითის ძე გურიელი და რუსეთის ყოფილი კონსული ბათუმში ჯუდინი. ოსმალეთის მხრიდან კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ვარნის ყოფილი კომენდანტი ნეად-ფაშა, ალი-ბეი და სულეიმან-ბეი და რამდენიმე დიპლომატი. შერეული კომისიის სხდომა გაიმართა ქალაქ ქუთაისში 12-20 აგვისტოს. ოსმალეთის მხარე კისრულობდა ბათუმიდან ჯარები გაეყვანა 25 აგვისტოსათვის. შეთანხმების მიხედვით რუსეთს უნდა დაეკავებინა ჩურუქ-სუ, სამება და კვირიკე – 17 აგვისტოს, ცინისძირი 21 აგვისტოს, ჩაქვი – 24 აგვისტოს. რუსეთს უნდა გადასცემოდა სახელმწიფო დაწესებულებათა დოკუმენტები და არქივები. მიუხედავად შეთანხმებისა ოსმალებმა გაიტაცეს ისინი. 19 აგვისტოს რუსეთის ჯარებმა დაიკავეს ქობულეთი, (ჩურუქ-სუ) (121;96). 25 აგვისტოს 11 საათზე რუსთა და ქართველთა ჯარი ბათუმში შევიდა. იმავე დღეს რუსთა მეორე კორპუსი ტრეიტერის მეთაურობით შევიდა ხულოში, ფურტიოში, ჭვანაში და დაიძრა ბათუმისაკენ სვიატოპოლკ-მირსკის ჯარებთან შესაერთებლად (111;24). თურქთა უკანასკნელი ნაწილები დევრიშ ფაშას სარდლობით ბათუმს ტოვებდა. კავკასიის მეფისნაცვალმა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ იმპერატორ ალექსანდრე 11-ს დეპეშით მიულოცა: „Именю счастье поздравить ваше императорское величество с занятием Батума“ (133;100).

ბათუმის მშვიდობიანად განთავისუფლებას ასე ეხმაურებოდა „ივერია“: „აი, ბათუმიც დაუცალა ოსმალებმა რუსეთს და მადლობა დმერთს არავითარი ვაივაგლახი და სისხლის ღვრა არ მოჰყვა ამ გარემოებას... დრო არის დამშვიდდეს და ცოტა მაინც დალაგდეს ცხოვრება. მშვიდობიანობას, ნამდვილ მშვიდობიანობას თანდათან ფეხი შემოაქვს ჩვენს ცხოვრებაში და უნდა ვინატროთ, რომ დიდი ხნით მაინც გვეწვიოს, თუ არა სამუდამოდ“ (61;1878).

აჭარის გათავისუფლებას და დედა სამშობლოსთან დაბრუნებას აღტაცებით მიესალმება ქართველი მოწინავე ინტელიგენცია. ი.ჭავჭავაძე წერდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი,

ჩვენთან ერთად მებრძოლნი შავი ბედისა, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი ძველი საქართველო, ჩვენი განათლებისა და სწავლების აკვანი, დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“ (115;158).

ი.ჭავჭავაძისა და ს.მესხის თაოსნობით მთელ საქართველოში დაიწყო შეწირულობათა შეგროვება ომის მძიმე შედეგებით გაწამებული, ახლადშემოერთებული მხარის მოსახლეობის დახმარებისათვის. ქართველი ინტელიგენციის გულისხმიერი დამოკიდებულების გამოხატულება იყო 1878 წლის ნოემბერში თბილისში სამუსლიმანო საქართველოს დელეგაციის გულთბილი მიღება. მოწინავე ინტელიგენციამ აჭარელთა შორის იმთავითვე აქტიური კულტურული საქმიანობა გააჩაღა, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრთა ეროვნული ცნობიერების აღდგენის საქმეში.

1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ხელი მოაწერა ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მმართველობის დროებით დებულებას. რუსეთთან შერთებამდე ყოფილი ლაზისტანის სანჯაყი, რომლის ტერიტორიაზეც ჩამოყალიბდა ბათუმის ოლქი, თურქული დაყოფით ითვლიდა 7 მხარეს ანუ ნაჰიეს: ბათუმის, ჩურუქ-სუს (ქობულეთის), ზედა-აჭარის, ქვედა აჭარის, მაჭახლის, ართვინის და გონიოს. ყოველი სასოფლო თემის ანუ მაკრიალის სათავეში იდგა მოსახლეობის მიერ არჩეული მუხტარი. რამდენიმე მაკრიალი შეადგენდა ნაჰიეს, რომელსაც სათავეში ედგა მუდირი. ორი ნაჰიეს გაერთიანება შეადგენდა კაზას (მხარეს), რომელსაც კაიმაკამი ხელმძღვანელობდა. კაიმაკამს ნიშნავდა ბათუმის მუთესარიფი (გუბერნატორი) (134;4).

მეფისნაცვლის დებულებით შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სამხედრო გუბერნატორი. პირველი სამხედრო გუბერნატორი გახდა გენერალ-მაიორი კონსტანტინე ბესარიონის ძე კომაროვი (121;105). მას პირადი თვისებები ხელს უშლიდა ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაში, რის გამოც მალე შეცვალეს და გუბერნატორად დაინიშნა გენერალ მაიორი ბ.სმეკალოვი.

დებულებით (იგი 14 მუხლისაგან შედგებოდა) ბათუმს ეწოდა "სანავსადგურო ქალაქი" თვით ბათუმის ოლქი დაიყო სამ ოკრუგად: (134;122).

ა) ბათუმის ოკრუგი – ბათუმის, კინტრიშისა და გონიოს უნასტკები (უბნები)

ბ) ართვინის ოკრუგი – არტანუჯის, ართვინისა და შავშეთის უნასტკები,

გ) აჭარის ოკრუგი – ზემო აჭარის, ქვემო აჭარისა და მაჭახლის უნასტკები

გუბერნატორს უნდა ეხელმძღვანელა მეფისნაცვლის ინტრუქციით.

ქალაქიდან მისი გასვლის შემთხვევაში მის მოვალეობას შეასრულებდა თანაშემწე, რომელიც იმავდროულად საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეც იქნებოდა.

გუბერნატორთან იქმნებოდა სამხედრო კანცელარია და სახალხო და სამოქალაქო საქმეთა გამგებლობა, რომლის ხელმძღვანელებსაც გუბერნატორის რეკომენდაციით ამტკიცებდა კავკასიის მეფისნაცვალი. ამ თანამდებობაზე ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებიც ინიშნებოდნენ. ოკრუგისა და უნასტკის ხელმძღვანელთა უფლებამოსილებას განსაზღვრავდა ოლქის გუბერნატორი და ამტკიცებდა კავკასიის მეფისნაცვალი.

რაც შეეხება სასამართლო სფეროს, დებულების მეთერთმეტე მუხლით, მძიმე ხასიათის დანაშაულებისათვის (სახელმწიფო დაღატი, ხაზინისა და ფოსტის გაძარცვა, სახელმწიფო ქონების განადგურება...) ადგილობრივი მცხოვრებლები რუსეთის სახელმწიფოს შესაბამისი კანონებით იქნებოდნენ გასამართლებულნი. ყველა სხვა სახის დანაშაულს გააჩევედა სახალხო სასამართლო-მეჯლისი. 1878 წლის 11 დეკემბრის დებულებით ბათუმის საოლქო სასამართლო თბილისის სასამართლო პალატას დაექვემდებარა.

რუსეთთან შეერთებული აჭარის მოსახლეობას სვიატოპოლკ-მირსკიმ გამოუცხადა, რომ ხელშეუხებელი იქნებოდა ადგილობრივთა ქონება, რელიგია, სახელმწიფოს მიმართ ვალდებულებები დარჩებოდა იგივე, რაც ოსმალთა მმართველობის პერიოდში იყო. უცვლელი დარჩებოდა

ადგილობრივი მმართველობა, გადასახლების მსურველებს მიეცემოდათ ქონების გაყიდვის დრო (33;11). სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლებამ ადგილობრივი მოსახლეობისადმი მიცემული პირობა არ შეასრულა, რამაც ოსმალეთში გადასახლების პროცესს ხელი შეუწყო. მით უფრო, რომ ოსმალეთის აგენტები ხალხში სხვადასხვა ჭორს (საღდათში გაწვევას, ძალად გაქრისტიანებას, ტრადიციების ხელყოფას) ავრცელებდნენ.

აჭარის მკვიდრთათვის ძნელად ასატანი და შესაგუებელი იყო უცხო, რუსული მმართველობის ხელაღებით შემოდება. "დროება" ეხებოდა რა საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შექმნილ ვითარებას, აქაურთა მუჰაჯირად წასვლის ძირითად მიზეზად რუსულ მმართველობას და სამართალს მიიჩნევდა: "ჩვენი მხარე ვერანდება, ხალხი დიდი და პატარა, ფუხარა და შეძლებული, ყველაყაი სტოგებს თავის სახლ-კარს, დედულ-მამულს და მიემშურება ხონთქრის სამკვიდრებელში... სადმე რომ სამართალი იყოს და მთავრობას სურდეს ამ გავერანებას ბოლო მოუდოს, კვლავად გადასახლება შეაჩეროს და ჩვენს ხალხს გული გაუკეთოს – ერთი რაცდაის შემოდების მეტი არაფერი იქნება საჭირო. ამ ერთს რაღაცას სახელად ჰქვია სამართალი. სამართლის მეტი ჩვენ არაფერი გვინდა. იგი დაგვაკმაყოფილებს სულ მთლად. იგი მოგვიბრუნებს გულს, ხელს აგვადებინებს გადასახლებაზე, შეგვაყვარებს რუსთ-მმართველობას და ტირილით გარდახვეწილ მუჰაჯირებსაც კი დააბრუნებს" (52;1881).

აჭარაში რუსეთის ადმინისტრაციული მმართველობის შემოდების შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საადგილმამულო ურთიერთობების მოწესრიგება. ამ მიმართებით რუსეთის ხელისუფლებას გარკვეული ინტერესები გააჩნდა, განსაკუთრებით ზღვისპირა ზოლში. ცარიზმის დაინტერესება მდგომარეობდა შემდგომში – რაც შეიძლება მიწის მეტი ფართობი გამოეთავისუფლებინა კოლონისტებისათვის ახლად შემოერთებულ მხარეში.

ბათუმის ოლქში მიწათსარგებლობის წესების შესწავლისა და საერთოდ მიწათმფლობელობის საკითხის

გადასაწყვეტად ხელისუფლებამ 1879 წელს შექმნა სპეციალური "საადგილმამულო კომისია რომელსაც სათავეში ჩაუყენა ცნობილი ისტორიკოსი დ.ბაქრაძე"(100;81). კომისიამ დიდი მუშაობა ჩაატარა ამ მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ კომისიის სათავეში დიდი პატივითი დ.ბაქრაძე იდგა, იგი იძულებული იყო მიწათმფლობელობის პრობლემები ისე გადაეწყვიტა, როგორც ამას ცარიზმის ინტერესები მოითხოვდა.

ამ თვალსაზრისით საინტერესო დოკუმენტია კავკასიის ჯარების მთავარსარდლის გენერალ-ადიუტანტ თავად სპიატოპოლკ-მირსკის ქ.თბილისში, 1879 წლის 8 თებერვალს დამტკიცებული ინტრუქცია კომისიებისადმი, რომლებსაც უნდა შეესწავლათ ბათუმისა და ყარსის ოლქებში მიწისმფლობელთა უფლებები და მათზე არსებული აქტები (11;378-381).

კომისიის შემადგენლობა განისაზღვრებოდა თავმჯდომარით, ორი წევრითა და თარჯიმნით. თავმჯდომარესა და კომისიის ერთ წევრს ამტკიცებდა კავკასიის მმართველობა, ხოლო მეორე წევრსა და თარჯიმანს შესაბამისი ოლქის სამხედრო გუბერნატორი.

ინტრუქციის N 9 პარაგრაფი მიუთითებდა: "უძრავი ქონების, სხვადასხვა სახის მფლობელობის, მათი სარგებლობის სრული და ყოველმხრივი შესწავლის მიზნით კომისიას მხედველობაში უნდა მიეღო არა მხოლოდ თურქეთის იმპერიის პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობა, არამედ უნდა შეესწავლა, ეს კანონმდებლობა როგორ გამოიყენებოდა ფაქტიურად, როგორი იყო გამონაკლისი შემთხვევები, განსაზღვრული ადგილობრივი გარემოებებით და ა.შ. ამ მიმართულებით შეეკრიბა აუცილებელი საბუთები ადგილზე და გულდასმით შეემოწმებინა ისინი"(11;378).

სერიოზულ პრობლემას ქმნიდა ის, რომ ოსმალეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა წასვლისას მიუხედავად პირობისა, მთელი არქივები (და მათ შორის საკადასტრო წიგნები თუ მიწათმფლობელობასთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტები) თან წაიღეს. ახლადშექმნილი კომისიების მოვალეობას წარმოადგენდა მოეძიებინა ადგილობრივ მოსახლეობაში ამ სახის დოკუმენტები და თუ ასეთი

აღმოჩნდებოდა, გადაეცა იგი კავკასიის სამხარეო მმართველობისათვის.

კომისიებს მიწათმფლობელობის შესახებ არსებული ყველა აქტის შესწავლის შემდეგ დასკვნა უნდა შეეტანათ სპეციალურად გახსნილ ოქმების წიგნში. ყოველი ასეთი ოქმი ეკითხებოდა აქტის მფლობელს საბოლოო ვარიანტით და მასზე ხელს აწერდა კომისიის ყველა წევრი (11;379).

ინსტრუქციის N 15 პარაგრაფით თუ რომელიმე დოკუმენტი ტოვებდა ყალბის შთაბეჭდილებას, ხდებოდა ამის დაფიქსირება ოქმში, შემდეგ მისი შედარება სხვა საკანდიდატო წიგნებთან (თუ ასეთი კომისიას მოეძვეებოდა) თუ არა კეთილსინდისიერი პირების დაკითხვა, რის შემდეგაც დოკუმენტი მიიჩნეოდა სანდოდ ან ყალბად. ცხადია, „კეთილსინდისიერი პირები“ რუსეთის ხელისუფლებისათვის სასურველ თვალსაზრისს დაუჭერდნენ მხარს.

რუსეთის ხელისუფლების ნამდვილ მიზანს ცხადყოფს ინსტრუქციის N10 პარაგრაფი: „კომისია ვალდებული იყო ზუსტად განესაზღვრა ყველა თავისუფალი მიწისა და საეარგულების რაოდენობა, რომელიც შეადგენდა ხაზინის საკუთრებას...“ (11;378-379).

თუ რამდენად „ზუსტად განსაზღვრა“ და „შეისწავლა მიწისმფლობელთა უფლებები“ ხსენებულმა კომისიამ, კარგად ჩანს შემდეგი ვითარებიდან. აჭარაში მიწისმფლობელობის საკითხი კვლავაც დიდხანს გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა. „ბათუმის ოლქში, რომელიც რუსეთის შემადგენლობაში 33 წელია, ჯერ კიდევ არაა მოწესრიგებული მიწათმფლობელობის საკითხი“ (39;1911). ამ სფეროში შექმნილ კრიტიკულ ვითარებას ვერც ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები ფარავდნენ. კავკასიის სამთო სამმართველოს 1913 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „მიწათმოწყობა ბათუმის ოლქში ჯერ არ განხორციელებულა, ამდენად ჯერ კიდევ დაუდგენელია, სად მთავრდება ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი მიწები და სად იწყება სახაზინო მამულები“ (32;307).

მაინც რატომ აყოვნებდა რუსეთის ხელისუფლება მიწათმფლობელობის საკითხის გადაჭრას? ვფიქრობთ, ასეთ გაურკვეველ ვითარებაში უფრო იოლად შეეძლო კოლონიზატორული პოლიტიკის განხორციელება. ოფიციალური საბუთების გარეშე მიწისმფლობელს არ შეეძლო სარგებლობაში მყოფი მიწის გასხვისება. მეორეს მხრივ ცარიზმი ყოველნაირად ხელს უწყობდა მუჰაჯირობას. რათა "განთავისუფლებულ" მიწებზე "ერთგული" ელემენტი ჩამოესახლებინა.

რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ასეთი გეგმაზომიერი პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ მალე აჭარის ზღვისპირა ზოლი მთლიანად გადმოსახლებული კოლონისტების ხელში მოექცა. "1905 წლისათვის ქობულეთამდე გადაჭიმულ რუს მემამულეთა შორის ქართველი მიწათმფლობელი მხოლოდ სევასტი ჭელიძე ყოფილა"(77;11).



## § II პოლიტიკური ვითარება აჭარაში 1878-1903 წლებში

დედასამშობლოსთან დაბრუნებას აღტაცებით შესვდა მაჰმადიან ქართველთა დიდი ნაწილი, რამაც კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ოსმალთა საუკუნოვანი ბატონობის მიუხედავად აჭარაში არ გამქრალა ეროვნული მთლიანობის შეგნება, მოსახლეობის ასეთი განწყობილება გამოხატა გულო კაიკაციშიღმა ქობულეთში შესულ გურიის სახალხო ლაშქრის მებრძოლებზე მიმართვისას, 1878 წლის 19 აგვისტოს: "ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო, თქვენი ჭირიმე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს თქვენ, ჩვენი ძველი ძმები ... აქ, ქობულეთში დაგინახათ. ვმადლობ ღმერთსა და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შესრულდა, ღმერთმა შეგვაერთა.

ესლა მღვთით მე იმედი მაქვს, რომ ჩვენს ქვეყანაში ნამდვილი ძმები, ბიძაშვილები და ნათესავთაგან შემდგარი ქართველი ჯარი შემოვიდა, გავძლიერდებით ჩვენ, ავმადლებით სულით, გულით. თქვენც ჩვენის დაახლოებით გაიხარებთ და მერე ჩვენის ასეთი შეერთებით და ამ ერთიანის სიყვარულით აღსდგება და გაძლიერდება საქართველო როგორც იყო იგი თამარის დროს. მაშ, გაუმარჯოს ჩვენს შეერთებას" (102;304).

სამუხსიმანო საქართველოს დაბრუნების ფაქტს მიესალმა მოწინავე ქართული ინტელიგენცია. სწორედ მათი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოხატულება იყო 1878 წლის ნოემბერში სამუხსიმანო საქართველოს დელეგაციის გულთბილი მიღება თბილისში (87;215). ახლად შემოერთებულ მხარეში ბევრი პრობლემა იყო გადასაჭრელი. იმდროინდელი ქართული პრესა ფართო ადგილს უთმობდა საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და კერძოდ აჭარის პრობლემებს, ცდილობდა ხელი შეეწყო მათი გადაწყვეტისათვის, მოუწოდებდა თანამემამულეებს არ დალოდებოდნენ მთავრობის ღონისძიებებს, არ მიეტოვებინათ განსაცდელში თანამოძმეები. "გასული ომიანობის წყალობით ხალხს არ უთესნია, არ უხნავს, მთელი ეს მხარე (საუბარია ქობულეთზე – ავტ.) ჯარებითა და მათი

ცხენებით არის გადაჯირგალებული, აოხრებული, ხალხი შიშველ-ტიტველი და მშიერ-მწყურვალე დარჩა... ძმა ძმისთვისაო, ამ დღისთვისაო! რითაც შეგვეძლება დავეხმაროთ ჩვენს ახლად შემოერთებულ მოძმეებს" (49;1879).

ბევრი რამ იყო დამოკიდებული ახალ მმართველობაზე. რუსეთთან შეერთებამდე აჭარა ლაზისტანის სანჯაყის შემადგენლობაში შედიოდა. "ბათუმი ლაზისტანის საფაშოს დედაქალაქია, მას მართავს მუთასარიბი ანუ გუბერნატორი, რომელიც უშუალოდ ემორჩილება პორტას და არაპირდაპირ ტრაპიზონის გენერალ-გუბერნატორს. ამ საფაშოში შედის 11 კაზა, ანუ ოლქი: ბათუმი, ჩურუქ-სუ, ზემო აჭარა, ქვემო-აჭარა, მაჭახელი, ლივანი, გონია, ხოფა, არხოვე, ემშინა და ათინა" (74;24).

1878 წლის სექტემბრიდან აჭარაში დაიწყო რუსული მმართველობითი სისტემის დამკვიდრება. "5 სექტემბრიდან ბათუმი თავისი ცხოვრების ახალ ეტაპს იწყებს. გუშინ საბოლოოდ დასრულდა ბათუმის ოლქის რუსეთის მფლობელობაში გადასვლა. მთელი მხარის მოსახლეობამ ნებაყოფილობით გამოაცხადა რუსეთის ხელისუფლებისადმი ერთგულება. ჩვენ განსაკუთრებით ავღნიშნავთ ამ ფაქტს, როგორც მნიშვნელოვან მოვლენას" - იუწყებოდა "ობზორი" (129;1878).

1878 წლის 20 სექტემბრის კაკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ხელი მოაწერა ბათუმის ოლქში ახალი, რუსული ადმინისტრაციული მმართველობის დროებით წესდებას, წესდება 14 პუნქტისაგან შედგებოდა. მასში აღნიშნული იყო:

1. ბათუმის ოლქი შედგება ლაზისტანის სანჯაყის იმ ტერიტორიისაგან, რომელიც ბერლინის ტრაქტატის ძალით რუსეთს გადაეცა,
2. ბათუმის ოლქი ემორჩილება კავკასიის სამხედრო განყოფილებას, ხოლო სამხედრო და ადმინისტრაციული თვალსაზრისით კავკასიის არმიის მთავრსარდალს,
3. ბათუმის ოლქის გამგეობას ახორციელებს სამხედრო გუბერნატორი,

4. სამხედრო და სამოქალაქო საქმეებში გუბერნატორი იხელმძღვანელებს მეფინსაცვლისაგან მიღებული ინტერუქციებით,

5. ბათუმის სამხედრო გუბერნატორს ეყოლება თნაშემწე, რომელიც გუბერნატორის არყოფნის შემთხვევაში შეასრულებს მის მოვალეობას, ის იქნება საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეც,

6. სამხედრო გუბერნატორთან იქმნებოდა: ა) სამხედრო კანცელარია ბ) სამხედრო და სამოქალაქო საქმეთა მმართველობა,

7. ბათუმს ერქმება "ნავსადგურის ქალაქი", რომლის ყველა საქმე მთავარ სამმართველოს მეშვეობით წარედგინება კავკასიის მეფინსაცვალს,

8. ადმინისტრაციულად ბათუმის ოლქში შედის სანავსადგურო ქალაქი ბათუმი და სამი ოკრუგი:

ა) ბათუმის ოკრუგი – შედგება ბათუმის, კინტრიშის და გონიოს უჩასტკებისაგან

ბ) აჭარის ოკრუგი შედგება – ზემო აჭარის, ქვემო აჭარის, მაჭახლის უჩასტკებისაგან

გ) ართვინის ოკრუგი შედგება – არტანუჯის, ართვინისა და შავშეთის უჩასტკებისაგან

9. ოკრუგისა და უბნების უფროსების უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს ბათუმის სამხედრო გუბერნატორი და ამტკიცებს მეფინსაცვალი,

10. ბათუმის გუბერნატორის წარდგინებითა და მეფინსაცვალის დამტკიცებით ამ თანამდებობებზე შეიძლება ადგილობრივი მცხოვრებლებიც დაინიშნონ,

11. სახელმწიფო დანაშაულისათვის (დალატი, ხაზინის ძარცვა, ფოსტაზე დაცემა, კაცის განზრახ მოკვლა) ადგილობრივი მცხოვრებლები რუსეთის კანონებით იქნებოდნენ გასამართლებულნი, ხოლო ყველა სხვა სახის საქმეებს გააარჩევდა სახალხო სასამართლო ანუ მეჯლისი,

12. მეჯლისები იქმნებოდა 6 უჩასტკაში და 3 ოკრუგში. ორი იქნებოდა სამაზრო მეჯლისი: ბათუმსა და ართვინში,

13. ბათუმის მაზრის გარეშე სახელმწიფო დამნაშავე არ გასამართლდებოდა,

14. ბათუმში იქნებოდა 100 ცხენოსანი ჩაფარი (47;1878).

ამრიგად, რუსეთის ხელისუფლებამ აჭარა, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი მხარეები (გურია, სამეგრელო და სხვ.), ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში კი არ შეიყვანა, არამედ ცალკე ოლქად გამოყო, რომელიც პირდაპირ ემორჩილებოდა კავკასიის მეფისნაცვალს. ცხადია, ასეთი პოლიტიკის მიზანი საქართველოს, როგორც ერთიანი ეკონომიკური თუ პოლიტიკური ორგანიზმის ჩამოყალიბებისადმი ხელის შეშლა იყო. "უნდა ითქვას, რომ აღნიშნულმა პოლიტიკამ თავის მიზანს მიაღწია" (83;51).

ცარიზმის გეგმით ბათუმი მნიშვნელოვან სამხედრო-საზღვაო ბაზად უნდა გადაქცეულიყო. ამისათვის მას ყველა მონაცემი გააჩნდა. "ბათუმს რუსეთისათვის აქვს ძალზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული და არა სავაჭრო მნიშვნელობა. რუსეთის მიერ მისი დაუფლება თურქეთს ართმევს სასაზღვრო ციხესიმაგრეს და საზღვაო სადგომს, სადაც მოწინააღმდეგის სამხედრო ფლოტს მტკიცე ბაზა ჰქონდა ჩვენი სანაპიროების გასაძარცვად... მთელს ანატოლიის სანაპიროზე კონსტანტინეპოლამდე 1000 ვერსის მანძილზე არაფერია მსგავსი ბათუმისა როგორც გეოგრაფიული, ისე საზღვაო მნიშვნელობით. ყარსის, ოლთისისა და ბათუმის ფლობით რუსეთს გააჩნია მტკიცედ დაცული სამხედრო საზღვარი და არა აქვს არანაირი საჭიროება შეიჭრას თურქეთის პროვინციებში ამიერკავკასიის სამფლობელოების დაცვის მიზნით" (130;1878). ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ბათუმი პორტო-ფრანკოს სტატუსით გადაეცა რუსეთს. ეს გულისხმობდა, რომ ბათუმი უნდა ყოფილიყო "უპირატესად კომერციული" ქალაქი ღია ყველა ქვეყნის სავაჭრო ხომალდებისათვის. მიუხედავად ასეთი შეთანხმებისა რუსეთის სამხედრო უწყებამ სასწრაფოდ დაიწყო ბათუმში მიხაილოვსკის სიმაგრისა და საარტილერიო მასალების საწყობების მშენებლობა (121;106).. ბათუმის ნავსადგურის უფროსად დაინიშნა კონტრ-ადმირალი გრევე.

რომელიც აქტიურად იბრძოდა ბათუმის სამხედრო-საზღვაო ძლიერების გაზრდისათვის.

რუსეთის ხელისუფლებამ იმთავითვე კურსი ახლადშემოერთებული მხარის ფართო კოლონიზაციაზე აიღო. ამ განწყობილებას კიდევ უფრო აძლიერებდა აჭარის (განსაკუთრებით მისი ზღვისპირა ნაწილის–ავტ.) შესანიშნავი ბუნებრივი პირობები და მისი შესაძლო პერსპექტივები. „ბათუმის მხარე კლიმატური, ბუნებრივი და სასოფლო-სამეურნეო პირობებით განსაკუთრებით მკვეთრად გამოირჩევა რუსეთის სხვა ადგილებიდან. შეიძლება ითქვას სწორედ მისი ეს თვალშისაცემი თავისებურება არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ბათუმის ოლქის არსებობის პირველივე დღეებიდან აქეთ ისწრაფვიან რუსი ადამიანები, რომელთაც არ აკმაყოფილებთ იმპერიის ევროპული გუბერნიების შედარებით ღარიბი ბუნება“ (37;24). მთავრობის განზრახვის განხორციელებას თავისუფალი მიწის ფონდი სჭირდებოდა: „უმაღლესი მთავრობის განკარგულებით ბათუმის, ყარსისა და სოხუმის მაზრებში ამჟამად ადგენენ სიებს იმ ცარიელი ადგილებისა, რომლებიც ხალხის დასახლებლად გამოდგებოდა. კავკასიის უმაღლესი მთავრობა 400000 მანეთს თხოულობს ხაზინიდან იმ განზრახვით, რომ რამდენიმე ათასი რუსი დაიბარონ შუაგულ რუსეთიდან“ (53;1881). უფრო მეტი მიწების ხელში ჩაგდების მიზნით რუსეთის ხელისუფლებამ აკრძალა ყოველგვარი გარიგება უძრავ ქონებაზე, ამ ქონებაზე მფლობელობის უფლების განსაზღვრამდე (134;69-70). ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად მთავრობამ ის დაუდო, რომ ასეთი სახის გარიგებები ხშირად დარღვევით ხდებოდა. ე.ი. ხელისუფლებამ ამ პრობლემის მოწესრიგება კი არ სცადა, არამედ საკუთარი ინტერესებისათვის მისი გამოყენება.

თუ რა ინტერესები ჰქონდა რუსეთის იმპერიას მთელს კავკასიაში კარგად ცხადყოფს მეფისნაცვლის სამმართველოს ყოფილი უფროსის, სენატორ ბარონ ა.ნიკოლაის 1883 წელს შედგენილი „ბარათი კავკასიის ცენტრალური მმართველობის რეორგანიზაციის საკითხზე“. მასში ნათქვამია: „რომ კავკასია მეტად რთული, მრავალფეროვანია ტერიტორიით და

მოსახლეობით. სწორედ ამიტომ მის მმართველობის სისტემაში ყოველი ცვლილების შეტანა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს... სახელმწიფოს ძლიერება და უძლეველობა მოითხოვს განსხვავებული ნაწილების შერწყმას. ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეროვნულ-ტომობრივი თავისებურებები არ შეიძლება დიდი ბრძოლის გარეშე წაიშალოს. ამიტომ, როცა მიზნად ვისახავთ განსხვავებული ელემენტების შერწყმა-გაერთიანებას, აღნიშნულ გარემოებას ანგარიში უნდა გავუწიოთ და დროებით დათმობებზე უნდა წავიდეთ. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს საბოლოო მიზანი –პარმონიული ერთიანობის შექმნა.

რუსეთს განსხვავებული ურთიერთდამოკიდებულება აქვს სხვადასხვა განაპირა მხარეებთან. დასავლეთის პროვინციებში (პოლონეთი, ბალტიისპირეთი, ფინეთი) გაერთიანების პრობლემა ეხება ეროვნებებს, რომელნიც განვითარების დონით არ ჩამოუვარდებოდნენ რუსეთს. აზიურ განაპირა მხარეებში კი რუსი ხალხი უმაღლესი ცივილიზაციის წარმომადგენელია და აქაური ხალხის წარმატება-განვითარება ძირითადად განისაზღვრება რუსეთის სახელმწიფოსთან და რუსეთის კულტურასთან დაახლოებით.

რაც შეეხება კავკასიას, ამ მხარის რუსეთთან შერწყმას წინ უნდა უსწრებდეს თვით მისი გაერთიანება. კავკასია არის ეთნოგრაფიული მოზაიკა, რომლის მსგავსს ასეთ მცირე ტერიტორიაზე სხვაგან ვერსად შევხვდებით. საჭიროა ტომობრივ განსხვავებათა ნიველირება, ერთსახეობის მიღწევა, რადგან ზემოქმედება უფრო ადვილია ერთიან მთელზე, ვიდრე დანაწევრებულ ელემენტებზე (84;59-60). აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში მსხვილი რუსი ჩინოვნიკის შეხედულება საერთოდ კავკასიის კოლონიზაციის საკითხში არ განსხვავდებოდა რუსეთის თვითმპყრობელობის მიზნებისაგან, განსხვავება იმაშია, რომ ანიკოლაი მიზნის მიღწევის უფრო დახვეწილ და ცივილურ მეთოდებს სთავაზობდა ხელისუფლებას.

რუსეთში იყო ძალები, რომლებიც კავკასიის კოლონიზაციის დაჩქარებულ ვარიანტს უჭერდნენ მხარს. მათთვის ხელისუფლების გეგმაზომიერი კოლონიზაციის

პროექტი მიუღებელიც იყო. აი როგორ აფასებდნენ კავკასიის ჯარების მთავარსარდლის გენერალ-ადუტანტ სვიატოპოლკ-მირსკის ბრძანებას, გაეკონტროლებინათ გადმოსახლებული კონტინგენტი, რომელსაც ნამდვილად ვერ მივიჩნევთ კავკასიელთა, კერძოდ ქართველთა მხარდამჭერ ნაბიჯად. კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა, გენერალ-ადუტანტმა თავადმა სვიატოპოლკ-მირსკიმ აუცილებლად ჩათვალა შეეზღუდა ევროპული გუბერნიებიდან გადმოსახლება, რისთვისაც გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც "მთავრსარდლის სპეციალური ნებართვის გარეშე არავის ეძლეოდა უფლება რუსეთიდან გადმოსახლებისა". ცხადია, მთავრსარდლის ასეთი განკარგულება არსებითად ტოლფასი იყო ბათუმის ოლქში გადმოსახლების სრული აკრძალვისა" (37;24). იმპერიული ზრახვებით შეპყრობილთა ეს "გულისტკივილი" უსაფუძვლო იყო. ვინაიდან ბათუმი და აჭარის ზღვისპირეთი იმთავითვე რუსეთიდან გადმოსახლებულთა აქტიური ობიექტი გახდა. "ქალაქი ბათუმი შეუწყვეტლივ ივსება ახალმოსულებით" (13;58). კავკასიის მმართველობა აჭარაში თურქეთიდან გადმოსახლებული ბერძნების დასახლებასაც ცდილობდა. "18 თებერვალს თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა დახედა აქაურ ჯარებს (საუბარია მთავარმართველ დონდუკოვ-კორსაკოვის დასავლეთ საქართველოში და კერძოდ ბათუმში მოგზაურობაზე-ავტ.), დაათვალიერეს ყაზარმები. ანატოლიიდან მოსულ ბერძნებს, სულ 1500 სულს, რომლებიც ამ ყაზარმეში დგანან დროებით, თავადმა უთხრა, რომ მთავრობა ადგილ-მამულსა და სახლებს მოგცემთ" (55;1882).

ხელისუფლების სურვილს, რაც შეიძლება მეტი მიწა-წყალი ჰქონოდათ აჭარაში "ერთგული ელემენტის" დასახლებლად, თან ერთვოდა რუსული მმართველობის მანკიერი მხარეები: ჩინოვნიკთა არაკომპეტენტურობა და სიხარბე, რუსული წესების ხელაღებით შემოღების მცდელობა, ენობრივი ბარიერი, უხეშობა, რაც მეტად ძაბავდა პოლიტიკურ ვითარებას აჭარაში. "დროება" ეხებოდა რა ახლად დაბრუნებულ ბათუმში შექმნილ პრობლემებს, წერდა: "კვირა არ გაივლის ისე, რომ ბათუმის მაზრიდან სამღურავი და საყვედური არ

მოგვივიდეს იქაურს წვრილ ჩინოფნიკებზედ, რომელთა მომეტებული ნაწილი სანამ ბათუმის მაზრაში თანამდებობას მიიღებდნენ, სამსახურიდამ დათხოვნილი და გამოგდებული ყოფილან სხვადასხვა უკანონო მოქმედებებისათვის ან უნიჭობისათვის. გარემოება თხოულობს, რომ ახლად შექმნილ საქართველოში ჩვენ გვყავდეს კარგი, პატიოსანი, უნაგარო, გამჭრიახი, მამულის მოყვარე ჩინოფნიკები. ამის გამო ჩვენ მიემართავთ ახალგაზრდა ნასწავლ-განათლებულებს და ვეტყვით მათ:წადით ბათუმში! იმსახურეთ იქ... ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენის კეთილშობილურის, უნაგარო მოქმედების წყალობით გამაჰმადიანებული ქართველები კმაყოფილნი დარჩებიან ჩვენის მთავრობისა, ნდობის თვალთ შეგვხედვენ ჩვენ, იმათ მოძმე ქართველებსა და აღარ იფიქრებენ ოსმალეთში გადასახლებას. ამგვარი სამსახური ყოველ საქართველოს შვილს მამულის ძვირფას სამსახურად ჩაეთვლება და შთამომავლობა დააჯილდოებს მას" (48;1879). ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობას უფრო ამძიმებდა ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების შემდეგ შექმნილი ვითარება, რომლის წყალობითაც აჭარის მოსახლეობა ბათუმს, როგორც ერთ-ერთ ეკონომიკურ ცენტრს ფაქტიურად მოწყდა.

სწორედ რუსული მმართველობის დამყარებით შექმნილი პოლიტიკური ვითარება გახდა აჭარის მკვიდრთა ოსმალეთში გადასახლების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

სან - სტეფანოს ხელშეკრულების მიხედვით, მოსაზღვრე ტერიტორიის მოსახლეობას, სამი წლის განმავლობაში, უფლება ეძლეოდა გადასახლებულიყო. წინასწარი დაზავების აღნიშნული პუნქტი ძალაში დატოვა ბერლინის კონგრესმაც. 1879 წლის 27 იანვარს (8 თებერვალს) კონსტანტინეპოლში, რუსეთ-ოსმალეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლი ნებას აძლევდა რუსეთის ახალ ქვეშევრდომებს სამი წლის განმავლობაში გაეყიდათ თავიანთი უძრავ-მოძრავი ქონება და საცხოვრებლად სასურველ ტერიტორიაზე გადასახლებულიყვნენ. გადასახლების ოფიციალური ვადა 1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლამდე განისაზღვრა. თუმცა აჭარა ზოგმა მაშინ დატოვა



„როცა ბათუმის რუსეთზე გადაცემის შესახებ გამოცხადდა“ (134;133). ფაქტიურად, აჭარის მკვიდრი მოსახლეობის აყრა-გადასახლება ანუ მუჰაჯირობა ჯერ კიდევ სან-სტეფანოს ზავის გაფორმების შემდეგ დაიწყო, ესე იგი, ერთი წლით ადრე, ვიდრე მისი ოფიციალური ვადები განისაზღვრებოდა.

რაში მდგომარეობდა აჭარელთა მუჰაჯირობის მიზეზები?

სანამ ამ საკითხს შევეხებოდეთ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ აჭარელთა გადასახლებაში სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებდა (ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა), მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა იმან იქონია, რომ ორივე დიდი სახელმწიფო - ძველი და ახალი დამპყრობი დაინტერესებული იყო აჭარელთა მშობლიური ადგილებიდან აყრითა და ოსმალეთში გადასახლებით და ორივე მათგანი ხვალინდელ დღეზე შიშით შემყურე, მოსახლეობის პროვოცირებას ცდილობდა. ამ მიმართულებით, უფრო მაინც, ოსმალეთი აქტიურობდა. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებამდე ოსმალეთი, რომლის ზურგს უკან ინგლისი იდგა, აჭარის მოსახლეობას იარაღით ამარაგებდა და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა. მაგრამ, როცა ბერლინის ტრაქტატით გადაწყდა აჭარისა და ბათუმის რუსეთისათვის გადაცემა, ოსმალეთის ხელისუფლებამ დაიწყო აჭარის მოსახლეობის ძალდატანებით გადასახლების პროცესი. ოსმალთა „მოწოდებები“ და ძალად გადასახლების მცდელობა ხშირად შეტაკებამდეც მიდიოდა. „23 აგვისტოს სოფელ ჭახათში მოვიდნენ 24 ნიზამი სამასი ჩალვადრის ცხენებით და ოსმალთა მმართველების ბრძანებისამებრ, ურჩევდნენ მცხოვრებლებს გადასახლებულიყვნენ ოსმალეთში..... მცხოვრებლებმა გადაწყვეტილი უარი გამოუცხადეს. მაშინ, ნიზამებმა განიზრახეს ძალის დატანება, მაგრამ ჭახათელები, ერთი გაეღენიანი კაცის გულ-აღა კაიკაციშვილის რჩევით ეცნენ ოსმალებს და მუშტი-კრივით იფრინეს წინ, მოკლეს სამი ცხენი და ნიზამთ წაართვეს ოთხი თოფი, ახალი სისტემისა, რადგან ჭახათელები უმრავლესნი იყვნენ ნიზამებზე და ამიტომაც კაცის სისხლი არ დაღვრილა. მაგიერ, აჭარაში და მაჭახელში

ამგვარი შემთხვევის წყალობით რამდენჯერმე მოხდა სისხლის ღვრა“ (62; 1879).

ოსმალთა ასეთ დაინტერესებას თავისი მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, „ოსმალეთის მთავრობა ცდილობდა მომთაბარე თურქი ტომები გადაეყვანა ბინადარ წესზე. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, მათ გვერდით ასახლებდნენ ქართველებს, რომლებიც ოდიტგანვე მისდევდნენ ინტენსიურ სოფლის მეურნეობას. ოსმალეთის მმართველ წრეები იმედოვნებდნენ, რომ ქართველების სამეურნეო კულტურა, გარჯა და მიწის სიყვარული კარგ მაგალითს მისცემდა მომთაბარე ტომებს და ხელს შეუწყობდა მათ გადასვლას ცხოვრების ბინადარ წესზე და აღძრავდა მათში მიწის დამუშავებისა და სოფლის მეურნეობის წარმოების სურვილს“ (99;8). ვფიქრობთ, სულთნის ხელისუფლება გარდა აღნიშნულისა, იმედოვნებდა მის საზღვრებში დასახლებული მუჰაჯირების გამოყენებას თვით რუსეთის წინააღმდეგ.

ადგილობრივი მოსახლეობის გასახლებით, რუსეთის იმპერიაც იყო დაინტერესებული, რომელსაც კავკასიის სრული ათვისება ჰქონდა ჩაფიქრებული. რაც, ერთის მხრივ, მოსახლეობის ასიმილაციის, ხოლო, მეორე მხრივ, მხარის სრული კოლონიზაციის ხარჯზე უნდა მომხდარიყო. ამდენად, აჭარის მოსახლეობის გასახლების საკითხში ოსმალეთსა და რუსეთს ერთნაირი, დადებითი პოზიცია ჰქონდათ. „ამ საკითხში ორი იმპერიის ინტერესთა თანხვედრა ხომ უკვე სან-სტეფანოს ხელშეკრულების ხელმოწერისას გამოიკვეთა, როცა მსურველთათვის 3 წლის მანძილზე გადასახლების უფლება ოფიციალურად იქნა აღიარებული. 1878 წლის აგვისტოდან ეს კიდევ უფრო თვალნათლივ გამოჩნდა და ამ ეტაპზე მუსლიმან ქართველთა გადასახლების ძირითადი მიზეზიც სწორედ რუსეთის მიერ აქ განხორციელებული პოლიტიკა გახდა“ (73;55).

მართალია, სვიატოპოლკ-მირსკიმ აჭარის მოსახლეობას გამოუცხადა, რომ ხელშეუხებელი იქნებოდა ადგილობრივთა ქონება, რელიგია; სახელმწიფოს მიმართ ვალდებულებები იგივე დარჩებოდა, რაც ოსმალთა ბატონობის პერიოდში იყო;

უცვლელი დარჩებოდა ადგილობრივი მმართველობა; გადასახლების მსურველებს მიეცემოდათ ქონების გაყიდვის დრო (33;11).

სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლებამ მოცემული პირობა არ შეასრულა, რამაც ოსმალეთში გადასახლების პროცესს ხელი შეუწყო. მით უმეტეს, რომ ოსმალეთის აგენტები სხვადასხვა ჭორს (საღდათში გაწვევას, ძალად გაქრისტიანებას, ტრადიციების ხელყოფას და სხვა) ავრცელებდნენ. „დროება“ იუწყებოდა: „ჩვენი ახლადშექმნილი მაზრებიდან ადგილობრივი მცხოვრებლები - მაჰმადიანები მიდიან ოსმალეთში. მიდიან თითო-ორლად კი არა, რამდენიმე ასი და ათასი ოჯახი ერთად. რა არის ამის მიზეზი? ახალი მთავრობის დამკვიდრებით, ამათი ცხოვრება ძირიანად შეიცვალა. მაგრამ გადასახლება ამით არ აიხსნება. აქაური მაჰმადიანები მშვიდობიანი, მიწის მომუშავე და შრომისმოყვარე ხალხია... განსაკუთრებით აშინებენ მათ, იმით, რომ ჩვენი მთავრობა იმათ საღდათად გამოიყვანს, რომ შინაურული ამათი ცოლ-ქმრობითი აღათი მოისპობა... ამათ მომავლის ეშინიათ და არა ახლანდელი დროისა“ (51;1879). აჭარის მოსახლეობისთვის ძნელი ასატანი იყო უცხო, რუსული მმართველობის ხელაღებით შემოღება, რომ არაფერი ვთქვათ ენობრივ ბარიერზე.

გაზეთი „დროება“ ეხებოდა რა საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შექმნილ ვითარებას, აქაურთა მუჰაჯირად წასვლის მიზეზად რუსულ მმართველობას და სამართალს მიიჩნევდა: „ჩვენი მხარე ვერანდება, ხალხი დიდი და პაწია, ფუხარა და შეძლებული ყველანი სტოვებს თავის სახლ-კარს, დედულ-მამულს და მიეშურება ხონთქრის სამკვიდრებელში... სადმე რომ სამართალი იყოს და მთავრობას სურდეს ამ გავერანებას ბოლო მოუღოს, კვლავად გადასახლება შეაჩეროს და ჩვენს ხალხს გული გაუკეთოს – ერთი რაცდაის შემოღების მეტი არ იქნება საჭირო. ამ ერთს რაღაცას სახელად ჰქვია სამართალი. სამართლის მეტი ჩვენ არაფერი გვინდა. იგი დაგვაკმაყოფილებს სულ მთლად, იგი მოგვიბრუნებს გულს, ხელს აგვაღებინებს გადასახლებაზე, შეგვაყვარებს რუს მმართველობას და ტირილით გარდახვეწილ მოჰაჯირებს (გარდასახლებულებს) კი დააბრუნებს ისთევე“ (52;1881).

მაჰმადიან ქართველთა ოსმალეთში გადასახლების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ეკონომიკური სიდუხჭირე იყო. მცირე მიწიანობასა და ოსმალთა ბატონობის შედეგად შექმნილ საერთო ეკონომიკურ გაჭირვებას დაემატა ბათუმის, როგორც მხარის ძირითადი სავაჭრო ცენტრის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების ფაქტორი. თავისუფალი ნავსადგური, სადაც ყველა ქვეყნის ხომალდი თავისუფლად უნდა შემოსულიყო, მომგებიანი იყო განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, კერძოდ კი ინგლისისათვის. რუსეთს არ შეეძლო მისთვის კონკურენცია გაეწია, რის გამოც ბათუმი ყოველი მხრიდან ჩაკეტა. ასეთმა მკაცრმა საბაჟო-საკარანტინო რეჟიმმა ბათუმის ოლქის მოსახლეობის მიძიმე ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დასცა. ასეთი ვითარება ადგილობრივ მოსახლეობასა და რუსულ ადმინისტრაციას შორის ურთიერთობას უფრო ამწვავებდა: „პორტო-ფრანკოს შედეგად დაწესებული რუსული რეჟიმი იმდენად აუტანელი შეიქმნა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რომ ხალხი სტოვებდა თავის მშობლიურ, საყვარელ კუთხეს და თურქეთში გარბოდა. მეფის შოვინისტი მოხელეები ხელს უწყობდნენ კიდევ მოსახლეობის მასობრივ ემიგრაციას“ (100;100).

ოსმალეთში გადასახლების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მკვლევარი ი. ბარამიძე სამართლიანად მიიჩნევს რუსეთის ხელისუფლების მიერ ახლად შემოერთებულ მხარეში საადგილმამულო ურთიერთობებისა და მიწათმფლობელობის საკითხის გადაუჭრელობას. „ხანგრძლივი დროის მანძილზე მიწისმფლობელობის მხრივ გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა, რასაც განიცდიდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, გაფლენას ახდენდა ხელისუფლებისადმი მათ სიმპათიებზე და აძლიერებდა სხვაგან გადასახლების სურვილს“ (73;76).

მუჰაჯირობის ერთ-ერთი მიზეზი რელიგიური ფაქტორიც იყო, რომლის გამოყენებასაც ცდილობდნენ ოსმალეთი და მისი ემისრები აჭარაში.

საბედნიეროდ, უნდა ითქვას, რომ იშვიათი არ იყვნენ ადგილობრივ მაჰმადიან კულტის მსახურთა შორის ისეთები, რომლებიც უცხოეთში გადახვეწას მშობლიურ მიწაზე დარჩენას არ-

ჩვედნენ და ამასვე მოუწოდებდნენ თავიანთ მრევლსაც. ერთ-ერთი ასეთი მაჰმადიანი სამღვდელს შესახებ მოგვითხრობს ზ. ჭიჭინაძე წერილში „აჭარა“, რომელიც ეხება აჭარიდან მუჰაჯირად წასულთა საკითხს: „ოცდა-ხუთ-ათას სულამდის შეიკრიბა და რჩევა ჰქმნეს გადასახლების შესახებ. ზოგმა თქვა, რომ წავიდეთ და ქედის მუფთის ვკითხოთ და რასაც ის გვეტყვის, რა გვარის რჩევასაც ის მოგვცემს, ჩვენც ისე მოვიქცეთ. ამ დროს აქ მუფთად იყო სოფელ მერისელი, ხალიფაშვილი, ღრმად მოხუცებული, სტამბოლში ნასწავლი. მან მოისმინა ხალხის კითხვები და პასუხი აგო ასე ქართულად: „ხალხო, გაჩერდით... რასაც სხვადასხვა ხოჯები და მოღებო გეუბნებიან ის სულ ტყუილია... ჩვენ მათ არ ვიცნობთ, ისინი ჩვენ არ გვიცნობენ და ჩვენ კი რაღაც ჭორებს ვლაპარაკობთ. მოიცადეთ პატარა, მოვიდნენ, გავეცნოთ და თუ მართლა გაქრისტიანებას დაგვიწყებენ, ქალ-ბაღანას მოგვტაცებენ... მაშინ მე თვითონ გამოვალ თქვენს წინ, ხელში თოფს ავიღებ, თქვენც გამომყვებით თან და ვიდრე უკანასკნელი დარჩება ჩვენგან, მანამდის ვიბრძოლოთ და ნურავის დავუთმოთ... თუ არადა, რომ მიდიხართ, აქედან სად მიდიხართ, რათა, რისთვის და საიდან სად? აქ, თქვენი ძველების ყანა-ბად-სახლებზედ სცხოვრობთ და ვერ გიცხოვრიათ, აქ მზად სახლი გაქვთ გაკეთებული, ეზო, ბაღი, ყანა და იქ რომ წახვალთ, უნდა იცოდეთ, რომ იქ ესენი არ დაგხვდებათ, იქ დიდს გაჭირვებას პნახავთ, ცოლ-შვილი შიმშილისაგან ავიტირდებათ და ეს უფრო დიდი ცოდვა იქნება. აქ გაჩერდით. თუკი მე ვჩერდები, მე მუფთი, თქვენ რაღა გემართებათ. ხალხი დაწყნარდა, ბრბო დაიშალა,... აჭარიდგან რომ ასე ცოტა ხალხი გადასახლდა მაშინ ოსმალეთში, ეს სულ ამ მუფთის საქმე იყო“ (65;1895) - ასკენის ზ. ჭიჭინაძე.

რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა წაექეზებინა გადასახლების პროცესი და ასე გამოეთავისუფლებინა მიწის ფართობი კოლონისტებისათვის. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ხდებოდნენ ასეთი პოლიტიკის სიმცდარეს. ა. ფრენკელი, რომელმაც 1879 წელს იმოგზაურა აჭარაში, წერდა: „ასეთმა გადასახლებამ, ჯერ ერთი, შეიძლება ჩვენ დაგვაკარ-

გვინოს მამაცი მოსახლეობის კონტიგენტი, ამავე დროს მან შეიძლება შეარყიოს ჩვენი გავლენა მცირე აზიაში და უახლოეს დროში უამრავი წარუმატებლობის წყაროდ იქცეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მცირე აზია მალე შეიძლება გახდეს ჩვენი „საბოლოო“ ანგარიშების ასპარეზი თურქეთთან და მის მოკავშირე ინგლისთან. მაშინ ჩვენ ვინანებთ მოუსვენარ აჭარლებზე, რომელთაგან განთავისუფლებასაც ახლა ასე ვჩქარობთ“ (134;130-131). 1882 წლის თებერვალში დასავლეთ საქართველოში და, კერძოდ, აჭარაში იმოგზაურა მთავარსარდალმა, თავადმა დონდუკოვ-კორსაკოვმა. „19 თებერვალს ჭოროხის ხეობის მცხოვრებლებმა, სამასმა ოჯახმა სთხოვა თ. დონდუკოვ-კორსაკოვს ოსმალეთში გადასახლების ნებართვა, მაგრამ მთავარმმართველმა ვერ მისცა ამათ ეს ნებართვა. მეორეს მხრით, მოახდინა განკარგულება, რომ ყველა მოჯახირებს (გადასახლებულებს) ოსმალეთიდან უკან დაბრუნების უფლება მიეცეთ (55;1882). საინტერესოა მთავარმმართველის პოზიცია, რომელიც ჩვენის აზრით, მუჰაჯირთა მიმართ რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკის შეცვლაზე უნდა მიუთითებდეს.

გადასახლებული მოსახლეობა საერთოდ ბედის ანაბრად აღმოჩნდა ოსმალეთში, რამაც წასულთა დიდი ნაწილის უკან დაბრუნება გამოიწვია. ასეთი ფაქტები უკვე 1879 წელს მრავლად დაფიქსირდა, „ბათუმში დაიწყო იმათი დაბრუნება, რომელთაც ქალაქი მაშინ დატოვეს, როცა ბათუმის რუსეთზე გადაცემის შესახებ გამოცხადდა. დაბრუნებული ოჯახების გადმოცემით, გადასახლებულთა მთელი მასა, მოხუცები, ქალები და ბავშვები, ტრაპიზონში ყოფნის დროს იძულებულნი იყვნენ ღია ცის ქვეშ ეცხოვრათ, დაკმაყოფილებულიყვნენ მოწყალებით, ეავადმყოფათ, ეშიმშილათ. თურქეთის ხელისუფლებამ თავშესაფარი მისცა 200 გადასახლებულს, როცა მათი რიცხვი 4000-ზე მეტი იყო. დანარჩენი ბედის ანაბარა დარჩა. ასეთმა ინფორმაციამ გადასახლების მსურველებს ხელი ააღებინა განზრახვაზე (134;133). 1879 წელს არაერთი ოჯახი დაბრუნდა ქობულეთში, რომლებიც დევრიშ ფაშას ჯარებს გაჰყვნენ ოსმალეთში (50;1879). მეფის რუსეთი ცდილობდა რამდენადმე

წახელისუფლებინა გადასახლებულთა უკან დაბრუნების პროცესი. „მთავრობა დიდის კმაყოფილებით დებულობს იმ აჭარლებს, რომელნიც ოსმალეთში გადავიდნენ, იქ შიმშილით კინადამ ამოწყდნენ და ახლა უკანვე ბრუნდებიან ისევ თავიანთ ადგილ-მამულზე დასახლებულად. მთავრობა უბრუნებს ამათ თავიანთ ადგილ-მამულს და კმაყოფილებით ასახლებს იმიტომ, რომ ესენი კარგი მუშა ხალხი და ქვეყნისათვის გამოსადეგი არიან“ (54;1882).

ოსმალეთის ხელისუფლების უწყურადღებობამ ერთის მხრივ, ბევრს ხელი აადებინა წასვლაზე, ხოლო მეორეს მხრივ, უკვე წასულთა უკან დაბრუნებაც განაპირობა. 1879 წელს გაზეთი „კავკაზი“ იუწყებოდა: „Вот уже более месяца, как не было ни одного заявления о переселении и вообще оставшееся населения Аджарского округа, надо полагать, совершенно покинуло подобное намерение... по рассказам некоторых, уже возвратившихся переселенцев, последние в Турции терпят страшную нужду. Правительство турецкое досихъ-пор не отвело им никакой земли и не выдаёт никакого вспомоществования. Большая часть выселившихся ищет случая бежать изъ Турции обратно“ (125;1879). რამდენი ადამიანი წავიდა აჭარიდან მუჰაჯირად? ამ საკითხზე ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა შეხედულებაა. ვ. ლისოვსკი 38000 სულს მიიხნევს წასულად (126;51), თ. სახოკია- 21. 500 (98;148). ჩვენ ყველაზე სარწმუნოდ მიგვაჩნია მკვლევარ ჯ. ვარდმანიძის თვალსაზრისი, რომ აჭარიდან გადასახლებულთა რაოდენობა 28-30 ათას სულს შორის უნდა მერყეობდეს (83;132).

თუმცა, ამ ციფრის დაზუსტებაც მოსალოდნელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ოსმალეთში წასასვლელად მომზადებულნი ცდილობდნენ ოჯახების რაოდენობა გაეზარდათ, რათა შემდეგ შეძლებოდათ ცალ - ცალკე მიწის ნაკვეთების მიღება. 1879 წ. „კავკაზი“ აჭარის ოკრუგის უფროსის სტეპანოვის ცნობებზე დაყრდნობით იუწყებოდა: „следует заметить что число дымовъ, в действительности заявившихъ желание переселиться, гораздо менее чем показано. (ცნობაში 1. 194 კომლია მოითითებულნი -ავტ.) такъ - какъ нередко три или четыре взрослых брата одного и того - же семейства брали свидетельство каждый себя

отдельно, какъ особый дымъ, в техъ расчетахъ, чтобы в турции получить отдельные надельи (125;1879). თუ ამ ცნობას გავიზიარებთ, შეიძლება მუჰაჯირთა რაოდენობა უფრო შემცირდეს.

ოსმალეთისა და რუსეთის პოლიტიკის მიუხედავად, აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა მაინც სამშობლოში დარჩა, ხოლო, წასულთა მნიშვნელოვანი ნაწილი შემდეგ დაუბრუნდა მამა-პაპულ კერას.

რუსული ადმინისტრაციული სისტემის სიმძიმეს კიდევ უფრო ამწვავებდა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის გენერალ-მაიორ კონსტანტინე ბესარიონის ძე კომაროვის პირადი უარყოფითი თვისებები. კავკასიის მეფისნაცვალმა საქმე იმით გამოასწორა, რომ ბათუმის ოლქის გუბერნატორად კომაროვის ნაცვლად გენერალ-მაიორი სმეკალოვი დაინიშნა (100;82). ეტყობა მდგომარეობის არსებითად გამოსწორება ვერც ახალმა გუბერნატორმა შეძლო. ამიტომ გაჩნდა აზრი ბათუმის ოლქის გაუქმებისა და მისი ქუთაისის გუბერნიასთან შეერთებისა. ეს ნაბიჯი სახელმწიფოს არც თუ მცირე ეკონომიას მისცემდა. "ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის ხარჯები, სასამართლოსა და სხვა სპეციალური დაწესებულებების გარდა, ხაზინას ყოველწლიურად უჯდება 219.419 მანეთი. ოლქის ცენტრალური მმართველობა შეიძლება გაუქმდეს საქმისადმი ყოველგვარი ზიანის გარეშე"-წერდა ჯერ კიდევ 1882 წელს "კავკაზი" (125;1882). წერილი რეკომენდაციას აძლევდა მთავრობას, რომ ართვინის ოკრუგი, რომელიც ბუნებრივად არის დაკავშირებული ყარსის ოლქთან- მასვე შეუერთდეს, ხოლო ბათუმის ოკრუგი-ქუთაისის გუბერნიას (მითუმეტეს რომ რამდენიმე თვეში ბათუმისამტრედიის რეინიგზის ხაზის მშენებლობაც დამთავრდებოდა) ამ გზით სახელმწიფო შეამცირებს ხარჯებს 173.349 მანეთით (124;1882).

რუსეთის ხელისუფლებას ჭკუაში დაუჯდა აღნიშნული მოსაზრება. "1883 წლის 12 ივნისს ბათუმის ოლქი გაუქმდა და იგი ორი ოკრუგის – ბათუმისა და ართვინის სახით შევიდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში. ამ დროიდან, 1903 წლის 1 ივლისამდე (ე.ი. ბათუმის ოლქის აღდგენამდე - ავტ.) ბათუმში



იმყოფებოდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე, მაღლე 1886 წლის 5 ივლისს გაუქმდა პორტო-ფრანკო, რის შემდეგაც იწვება მთელი რიგი რეფორმები ბათუმის ოლქში როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ნაწილში“ (121;108).

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქალაქ ბათუმის ეკონომიკური განვითარება ძალზე სწრაფი ტემპით წარიმართა. ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ნავსადგურისა და ბათუმი-სამტრედიის სარკინიგზო ხაზის მშენებლობას. სულ მოკლე დროში ბათუმი თვალშისაცემად შეიცვალა და იგი ყველა მნახველს აკვირებდა. ქალაქში არნახული გამოცოცხლება შეიმჩნეოდა. სერგი მესხი, რომელმაც 1878-1882 წწ. სამჯერ მოინახულა ბათუმი, “დროებაში” გამოქვეყნებულ წერილში “ბათუმი და ბათუმელები” აღნიშნავდა: “მაშინდელი ბათომი (საუბარია 1878 წელზე - ავტ.) ახლანდელს გორზე უფრო პატარა და უშნო ქალაქი იყო... დიდი განსხვავებაა მაშინდელს და ახლანდელს ბათუმს შუა. სად ახლანდელი ორსამ და ოთხეტაჟიანი უზარმაზარი ქვითკირის სახლები და სასტუმროები და სად მაშინდელი მინგრეულ-მონგრეული ხის ქოხები და უწმინდური ყავახანები. სად ახლანდელი ნამდვილი ევროპიული მდიდარი მაღაზიები, რომლებშიც მგონი ჩიტის რძესაც კი იშოვნის კაცი და სად მაშინდელი დუქნები, რომლებშიაც მუხლმოკეცილი ბათომელი ორიოდ თოფ ტრაპიზონის ჩითეულობით ვაჭრობდა... საცა არ გაიხედავთ, ყველგან ახალი შენობები გაუშენებიათ ან აშენებენ. მთელი ახალი უბნები გაკეთებულან, ქალაქის ბაღს ჰმართავენ, ქალაქი “გაპლანულია”, ტბებს აშრობენ, წყალი გამოჰყავთ, ნავთსადგურის გაფართოებას აპირებენ, რკინიგზა გაჰყავთ და სხვა და სხვა” (56;1882). 1883 წელს გახნილი ბათუმი-სამტრედიის რკინიგზით ბათუმი ბაქოს დაუკავშირდა. “ამიერკავკასიის მთავარი მაგიტრალი ბაქო-თბილისი-ბათუმი გადაიქცა მთავარ არტერიად... მან უდიდესი როლი შეასრულა ამიერკავკასიის ეკონომიკური ცხოვრების როგორც რუსეთის ისე მსოფლიოს კაპიტალისტურ ეკონომიკასთან დაკავშირების საქმეში”(106;7). რკინიგზის გაყვანამ და სრულყოფილი ნავსადგურის აგებამ სერიოზული ბიძგი მისცა ბათუმის

განვითარებას. “გუშინ წინ თავისთვის მივარდნილი, მიუწეხებელი ბათუმი, “აზიური ქალაქი”, დღეს ევროპის ქალაქად იქცა, გაეევროპელდა! მოქალაქეობრივი ცხოვრება ბათუმში ნელ-ნელა ხორცს ისხამს” - წერდა “ივერია” (63;1886).

ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო განვითარების სწრაფი ტემპების პარალელურად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა, იცვლებოდა საზოგადოების სოციალური და ეთნიკური შემადგენლობა. თუ 1878 წელს ბათუმში ცხოვრობდა დაახლოებით 3000 ადამიანი, 1882 წელს ქალაქის მოსახლეობის რაოდენობამ 8671 შეადგინა, 1890 წელს – 18.123, ხოლო 1903 წელს – 35.000 (121;460). XIX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში ბათუმის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს უკვე რუსები შეადგენდნენ (1884 წლის მონაცემებით მათი რიცხვი 5500-ს აღწევდა (126;131).

ეკონომიკური წარმატებების კვალობაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ბათუმის შემოსავლები. ქალაქის ბიუჯეტის (შემოსავალ-გასავალის) ზრდის დინამიკა 1879-1887 წლებში ასეთ სურათს გვაძლევს (121;482).

წელი	შემოსავალი	გასავალი
1879	21.010 მან	12.600 მან.
1880	27.466 მან. 02 კაპ.	17.158 მან. 22 კაპ.
1881	29.971 მან. 99 კაპ.	23. 109 მან. 67 კაპ.
1882	68.094 მან. 07კაპ.	75. 017 მან. 81 კაპ.
1883	68.471 მან. 26 კაპ.	68. 163 მან. 71 კაპ.
1884	75.690 მან. 98 კაპ.	75. 647 მან. 34 კაპ.
1885	85.994 მან. 84 კაპ.	92. 864 მან. 94 კაპ.
1886	90.444 მან. 30 კაპ.	110.699 მან. 98 კაპ.
1887	116.394 მან. 82 კაპ.	107.178 მან. 14 კაპ.

ეკონომიკურად დაწინაურებული და მოსახლეობის რაოდენობით გაზრდილი ქალაქი მოთხოვდა ცვლილებებს მმართველობის სფეროშიც. რუსეთთან შეერთების შემდეგ მთელი 10 წლის მანძილზე ბათუმში სამხედრო-პოლიციური

მმართველობა არსებობდა. 1878 წელს ქალაქის პირველ პრისტავად და პოლიცმეისტერად დაინიშნა ნადვორნი სავეტნიკი დ.შ.ჭურული. ქალაქის წარჩინებულ მოსახლეობას უფლება ჰქონდა აერჩია ოთხი დეპუტატი, რომელსაც ადმინისტრაცია მხოლოდ გადასახადების აკრეფის დროს იყენებდა. მეტი უფლებები ამ წარმომადგენლობას არ გააჩნდა. ბათუმის დაგეგმარების, განაშენიანების, კომუნალური მეურნეობის, კულტურისა და სხვა საკითხებს წვევტდა პოლიცმეისტერი ბათუმის ოლქის უფროსთან და ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან შეთანხმებით (75;227). ასეთი სახის მმართველობა ბათუმის ეკონომიკური შესაძლებლობების გამოყენებას ვერ უზრუნველყოფდა, პირიქით, საგრძნობლად აბრკოლებდა მის ზრდა-განვითარებას (88;127). ამას კარგად გრძნობდნენ ბათუმის მაშინდელი მცხოვრებლები. 1885 წელს ბათუმის 90-მდე მცხოვრებმა თხოვნით მიმართა კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მმართველს რათა 1870 წლის 16 ივნისის დებულების საფუძველზე ბათუმშიც შემოღებული ყოფილიყო სამოქალაქო თვითმმართველობა. მხოლოდ თვითმმართველობას – წერდნენ ისინი – შეუძლია მისცეს ქალაქის მმართველობის მანქანას, რომელიც არცთუ სწორად და სწრაფად მოძრაობს, შესამჩნევი ბიძგი. მხოლოდ ქალაქის ნამდვილი მმართველობა, მხოლოდ ენერგიული და გავლენიანი ქალაქის თავი შესძლებს დააყენოს საქალაქო მეურნეობა მტკიცე საფუძველზე და მიადწიოს წარმატებას ქალაქისათვის საჭირობოროტო საკითხების გადაჭრისას (121;483). მაგრამ ქალაქის მაშინდელ მესვეურთ ეძინებოდათ თბილი, მატერიალურად სასარგებლო თანამდებობების დატოვება. ბათუმელებიც მიიჩნევდნენ, რომ საქალაქო თვითმმართველობის შემოღებით დასრულდებოდა საპოლიციო რეჟიმის უკონტროლო და უანგარიშო მოქმედებები.

ბათუმის მაშინდელი პოლიცმეისტერი ვოზნესენსკი, რომელსაც დაევალა ბათუმელთა ზემოთ აღნიშნულ თხოვნაზე დასკვნის მომზადება, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს მოახსენებდა შემდეგს: რომ ბათუმზე 1870 წლის საქალაქო დებულებების გავრცელება ძალზე სასურველი და სასარგებლოა, რადგან საქალაქო თვითმმართველობის

პირობებში პოლიციას შესაძლებლობა ექნება თავისი პირდაპირი მოვალეობა შეასრულოს. თუმცა აღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილება მიაჩნია ნაადრევად სანამ ქალაქის წლიური შემოსავალი არ მიაღწევს 150.000 მანეთს, რათა "იყოს შესაძლებლობა შეინახონ ძვირადღირებული საქალაქო მმართველობა" (121;484). იმავე ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის შემოღებისათვის ხელისშემშლელად ვოზნესენსკის მიაჩნდა ბათუმში ინტელიგენტური ძალების არარსებობა".

1887 წელს ბათუმის საქალაქო მეურნეობის რევიზიის შედეგად საპოლიციო მმართველობის მხრიდან სერიოზული ფინანსური დარღვევები და გაფლანგვები გამოვლინდა. უკვე ხელისუფლების წარმომადგენლებიც დარწმუნდნენ ბათუმში არსებული მმართველობის უსარგებლობაში და თვითმმართველობის შემოღებაზე დაიწყეს ფიქრი. 1887 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა გენერალ-მაიორმა გროსმანმა აღძრა შუამდგომლობა ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის შემოსაღებად. "საკვირველმა ზრდა-წარმატებამ ვაჭრობისა, მრეწველობისა და სამოქალაქო ცხოვრებისამ, ცოტა არ იყოს შეაფიქრინა მაშინდელი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალი გროსმანი და გააბედვინა ეთხოვნა უმაღლესი მთავრობისათვის საქალაქო თვითმმართველობის დაწესება ბათუმში, მით უმეტეს, რომ ახალი მდგომარეობა ქალაქისა, მისი გაცხოველებული ცხოვრება და ახალი რთული ასპარეზი საშინლად უძნელებდა თავის მოვალეობას ადგილობრივ პოლიციას" (64;1891). 1887 წლის ნოემბერში მთავარმართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის შემოსაღებად მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად შექმნა განსაკუთრებული კომისია შემდეგი შემადგენლობით: კ.სევერინი (კომისიის თავმჯდომარე), ახმედ-ბეგ აბაშიძე, პუსეინ ეფენდი ყარა ზადე, სტ.ზროდლოვსკი, ა.კოიანდერი, ნ.პასეკი, ხ.სიმეონიდი, ა.ციმერმანი, ი.შადინოვი, ს.შიპოვი (121;485-486). მალე გამოირკვა, რომ დარღვეული იყო საკანონმდებლო პროცედურა (არ იყო უმაღლესი განკარგულება ბათუმში

საქალაქო რეფორმის გატარების თაობაზე). 1888 წლის მარტში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ გროსმანის განკარგულებით კომისიის მუშაობა შეაჩერეს და ყველა მისი საქმეები პოლიციის მმართველობას გადასცეს. ამის შემდეგ პეტერბურგში გაიგზავნა შუამდგომლობა, რომლის საფუძველზეც 1888 წლის 28 აპრილს გაიცა უმაღლესი განკარგულება 1870 წლის 16 ივნისის დებულების საფუძველზე ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის შემოღების შესახებ.

უმაღლესი განკარგულების მიხედვით გარკვეულ დრომდე ქალაქის სამშენებლო ნაწილი დარჩებოდა საგუბერნიო მმართველობის განკარგულებაში, ქალაქის თავის მოვალეობას პირველი 4 წლის განმავლობაში შეასრულებდა არა სათათბიროსაგან არჩეული, არამედ მთავრობისაგან დანიშნული პირი. აღნიშნული ბრძანების განხორციელება დაევადა ახალ კომისიას, რომელსაც კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მოხელე კ.დ.გავრონსკი თავმჯდომარეობდა (121;486, 75;230).

კომისიამ შეისწავლა ბათუმის მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობა, დააზუსტა ამომრჩეველთა სიები. ქონებრივი ცენზის გათვალისწინებით ამომრჩეველთა სიებში შევიდა 525 კაცი. ქალაქის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არჩევნების მიღმა დარჩა.

1888 წლის 25 აგვისტოს და 2 სექტემბერს ჩატარდა სათათბიროს ხმოსანთა პირველი არჩევნები. ოთხი წლის ვადით აირჩიეს სამი თანრიგის 36 ხმოსანი (თითოეული თანრიგის მიხედვით 12-12 ხმოსანი). ეროვნული ნიშნის მიხედვით სათათბიროს შემადგენლობა შემდგენაირი იყო: ქართველი-11, რუსი-8, სომეხი-10, ბერძენი-2, ებრაელი-2, პოლონელი-2, გერმანელი-1.

აღმსარებლობის მიხედვით ხმოსანთა შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: მართმადიდებელი-10, ქათველი მაჰმადიანი-4, სომეხი გრიგორიანელი-9, სომეხი კათოლიკე-1, კათოლიკე-6, პროტესტანტი-1. (121;486-487).

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის სახეიმო გახსნა შედგა 1888 წლის 1 ოქტომბერს. ქალაქის თავად დაინიშნა

კ.დ.გაგრონსკი. გამგეობაში შევიდნენ დ.ი.ბიკოვი (ქალაქის თავის მოადგილე), ა.ი. კოიანდერი, ი.ს.შადინოვი. ქალაქის მდივანი გახდა ი.ს. მესხი.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობას თან დაჰყვა ის ნაკლოვანებები, რომლებიც გააჩნდათ რუსეთის იმპერიის საქალაქო თვითმმართველობებს: არჩევნების შეზღუდულობა, ადმინისტრაციის მხრიდან სათათბიროს საქმეებში ჩარევის შემთხვევები და სხვა.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, საქალაქო თვითმმართველობის შემოღება ბათუმში უდავოდ იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც სერიოზული გავლენა მოახდინა მთელი ქალაქის (და არა მარტო ბათუმის –ავტ.) საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაზე. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ბათუმში თავი მოიყარა ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულმა ძალებმა, რომელთა მიზანი იყო "ბათუმის ქართულ ქალაქად გადაქცევა" (92;86).

ბათუმის საქალაქო სათათბიროს ხმოსანთა მეორე არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 1892 წელს. წინასწარჩვენო სამზადისი დაიწყო კიდევ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცენზიან მოქალაქეთა ქონების მესამედი ეკუთვნოდა როტშილდის კასპია-შავი ზღვის ნავთობმრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოებას. ე.ი. მხოლოდ როტშილდი უნდა შესულიყო ამომრჩეველთა პირველ თანრიგში და მასვე უნდა აერჩია ხმოსანთა მესამედი. ასეთ ვითარებაში ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციამ შესაძლებლად ჩათვალა ბათუმის ამომრჩევლები დაეყოთ ორ თანრიგად. თუმცა საქმეს ვერც ამან უშველა. ახალი დაყოფით პირველ თანრიგში მოხვდა ექვსი მესაკუთრე, რომლებიც ფლობდნენ ბათუმელთა მთელი ქონების ნახევარს და მათვე უნდა აერჩიათ ხმოსანთა ნახევარი (18 ხმოსანი), როცა დანარჩენ ცენზიან მოქალაქეებს (500 კაცს) შეეძლო აერჩიათ ასევე 18 ხმოსანი. ამის გამო ქალაქის გამგეობამ მოითხოვა არჩევნების გაერთიანებული სიით ჩატარების უფლება. მაგრამ ამაზე კავკასიის ადმინისტრაციამ ნება არ დართო იმ მიზეზით, რომ ეს გამოიწვევდა 1870 წლის დებულების დარღვევას. ამიტომ ახალი დებულების მიღებამდე უფლებამოსილება ძველ ხმოსნებს

გაუგრძელეს, სანამ არ გაუქმდებოდა თანგრიგები და ყველა ცენზიანისთვის საერთო-საარჩევნო კრება ჩამოყალიბდებოდა (121;492-493).

ახალი დებულება 1892 წლის 11 ივნისს დამტკიცდა, ახალი დებულების შესაბამისად ბათუმში ხმის მიცემის უფლება ეძლეოდათ 1000 მანეთზე მეტი ქონების მფლობელ მოქალაქეებს. ამით საარჩევნო სიაში შედიოდა მხოლოდ მსხვილი და საშუალო მესაკუთრეები. ფაქტიურად მესამე თანრიგის ამომრჩევლებმა (წერილმა მესაკუთრეებმა) დაჰკარგეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ასეთმა კანონმა მნიშვნელოვნად შეამცირა ამომრჩეველთა რაოდენობა ბათუმში. თუ 1888 წლის არჩევნებში ბათუმის 14000 მცხოვრებიდან მონაწილეობდა 525 კაცი, 1894 წელს 25 ათასი მცხოვრებიდან მხოლოდ 318 კაცი (75;234).

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში კავრონსკი გადადგა და მის ნაცვლად ქალაქის თავის მოვალეობის შესრულებას კავრონსკის მოადგილე ა.კოიანდერი შეუდგა.

1894 წლის 12 ოქტომბერს მეორედ ჩატარდა ბათუმში სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები. სიაში მყოფი 318 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 239 კაცმა. მათ აირჩიეს 35 ხმოსანი და 9 კანდიდატი. ხმოსნებად გავიდა 19 ქართველი, 8 რუსი, 5 ბერძენი და 3 პოლონელი. ქართველებმა სათათბიროში ადგილების 55% მოიპოვეს, რამაც უზრუნველყო ქალაქის თავისა და გამგეობის არჩევნებისას ქართველთა წარმატება. ხმების დიდი უმრავლესობით ქალაქის თავად აირჩიეს ლუკა ასათიანი. გამგეობის წევრებად გ.ვოლსკი და ი.ივანოვი, ქალაქის მდივნად – ი.მესხი.

ახლადარჩეული სათათბირო და გამგეობა აქტიურ საქმიანობას ეწეოდა ქალაქის კომუნალური მეურნეობის, განათლებისა და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. იგი ცდილობდა ხელი შეეწყო სხვადასხვა სავაჭრო სახლებისა თუ ფირმების დამკვიდრებისათვის ბათუმში, რადგან ამაზე იყო დამოკიდებული ქალაქის შემოსავლების ზრდა (10;25). შემოსავლების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ყოველგვარი სასიკეთო წამოწყების განხორციელება. ახალი

ხელმძღვანელობის მოქმედების შედეგი მალე დაეტყო ქალაქს – გაიზარდა მოსახლეობა. გაფართოვდა ქალაქი, მას შეემატა ახალი ფაბრიკა-ქარხნები, შეიკვალა ბათუმის იერსახე. 1897 წლის 22 ოქტომბრით დათარიღებულ ქალაქის სათათბიროს სხდომაზე გამოცხადდა: „ბათუმის მოსახლეობა გახდა 26.417 ადამიანი, ახალგაზრდა ქალაქში აშენდა 3000 სახლი, მათ შორის 800 ქვის, ქარხნების რაოდენობა გაიზარდა 18-მდე, მათი საერთო ღირებულებით 7 მილ.094 ათასი 480 მანეთი ვერცხლით. ყოველივე ამასთან ერთად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქალაქის კეთილმოწყობა (12;39). ამ წარმატებებში დიდი იყო ქალაქის თავის ლუკა ასათიანის, გამგეობის წევრის გრიგოლ ვოლსკის და ქალაქის მდივნის ივანე მესხის დამსახურება და წვლილი.

ბათუმის სათათბიროს მესამე არჩევნები ჩატარდა 1898 წლის 18 ოქტომბერს. საარჩევნო სიებში შესული 472 კაციდან არჩევნებში მონაწილეობდა 332 ამომრჩეველი. პირველ ძირითად ტურში ხმოსნის ადგილზე აირჩიეს 27 კანდიდატი. არჩევნების მეორე, დამატებითი ტური ჩატარდა 15 ნოემბერს, რომელმაც აირჩია 14 ხმოსანი და 8 კანდიდატი (12;496-497). 2 დეკემბერს შედგა ხმოსანთა ფიცის დადების ცერემონიალი. 1899 წლის 7 იანვარს ჩატარდა გამგეობის არჩევნები. გამგეობის შემადგენლობა ფაქტიურად უცვლელი დარჩა. ქალაქის თავად კვლავ აირჩიეს ლუკა ასათიანი, გამგეობის წევრად გრიგოლ ვოლსკი, ხოლო მდივნად ივანე მესხი. ძველი გამგეობის მეორე წევრი ი.ივანოვი არჩევნებში დამარცხდა და სათათბირომ მის ნაცვლად მარკევიჩი აირჩია, თუმცა ქუთაისის გუბერნატორმა იგი არ დაამტკიცა და ქალაქის სათათბიროს საჩივრის მიუხედავად ი.ივანოვი მაინც დატოვა გამგეობის წევრად (75;241). ეს ადმინისტრაციის მხრიდან არჩევნების შედეგების იგნორირების პირველი და უკანასკნელი შემთხვევა არ ყოფილა. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა 1902 წლის არჩევნების შემდეგ გრიგოლ ვოლსკი. 1902 წელს გ.ვოლსკი ქალაქის თვითმმართველობაში ერთხმად ყოფილა არჩეული, მაგრამ ქუთაისის გუბერნატორის მითითებით მას აღარ ამტკიცებენ და მის ნაცვლად გაჰყავთ გ.ჟურული (97;30).



სათათბიროს მორიგი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 1902 წლის ნოემბერში. მაგრამ 1901 წლის ნოემბერში მოულოდნელად გარდაიცვალა ქალაქის თავი ლუკა ასათიანი. ეს დიდი დანაკლისი იყო ბათუმისათვის.

ქალაქის გამგეობიდან გრიგოლ ვოლსკი იყო საზოგადოებრივი ავტორიტეტის მქონე პიროვნება, რომელსაც შეეძლო ეტვირთა ქალაქის თავობა, თუმცა " ისიც იცოდნენ, რომ მას სძულდა თვითმპყრობელობა და ამიტომ ქალაქის თავად არავინ დამტკიცებდა" (97;28). ბათუმელთა დელეგაციამ გადაწყვიტა დაესწრო ანტიქართული ძალებისათვის და ილია ჭავჭავაძეს მიმართა თხოვნით, რათა ბათუმის თავის ფუნქციები ეკისრა ივანე ანდრონიკაშვილს. 1902 წლის 4 იანვარს შედგა ბათუმის საქალაქო სათათბიროს საგანგებო სხდომა. დღის წესრიგში იყო ქალაქის თავის არჩევის საკითხი. განიხილებოდა ერთი კანდიდატი – ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი. იგი აირჩიეს 26 ხმით სამის წინააღმდეგ (14;8).

ბათუმის საქალაქო სათათბიროს არჩევნების (რიგით მეოთხე-ავტ.) პირველი ტური ჩატარდა 1902 წლის 10 ნოემბერს, მეორე ტური 1 დეკემბერს. არჩევნებში მონაწილეობდა 492 ამომრჩეველი (121;500-501). ქალაქის თავად წამოყენებული იქნა ივანე ანდრონიკაშვილის კანდიდატურა. სათათბიროს ქართულმა პარტიამ ივანე მესხის თაოსნობით დიდი მუშაობა ჩატარა ი.ანდრონიკაშვილის როგორც საარჩევნო ქონებრივი ცენზის შესაქმნელად, ასევე არჩევნებში მის გასამარჯვებლად. 1903 წლის 24 მარტს ჩატარდა გამგეობის ახალი არჩევნები, ქალაქის თავად აირჩიეს ივანე ანდრონიკაშვილი, გამგეობის წევრად გრიგოლ ვოლსკი (რომელიც ადმინისტრაციამ არ დაამტკიცა და მის ნაცვლად შემდეგ აირჩიეს გ.ჟურელი), ხოლო მდივნად ივანე მესხი.

ივანე ანდრონიკაშვილმა წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და გაამართლა როგორც ბათუმელთა, ისე ილია ჭავჭავაძის იმედები. იგი 14 წლის განმავლობაში უძღვებოდა ქალაქის საქმიანობას. ამ ხნის მანძილზე ბათუმს ბევრი წინააღმდეგობისა და პრობლემის გადალახვა მოუხდა. ასეთ ვითარებაში საჭირო იყო ქალაქის თავის დიდი გონება-

გამჭრიახობა, ტაქტი და მოხერხება, რაც უნდა ითქვას ივანდრონიკაშვილის უხვად ჰქონდა მომადლებული (91;71).

ცარი ზმის რეჟიმის მხრიდან ხელისშემშლისა და სერიოზული ზეწოლის მიუხედავად ბათუმის საქალაქო თვითმმართველობამ მთლიანობაში დიდი როლი შეასრულა როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღების, ისე განსაკუთრებით ბათუმის, როგორც ქართული ქალაქის კონსოლიდაცია-განმტკიცების საქმეში.

რუსეთთან შეერთების შემდეგ ბათუმის სწრაფ სავაჭრო-სამრეწველო განვითარებას შედეგად მოჰყვა მუშათა კლასის ჩამოყალიბება.

XIX საუკუნის 80-იანი წლებში პირველი საწარმოების მშენებლობა დაიწყო. 1882 წელს საფუძველი ჩაეყარა ნავთობპროდუქტების გადასაზიდი ტარის დასამზადებელი ქარხნის მშენებლობას, რომლის ინიციატორები იყვნენ ინჟინერი ბურგე და პალაშკოვსკი. ქარხანა ექსპლუატაციაში შევიდა 1883 წელს. მომდევნო წლებში ანალოგიური ქარხნები დააარსეს სიდერიდისმა და რიხნერმა, მანთაშეგმა, ხანატურიანმა, ძმებმა ცოვიანოვებმა, ძმებმა მნაცაკოვებმა და სხვებმა. ტექნიკური აღჭურვილობითა და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობით პირველ ადგილზე იყო „კასპია-შავი ზღვის ნავთობის მრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოება,” რომელსაც როტშილდი განაგებდა. იმთავითვე გამოიკვეთა, რომ „ ბათუმის სამრეწველო განვითარება ძირითადად ბაქოს ნავთობის ექსპორტის ხარჯზე ხდებოდა“ (111;43). XIX საუკუნის 80-90 - იან წლებში ნავთობპროდუქტების ექსპორტის კვალობაზე იზრდებოდა ბათუმის როლი მსოფლიო ნავთობის ვაჭრობაში. „ბათუმმა მსოფლიო სახელი უმთავრესად ნავთობის პროდუქტების ვაჭრობით მოიხვეჭა“ (9;34). ნავთობის გატანის ტემპების სწრაფ ზრდასთან ერთად კერძოდ, თუ 1883 წელს ბათუმიდან საერთოდ გატანილი იქნა 3.348.900 ფუთი ნავთობპროდუქტი, 1902 წლისათვის შესაბამისმა ციფრმა 78. 338. 800 ფუთი შეადგინა (121;310-311). ხდებოდა ქალაქ ბათუმის დაქარბული განვითარებაც. მას არა მხოლოდ ვაჭარ-მრეწველები მოაწოდნენ დიდი რაოდენობით, არამედ სამუშაოს

მაძიებლებიც, რამაც ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა გამოიწვია და იგი ძველ ფარგლებში ვერ ჩაეცია. „ბათომი დიდად მნიშვნელოვანი ქალაქი შეიქმნა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური წარმატებისათვის. აქ აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი, ერთის მხრივ მოვაჭრე ფულის პატრონებმა და მეორეს მხრივ ლუკმას მონატრებულმა მუშა ხალხმა და გაჩაღდა ვაჭრობა, ალებ-მიცემობა, გაიხსნა მრავალი ნავთის ქარხანა და სხვა. რა თქმა უნდა წინანდელი ბათომი ვეღარ დაეცია თავის წინანდელ კალაპოტში. და აი, ბათომსაც მიემატა სულ მცირე ხანში ორი ვრცელი ადგილი ათი ათასზე მეტი მცხოვრებით. ე.წ. „გოროდოკი“ და „ბარცხანა“. ამ ადგილებში ძირითადად მუშა ხალხი ცხოვრობს” (70;1898). XX საუკუნის დასაწყისში ბათუმი სამრეწველო განვითარების მიხედვით ამიერკავკასიაში მესამე ადგილზე იყო თბილისისა და ბაქოს შემდეგ.

როგორც ავლნიშნეთ მრეწველობისა და საჭრობის სწრაფი ტემპით ზრდა შესაბამისად იწვევდა მოსახლეობის ზრდასაც. თუ 1878 წელს ბათუმის მოსახლეობა დაახლოებით 3000-ს აღწევდა, 1903 წლისათვის 30. 000 გადააჭარბა. მოსახლეობის ზრდის ტემპი ძირითადად მუშათა კლასზე მოდიოდა. ქარხნებში, ფაბრიკებში, ნავსადგურში რკინიგზის სატვირთო სადგურში, სახელოსნოებში და სხვა წვრილ საწარმოებში დასაქმებული იყო 11 ათასზე მეტი მუშა (4;52) ე.ი. სულ რაღაც ათეული წლის განმავლობაში „ბათუმი პატარა, აზიური, ფეოდალური ქალაქიდან გადაიქცა ევროპულ-კაპიტალისტურ ქალაქად, რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად, რომელიც ბაქოსა და თბილისთან ერთად ტონს აძლევდა ამიერკავკასიის კაპიტალისტურ განვითარებას (75;227). მართალია ბათუმის სამრეწველო განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, „მაგრამ ყველაფერი ეს ბაქოს ნავთობის პროდუქტების ექსპორტს ემსახურებოდა და ამდენად ადგილობრივი ნედლეულის სამრეწველო წარმოების განვითარებისათვის არ იყო მყარი საფუძველი, ექსპორტის დარგში მომხდარ შეფერხებას შეიძლება მთელი საწარმოების ერთბაშად პარალი-

ზება მოჰყოლოდა” (96;176). ბათუმის სწრაფი სამრეწველო განვითარება მოითხოვდა შესაბამის მუშახელს. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მას მოაწვდა არამხოლოდ მახლობელი სოფლებისა და რაიონების, არამედ თვით რუსეთის გუბერნიიდან გამოსული სამუშაოს მაძიებელთა არმია. ბათუმის მუშათა კონტიგენტი არაერთგვაროვანი იყო (101;93). მეტად მძიმე იყო მუშათა შრომის პირობები. „ქარხნები სავსე იყო მუშებით, რომლებიც საცოდავ პირობებში იყვნენ, მეტისმეტად იზაგრებოდნენ. ნამეტურ ჩაგვრას განიცდიდნენ ქართველი მუშები, რომლებიც ახლად გამოდიოდნენ თავიანთი სოფლებიდან და ახლად ეჩვეოდნენ მათთვის უჩვეულო მუშაობას (90;177). ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეები სარგებლობდნენ რა დასაქმების მსურველთა ჭარბი კონტიგენტით, მუშებს მეტად მძიმე პირობებში აყენებდნენ: „მუშების შრომისა და ცხოვრების პირობები მთლიანად იყო დამოკიდებული მეპატრონეზე, რომლებიც უსაზღვრო ექსპლუატაციას უწევდნენ მათ“ (67;1895). XIX საუკუნის 90-იან წლებში ბათუმელ მუშათა მდგომარეობას გაზეთი „კვალი“ ასე აღწერდა: „მუშა კი ისევ უმწეოა ცისანაბარად მიგდებული, უანგარიშო, უთვალავ უბედურება-გაჭირვებას და ვაი-ვაგლახს ითმენს ქედმოხრილი. არსაით სჩანს მისი ავადმყოფობით თავის შემწეუბნებელი, ამჟამად ნავსადგურსა და ქარხნებში შეჩერებული მუშები ცხრა ათასამდეა. საშუალო დღიური ქირა სამ აბაზს არ აღემატება... პაპანაქება სიცხე, უსაშველო ჯაფა-ტანჯვა-შრომა, საძაგელი სადგომი ფეხქვეშ აცლის ჯანმრთელობას“ (67;1895) საერთოდ მძიმე პირობებს თან ერთვოდა მუშათა ჭარბი რაოდენობით გამოწვეული უმუშევრობა, რაც უფრო საცოდავს ხდიდა მათ მდგომარეობას. „აუტანელ შრომას ეწევიან დილიდან საღამომდის და იმდენ ფულს ძლივს შოულობენ, რომ შიმშილით არ მოკვდნენ. ეს კიდევ არაფერი, სამუშაო, რომ ყველას ჰყოფნიდეს. მუშები ისე გამრავლდნენ, რომ ნახევარზე მეტი უსაქმოთა რჩებიან და გამხდარი, გაყვითლებული აჩრდილებივით დაიარებიან ქუჩებში“ (68; 1897) სამუშაოს შემცირებასთან ერთად იშვიათი არ იყო ხელფასების შემცირებაც. „ათი წლის წინათ (იგულისხმება 1892 წელი -

ვ.კ.) როტშილდის ქარხანაში მუშაობდა 4000 კაცი. მუშები გასამჯელოს 2-3 მანეთს იღებდნენ. ამჟამად იმავე სამუშაოს ასრულებს 1500 კაცი, ქარხნიდან დაითხოვეს 2500 მუშა, ხოლო ხელფასი შემცირდა 60 კაპიკამდე” (25;1) ფაბრიკა-ქარხნებში ფართოდ გამოიყენებოდა მოზარდთა შრომა, რომლებიც სრულასაკოვანი მუშების მსგავსად იყვნენ დატვირთულნი. „მანთაშევის ქარხანაში 7-8 წლის ბავშვები იმდენივე საათს მუშაობდნენ, როგორც დიდები. მანთაშევის ქარხანაში სამუშაო კვირა 105 საათს აღწევდა, ბავშვები დახლებთან მუშაობდნენ 15-16 საათს” (25;2) ასეთ უმძიმეს სამუშაო პირობებს თან ერთვისდა მუშების ფიზიკური შეურაცხყოფა, ცემა. გაზეთი „ისკრა” წერილში „მუშათა მდგომარეობა კავკასიაში. ბათუმი” იუწყებოდა: „ბათუმის ქარხნებში მუშებთან დამოკიდებულებაში გაბატონებულია მუშტით გასწორება. მუშებს სცემენ ზედამხედველები, გამგეები, მექანიკოსები და თვით დირექტორები. ამ თვალსაზრისით გამოირჩევიან მანთაშევის ქარხნის მმართველი ტერ-აკოფოვი და როტშილდის ქარხნის მექანიკოსი შტუბნერი” (66;1902) ანალოგიური ხასიათის ცნობა დაცულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმშიც (25;1). ფაბრიკა - ქარხნების მეპატრონენი და არც ხელისუფლება მუშათა ასეთ მდგომარეობას ელემენტარულ ყურადღებასაც კი არ აქცევდა. „კაპიტალისტები ხალხის მასას (იგულისხმება მუშათა კლასი - ავტ.) უყურებდნენ, როგორც მეწველ ძროხას. თვითმპყრობელური ხელისუფლება ყრუა მუშებისა და მათი ოჯახების კვნესისა და უბედურების მიმართ (26;124). ბუნებრივია ასეთ მძიმე პირობებში მყოფი მუშები პროტესტის ფორმებს ეძებდნენ და საკუთარი უფლებების დაცვისათვის ბრძოლას იწყებდნენ. მუშათა პირველი გაფიცვა ბათუმში ჯერ კიდევ 1882 წელს მოეწყო. ბათუმში მუშათა მოძრაობის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა რუსეთის იმპერიაში მიმდინარე რევოლუციურ მოვლენებს ჰქონდა. როგორც საქართველოს სხვა ქალაქებში ბათუმშიც იქმნებოდა პირველი მუშათა წრეები. ამ ეტაპზე წრეების საქმიანობას ძირითადად საგანმანათლებლო ხასიათი ჰქონდა. საქართველოში „მესამე დასის” წარმომადგენლებს (ნ. კორდანი, ფ. მახარაძე, კ. ჩხეიძე ი.

რამიშვილი) სერიოზული წვლილი მიუძღვით ბათუმში მარქსისტული იდეების პროპაგანდის საქმეში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო 1896 წელს გ. ფრანჩესკისა და ი. ლუზინის შექმნილი პირველი მარქსისტული წრე. 1898 წელს ლუზინის, ფრანჩესკისა და კალანდაძის დაპატიმრების შემდეგ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების განვითარება ბათუმში შეფერხდა, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში მან სერიოზული წარმატებები გააკეთა. 1900-1901 წლებში ბათუმში არაერთი გაფიცვა და საპირველმართო დემონსტრაცია მოეწყო. „ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის შემდეგ მალე დაიწყო მოძრაობა მუშათა მასობრივი გაფიცვების მოსამზადებლად“ (89;229). 1901 წლიდან მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით იწყება რევოლუციური აღმავლობის პერიოდი. „რევოლუციური მოძრაობის საერთო აღმავლობამ განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი ბათუმში“ (104;46) ბათუმში რევოლუციური განწყობის გაძლიერებას აღიარებდნენ ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლებიც. ქუთაისის გუბერნიის უანდარმერიის სამმართველოს უფროსის თანაშემწე ბათუმში როჟანოვი ნარკვევში „ანტისახელმწიფოებრივი მოძრაობა ბათუმის რაიონსა და გურიაში“ (უფრო სწორი იქნება აღნიშნულ ინფორმაციას ეწოდოს ანგარიში, რომელშიც აისახა ქუთაისის გუბერნიაში 1900-1901 წწ. რევოლუციური გამოსვლების მონაცემები - ავტ.) წერდა: „ბათუმი თავისი რევოლუციური და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობით წარმოადგენს ძალზე სერიოზულ პუნქტს, რომელიც უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, როგორც საპორტო ქალაქი და როგორც მეზობელი გურიის მახრასთან, რომელთანაც დაკავშირებულია რკინიგზით. გურიის „კომიტეტი,“ რომელიც ოზურგეთის მაზრის საქმეებს უძღვება, იმყოფება ქ. ბათუმში. ბათუმის გავლით შემოდის უცხოეთიდან არალეგალური ლიტერატურა, პროკლამაციები. ზემოთ აღნიშნული ცხადყოფს, რომ ქ. ბათუმი კავკასიისათვის იძენს არანაკლებ მნიშვნელობას, ვიდრე ქ. ტფილისი...“ (24;5) მუშათა მოძრაობის აღმავლობის შედეგი იყო, რომ 1901 წლის დეკემბერში ბათუმის სოციალ-დემოკრატიული წრეები ორგანიზაციულად გაერთიანდნენ და შექმნეს რუსეთის

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტი. ამ მიმართებით დიდი მუშაობა ჩაატარა თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტიდან ბათუმში მოვლინებულმა ი. ჯუღაშვილმა (77;31).

ი. ჯუღაშვილის ბათუმში ჩამოსვლის თარიღი დღემდე ზუსტად დადგენილი არ არის. ქუთაისის ჟანდარმერიის სამმართველოს მასალების მიხედვით, რომელიც უნდა ემყარებოდეს როტმისტრ ჯაყელის შეტყობინებას ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის თანაშემწისადმი ბათუმში” (18;18) სტალინი ბათუმში უნდა ჩასულიყო 1901 წლის შემოდგომაზე (28;4-5). 1901 წლის ნოემბრის დასასრულს ბათუმში ჩავიდა იოსებ ჯუღაშვილი იმ მიზნით, რომ დაერაზმა ბათუმის პროლეტარიატი, შეექმნა მემარცხენე მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და ეხელმძღვანელა მუშათა მოძრაობისათვის (81;119).

ბათუმში ი.ჯუღაშვილის ჩამოსვლა და საქმიანობა არ მოეწონა მემარჯვენე მიმართულების სოციალ-დემოკრატს კ. ჩხეიძეს რომელსაც აქ მუშათა თვითგანათლების წრეები ჰქონდა ჩამოყალიბებული, ის სტალინისაგან მოითხოვდა სასწრაფოდ დაეტოვებინა ბათუმი, უწოდებდა მას “თვითმარქვიას და პროვოკატორს”, მოუწოდებდა ბათუმელ მუშებს რომ არ აჰყოლოდნენ მის პროპაგანდას. ამ “დაპირისპირების მიზეზი ი.ჯუღაშვილის უფრო რადიკალური პოლიტიკური შეხედულებები იყო, რაც უკვე იმ პერიოდში სერიოზულად აშინებდა მემარჯვენე მიმართულების სოციალ-დემოკრატებს” (78;97).

ი. ჯუღაშვილის ბათუმში ჩამოსვლა და საქმიანობა არც პოლიციას დარჩენია შეუმჩნეველი. “იოსებ ჯუღაშვილი დაუყოვნებლივ დაუკავშირდა ბათუმელ სოციალ-დემოკრატებს, მისი პოპულარობა თანდათან მატულობდა მოსახლეობაში. განსაკუთრებით როტშილდისა და მანთაშევის ქარხნების მუშებში. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ “შეშფოთდნენ” სხვა სოციალ-დემოკრატები. განსაკუთრებით არ მოეწონათ იოსებ ჯუღაშვილის აქტიურობა კ. ჩხეიძეს, ი.რამიშვილს და ბ.სოლორაშვილს. დაიწყო მათ შორის ნამდვილი ბრძოლა”

(79;29). მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ სტალინისათვის ინტელიგენცია დაეპირისპირებინათ. ამ მიზნით კ.ჩხეიძე და ი.რამიშვილი ეწეოდნენ მის საწინააღმდეგო აგიტაციას და მსმენელებს მოუწოდებდნენ არ მოესმინათ მისთვის. ბ.სოდორაშვილი სპეციალურად მივიდა როტშილდის ქარხანაში და მუშებს ურჩია არ დასწრებოდნენ იმ შეკრებებს, რომელსაც ი.ჯულაშვილი ატარებდა (8;9). არც სტალინი ყოფილა უმოქმედოდ. მისმა ორგანიზატორულმა საქმიანობამ მალე გამოიღო შედეგი, უკვე გაუჩნდა ერთგულ თანამოაზრეთა ჯგუფი, რომელთაგან სტალინი განსაკუთრებით დაახლოებული ყოფილა როტშილდის ქარხნის მუშა სილიბიტრო ლომჯარიასთან და ქართველ მაჰმადიან ოსმან გურგენიძესთან (79;29). სტალინის საქმიანობამ განამტკიცა მუშათა დარაზმულობა და დაახქარა სხვადასხვა სოციალ-დემოკრატიული წრეების გაერთიანების პროცესი. 1901 წლის 31 დეკემბერს ს.ლომჯარიას ბინაში გაიმართა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული წრეების სხდომა, სადაც გადაწყდა, რომ შექმნილიყო გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი. აი, როგორ იგონებს იმ მოვლენების თანამონაწილე, მანთაშევის ქარხნის ყოფილი მუშა კოტე კაღანდაროვი, სტალინის ბათუმში ჩამოსვლასა და მუშათა წრეების ერთიან ორგანიზაციად ჩამოყალიბების ფაქტს: „1901 წლის ნოემბრის ბოლოს ბათუმში ჩამოვიდა ამხანაგი სტალინი. ის დროებით ჩემთან დაბინავდა. ჩამოსვლის პირველი დღეებიდან დაიწყო რევოლუციური მუშაობა ბათუმში. სტალინის ხელმძღვანელობით საწარმოებში დაიწყო სოციალ-დემოკრატიულ წრეების ჩამოყალიბება, რომლებშიც მოწინავე მუშებს აერთიანებდნენ. 1901 წლის ბოლოს ამხანაგმა სტალინმა გადაწყვიტა გაეერთიანებინა მის მიერ ჩამოყალიბებული მუშათა წრეები ერთიან სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციად. მანვე შემოგვთავაზა ახალი წლის შეხვედრის მიზეზით შეგვეკრიბა სხვადასხვა ქარხნის წრეების წარმომადგენლები და ჩაგვეტარებინა შეკრება. ეს იდეა ჩვენ მოგვეწონა... შეკრება დაინიშნა ს. ლომჯარიას ბინაზე. 31 დეკემბერს შებინდებისას ჩვენ გავწიეთ იქეთ (შეკრებას ესწრებოდნენ პ. ქურიძე, თ.



გოგიბერიძე, კ. ცერცვაძე, დ. ჩარკვიანი, კ. კანდელაკი, კ. კალანდაროვი, პ. ქიქავა, პ. ნინიძე, გ. კალაძე, ფ. ლომთათიძე, დ. ლომთათიძე, კ. დუღუჩავა და სხვა, სულ 25-30 კაცი) საღამოს განმავლობაში ამხანაგმა სტალინმა დაახლოებით 4-5 ჯერ ისაუბრა. მისი ყველა გამოსვლა ატარებდა პოლიტიკურ ხასიათს. სტალინი საუბრობდა დამაჯერებლად და გასაგებად... გამთენიისას შეკრება დასრულდა (22;25-26).

ამრიგად, 1901 წლის ბოლოს ბათუმში შეიქმნა ერთიანი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რაც დიდი მნიშვნელობის ფაქტი იყო. „ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა 1901 წელს მიანიშნებდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დიდ აღმავლობაზე საქართველოში. XX საუკუნის დამდეგისათვის, საქართველოს მეორე სამრევველო ქალაქი ბათუმში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დიდ ცენტრად იქცა (81;119). 1902 წლის დასაწყისში სტალინმა დარახველიძეების ბინაზე მოაწყო არაღვთაებური სტამბა. აქ იბეჭდებოდა პროკლამაციები, მოწოდებები, ბროშურები, რომლებიც მთელ დასავლეთ საქართველოში ვრცელდებოდა. „ბათუმის კომიტეტმა აღნიშნული სტამბის საშუალებით ისე ფართოდ გაშალა ბეჭდვითი აგიტაცია, რომ მან თავისი იდეური გავლენის ქვეშ მოაქცია ქალაქის მშრომელი მოსახლეობა (100;212) ჩატარებული მუშაობის შედეგად 1902 წელი ბათუმში არნახული რევოლუციური გამოსვლებით აღინიშნა. ბათუმის ქალაქისათვის ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი იგონებდა: „1902 წელი ბათუმის ნავთობის ქარხნის მუშათა შორის იყო რევოლუციური განწყობილებისა და სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდის აღმავლობის წელი. ამ დროს ბათუმში მთელ საქართველოში გამოიჩინებოდა მუშათა კლასის განსაკუთრებული სიმრავლისა და აქტიურობის თვალსაზრისით. აქეთ იყო მიმართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყურადღება და მნიშვნელოვანი ძალები. გასწირდა გაფიცვები მუშათა შორის, რომლებიც არა მხოლოდ ეკონომიკურ მოთხოვნებს აყენებდნენ, არამედ შორსმიმავალი პოლიტიკური მიზნებიც გააჩნდათ“ (21;21).

1902 წლის 31 იანვარს, მანთაშევის ქარხნის მუშებმა, დაახლოებით 400 კაცმა, მუშაობა შეწყვიტა, იმის გამო რომ ქარხნის მმართველმა ტერ - აკოფოვმა დაითხოვა ერთერთი მუშა ხაჯი აკოფოვი სამუშაო საათებში ამხანაგთან საუბრის მიზეზით. დათხოვნილს „ მხარი დაუჭირეს ასატურ ბაგიროვმა, გეორქ და აკოფ გეურქოვებმა. მათი წაქეზებით მუშები გაიფიცნენ. ქარხანა გაჩერდა“ (22;26). მმართველმა დასახმარებლად პოლიცია გამოიძახა, რომელთაც დააპატიმრეს 112 მუშა. ამის მიუხედავად მუშები მტკიცედ იდგნენ, მათზე არ იმოქმედა არც მუქარამ, არც ტყვიანობა დაპირებებმა . . . ისინი აცხადებდნენ, რომ არ წავიდოდნენ სამუშაოზე მანამ, სანამ არ გაათავისუფლებდნენ მათ ამხანაგებს. ერთი კვირის შემდეგ პოლიციამ მუშების დიდი ნაწილი სოფლებში გაასახლა, მაგრამ მუშები მესამე დღეს დაბრუნდნენ და მოითხოვეს დაპატიმრებულთა განთავისუფლება. მანთაშევი, რომელიც დიდ ზარალს განიცდიდა ქარხნის გაჩერებით, იშუამდგომლა დაპატიმრებულთა განთავისუფლებისათვის. პოლიცია უარს ამბობდა მუშების განთავისუფლებაზე, ისინი თქვენი მოთხოვნით დაევირეთო, მაგრამ 17 თებერვალს, ბათუმში საფაბრიკო ინსპექტორის ჩამოსვლის შემდეგ, ყველა დაპატიმრებული, ორის გარდა, გაათავისუფლეს. ქარხნის ადმინისტრაცია იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მუშათა მოთხოვნები:

1.სადილობისას შესვენება გაიზარდა 1 საათიდან 1,5 საათამდე.

2. დაითხოვეს მმართველი ტერ-აკოფოვი და სხვა უხეში ოსტატები.

3. ადმინისტრაცია მუშებს დაპირდა დარჩენილი ორი დაპატიმრებულის გათავისუფლებასაც.

4. მთელი გაცდენილი დრო, 31 იანვრიდან 18 თებერვლამდე, მუშებს მთლიანად აუნაზღაურდებოდა.

18 თებერვლიდან მუშებმა განაახლეს მუშაობა (20;13-14). მანთაშევის ქარხნის მუშების ამ გაფიცვამ ცხადყო ის დიდი პოლიტიკური მუშაობა, რომელსაც ბათუმის კომიტეტი სხვადასხვა ეროვნების მუშათა შორის ეწეოდა. სოლიდარობის სულისკვეთება, რომელიც ბათუმის კომიტეტმა ყველა ქარხნის

მუშებში დანერგა, უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ადგილობრივი პოლიცია” (114;88) მანთაშევის ქარხნის მუშათა წარმატებამ იმედი ჩაუსახა სხვა ქარხნების მუშებს. თებერვალში გაიფიცა როტშილდის ქარხანა. გაფიცვის მიზეზი შემდეგი იყო: ქარხნის დირექტორმა ვანშტეინმა განკარგულება გასცა დაეთხოვათ ძველი მუშები (დაახლოებით 420 კაცი), როგორც არაკეთილსაიმედო პირები. 28 თებერვალს ქარხნის ყველა მუშა (დაახლოებით 1500 კაცი), გარდა სატყეო მასალების საწოების მუშებისა, სადაც უპირატესად თურქები მუშაობდნენ, გაიფიცა. 2 მარტს მათ აიძულეს მუშაობა შეეწყვიტათ მემანქანებს და ელექტროგანყოფილების მუშებს, რითაც შეაჩერეს რეზერვუარებიდან გემებში ნავთობის გადატვირთვა. 6 მარტს გაფიცულებს შეხვდა სამხედრო გუბერნატორი დრიაგინი, რომელმაც მართალია მუშებს მოუსმინა, მაგრამ მათ სამხედრო ყაიდაზე უბრძანა: „თუ ხვალ სამუშაოზე არ გამოხვალთ, მკაცრ ღონისძიებებს მივიღებო“. მუშებმა უკან არ დაიხიეს. 7-8 მარტს ღამით დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს 32 კაცი. ქარხნის საწოლები და ადმინისტრაციული შენობა პოლიციამ განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანა. „8 მარტს შეადღისას შეიკრიბა 800 მდე ადამიანი და კოლონებად დაწყო ბილინი გაემართნენ პოლიციების-ტერისაკენ მოთხოვნით - ან ჩვენც დაგვაპატიმრეთ, ან ჩვენი ძმები გაათავისუფლეთ“ (19;5) პოლიციის მოთხოვნას, რომ დაშლილიყვნენ, მუშები ყურადღებას არ აქცევდნენ და კვლავ თავიანთ მოთხოვნას იმეორებდნენ. პოლიციამ მუშები ალყაში მოაქცია, გამოიძახეს სამხედრო ნაწილებიც. ჯარისკაცებმა ხიშტებით სცადეს მუშების დაშლა, მაგრამ უშედეგოდ. მართალია 2 მუშა დაიჭრა, მაგრამ ისინი არ დაემორჩილნენ და 5-6 ჯარისკაცს თოფებიც კი წაართვეს. ბოლოს იმ პირობით, რომ ყველანი ყაზარმებში წავიდოდნენ, მუშებმა მიაღწიეს დაპატიმრებულთა განთავისუფლებას. ასე დამთავრდა 8 მარტის მანიფესტაცია.

მეორე დღეს, დილით როტშილდის, მანთაშევის, სიდერიდისის და სხვა ქარხნების მუშები, დაახლოებით 2000 კაცი სიმღერით მიუახლოვდა ყაზარმებს და მოითხოვეს მუშათა

განთავისუფლება. ამ მოვლენების მონაწილე ქსენოფონტე ანტონის ძე ზამბახიძე იგონებს: „მე მაშინ კავკასიის მეშვიდე ბატალიონში ვმსახურობდი, რომელიც ქალაქ ბათუმში იდგა . . . მარტის 8 რიცხვი იყო, როცა მოვიდა ციხე-სიმაგრის კომენდანტის განკარგულება - 150 კაცამდე, საომრად გამზადებული, გაყვანილ ყოფილიყო ქალაქის ციხესთან. განკარგულება სასწრაფოდ იქნა შესრულებული... მე მაშინ უმცროსი უნტერ-ოფიცერი ვიყავი და ერთ განყოფილებას (ათეულს) ვხელმძღვანელობდი. მივედით ციხესთან, მუშებით გაჭვდილი იყო იქაურობა, ყვიროდნენ, მოითხოვდნენ პატიმრების განთავისუფლებას. ჩვენ განკარგულება მოგვცეს გაგვევანტა მუშები, მაგრამ ჩვენ ეს ვერ შევძელით. მუშები გვესროდნენ ქვებს, გვიწევდნენ ხელით წინააღმდეგობას. ბოლოს ადმინისტრაციამ უკანასკნელი მოთხოვნის დაკმაყოფილება გადაწყვიტა და რადგან ყველას ციხეში მოთავსება არ შეიძლებოდა, გამოიყვანეს ციხიდან წინა დღეებში დაპატიმრებული მუშები, შეუერთეს გარე მყოფთ და მათთან ერთად წავიყვანეთ წითელ ყაზარმებში, პუშკინის ქუჩაზე. გზაზე ბევრი ჩამოსცილდა, ჩვენც არ ვაქცევდით ყურადღებას, ყაზარმებამდე 300-400 კაცი მიგვეყვა. დამე მშვიდობიანად გავიდა. დილის 10 სათზე მივიღეთ განკარგულება და კაპიტან ანთაძესთან ერთად პირდაპირ წავედით წითელი ყაზარმებისკენ. ზღვა ხალხი დავინახეთ. აქ იყვნენ არამარტო ქარხნის მუშები, არამედ ქალები, მოხუცები . . . ისინი მოითხოვდნენ პატიმრების განთავისუფლებას და იმუქრებოდნენ” (20;67-69). მუშები არანაირ მოთხოვნას არ დაემორჩილნენ. პირიქით, „სამინელი ქვის სროლა აუტეხეს საღდათებს, ზოგიერთმა რევოლვერიც დაცალა” (69;1902). კაპიტანმა ანთაძემ ბრძანება გასცა ესროლათ შეკრებილთათვის. დაიღუპა 16, დაიჭრა 54 კაცი, მსუბუქად დაჭრილები მიიმალნენ (27;12).

დემონსტრაციის დახვრეტის დროს დაღუპულთა განსხვავებული რაოდენობაა ნაჩვენები 1936 წელს შედგენილ აქტში, რომელსაც ხელს აწერენ 1902 წლის 9 მარტის მოვლენების მონაწილენი: კონსტანტინე კანდელაკი, პორფირე ქურიძე, კოტე კაღანდაროვი, დომენტი ვადაჭკორია, თეოფილე გოგიბერიძე და

ბარნაბა დოლიძე. აქტის მიხედვით სულ დაიდუბა 11 კაცი, რომელთა შორის უმრავლესობა როტშილდის ქარხნის მუშები იყვნენ (23;1):

1. ბახტაძე ამბროსი – როტშილდის ქარხნის მუშა
2. პერტია მარკოზი – როტშილდის ქარხნის მუშა
3. შანიძე სიმონი – როტშილდის ქარხნის მუშა
4. შანიძე ანდრეი – როტშილდის ქარხნის მუშა
5. ყუფარაძე მიხაკო – როტშილდის ქარხნის მუშა
6. შუბლაძე (სახელი უცნობია -ავტ.) – როტშილდის ქარხნის მუშა
7. მურადოვი აბრამ – როტშილდის ქარხნის მუშა
8. იორდანი (დი? – ავტ.) – როტშილდის ქარხნის მუშა
9. კოპალეიშვილი ერმილე – ხანატურიანცის ქარხნის მუშა
10. სკენდერ (სახელი უცნობია – ავტ.) – ხანატურიანცის ქარხნის მუშა

11. სულავა ანდრეი – შემთხვევით გამგელები  
გამოჩენილი აქტიურობისათვის კაპიტანი ანთაძე დააჯილდოვეს და მალე პოდპოლკოვნიკის ჩინი მისცეს (20;72) დაღუპულები 12 მარტს დაკრძალეს. მათ ცხედრებს 5000 მეტი ადამიანი მიაცილებდა. სასაფლაოზე მუშებმა შემდეგი ხასიათის პროკლამაცია გაავრცელეს: „დიდება თქვენ, სიმართლისათვის დაღუპულებო, დიდება თქვენს დედებს... დიდება თქვენ, რომლებიც სიკვდილის წინ გაფერმკთალეული ტუჩებით მოგვიწოდებდით ჩვენ ბრძოლისაკენ, დიდება თქვენს აზრდილებს, რომლებიც თავს დაგვტრიალებენ და ჩაგვძახიან: „ შური იძიეთ“ (19;7).

სისხლიანი ანგარიშსწორების მიუხედავად ხელისუფლება კვლავ აგრძელებდა რეპრესიებს. გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, ადმინისტრაციული წესით ასობით მუშა გაასახლეს ბათუმიდან, დაიწყო გამოსვლების ორგანიზატორთა ძებნა-დაპატიმრებები. პოლიცია გააფთრებით დაეძებდა ი.ჯუღაშვილს, რომელიც მოგვიანებით დააპატიმრეს. 1902 წლის 6 აპრილს ბათუმის მე-4 უბნის პრისტავი ჩხიკვაძე მოახსენებდა ბათუმის პოლიცემისტერს: „გუშინ, დამის 12 საათზე დასახლება ლიმან-

მეღეში, მანთაშევის ქარხნის მუშა დარისპან დარახველიძის ბინაში აღმოჩნდნენ: გორის სასულიერო სემინარიიდან გარიცხული იოსებ ჯუღაშვილი, ვანო რამიშვილი და ქუთაისის მაზრის მცხოვრები, მუშათა მოძრაობის მონაწილე კონსტანტინე კანდელაკი. ჯუღაშვილი და კანდელაკი დაპატიმრებული არიან ბათუმის ციხეში, რამიშვილი და დარახველიძე კი განთავისუფლებულნი არიან" (25;2). იოსებ სტალინი ბათუმის ციხეში დარჩა 1903 წლის 19 აპრილამდე რის შემდეგაც სხვა პატიმრებთან ერთად გადაიყვანეს ქუთაისის ციხეში. 1903 წლის 9 ივლისს უმაღლესი განკარგულებით იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი სახელმწიფო დანაშაულისათვის (მას ბრალი ედებოდა 1902 წლის 9 მარტის ბათუმის გამოსვლების ორგანიზებაში - ავტ.) სამი წლის ვადით ციმბირში იქნა გასახლებული პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ (25;16-17).

მიუხედავად დამარცხებისა, 1902 წლის 9 მარტის გამოსვლა მნიშვნელოვანი ფურცელია ბათუმის და საერთოდ საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში. მან დიდი როლი შეასრულა მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის შემდგომი გაძლიერების საქმეში.

პოლიცია ცდილობდა დაემალა ეს სისხლიანი ფაქტი, მაგრამ ვერ შეძლო." ბათუმის მუშათა კლასის 9 მარტის დემონსტრაციას დიდი რეზონანსი ჰქონდა არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ მთელ რუსეთშიც" (100;214).

1902 წლის 9 მარტის მუშათა გამოსვლა ეს იყო ყველაზე უფრო ძლიერი გამოსვლა მუშებისა 1900 წლიდან 1905 წლამდე (77;35). ამ ფაქტმა შეაშფოთა თვით კავკასიის მთავარმმართველი გოლიცინი. ბათუმში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში შემოღებული იქნა გაძლიერებული დაცვა, რომელიც წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა, ხოლო 1903 წლის 4 სექტემბრიდან კიდევ ერთი წლით გააგრძელეს (1;19). დაიწყო დაპატიმრებები და პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პირთა ადმინისტრაციული წესით გადასახლება რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში (6;40). საგანგებო მითითებები მიეცათ სახლის-მფლობელებს, სასტუმროებისა და ყავახანების მეპატრონეებს.

1902 წლის 24 აგვისტოს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისადმი გაგზავნილ მოხსენებაში ბათუმის პოლიციისტივერი წინადადებას იძლეოდა, რათა: "სახლის-მფლობელებმა, სასტუმროებისა და თურქული ყავახანეების მკაპრონებმა გნსაკუთრებით მკაცრად თვალყური ადევნონ, რათა სახლებში და სხვა ნაგებობებში არ ინახებოდეს საიდუმლო ტიპოგრაფია, ასაფეთქებელი მასალები, მთავრობის საწინააღმდეგო გამოცემები და ცეცხლსასროლი იარაღი. სახლებში არანაირი მიწის სამუშაოები არ უნდა შესრულდეს პოლიციის უნებართოდ" (1;24) მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან მკაცრი ღონისძიებებისა, მუშათა გამოსვლების დათრგუნვა შეუძლებელი იყო. ამას ვერც ადგილობრივი მესვეურები მაღავედნენ. 1903 წლის 26 ივლისის მოხსენებაში ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი ატყობინებდა კავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს კანცელარიის უფროსს: "... დილით 17 ივლისს მუშათა შორის არანაირი მოძრაობა არ შეინიშნებოდა. მუშაობა დაიწყო დილის 6 საათზე. 8 საათზე, როცა ჩვეულებრივ არის საუზმის წინა შესვენება, ყველა ქარხნის მუშებმა დემონსტრაციულად დატოვეს რა სამუშაო, დაიძრნენ ქალაქის ცენტრისაკენ რკინიგზის სასაქონლო სადგურის გავლით და აიძულეს სადგურის მუშები შეეწყვიტათ სამუშაო... მომდევნო დღეს, 18 ივლისს, ქალაქში ყველა მაღაზია იყო დაკეტილი, არ გამოსულან მეეტლეებიც. თბილისის ქუჩაზე შეიკრიბა 1500-2000 კაცამდე, რომელთაც ჰქონდათ წითელი დროშა..." (2;48-49) მანიფესტანტებს კაზაკებმა ცეცხლი გაუხსნეს. დაიჭრა ორი ადამიანი, მათ შორის ერთი სასიკვდილოდ. მართალია პოლიციამ და კაზაკებმა შეკრებილი მუშები გაფანტეს, მაგრამ ვითარება მაინც მძიმე იყო. ბათუმის სამხედრო გუბერნატორი წერდა: ".... ამჟამად მე შეშფოთებული ვარ ცნობებით აგიტატორთა საქმიანობის შესახებ ბათუმის მუშებში. ასევე იმ მუშების რაოდენობით, რომლებიც არ გამოცხადნენ სამუშაოზე 23 რიცხვში..." (2;50) შექმნილ ვითარებას გუბერნატორი შემდეგნაირად ხსნის: "აგენტთათვის თანხის არარსებობა და პოლიციის მცირერიცხოვნება და განსაკუთრებით მოძრაობის გააქტიურება ბოლო 2 წლის

მანძილზე და ის შიში, რომელშიც მოძრაობის მეთაურებს ჰყავთ მუშები, პოლიციას უღონოს ხდის ძირფესვიანად ამოძირკვოს ეს ბოროტება მუშათა წრიდან..." (2;51) თანდათან ხელისუფლების მცდელობამ გარკვეული შედეგი გამოიღო. მუშათა გამოსვლები გარკვეულწილად შესუსტდა. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი მიხეილ ნიკოლოზის ძე დრიაგინი 1903 წლის საანგარიშო მოხსენებაში წერდა: "მიხაილოვსკის ციხის გარნიზონის, პოლიციისა და უანდარმერიის შეთანხმებული და დროული მოქმედების წყალობით შესაძლებელი გახდა საანგარიშო წლის ზაფხულში დაწესებული უწესრიგობების დათრგუნვა და ბოროტგანმზრახველ პირთა ისე პარალიზება, რომ ქუჩის უწესრიგობები კარგა ხანია არ მომხდარა. გატარებული მუშაობის შედეგად ბევრი მუშა გონს მოეგო და პროტესტი გამოუცხადა საკუთარ მეთაურებს. ასეთი გათიშვა მუშებისა, ასევე არაკეთილსაიმედოთა უმრავლესობის გადასახლება მხარიდან, ჩანს მოგვეცემს სასურველ შედეგებს..."(7;3-4)

საქმე მთლად ისე არ ყოფილა, როგორც ამას წარმოადგენდა გენერალი დრიაგინი. მართალია ბათუმში მუშათა გამოსვლები გარკვეული დროით შესუსტდა, მაგრამ იგი მაღე ახალი ძალით გაიშალა. ამას ადასტურებს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის 1904 წლის 12 აპრილს კავკასიაში სამოქალაქო საქმეთა მმართველის კანცელარიის დირექტორისადმი გაგზავნილი წერილი: "1903 წლის 20 ივნისს უმაღლესი განკარგულებით ქალაქ ბათუმში შემოდებული გაძლიერებული დაცვის მდგომარეობა გაგრძელდა კიდევ ერთი წლით. ამ ვადის გასვლის დროისათვის პროპაგანდა ქალაქ ბათუმში არა თუ შეწყდა, პირიქით გაძლიერდა უწესრიგობები"(1;71).

მართლაც, არაერთი საარქივო დოკუმენტი ადასტურებს, რომ 1904 წლის დასაწყისიდან მუშათა მოძრაობა ახალი ძალით გაიშალა. 1904 წლის 4 თებერვლიდან მუშაობა შეწყვიტეს "მანთაშევისა და კომპანიის" ქარხნის მუშებმა. 12 თებერვალს მათ შეუერთდნენ როტშილდის ქარხნის მუშები (3;3). 1904 წლის 9 მარტს, 2 წლის წინათ დაღუპული მუშების ხსოვნის პატივსა-



ცემად ბათუმის ყველა ქარხანამ შეწყვიტა მუშაობა. 20 მაისს გაიფიცნენ კაპლანის სპილენძსასხმელი ქარხნის მუშები (3;19) იმავე წლის 26 მაისს, მუშაობა შეწყვიტა პასეკის ქარხნის მუშებმა და მოითხოვეს არასანდლობის მიზეზით დათხოვილი 5 მუშის დაბრუნება და ხელფასის მომატება. 1 ივნისს გაიფიცნენ ხანატურიანცის ქარხნის მუშები (3;27) მუშათა აქტიურობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ისინი ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობილებას გამოხატავდნენ ყველგან, თვით დაკრძალვის დროსაც. ბათუმის ოკრუგის უფროსი 1904 წლის 11 დეკემბერს ატყობინებდა ოლქის გუბერნატორს: "დღეს, საღამოს 5 საათზე, მართლმადიდებლურ სასაფლაოზე კრძალავდნენ ქართველ ქალს გვარად შაფათავას. წესრიგის დასაცავად სასაფლაოზე გაიგზავნა 5 პოლიციელი. ადგილზე მისულებმა დაინახეს რომ კუბოს წინ შეკრებილიყო საკმაოდ დიდი ჯგუფი (1000-ზე მეტი კაცი) რომელთაც ვინმე ქალი უკითხავდა პროკლამაციას. მან წარმოთქვა: "ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს თავისუფლებას." პოლიციელთა მოთხოვნაზე შეეწყვიტა კითხვა, ხალხმა მღელვარება დაიწყო და პოლიციელები იძულებულნი გახდნენ 30-მდე გაესროლათ, რათა ბრბო დაეშალათ ( 9;1).

ხელისუფლების რეპრესიული ღონისძიებების მიუხედავად რევოლუციური აქტიურობა ბათუმში არ შენებულა. მუშათა გამოსვლები უფრო და უფრო პოლიტიკურ ხასიათს იძენდა. ბათუმში, როგორც საპორტო ქალაქში უცხოეთიდან შემოდის აკრძალული ლიტერატურა, მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები (16;28), რომელიც შემდეგ მთელ დასავლეთ საქართველოში ვრცელდებოდა. პოლიციის მონაცემებით, ნავთობის ექსპორტიორ გემებს უცხოეთიდან შემოჰქონდათ იარაღიც (17;33). თანდათან ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდა აჭარის მაღალმთიან სოფლებსაც სწვდებოდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო რევოლუციური მოძრაობის თვალსაზრისით აქტიურ გურიის რეგიონთან სიახლოვე. ბათუმის სამხედრო გუბერნატორი 1904 წლის 4 ივნისს საიდუმლოდ ატყობინებდა კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მმართველის კანცელარიას: "მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდა გურიიდან ცდილობს

შემოადწიოს აჭარაში. ჩემს მიერ მიღებული ცნობებიდან ჭვანის და ღორჯომის ხეობებში, საერთოდ ზემო აჭარაში გამოჩნდნენ გარკვეული ბნელი პიროვნებები და მოუწოდებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას არ შეასრულონ ვალდებულებები და საერთოდ ცდილობენ ააღელვონ მოსახლეობა... 1903 წლის შემოდგომაზე ღორჯომის ხეობაში მოვიდა ვილაც ქართველი და მოსახლეობას უკითხავდა პროკლამაციას: "რომ მოსახლეობა ტყუილად უხდის ხაზინას გადასახადს, რადგან ეს ფული მიდის მეფის და მისი ოჯახის შენახვაზე, ასევე ჩინოვნიკებზე, რომ ეს ადამიანები ხალხს არ სჭირდებოდა, რომ ყველა ადამიანი უნდა იყოს თანასწორი (5;9).

ფაქტია, რომ 900-იან წლებში ბათუმში მუშათა მოძრაობის აღმავლობის საქმეში გადამწყვეტი როლი 1902 წლის 9 მარტის მოვლენებმა შეასრულა. 9 მარტი ბათუმელი მუშებისათვის ერთგვარ სოლიდარობის სიმბოლოდ იქცა, ყოველ 9 მარტს ეწეობოდა მანიფესტაციები თუ საპროტესტო გაფიცვები, რომლებიც ხშირად პოლიციასთან შეტაკებით მთავრდებოდა (2;48-49, 24;56).

### **§ III ბათუმის ოლქის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის აღდგენა**

1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ხელი მოაწერა ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მმართველობის დროებით დებულებას, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელსაც სათავეში სამხედრო გუბერნატორი ეყოლებოდა. ბათუმის ოლქის პირველი სამხედრო გუბერნატორი გახდა გენერალ-მაიორი კონსტანტინე ბესარიონის ძე კომაროვი (121;105). ბათუმის ოლქი დაიყო სამ ოკრუგად:

ა) ბათუმის ოკრუგი – ბათუმის, კინტრიშის და გონიოს უბნები

ბ) ართვინის ოკრუგი - არტანუჯის, ართვინისა და შავშეთის უბნები

გ) აჭარის ოკრუგი - ზემო აჭარის, ქვემო აჭარის და მაჭახლის უბნები (134;122).

ბათუმის ოლქის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფით რუსეთის ხელისუფლება ორ მიზანს ისახავდა: ჯერ ერთი, ამათ ხელი შეეშლებოდა აჭარის დანარჩენ საქართველოსთან შერწყმის (როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად-ავტ.), ბუნებრივ პროცესს; მეორე - ხელისუფლება უფრო სწრაფად მოახდენდა აჭარის (და საერთოდ ბათუმის ოლქის - ავტ.) კოლონიზაციას. მთავრობა მალე დარწმუნდა, რომ ამ მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებები არასაკმარისი იყო. ცარიზმს აშკარად არ აკმაყოფილებდა ბათუმის ოლქის კოლონიზაციის ტემპები (37;24). ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის შენახვა მთავრობას არც თუ მცირე თანხა უჯდებოდა. "ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის ხარჯები, სასამართლოსა და სხვა სპეციალური დაწესებულებების გარდა ხაზინას ყოველწლიურად უჯდება 219,419 მანეთი, (125;1882). XIX საუკუნის 80-იან წლებში კავკასიის მართვა-გამგეობის ხარჯების შემცირების მიზნით მომზადდა რეფორმები როგორც ცენტრალურ აპარატში, ისე ადმინისტრაციულ მოწყობაში. ასეთ ვითარებაში გაჩნდა ბათუმის ოლქის გაუქმებისა და მისი ქუთაისის გუბერნიასთან შეერთების იდეა. საკითხის ასე გადაწყვეტა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ხარჯებისაგან გაათავისუფლებდა. "ოლქის ცენტრალური მმართველობა შეიძლება გაუქმდეს საქმისადმი ყოველგვარი ზიანის გარეშე... ამ გზით სახელმწიფო შეამცირებს ხარჯებს 173.349 მანეთით"- წერდა "კავკაზი" (125;1882). ხელისუფლებას მოეწონა აღნიშნული მოსაზრება და ბათუმის ოლქის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო. როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული, ბათუმის ოლქი, რუსეთთან შეერთების შემდეგ არსებობდა დაახლოებით 4 წელს. 1883 წლის 12 ივნისს მისი უდიდებულესობის დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით განისაზღვრა მისი შეერთება ქუთაისის გუბერნიასთან. რითაც გაუქმდა საოლქო

მმართველობა და ჩამოყალიბდა ორი ოკრუგი – ბათუმის და ართვინის“ (37;4). ბათუმის ოლქის გაუქმებამ გამოიწვია გარკვეული ცვლილებები მმართველობის სფეროში. “1883 წლის 12 ივნისი. სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით განისაზღვრა ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთება, რითაც გაუქმდა ოლქში არსებული მმართველობა და ჩამოყალიბდა ორი ოკრუგი – ბათუმის და ართვინის, რომელიც დაიყო 7 უბნად. ამავე გადაწყვეტილებით ქუთაისის გუბერნატორს ეწოდა სამხედრო გუბერნატორი და შემოღებული იქნა სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის თანამდებობა” (31;2). ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწე ბათუმში იჯდა. რეფორმის შემდეგ ბათუმში საპოლიციო აპარატი არა თუ შემცირდა, პირიქით, უფრო გაიზარდა. ქალაქში შემოიყვანეს დამატებითი სამხედრო ნაწილები.

სულ მალე ცხადი გახდა, რომ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად ცარიზმის მზაკვრული მიზანი – ბათუმი წმინდა რუსულ ქალაქად გადაქცეულიყო, ხოლო აჭარა საერთოდ მოწყვეტოდა ქართულ სამყაროს – განუხორციელებელი დარჩა. “ცარიზმის ერთგულმა გუშაგებმა გვიან იგრძნეს ეს მარცხი და ამის უმთავრეს მიზეზად 1883 წლის რეფორმის შედეგად ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთება მიიჩნიეს (100;83).

რუსეთის ხელისუფლების სურვილი, სწრაფად მოეხდინა აჭარის კოლონიზაცია, მიუღწეველი იყო. ეს მაშინ, როცა ბათუმის ოკრუგი (ე.ი.აჭარა-ავტ.) მთელს ქუთაისის გუბერნიაში ყველაზე არამჭიდროდ დასახლებული მხარე იყო. ქუთაისის გუბერნიის 1892 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: “ყველაზე მცირერიცხოვანი დასახლებები არის ბათუმის ოკრუგში. თუ საშუალოდ გუბერნიაში ერთ დასახლებაზე მოდის 87 კომლი 530 მცხოვრებით, ბათუმის ოკრუგში ეს ციფრი შესაბამისად შეადგენდა 28 კომლს და 157 მცხოვრებს” (36;2). ამის მიუხედავად, გადმოსახლებული “ერთგული ელეემენტის” რაოდენობა არც ისე ბევრი იყო, ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებდნენ რუსი მოხელეები, “ბათუმის და ართვინის ოკრუგში მოსული მოსახლეობა არის უმნიშვნელო. სულ არის

ორი რუსული დასახლება – ერთი ჩურუქსუსთან, სადაც მოახალშენეებს გამოეყოთ 11 დესეტინა მიწა თითო კომლზე, და მეორე – ხოლოდნაია სლობოდა ბათუმთან ახლოს. აქ მხოლოდ მამულისათვის გამოეყოთ მიწები (35;4). საქმე მთლად ასე როდი იყო. ჯერ ერთი რუსი კოლონისტები ძნელად ეგუებოდნენ ადგილობრივ კლიმატურ თუ საყოფაცხოვრებო პირობებს, მეორეც მათ სურდათ მხოლოდ ზღვისპირა ზოლში დასახლება, სადაც თავისუფალი მიწები უკვე იმ დროს ძნელად იშოვებოდა. ამით იყო გამოწვეული XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბათუმის სამრეწველო განვითარების მასშტაბებმა, და ჩაქვში საუფლისწულო მამულის დაარსებამ, რაც თავის მხრივ დიდი რაოდენობით მუშახელს მოითხოვდა, ხელისუფლებას ზემოთ აღნიშნული “ნაკლოვანების” გამოსწორების საშუალება მისცა.

1896 წელს დონდუკოვ-კორსაკოვის შემდეგ კავკასიის მთავარმართებელი გახდა გენერალი გოლიცინი. (იგი მთავარმართებელი იყო 1896-1904 წლებში – ავტ.) ახლადდანიშნული მთავარმართებელი აკრიტიკებდა 1883-1885 წლების რეფორმის ორგანიზატორებს, რომელთა ძირითად მიზანს მხარის მართვა-გამგეობის ხარჯების შემცირება შეადგენდა” (84;86). გოლიცინი სასტიკად ილაშქრებდა ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთების წინააღმდეგ. მიანდა, რომ ეს ხელს უწყობდა არა მარტო მაჰმადიან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამძღვრებას, არამედ გააძლიერებდა ქართველთა კონსოლიდაციის პროცესს. ეს კი ნამდვილად არ შედიოდა კოლონიური პოლიტიკის თანმიმდევრულად გამტარებელი მთავარმართებლის ინტერესებში. ამას დაემატა ისიც, რომ XIX საუკუნის დამლევიდან ბათუმი მუშათა მოძრაობის მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა. კავკასიის ადმინისტრაცია რევოლუციური გამოსვლების გაძლიერებისა და მის წინააღმდეგ არაეფექტური ბრძოლის მიზეზს ბათუმში ადმინისტრაციული ცენტრის არ არსებობაში ხედავდა.

ბათუმის ოლქის აღდგენის საკითხი დღის წესრიგში ჯერ კიდევ 1900 წელს დამდგარა. ამას ადასტურებს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კავკასიის მთავარმართებლის

კანცელარიაში 1900 წლის 23 ოქტომბერს გაგზავნილი წერილი N 4821, რომელშიც ნათქვამი იყო: "თქვენო უმაღლესობავ, ქუთაისის გუბერნიიდან ბათუმისა და ართვინის ოკრუგების გამოყოფა ვცანით სასარგებლოდ და აუცილებლად" (38;1).

აღნიშნულ საკითხზე საქმის კურსში ყოფილა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებაც, რასაც მოწმობს პეტერბურგიდან თბილისში, მთავარმართებელთან 1901 წლის 24 აპრილს გამოგზავნილი წერილი: "თქვენს მაღალკეთილშობილებას ვაცნობებთ, რომ ბათუმიდან ჩვენთან მოდის მეტად შემადრწუნებელი ამბები. იქ ძალადობასა და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას საზღვარი არა აქვს. თქვენთვის ისიც არის ცნობილი, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ჩვენი იმპერიისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან და სტრატეგიულად სასიცოცხლო მხარეს. ამიტომ, ჩვენთვის ყოველად მოუთმენელია ამ კუთხის აგრე უყურადღებოდ მიტოვება. გუბერნიის ხელმძღვანელობას ვერ გაუთავისებია ის მნიშვნელობა, რომელსაც ბათუმის ოლქი წარმოადგენს ჩვენთვის. ადგილობრივი მოსახლეობა ჩვენი მთავრობის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით გამოირჩევა და როდესაც დაინახავს, რომ ჩვენი ხელისუფლება არ იცავს მათ ინტერესებს, შესაძლებელია ზურგი გვაქციოს და ჩვენ უნდობლობა გამოგვიცხადოს. ეს კი ჩვენთვის ნამდვილად არ არის ხელსაყრელი. ამიტომ, გთხოვთ დავიწყოთ ფიქრი, რომ ბათუმის ოლქი გამოვიდეს ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობიდან" (29;24). მაღალი რანგის მოხელეთა დიდი სურვილის მიუხედავად ერთბაშად ამ საკითხის გადაწყვეტა მაშინ შეუძლებელი გახდა.

1902 წლის 9 მარტის მოვლენებმა კვლავ განსაკუთრებული აქტუალობით დასვა ბათუმის ადმინისტრაციული სტატუსის აღდგენის საკითხი. იმპერატორის კანცელარიიდან მთავარმართებლის სახელზე გამოგზავნილ წერილში აღნიშნული იყო როგორც ჩანს თქვენ ვერ იმოქმედეთ ისე, რომ უმოკლეს დროში გადაწყვეტილიყო ბათუმის ოლქის ცალკე გუბერნიად ჩამოყალიბების საკითხი. სწორედ ეს უმოქმედობა გახდა მიზეზი 1902 წლის 9 მარტის სისხლისღვრისა. ამჟამად, მგონი აღარ გამოინახება იმის საბაბი, კიდევ გადაიდოს ეს

უმნიშვნელოვანესი საკითხი. დროის მოგების მიზნით. ამიტომ, გთხოვთ, დაუყოვნებლივ წარმოადგინოთ პროექტი ბათუმის ოლქის ცალკე გამოყოფის თაობაზე (15;46). ოფიციალური ბათუმის ოლქის გამოყოფის ასეთნაირად ასაბუთებდა: "1883 წელს ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთება იყო ხელოვნური და მექანიკური გაერთიანება ერთ მმართველობაში ორი პრინციპულად განსხვავებული სისტემისა და აბსოლუტურად სხვადასხვაგვარი ადგილებისა და ამ დონისძიებამ შეაფერხა ახლად შემოერთებული ოლქის განვითარება ყველა მიმართულებით და მოუტანა ხაზინას ზარალი, რომელიც აჭარბებდა ეკონომიას, მიღებულს დამოუკიდებელი ბათუმის ოლქის მმართველობის გაუქმებით.

ნამდვილად, მეოთხედი საუკუნის განმავლობაში რუსულმა მმართველობამ ამ მხარეში თითქმის უკვალოდ ჩაიარა ჩვენი სახელმწიფო ინტერესებისათვის. ამის ძირითად მიზეზად უნდა ჩავთვალოთ 1883 წლის რეფორმა, რომელმაც ელემენტარული ეკონომიის ძიებაში შეამცირა ადგილობრივი ადმინისტრაციის შემადგენლობა, შეასუსტა ეს ზემოქმედების ერთადერთი იარაღი მხარეში.

ამის შედეგად ადმინისტრაციული ზემოქმედება ძალზე სუსტი იყო... რითაც ეს ოლქი პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით სრული უძრაობისათვის აღმოჩნდა განწირული (31;2). ეს სიტყვები ნათლად აჩვენებს რუსეთის ხელისუფლების ნამდვილ დამოკიდებულებას საქართველოსადმი.

1903 წლის 17 მარტს იმპერატორმა ნიკოლოზ 11 ხელი მოაწერა ბათუმის ოლქის აღდგენის შესახებ დადგენილებას. 1903 წლის 17 მარტს მისი უმაღლესობის დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს წინადადების საფუძველზე იმავე წლის 1 ივნისს ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობიდან მასთან შეერთებული ბათუმისა და ართვინის ოკუპაციები გამოიყო დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად, სამხედრო გუბერნატორის მმართველობით. ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვრა ქ.ბათუმი" (37;4).

ბათუმის ოლქის დამოუკიდებლობის აღდგენას ცარიზმის მხრიდან შორს გამიზნული გეგმები ჰქონდა. იმპერიის

მესვეურები შეშფოთებული იმით, რომ ბათუმში თავი მოიყარა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა მთავრობისადმი "არასაიმედო" მასამ, ცდილობდნენ ბათუმის ოლქი გადაექციათ რუსული შოვინისტური პოლიტიკის გატარების ეპიცენტრად"(79;34).

ახლადგამოყოფილი ბათუმის ოლქის საზღვრები ასეთი იყო: ჩრდილოეთიდან – ქუთაისის გუბერნია, აღმოსავლეთიდან – თბილისის გუბერნია და ყარსის ოლქი, სამხრეთიდან – თურქეთი (კერძოდ ლაზისტანის სანჯაყი), დასავლეთიდან – შავი ზღვა. ახალ ოლქს ეჭირა 6195 კვ.კერსი. ადმინისტრაციული თვალსაზრისით ახალი ოლქის ორი ოკრუგი – ბათუმის და ართვინის – იყოფოდა 7 უბნად. ბათუმის ოკრუგში ოთხი უბანი იყო: კინტრიშის, გონიის, ქვედა – აჭარის და ზედა – აჭარის; ართვინის ოკრუგში სამი უბანი იყო: ართვინის, არტანუჯის და შავშეთ-იმერხევის და ერთი საპრისტავო ართვინში. თითოეული უბანი იყოფოდა 24 სასოფლო ოკრუგად, რომელიც იმართებოდა თავად გოლიცინის მიერ 1900 წლის 22 ივლისს დამტკიცებული დებულების შესაბამისად (31;2, 30;1, 34;45-46).

ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისის ბათუმის აქტიურმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ დააჩქარა რუსეთის ხელისუფლების განზრახვის – ბათუმის ოლქის აღდგენა – სისრულეში მოყვანა.



### თავი III აჭარის ეკონომიკური განვითარება 1878-1903 წლებში

#### § I ეკონომიკური მდგომარეობა აჭარაში რუსეთთან შეერთების წინ

აჭარა ისტორიულად საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ მხარეს წარმოადგენდა აჭარა და საერთოდ ჭოროხის აუზი, მტკვრისა და არაქსის ზემო დინებებთან ერთად ის სივრცე იყო, სადაც უძველესი ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ცენტრი-კოლხეთი ჩამოყალიბდა საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში აჭარის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. სწორედ ამ პერიოდში მოღვაწეობდა აჭარაში ცნობილი ასტრონომი, მწერალი და მოაზროვნე ტბელ აბუსერიძე.

გვიანი შუა საუკუნეების ხანაში, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს პოლიტიკური დაშლის შემდეგ ძნელბედობა ყველაზე მეტად სამხრეთ-დასავლეთ რაიონებს და მათ შორის, აჭარას დაატყდა თავს. იგი თანდათან ოსმალთა ბატონობის უღელქვეშ მოექცა. ოსმალთა გაბატონებით მოიშალა საქართველოს ერთიანი ეკონომიკური სისტემა. მეურნეობა გახდა უფრო კარნაკეტილი. საქართველოსათვის მეურნეობის ზოგიერთ ტრადიციულ დარგს არა თუ განვითარების, არამედ არსებობის საფრთხეც კი შეექმნა. ნ.ბერძენიშვილი მიუთითებდა: "ოსმალეთი იმთავითვე საქართველოს მიმართ დაპყრობის (ინკორპორაციის) პოლიტიკას ახორციელებდა: "ოსმალთა" (ე.ი. სოციალურ-პოლიტიკური წესწესებულების) დანერგვით "ქართველობის" მოსპობას ცდილობდა" (90;116).

აჭარაში ოსმალთა გაბატონება XVI საუკუნიდან იწყება ევლია ჩელების ცნობით, სულთან სულეიმან კანუნის (1520-1566) დროს ტრაპიზონი აღწერილ იქნა, მას ბათუმის სანჯაყიც შეუერთდა და ცალკე ვილაიეთი შეიქმნა. ტრაპიზონის

ვილაიეთი ხუთი სანჯაყისაგან შედგებოდა: ჯანჰას, ქემო ბათუმის, ზემო ბათუმის, გონიოსა და ტრაპზონის. ბათუმის ლივაში 13 ზიამეთი და 72 თიმარია“ (125;81-82). ოსმალთა მოძალემა თანდათან უფრო აქტიური ხდებოდა. მათი მიზანი დაპყრობილ ტერიტორიაზე ქართული ფეოდალური წეს-წყობილების სრული მოსპობა იყო. ამ გეგმის განსახორციელებლად საჭირო იყო ქართული ფეოდალური არისტოკრატის მოსპობა, ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში არსებული ქონებრივი და უფლებრივი განსხვავებების ლიკვიდაცია, ქართველი ფეოდალის ოსმალო მოხელედ-ფაშად, ბეგად გადაქცევა“ (124;181).

ოსმალური კანონმდებლობით მიწა ეძლეოდათ სამხედრო პირებს, რომლებიც აუცილებლად მამაძიანები უნდა ყოფილიყვნენ. მიწათმფლობელობის ოსმალური წესების დამკვიდრება ერთბაშად არ მომხდარა “ქართველობას ყოველ შემთხვევაში მის მოწინავე ნაწილს, კარგად ჰქონდა შეგნებული რომ ამ წესების შემოღება “ოსმალობის” როგორც სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას მოასწავებდა. პრაქტიკულად ეს ერის გადაშენება იქნებოდა“ (98;3).

მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა მტერს თავდადებით ებრძოდა და იცავდა სარწმუნოებასა და თავისუფლებას. სწორედ ამ თავგანწირული ბრძოლის შედეგი იყო, რომ ოსმალებმა სასტიკი ძალადობის მიუხედავად საკუთარი გეგმის განხორციელება - აჭარის გამაჰმადიანება და დამორჩილება თვით XIX საუკუნემდე ვერ შეძლეს. აღნიშნულის თაობაზე საყურადღებო ცნობა შემოუნახავს ზ.ტიტინაძეს, რომელიც მას შავშეთში მოგზაურობის დროს ჩაუწერია: “ჩვენ ბერიკაცებს მოვესწარი და ისინი ამბობდნენ, რომ თორთუმის ხეობის გამაჰმადიანების შემდეგ ტაო გამაჰმადიანებულა, შემდეგ ზარუშეთი (ერუშეთი), შავშეთი და იმერხევი. ყველაზე გვიან აჭარა და მაჭახელი გამაჰმადიანებულა“ (129;19). მართლაც, აჭარაში ოსმალეთის ბატონობა არასოდეს ყოფილა ისეთი მტკიცე, როგორც ეს იმპერიის შიდა რაიონებში იყო. აჭარა ოსმალეთისათვის ფაქტიურად მონაპირე რაიონი იყო. ამიტომაც “ცენტრალური მთავრობა პოლიტიკური და სტრატეგიული მოტი-

ვების გამო აქ ფრთხილად იქცეოდა და იძულებული იყო ადგილობრივი ბეგების წინაშე დათმობებზე წასულიყო“ (84;61).

XIX საუკუნის პირველ ნახევარში კრიზისით მოცული ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებამ რეფორმების გატარება გადაწყვიტა. დაიწყო ე.წ. თანზიმათის პერიოდი, რომელსაც მთელს იმპერიაში მიწისმფლობელობის სფეროში სამხედრო-ლენური სისტემის გაუქმება მოჰყვა შედეგად. ამით ქართველმა გამაჰმადიანებულმა ფეოდალებმა ძველი პრივილეგიები დაჰკარგეს.

ოსმალთა ბატონობამ უარყოფითად იმოქმედა აჭარის ეკონომიკურ განვითარებაზე. მხარე მოწყდა საქართველოს და სამეურნეო კარნაკეტილობაში მოექცა. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა მაინც ცდილობდა ტრადიციული დარგების შენარჩუნებას. აჭარის დაწინაურებული სამეურნეო განვითარების შესახებ მეტყველებს მდიდარი ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული მასალები.

სამეურნეო საქმიანობაში წამყვანი, გაბატონებული მდგომარეობა სოფლის მეურნეობას ეჭირა. “არს აჭარა ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა, ყოვლითა მარცვლითა არს ტყიანი“-ამბობს ვახუშტი ბატონიშვილი (95;676).

მიუხედავად რთული რელიეფისა, აჭარაში ოდითგან მისდევდნენ მარცვლეული კულტურების მოყვანას. თესავდნენ: ხორბალს, ქერს, ჭვავს, ღომს, ბრინჯს, სიმინდს. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე მარცვლეულ კულტურათა შორის თანდათან გაბატონებული მდგომარეობა სიმინდმა დაიკავა. უკვე XIX საუკუნიდან მთელს აჭარაში მონოკულტურად სიმინდი იქცა“(101;36). მესიმინდეობის დაწინაურებულ მდგომარეობაზე მიუთითებს დიმიტრი ბაქრაძეც, რომელმაც ოსმალთა ბატონობის დროს იმოგზაურა აჭარაში:“ აჭარული სოფლები ორივე ფერდობზეა შეფენილი და ხელისგულივით ჩანს თავისი სიმინდის და აქა-იქ ღომის ყანებით“(88;43). სიმინდი მაღალი მოსავლიანობით გამოირჩეოდა. გ. ყაზბეგი წერდა: “სიმინდი საშუალოდ ერთი-ოცად, ერთი ოცდაათად, ხშირად ერთი ორმოცდაათად და კიდევ მეტად მოდის: ხორბალი კი-ერთი

ათად. ამ მიზეზებისა და იმის გამოც, რომ სათესი მიწები ცოტა აქვთ, ადგილობრივი მოსახლეობა თითქმის მარტო სიმინდს თესავს (122;57).

გავრცელებულობის მიხედვით მარცვლეულებიდან მეორე ადგილი ეჭირა ბრინჯს, შემდეგ ქერს და ხორბალს, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ლობიოს, ფეტვს, ღომს.

უნდა აღინიშნოს, რომ მარცვლეული კულტურები ძირითადად საოჯახო მოხმარებისათვის მოჰყავდათ, გამონაკლისს წარმოადგენდა სიმინდი, რომელიც გასაყიდად ბაზარზე გაჰქონდათ.

მიწათმოქმედებასთან ერთად სოფლის მეურნეობაში წამყვანი როლი მესაქონლეობას ეკავა. მართალია ოსმალთა მიერ პირუტყვის ყოლაზე გაზრდილი გადასახადის შემოდებამ საქონლის სულადობის შემცირება გამოიწვია, მაგრამ იგი მაინც რჩებოდა მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვან დარგად. მესაქონლეობის განვითარების მიხედვით დაწინაურებული ზემო აჭარა ყოფილა" (136;32). პეტრე უმიკაშვილი 1877 წელს "ივერიაში" გამოქვეყნებულ წერილში "ოსმალთა საქართველო" წერდა: "საქონელს ძალიან ბევრს ინახავენ ზედა აჭარაში, მეტადრე სოფლებში: ბაკოს, ხიხაძირის, ზემო და ქვემო თხილვანას, ღორჯომს და ნაგორევს. საზღვარზე მდებარე სოფლებიდან დიდძალი კარაქი და ერბო გადმოაქვთ ჩვენკენ გურიაში და ამით კარგი სარგებლობა აქვთ... საქონელს (იგულისხმება მსხვილფეხა პირუტყვი-ავტ.) გარდა ყოველ მოსახლეს ათიოდე ცხვარი და თხა ჰყავს და თითო ცხენი" (73;1877). ე.ი. მეცხოველეობის პროდუქტები არა მარტო საოჯახო მოხმარებისათვის იყო განკუთვნილი, არამედ ბაზარზეც გაჰქონდათ გასაყიდად.

მევენახეობა მთელს საქართველოში მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. ვაზის გაშენებას აჭარაშიც უსსოვარი დროიდან მისდევდნენ. ამის უტყუარ საბუთად უნდა მივიჩნიოთ აჭარაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ძველი ქვევრებისა და საწნახელების აღმოჩენა.

ოსმალები სარწმუნოებრივი მოსაზრებით განსაკუთრებული სისასტიკით ებრძოდნენ მევენახეობას. ჩეხდნენ ვაზს, ხეხილის

ბადებს, რათა მოესპოთ ტრადიციული დარგები და შეერყიათ ქართველთა ეკონომიკური კეთილდღეობა ასეთი სასტიკი ღონისძიებების მიუხედავად "უცხოელმა დამპყრობლებმა ვერ ჩაკლეს ქართველ კაცში ვაზის სიყვარული" (107;6). დევნის მიუხედავად მოსახლეობა თურქთა ბატონობის ხანაშიც ახერხებდა მაღალხარისხოვანი ღვინოების დაყენებას. აჭარიდან ყურძენი გაჰქონდათ. გიორგი ყაზბეგის ცნობით, "რამდენიმე წლის წინათ აჭარაში მოდიოდნენ ახალციხელი სომხები, ყიდულობდნენ ყურძენს და იქვე წურავდნენ ღვინოს" (122;93-94). მართალია მაჰმადიანური სარწმუნოებიდან გამომდინარე ოსმალებმა აკრძალეს ღვინის დაყენება და გამოყენება, თუმცა მართლმორწმუნეთ ნება დართეს აუღუღარი ყურძენის წვენი მიერთვათ. ასეთი სახის სასმელს "ხარდალი" ჰქვია-ამბობს თედო სახოკია (109;223). როგორც დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავს, აჭარაში მოგზაურობისას მისთვის მიურთმევიათ ყურძენის წვენი, რომელსაც მასტიკას ეძახდნენ (88;17). აჭარაში გაბატონებული ყოფილა მაღლარი ვენახი. "აქეთკენ დაბლარი არ იციან, სულ მაღლარია, როგორც გურია-სამეგრელოში. ვაზი უზარმაზარ ხეებზეა გაშვებული"- წერს თედო სახოკია (109;222).

აჭარა მდიდარი ყოფილა ხილის ნარგავებით:ვაშლი, მსხალი, ბალი, ატამი, ქლიავი, თუთა, ლეღვი, ტყემალი, შინდი, კაკალი, თხილი, ნესვი, ზღმარტლი და სხვა. ჩამოთვლილ სახეობათაგან განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა ვაშლი და მსხალი (122;57). "აჭარაში ხარობს საზამთრო და ნესვი, უხვადაა ყურძენი, აქაური მსხალი ძალზე გემრიელია"- მიუთითებს დიმიტრი ბაქრაძე (88;54). საზამთროდ ხილისაგან ამზადებენ ჩირს, რომლისგანაც ამზადებენ წვენს (კომპოტს), რომელსაც "ხოშიავს" ეძახდნენ. ხილის წვენის დადუღებით მზადდებოდა ბეთმეხი, რომელსაც აჭარის მკვიდრთა მენიუში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. იგი ნაწილობრივ ცვლიდა შაქარს.

აჭარაში მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი იყო მეფუტკრეობა. განსაკუთრებით მაჭახლისა და ჭვანის ხეობებში. მაჭახლის ხეობის მეფუტკრეობაშიც ნაშანდობლივი ჩანს ის სამი ფორმა, რომელიც გულისხმობს ტყიურ (კლდის ფუტკარი,

ხეფუტკარა), ნახევრად შინაურ (სკების შემოწყობა ხეებზე) და შინაურ (ხელოვნური გეჯა და საგანგებოდ მოწყობილი საფუტკრე) მეფუტკრეობას (108;22). ფართოდ ყოფილა გავრცელებული სკების ხეებზე შემოწყობა. მეფუტკრეობის პროდუქტებს მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა თაფლს და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტებს (სანთელი, დიდნდგელი) ფართო გამოყენება ჰქონდა ხალხურ მედიცინაში. თაფლს და სანთელს სავაჭრო დანიშნულებაც ჰქონდა.

სოფლის მეურნეობის დარგებთან ერთად აჭარის ზოგიერთ რაიონში დაწინაურებული იყო ხელოსნობაც, აჭარა და საერთოდ ჭოროხის აუზი ჯერ კიდევ ბრინჯაოს ეპოქიდან განთქმული იყო მეტალურგიული წარმოებით. ოსმალთა ბატონობამ უარყოფითი გავლენა ხელოსნობის განვითარებაზეც მოახდინა. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა აჭარაში მაინც აგრძელებდა არსებობას ხელოსნობის შემდეგი დარგები: მჭედლობა, ხისა და ქვის დამუშავება, კერამიკული წარმოება.

აჭარელი და ლაზი ხის ოსტატები მთელ საქართველოში ყოფილან განთქმულნი. კაცნი ხელოვანნი ხის მუშაობითა - წერდა აჭარლების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი (95;134). დიმიტრი ბაქრაძე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ აჭარაში საუკეთესო სახლები ორნამენტებითაა მოჩუქურთმებული (88;43).

კერამიკული წარმოება კოლხეთში ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იყო განვითარებული. ოსმალთა ბატონობამ განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული კერამიკული ნაწარმის დამზადებაზე მოახდინა. ღვინის დამზადებისა და მოხმარების თანდათანობითმა შეზღუდვამ დიდ და მცირე ქვეყრებზე მოთხოვნილებაც შეამცირა, რამაც თავისთავად გამოიწვია კერამიკული წარმოების შეზღუდვაც. ამის მიუხედავად აჭარაში რამდენიმე კერამიკული ცენტრი მაინც არსებობდა. "აჭარაში თიხის ნაკეთობათა დამზადების რამდენიმე ლოკალური ცენტრი გამოიყოფოდა. ამათგან მრავალფეროვანი ჭურჭლის დამზადებით შუახევი გამოირჩეოდა" (102;88). როგორც არქეოლოგიური მასალები (თიხის მარაგის არსებობა, ჭურჭლის მრავალფეროვნება, სამეთუნეო ჩარხის არსებობა) ცხადყოფს,

რომ შუახვევი კერამიკული წარმოების ერთ-ერთი უძველესი ცენტრი უნდა იყოს. შუახვევის გარდა, აჭარაში კერამიკული წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრები ყოფილა მაჭახლისა და მერისის ხეობები. აქ მზადდებოდა მრავალფეროვანი ჭურჭელი: დოქები, ქოთნები, ჯამები, კეცები, წყალგაყვანილობის მიღები, ღარიანი კრამიტი.

აჭარაში ხელოსნობის დარგებიდან ყველაზე განვითარებული მჭედლობა ყოფილა. იარაღების დამზადებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა მაჭახლის ხეობა და ქვემო აჭარა.

მჭედლები ამზადებდნენ საოჯახო, სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო იარაღებს: ცულებს, წაღლებს, თოხებს და სხვ. ცეცხლსასროლი და ცივი იარაღების დამზადებით გამოირჩეოდნენ ოსტატები მაჭახლის ხეობიდან. იარაღის ხელოსანთა გენეალოგიის შესწავლით ირკვევა, რომ თოფებისა და დამბაჩების დამზადების საქმე მაჭახლის ხეობაში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში უკვე მაღალ დონეზე იდგა (102;30). აქ დამზადებული თოფები "მაჭახელას" სახელით იყო ცნობილი. აჭარაში დამზადებული ცეცხლსასროლი იარაღი განთქმული იყო გურიასა და იმერეთში. დ.ბაქრაძე წერდა: "აჭარაში, ჩურუქ-სუსა და გურიაში ცნობილი თოფებია: "მაჭახელა" ხრახნილი ლულით, რომელიც მაჭახელაში მზადდება, დამბაჩა, ცხმორისში გაკეთებული და "თოფხანა" ასევე ხრახნილი ლულით, დამზადებული ახლში" (132;6).

ოსმალთა ბატონობისდროინდელი აჭარის ეკონომიკური განვითარებისათვის დამაბრკოლებელ ბარიერს ვაჭრობის ჩამორჩენილობა წარმოადგენდა. "ოსმალეთის იმპერიის მთელი ვაჭრობა ბერძნების, სომხების და სხვა უცხოელთა ხელში იყო საერთოდ. თურქი ვაჭარი არ ჩანდა და ამის მსგავს სურათს მცირე მასშტაბით აჭარაშიც ვხედავთ... აჭარაში ვაჭრობას საწვრილმანო ხასიათი ჰქონდა. სომხები ვაჭრობდნენ დამასკოდან მოტანილი საპნით, სანთლით, მაკრატლებით, სარკეებით და სხვადასხვა სახის ფრანგული ფაბრიკაციის იაფი საქონლით. ბერძნები ვაჭრობდნენ ინგლისური ჩითისა და მატყლის ქსოვილებით. უნდა ითქვას, რომ საქონლის მცირე მარაგიც კი, რაც შემოჰქონდათ აჭარაში, დიდი ხნობით ეწყო

სავაჭროების თაროებზე” (100;43-44). ვაჭრობის შეზღუდული მასშტაბების გამომწვევი ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარიანობა იყო. თავის მხრივ ვაჭრობის ჩამორჩენილობას გზების უქონლობა განაპირობებდა. “აჭარის ხეობაში ძნელად სავალი გზების გამო ახალციხის ვაჭრებს თავიანთი საქონლის გატანა არზრუმის ბაზრებიდან ურჩევნიათ – წერდა ჟ.ფ. გამბა (91;263). ამ ხარვეზს გარკვეულად ავსებდა მდ.ჭოროხი. თურქი მოგზაური ევლია ჩელები, რომელმაც XVII საუკუნის შუა ხანებში იმოგზაურა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში, ეხებოდა რა ჭოროხის დიდ სავაჭრო მნიშვნელობას, წერდა:“ ლაზების ბევრ ნაეს ამ მდინარის აღმა, აღმოსავლეთისაკენ და სამეგრელოს საზღვრებისაკენ მიაქვს მარილი, რკინეული, სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღები”(125;83).

აჭარის საერთო ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ თვით XIX საუკუნემდე ბათუმი უმნიშვნელო ცენტრს წარმოადგენდა. ფრანგი მოგზაური აღრიან დიუპრე, რომელმაც 1807 წელს ინახულა ბათუმი, მას ახასიათებს, როგორც ზღვისპირა სოფელს, სადაც 2000-მდე ადამიანი ცხოვრობდა (91;262). XIX საუკუნის შუა ხანებშიც “ბათუმი წარმოადგენდა პატარა ზღვისპირა დასახლებას, სადაც იდგა ოსმალთა სასაზღვრო ჯარი” (119;19). თუმცა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ბათუმის, როგორც სავაჭრო ცენტრის გარკვეული გამოცოცხლება დაიწყო.

## **§ II პორტო-ფრანკო ბათუმში და მისი როლი აჭარის ეკონომიკურ განვითარებაზე**

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბალკანეთის სლავი ხალხების აჯანყებას შედეგად რუსეთ-ოსმალეთს შორის ახალი ომი მოჰყვა. 1877 წლის 12(24)აპრილს იმპერატორმა ალექსანდრე 11 კიშინიოვში ხელი მოაწერა მანიფესტს ოსმალეთთან ომის დაწყების შესახებ. ომით ორივე მხარე იყო დაინტერესებული.



ბრწყინვალე პორტა, რომელსაც კავკასიაში დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება სურდა, სრულ იგნორირებას უკეთებდა რუსეთის მოთხოვნებს. რუსეთი კი ამ ომში წარმატების შემთხვევაში გეგმავდა ყირიმის ომის შედეგად დაკარგული სამხრეთ ბესარაბიის დაბრუნებას და ბათუმის შეერთებას (150;196). ქართველობა მიესალმა რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებას, ვინაიდან მიიხნევედა, რომ მას "შედეგად მოჰყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლება" (110;440). საომარი ოპერაციების მსვლელობისას რუსეთის არმიამ დიდ წარმატებებს მიაღწია როგორც კავკასიაში, ისე ბალკანეთში. აღებულ იქნა ყარსისა და პლვენის ძლიერი ციხესიმაგრეები. ოსმალეთმა დაჰკარგა ომის წარმატებით დასრულების იმედი და ევროპის სახელმწიფოებს მიმართა რუსეთთან საზავო მოლაპარაკებებზე შუამდგომლობის თხოვნით (149;88).

1878 წლის 19 თებერვალს (3მარტს) სან-სტეფანოში გაფორმდა საზავო ხელშეკრულება, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა გამარჯვებული რუსეთის ინტერესებს. ომში მიყენებული ზარალისათვის რუსეთმა მოითხოვა ათას ოთხას ათი მილიონი მანეთი. ვინაიდან ოსმალეთს არ შეეძლო ასეთი თანხის გადახდა, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გადასახდელი თანხის დიდი ნაწილის სანაცვლოდ რუსეთი მიიღებდა ტერიტორიულ დათმობებს. ოსმალეთი გადასახდელი თანხის 2/3 სანაცვლოდ უთმობდა რუსეთს სამხრეთ ბესარაბიას, ხოლო კავკასიაში ყარსს, არდაგანს, ბაიაზეთს და ბათუმს" (155;170). სან-სტეფანოს საზავო პირობები რუსეთის სერიოზულ წარმატებებს აკანონებდა როგორც ბალკანეთში, ისე კავკასიაში, რასაც ვერ შეურიგდებოდნენ ევროპის სახელმწიფოები. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ინგლისი, რომელსაც მხარს უჭერდნენ ავსტრია-უნგრეთი და საფრანგეთი. აღნიშნულ საკითხებში ევროპის დიდი სახელმწიფოების პოზიცია მხოლოდ პროტესტით არ შემოიფარგლებოდა. მათ ფაქტიურად ომისათვის დაიწყეს მზადება. 1878 წლის მარტის ბოლოს პრემიერ-მინისტრ ბიკონსფილდის (დიზრაელის) შუამდგომლობით დედოფალმა ვიქტორიამ თადარიგში მყოფთა მობილიზაცია გამოაცხადა.

ინგლისის გემები დარდანელისაკენ დაიძრნენ (135;226).რუსეთი ახალი დიდი ომის საფრთხის გამო იძულებული გახდა დათანხმებოდა სან-სტეფანოს საზავო პირობების გადასინჯვას ევროპის სახელმწიფოთა კონგრესზე, რომელიც 1878 წლის 1(13) ივნისს გაიხსნა ბერლინში. მას ესწრებოდნენ რუსეთისა და თურქეთის გარდა ინგლისის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, საფრანგეთისა და იტალიის დელეგაციები. კონგრესის მსვლელობაში გამოირკვა, რომ რუსეთი ფაქტიურად საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა და იძულებული გახდა სერიოზულ დათმობებზე წასულიყო. განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობა წარმოიშვა ბათუმის საკითხის გამო. უპირველესად ინგლისს არ სურდა ასეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული და ეკონომიკური ცენტრი რუსეთს გადასცემოდა. რუსეთის დელეგაციაც პრინციპულად წინააღმდეგი იყო ბათუმის დათმობისა. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ბათუმი რუსეთს გადაეცემოდა პორტო-ფრანკოს სტატუსით. ინგლისის დელეგაცია დათანხმდა ბათუმის პრინციპულად გამოცხადებას იმ მიზნით, რომ მომავალში იგი რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო და ეკონომიკური შეტევებისთვის გამოყენებინა (114;70).

1878 წლის 25 აგვისტოს 11 საათზე რუსთა და ქართველთა ჯარმა ბათუმი დაიკავა. კავკასიის მეფისნაცვალმა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ იმპერატორ ალექსანდრე 11 დეკემბრით აცნობა: "მაქვს ბედნიერება მოვულოცო თქვენს იმპერატორობით უდიდებულესობას ბათუმის დაკავება"(157;100).

ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ბათუმი რუსეთს გადაეცა როგორც პორტო-ფრანკო. მაინც რას გულისხმობდა პორტო-ფრანკოს სტატუსი და როგორი იქნებოდა რუსეთთან შეერთების შემდეგ ბათუმის მომავალი.

"პორტო-ფრანკო" იტალიური სიტყვაა და ეწოდება ისეთ ნავსადგურს, სადაც როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი საქონლის თავისუფალი, უბაჟოდ ვაჭრობა ხდება ასეთი თავისუფალი გაცვლა ხდება ნავსადგურის გარკვეულ, განსაზღვრულ ნაწილში, რომელიც დანარჩენი ტერიტორიისაგან

საბაჟო საზღვრითაა გამოყოფილი. სწორედ ამ ნაწილში არსებულ საწყოებში ხდება საქონლის თავმოყრა, დახარისხება, შეფუთვა და სარეალიზაციოდ დანიშნულების ადგილზე გაგზავნა. პორტო-ფრანკოს რეჟიმის შექმნა გამოიწვია დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ გაცხოველებულმა სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა. ევროპის დიდი საზღვაო სახელმწიფოების ინტერესები მოითხოვდა რაც შეიძლება დიდი რაოდენობით საქონელი თუ ნედლეული მიეზიდათ. საბაჟო ბარიერები ვაჭრებისაგან როგორც დროს, ისე გარკვეულ ფინანსურ რესურსებსაც მოითხოვდა, მაშინ როცა საქონლის მფლობელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ბაზარზე არსებული პირობები დაზუსტებული. ყოველივე ეს აბრკოლებდა საქონლის იმპორტის პროცესს ამიტომ სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლება თავად იყო დაინტერესებული ვაჭრობის განვითარებისა და უცხოური საქონლის მიზიდვის მიზნით შეექმნა საბაჟო ბარიერებისაგან თავისუფალი სავაჭრო ნავსადგურის ზონები. პირველად პორტო-ფრანკო შეიქმნა 1547 წელს იტალიის ქალაქ ლივორნოში და მალე მიადწია საოცარ წარმატებებს. ამის შემდეგ მე-16-მე-18 საუკუნეებში არაერთი პორტო-ფრანკო დაარსდა იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში. რუსეთში პირველი პორტო-ფრანკო დაარსდა ოდესაში 1817 წელს და ფაქტიურად განსაზღვრა მისი, როგორც მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ჩამოყალიბება (137;604-605). მაგრამ პორტო-ფრანკოს სტატუსი უარყოფითად მოქმედებდა საკუთრივ რუსეთის ეკონომიკურ განვითარებაზე. პირველი პირდაპირი შედეგი, რაც მოჰყვა ოდესის პორტო-ფრანკოს, ეს იყო შევიწროება არა მარტო ოდესის, არამედ მთელი უკრაინის სამამულო მრეწველობისა, რომლის ნაწარმსაც არ შეეძლო კონკურენცია გაეწია დასავლეთ ევროპის იაფი, უბაჟოდ შემოტანილი საქონლისათვის. ამან დიდი დარტყმა მიაყენა საერთოდ რუსეთის სამრეწველო განვითარებას. ხელისუფლებამ მალე დაიწყო ოდესის პორტო-ფრანკოს შევიწროება და 1822 წელს პირველი შეზღუდვები დააწესა, მაგრამ ამ შეზღუდვებს არ შეეძლო რუსეთის ხელისუფლებისათვის სასურველი მიზნის მიღწევა. ორმოცი

წელიწადი იარსება ოდესაში პორტო ფრანკომ, ამ ხნის განმავლობაში რუსეთის ინტერესის დამცველი ძალები შეუნელებლად იბრძოდნენ პორტო-ფრანკოს წინააღმდეგ. ეს ბრძოლა თითქმის მისი გამოცხადების დღიდანვე დაიწყო (115;54-55). მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა მაინც ვერ აღიკვეთა ოდესის პორტო-ფრანკოს მეშვეობით რუსეთის ბაზრაზე იაფი ევროპული, კონტრაბანდული საქონლის შეღწევა. სწორედ კონტრაბანდის ფართო მასშტაბების გამო რუსეთის ხელისუფლებამ 1859 წლის 19 აპრილს იგი გააუქმა. 1862 წელს პორტო -ფრანკო გამოცხადდა ვლადივოსტოკშიც, ოღონდ გარკვეული შეზღუდვებით- სპირტი, ღვინო და თამბაქო ბაჟით იბეგრებოდა. მიუხედავად ამისა პორტო-ფრანკომ დააჩქარა არამარტო ქვლადივოსტოკის არამედ მთელი მხარის ეკონომიკური განვითარება (137;604-605) ბათუმი იყო მესამე ქალაქი რუსეთის იმპერიაში, სადაც 1878 წლის 20 ოქტომბერს ქალაქში შევიდა პორტო-ფრანკოს რეჟიმი და მან იარსება 1886 წლის 27 ივნისამდე, ვიდრე იგი არ გაუქმდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე 111-ის სპეციალური ბრძანებულებით (113;53).

რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიის მმართველობას დაავალა შეემუშაებინა ბათუმის პორტო-ფრანკოსათვის შესაბამისი წესდება. არსებული გამოცდილების საფუძველზე (ქ.ოდესის პორტო-ფრანკოს წესდების მიხედვით) კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში შეიმუშავა ბათუმის პორტო-ფრანკოს წესდების პროექტი. იგი შედგებოდა 30 პარაგრაფისაგან, რომელიც იყოფოდა სამ განყოფილებად: 1 საერთო დებულებები, 2.პორტში შემოსული გემებისა და შემოტანილი საქონლის კონტროლის წესები, 3.ბათუმიდან საქონლის გატანის პირობების შესახებ (10;57-62). წესდების მიხედვით ბათუმსა და მის ნავსადგურში ნებადართული იყო უცხოური საქონლის თავისუფალი და უბაჟო შემოტანა. ეს შედავათი არ ვრცელდებოდა საექსპორტო რუსულ საქონელზე. რომლისთვისაც უნდა გადაეხადათ გატანისათვის დაწესებული ბაჟი.

წესდების მიხედვით პორტო-ფრანკო თხრილით უნდა ყოფილიყო შემოსაზღვრული. იქმნებოდა საბაჟო საგუშაგოები, რომელთაც უნდა გაეკონტროლებინათ ქალაქში როგორც საქონლის შემოტანა, ისე განსაკუთრებით მისი გატანა. ამ მიზნით „ქალაქს დაუწესდა ოთხი საბაჟო კარი: ოზურგეთისა (ქობულეთ-გურიისაკენ), კახაბრისა (ქედა-ხულოსაკენ), ჭოროხისა (ბორჩხა-ართვინისაკენ) და ჭოროხის ბოლოსი (გონია-სარფის გზით ყარს-ტრაპიზონისაკენ) ამ კარებში გატანილ ნებისმიერ საქონელზე მეპატრონეს უნდა გადაეხადა ბაჟი დაწესებული ნიხრით“ (117;25).

საბაჟო საგუშაგოებისა და მკაცრი საკარანტინო წესების შემოღებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ცარიზმის რეჟიმის დამყარებით ისედაც შეწუხებული მოსახლეობა. ბათუმი ხომ მთელი რეგიონისათვის ერთადერთ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. პორტო-ფრანკოს შემოღების შემდეგ კი ისინი ბათუმისაგან ფაქტიურად მოწყვეტილი აღმოჩნდნენ. გლეხი ვეღარ ახერხებდა ბაზარზე გაეტანა მის მიერ მოწეული პროდუქტი და ასევე შეეძინა მისთვის აუცილებელი სამრეწველო საქონელი. საბაჟო საგუშაგოების თანამშრომლები უხეშად ჩხრეკდნენ ყველა გამგლეფს, მათ შორის ქალებსაც. ამის შესახებ არაერთგზის იუწყებოდა არა მარტო ქართული, არამედ თვით რუსული პრესაც. მეზაყეები ზედმეტი მონდომებით ხანდახან თავს სასაცილო მდგომარეობაშიც იგდებდნენ. „ერთი დედაკაცი მიდიოდა ბათუმიდან ქუთაისს, ეს მანდილოსანი საკმაოდ სქელი, რომ იტყვიან, ფაშფაშა დედაკაცი იყო. როცა მივიდა დამოუნის (საბაჟოს-ავტ.) მოხელეებთან, ამ უკანასკნელთ იფიქრებს, ეს დედაკაცი ბუნებით სქელი არ იქნებაო, ხელოვნურად გასქელებულა, უთუოდ ტანისამოსის ქვეშ კონტრაბანდა ექნებაო. წაიყვანეს გასასინჯად და რომ ვერც ჯიბეებში, ვერც ტანზედ ვერა უპოვეს რა, დარჩნენ სახტად მეტად ერთგული მოსამსახურეები“ (68;1884). უფრო კურიოზული ფაქტის შესახებ წერდა „კავკაზი“: „ადრე მოსახლეობა მიდიოდა ქალაქში (იგულისხმება ბათუმი-ავტ.), ყიდულობდა თურქულ ან ფრანგულ საქონელს და მშვიდად ბრუნდებოდა სახლში, არ ეშინოდა, რომ ყარაულები გააჩერებდნენ და აიძულებდნენ

მთელი საათობით გაჩერებულიყო საბაჟოზე. ცოტა ხნის წინათ ერთი გლეხი მოვიდა ბათუმში და იყიდა გარდაცვლილისათვის რამდენიმე არშინი ჩითის ნაჭერი. იყიდა და წავიდა სახლში, არ შეუვლია საბაჟოზე. არც უფიქრია, რომ ასეთი უმნიშვნელო ნივთისათვის პასუხს მოსთხოვდნენ, მით უფრო, რომ ნაჭერი მიცვალებულისათვის იყო განკუთვნილი. მაგრამ ასე არ გამოვიდა. გზაში ის გააჩერეს ყარაულებმა და ნაყიდი წაართვეს. გლეხი დაბრუნდა ქალაქში, მთელი დღე დადიოდა და ტიროდა, რომ მას მიცვალებული დარჩებოდა დაუმარხავი, რადგან მას აღარ ჰქონდა ფული, რომ კვლავ ეყიდა სხვა ნაჭერი. მას შეუგროვეს 5 მანეთი და უყიდეს რუსული ჩითის ნაჭერი და გაუშვეს სახლში. რუსულ საქონელზე გადასახადი არა არის. მაგრამ ხალხი შეეჩვია ფრანგულ და თურქულ საქონელს, მით უფრო, რომ რუსული საქონელი უფრო ძვირია (138;1879). ხშირი იყო შემთხვევები, როცა საბაჟოს თანამშრომლები წესდებით გათვალისწინებული მინიმალური ოდენობის საქონლის გატანის უფლებასაც არ აძლევდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ, აწვალდებდნენ მათ. მიუხედავად იმისა, რომ დამოუხნის პოსტები ნახევარ გირვანქა ბრინჯს, ნაჭერს ჩითს და ნაჭერს საპონს არ ატანენ, როგორც დაწესებულია მაზრის მცხოვრებთათვის, უზრდელადაც ექცევიან მგზავრებს, განსაკუთრებით ქურთის და ბოშის დედაკაცებს, რომელთაც ძალიან უზრდელად და ბრიყვად სინჯავენ... ნუთუ ესენი კი ადამიანები არ არიან?! (71;1885). საბაჟოს მოხელეები გარდა კონტრაბანდული საქონლის ჩამორთმევისა ადგილობრივ მცხოვრებლებს პირად ნივთებს, ხანდახან თვით ცხენსაც კი ართმევდნენ. ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ "დროება" წერდა: "ერთი აჭარელი კაცი მიდიოდა ცხენით ბათუმიდან სახლში. კახაბრის ტამოუნის პოსტზე სალდათებმა უპოვოს ამ კაცს უნაგირის ქვეშ სამი უბრალო ხელსახოცი. დაიჭირეს და წარადგინეს საცა ჯერ არს, როგორც კონტრაბანდის მიმქონი. ტამოუნის კანონებით მეკონტრაბანდეს უნდა გადახდეს ხუთჯერ მეტი იმ ფასისა, რაც დაჭერილი საქონელი ღირს, საქონელიც უნდა გაიყიდოს. უბედური აჭარელი ამას არ დააჯერეს და ცხენიც გაუყიდეს. კანონით ყველაფერი გადახდა

მეკონტრაბანდეს. ცხენი რაღა შუაში იყო, ნუთუ ესეც კონტრაბანდად იცვნეს?!“ ასეთი ფაქტებით შეწუხებული და მოთმინებადაკარგული მოსახლეობა ბათუმში პორტო-ფრანკოს გაუქმებას ითხოვდა. “ბათუმის მაზრის მცხოვრებნი სთხოვდნენ გუბერნატორს უმაღლეს მთავრობასთან შუამდგომლობას, რომ ბათუმი პორტო-ფრანკოდ აღარ იყოს, რადგანაც დიდი, ძალიან დიდი შევიწროება ადგიათ ტამოუნის მხრით. ერთი არშინი ჩითის წადება არ შეუძლიანთ ბათუმის მაზრის მცხოვრებლებს, მაშინ, როცა ერთადერთი სავაჭრო ცენტრი მთელის მაზრისა ბათუმია” (69;1884). ასეთი ფაქტები ძაბავდა და ამწვავებდა ადგილობრივ მოსახლეობას და რუსულ ადმინისტრაციას შორის ისედაც რთულ ურთიერთობას. სხვა ფაქტებთან ერთად სწორედ პორტო-ფრანკოს შედეგად შექმნილი ადგილობრივი მოსახლეობის განწყობილება უნდა მივიჩნიოთ აჭარელთა მუჰაჯირად წასვლის ერთ-ერთ არსებით მიზეზად. “პორტო-ფრანკოს შედეგად დაწესებული რუსული რეჟიმი იმდენად აუტანელი შეიქმნა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რომ ხალხი სტოვებდა თავის მშობლიურ საყვარელ კუთხეს და თურქეთში გარბოდა” (114;100).

ცარიზმის ხელისუფლება თავიდანვე წინააღმდეგი იყო ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებისა. ასეთი სტატუსი რუსეთს არ აწყობდა არც ეკონომიკური და არც სტრატეგიული თვალსაზრისით. მაგრამ ბერლინის კონგრესზე ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობები ბათუმის საკითხშიც გამოვლინდა. ინგლისს არ სურდა რუსეთისათვის დაეთმო ასეთი ძალზე მოხერხებული ნავსადგური შავ ზღვაზე. იმისათვის რომ ერთი მხრივ აეკრძალა რუსეთისათვის სამხედრო სიმარგეების მშენებლობა ბათუმში, ხოლო მეორე მხრივ თავად ექცია იგი რუსეთზე ეკონომიკური ზემოქმედების საშუალებად, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლორდმა ბიკონსფილდმა ბათუმში პორტო-ფრანკოს შექმნა მოითხოვა. “ხანგრძლივი დიპლომატიური დაპირისპირებების შემდეგ რუსეთი დათანხმდა ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებაზე. ასეთი თანხმობა ევროპის სახელმწიფოთა დაწოლის შედეგად მოხდა და იგი არ გამოხატავდა რუსეთის ინტერესებს” (139;1881). ბათუმის პორტო-ფრანკო მიუღებელი იყო ჩამოყალი-

ბების სტადიაში მყოფი რუსეთის ბურჟუაზიისათვის, რადგან იგი პორტო-ფრანკოს მდგომარეობაში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის (განსაკუთრებით ინგლისისათვის) ღია ბაზარს წარმოადგენდა. ცხადია, რუსეთის მრეწველ კაპიტალისტებს თავისუფალი კონკურენციის პირობებში არ შეეძლოთ გაეძლიათ უცხოური (ევროპული) საქონლის მოძალევისათვის. ოდესის მსგავსად პორტო-ფრანკო ბათუმში საფრთხეს უქმნიდა ამიერკავკასიისა და თვით რუსეთის მრეწველობის განვითარებას. იგი აბრკოლებდა ბათუმის ეკონომიკურ წინსვლას, ხელს უშლიდა ბათუმში ნავთობ-გადამამუშავებელი ქარხნების გახსნას... პორტო-ფრანკოს წყალობით კონტრაბანდულ ვაჭრობას დიდი გასაქანი ეძლეოდა" (115;59). ამიტომ ისინი დახმარებას ხელისუფლებას სთხოვდნენ, რომელიც ყველა ზომას მიმართავდა, რათა ბათუმის პორტო-ფრანკოს რუსეთის მრეწველობისათვის დარტყმა არ მიეყენებინა." ცხადია, რუსეთს ნაკლებად აშინებდა თურქული ნაწარმის კონკურენცია. მას უფრო აფიქრებდა იაფი, ინგლისური (საერთოდ ევროპული) საქონელი, რომელიც დაუბრკოლებლად იპყრობდა ბათუმის ბაზარს და ადვილად ვრცელდებოდა ქვეყანაში. ამიტომ მოძალეველ კონტრაბანდას ხელისუფლებამ გარესამყაროსაგან პორტო-ფრანკოს სრული იზოლირება დაუპირისპირა და საბაჟო-კარანტირების მეშვეობით უმკაცრესი პოლიციური რეჟიმი დააწესა" (117;33). ხელოვნური ბარიერების შექმნამ კიდევ უფრო გაართულა ქ.ბათუმთან მისი მიმდებარე რაიონების სავაჭრო ურთიერთობა. ამას ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელიც აღიარებდა და ცდილობდა გამოსავალი ეპოვნა. ერთ-ერთი ასეთთაგანი ყოფილა ბათუმის ნავსადგურის მაშინდელი უფროსი კონტრ-ადმირალი გრევე, რომელიც 1880 წლის ივლისში კავკასიის ხელისუფლებას მოახსენებდა: "საჭიროა კარგად იქნეს შესწავლილი ხალხის მიერ (იგულისხმება აჭარის მკვიდრი მოსახლეობა-ავტ.) სამშობლოს დატოვების მიზეზები... გადასახლებაში მიმავალნი პირადად დავეკითხე, თუ რა არის ამის მთავარი მიზეზი. უმრავლესობამ თითქმის სიტყვა-სიტყვით მიპასუხა: როდესაც ქალაქი სულთანს ეკუთვნოდა, ჩვენ



სოფლიდან მივდიოდით იქ და ვყიდვით კვერცხს, რძეს, ყველს, თაფლს და ყველაფერს, რაც კი გაგვანდა, ხოლო ვყიდულობდით ქალაქში რაც გვჭირდებოდა და ვბრუნდებოდით სახლში. არავინ ჩვენ არ გვეხებოდა, მაგრამ ახლა ყველას ისე გვენსრეკენ, როგორც ქურდებს და რაც ყველაზე უფრო შეურაცმყოფელია, ამოწმებენ ჩვენს ქალებს. ყველაფერი ეს იმდენად აუტანელია, რომ ჩვენ უნდა გავეცალოთ აქაურობასო" (114;100-101). შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა გადაესინჯა პორტო-ფრანკოს საზღვრები. წინასწარი განზრახვა იყო, რომ იგი შეემცირებინათ. მაგრამ მოხდა პირიქით. კომისიამ ეს საკითხი ვერ გადაწყვიტა, ხოლო კავკასიის მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი 1884 წელს ბათუმის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების მიზნით შუამდგომლობას აღძრავს ფინანსთა მინისტრის წინაშე, რათა ბათუმის პორტო-ფრანკოს საზღვრები გაფართოვდეს. "კავკასიის მთავარმართებელი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი შუამდგომლობს წინაშე ფინანსთა მინისტრისა ბათუმის პორტო-ფრანკოს გადიდების შესახებ. ამ შუამავლობის საფუძველად თავადს მოჰყავს ის გარემოება, რომ საჭიროა დახმარება ნავთის მრეწველობისა ამიერკავკასიაში, რადგანაც რკინიგზით შეერთების შემდეგ ბათუმის პორტო-ფრანკოს სივიწროვე შეადგენს ერთს უმთავრესს შემაფერხებელს ნავთის მრეწველობის წარმატებისათვის" (67;1884). მართლაც, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები ხელისუფლებას ნაკლებად აღელვებდა პორტო-ფრანკოს საზღვრების გაფართოება საშუალებას მისცემდა რუსეთის ნავთის მრეწველებს აქ აეგოთ ქარხნები და ეწარმოებინათ სამეწარმეო საქმიანობა, მით უფრო რომ ყოველგვარი დაბეგერისაგან თავისუფალი იქნებოდნენ. "რათა არ გადაეხადათ უცხოეთიდან შემოტანილი მანქანების, ჩარხების და თუნუქის ბაჟი, მექარხნეები გრძნობდნენ რა პორტო-ფრანკოს საზღვრების სივიწროვეს, აღძრეს შუამდგომლობა ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ადგილების ქალაქის ფარგლებში მოსაქცევად, რათა იქ აეგოთ ქარხნები"(46;12).

პორტო-ფრანკოს რეჟიმისათვის თანმხლები უარყოფითი მოვლენებისა (განსახდვრული ტერიტორიის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც თავისთავად აფერხებდა დანარჩენი ნაწილის ეკონომიკურ განვითარებას, გარკვეული შეზღუდვები და სხვა) და რუსეთის ხელისუფლების მიერ მკაცრი საკარანტინო პოლიტიკის მიუხედავად, ბათუმის პორტო-ფრანკომ უდავოდ დიდი როლი ითამაშა როგორც ქალაქ ბათუმის, ისე მთელი მხარის ეკონომიკური დაწინაურების საქმეში. "პორტო-ფრანკოს რეჟიმი სასარგებლოა განვითარების დაბალ დონეზე მდგომი ქვეყნებისათვის, რადგან იგი ქმნის საგარეო სავაჭრო ურთიერთობების ახალ არტერიებს, ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას და კაპიტალის დაგროვებას, რაც ფრიად მნიშვნელოვანია ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის" (113;53).

რუსეთთან შეერთებამდე ბათუმი მართლაც უმნიშვნელო ქალაქი იყო. მოგზაურ აღრიან დიუპრეს სიტყვებით რომელმაც ინახულა ბათუმი 1807 წელს, ამ ქალაქს ყოფილი სოფლის სახე უფრო ჰქონდა, ვიდრე ქალაქური დასახლების. ბათუმის განვითარების მდგომარეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ინგლისის კონსული პალგრევი თავის 1872 წლის ანგარიშში: "ოცი წლის წინათ ბათუმი იყო მხოლოდ პატარა დაბა, მაგრამ შავ ზღვარზე რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების ჩამოყალიბებისა და ფოთთან მეზობლობის წყალობით, მან შეიძინა სავაჭრო მნიშვნელობა და მალე გახდა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ამ სანაპიროს სხვა პორტები. ამ დროის ბათუმში სულ 246 სახლი იყო. ქალაქის მუდმივი მცხოვრებლების რიცხვი შეადგენდა 1383. დაახლოებით 400 სული არამუდმივად ცხოვრობდა. მას აქვს ქარებისაგან საიმედოდ დაცული ბრწყინვალე და ღრმა ყურე. გზების უქონლობის გამო ბათუმში ვაჭრობა უმნიშვნელოა" (133;351-352).

XIX საუკუნის 50-70-იან წლებში, თურქეთის მმართველობის ბოლო პერიოდში, ბათუმის ზრდა-განვითარებას ორი მომენტი განაპირობებდა: ბრწყინვალე ბუნებრივი ყურე და 50-იან წლებში დაფუძნებული რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების სააგენტო თავისი საწყობებითა და სხვა

ნაგებობებით. ბათუმი გახდა ყირიმ-კავკასიისა და ანატოლიის სავაჭრო ხაზის ბოლო პუნქტი. მიუხედავად ამისა ბათუმის სავაჭრო მნიშვნელობა კვლავ შედარებით უმნიშვნელო იყო. შემოპქონდათ ძირითადად ქვანახშირი და სხვადასხვა საქონელი, გაპქონდათ სამშენებლო ხე-ტყე და მარცვლეული. იმპორტი სჭარბობდა ექსპორტს. საშუალოდ წელიწადში შემოპქონდათ 199.000 ფუნტი სტერლინგის ღირებულების საქონელი, ხოლო გაპქონდათ 179.000 ფუნტი სტერლინგის ღირებულების საქონელი“ (133;354).

რუსეთის მიერ ბათუმის დაკავების შემდეგ ერთხანს გაურკვეველი ვითარება შეიქმნა. შიშობდნენ რომ გაზაფხულზე კვლავ ომი განახლდებოდა. ბუნდოვანი პოლიტიკური ვითარება ბევრს აიძულებდა ვაჭრობა-მრეწველობის საქმეში კაპიტალდაბანდებებისაგან თავი შეეკავებინა. ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა ბათუმის მდგომარეობაზე. ბევრი, ვინც ახლად შემოერთებული ბათუმი ნახა, აცხადებდა, რომ ბათუმში ვაჭრობა კიდევ უფრო დაეცა. თუმცა ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა, მალე ბათუმში არაჩვეულებრივი გამოცოცხლება დაიწყო. 1878-1882 წლებში ბათუმში მომხდარ ცვლილებებზე სრულ წარმოდგენას გვაძლევს სერგი მესხის მიერ 1882 წლის 8 დეკემბერს “დროებაში” გამოქვეყნებული წერილი სათაურით “ბათომი და ბათომელები”: “პირველად მე ვნახე ბათომი იმ დღეს, რა დღესაც ის რუსებმა დაიჭირეს (26 მარტისთვის 1878 წლის). ეს იყო ის დღე, როდესაც ოსმალოს მთავრობა და ჯარი თავის დერვიშ-ფაშით სტოვებდა ამ ქვეყანას და მაგივრად, შიგ რუსის ჯარი და მთავრობა შედიოდა.

მთელი ქალაქი, მთელი ეს მხარე არეული იყო მაშინ...

მაშინდელი ბათომი ახლანდელს გორზე უფრო პატარა და უმნო ქალაქი იყო. ორ-სამ რიგიან სახლს ვერ ნახავდით, ტალახიანი, ოღროწოდროიანი, ბნელი ქუჩები, აზიური ბაზარი და სხვა...

ერთი წლის შემდეგ კიდევ მომეცა შემთხვევა ბათუმის ნახვისა... ქ.ბათომში უჩვეულო მოძრაობა ჩანდა: გაჩენილიყვნენ უანგარიშო პირნი, უცხო ქვეყნებიდამ მოსულნი, რომელნიც ამ

ახლად დაპყრობილ ქვეყნებში ხელის მოთხოვას, ჯიბის გაკვებას ჰკლამობდნენ. ვინც არ გინდა მამულს იძენდა, სახლებს აშენებდას ჰფიქრობდა.

დღეს მესამედ ვიყავი ბათუმში.

პირველი ჩემი შთაბეჭდილება იყო, რომ ის "გავსილა", "გაზრდილა". მართლაც, გარეგანის შეხედულებით დიდი განსხვავებაა მაშინდელს და ახლანდელს ბათუმს შუა. სად ახლანდელი ნამდვილი ევროპული მდიდარი მაღაზიები, რომლებშიც მგონი ჩიტის რქსაც კი იშოვნის კაცი, და სად მაშინდელი დუქნები, რომლებშიაც მუხლმოკეცილი ბათომელი ორიოდ თოფ ტრაპიზონის ჩითეულობით ვაჭრობდა...საცა არ გაიხედავდით, ყველგან ახალი შენობები გაეშენებინათ ან აშენებდნენ. მთელი ახალი უბნები გაკეთებულან, ქალაქის ბაღს ჰმართავენ, ქალაქი "გაპლანულია", ტბებს აშრობენ, წყალი გამოჰყავთ, ნავთ-სადგურის გაფართოებას აპირებენ, რკინისგზა გაჰყავთ და სხვა და სხვა"(66;1882).

განთავისუფლების შემდეგ ბათუმს აუარებელი ბედის მძიებელი მოაწყდა, ვისაც სურდა რაიმე ხერხით მოგება ენახა. "დიდძალი ხალხი ჩამოვიდა აქ, ყველა აქ მოელის გაკეთებას. დარბიან, დაცმაცურობენ, ჰყვირიან, ჩურჩულებენ, დიდიდან-სადამომდინ აქა-იქ დაძვრებიან, სამაღაზიო, სასტუმრო, სადუქრო სახლებს ქირაობენ, ადგილებს ყიდულობენ, "საქმეს" ეძებენ" - წერდა ს.მესხი (105;36). ასეთ ვითარებაში ძალზე სწრაფად იზრდებოდა ფასები მიწაზე. "კაკაზი" იუწყებოდა : "უეჭველად მდიდარი მომავლის გამო, რომელიც გააჩნდა ბათუმს, დიდძალი ფულიანი ხალხი ცდილობს აქ საცხოვრებლად გადმოსვლას. ქალაქში მიწა დასწრებაზეა და იყიდება ზღაპრულად მაღალ ფასებში, სახლები იზრდება როგორც სოკოები"(140;1882). რუსული სავაჭრო ფირმები ითხოვდნენ სასაწყობედ ბათუმის ნავსადგურში მიწების გამოყოფას (1;12). ბევრი ცდილობდა ამ მხრივ ხელისუფლების მხარდაჭერის მოპოვებას. თუ რამდენად იყო დაინტერესებული რუსეთის კაპიტალისტური წრეები ბათუმით გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების დირექტორის კონტრ-ადმირალ პ.ჩიხაჩევის №232-ე მიმართვა, გაგზავნილი კაკასიის

მეფისნაცვლის კანცელარიაში 1878 წლის 28 სექტემბერს. წერილის ავტორი მადლობას მოახსენებს კავკასიის მეფისნაცვალს ბათუმ-ყირიმის საზღვაო ხაზის გახსნის საკითხში მხარდაჭერისათვის. "რომ საზოგადოება დაუყოვნებლივ შეუდგა ყირიმ-კავკასიის რეისების, როგორც წრიული, ისე პირდაპირის, ბათომამდე გაგრძელებას, რომელიც იქნება ამ ხაზის ბოლო პუნქტი. ეს უდავოდ მოუტანს საგრძობლობას მხარის გამოცოცხლებას და ხელს შეუწყობს საგაჭრო ურთიერთობების გაძლიერებას... ამჟამად საზოგადოების მთავარი საზრუნავია დროულად უზრუნველყოს თავი სანაპიროზე მოხერხებული ადგილით სააგენტოს მოწყობისათვის და საწყობებისათვის. ასეთი ადგილის შეძენა ამჟამად კერძო ხელიდან, ბათუმში არსებული სპეკულაციური ციებ-ცხელების გამო შეუძლებელია, ამიტომ აუცილებელია საზოგადოებამ მიადწიოს მთავრობის მხარდაჭერას" (1;14-15). ხელისუფლება მართლაც ცდილობდა პორტის მიმდებარე მიწების გამოთავისუფლებას. კერძო მიწათმფლობელებისაგან ცდილობდა გამოესყიდა მათი ნაკვეთები, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მიწის მეპატრონეები დაზარალებულნი რჩებოდნენ- მას ან საბაზრო ღირებულებების შესაბამისად არ აძლევდნენ მიწის საფასურს, ან საერთოდ მეპატრონეს მიწის საფასურის მისაღებად წლობით უწევდა საჩივრის წერა. მაგ.1885 წელს ბათუმში ფერად-ბეგ ბეჟანიძეს და მის ძმებს ჩამოაჭრეს და პორტს გადასცეს 28 კვ.საუნი მიწა. მათ საფასური დიდხანს არ გადაუხადეს. ბევრი დავიდარაბის შემდეგ 1895 წლის 30 ნოემბერს კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მმართველის 10836-ე ბრძანებით ბეჟანიძეები პორტისათვის გადაცემული მიწის საფასურად მიიღებდნენ (განვლილი წლების პროცენტს დარიცხვით) სულ 1400 მანეთს, ოღონდ მიწისმფლობელობის დამადასტურებელი კანონიერი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში"(25;9-12).

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ბათუმი სწრაფად ვითარდებოდა. ამას უმთავრესად მოხერხებული ნავსადგური განაპირობებდა. განვითარების ტემპები უფრო თვალსაჩინო გახდა 1883 წლიდან, რაც ექსპლოატაციაში შევიდა ბათუმი-

სამტრედიის რკინიგზის მონაკვეთი. ამ ზრდის საილუსტრაციოდ ბათუმის პორტის ტვირთბრუნვაც მეტყველებს. თუ 1878 წელს ბათუმში სულ შემოვიდა 29.776 ფუთი საქონელი, 1883 წელს შემოვიდა 922.423 ფუთი, ხოლო 1886 წელს - 2.732.746 ფუთი. თუ ადრე შემოტანა სჭარბობდა გატანას, ესლა ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა. მაგ. 1878 წელს შემოიტანეს 906.330 მანეთის საქონელი, ხოლო გაიტანეს 365.712 მანეთის, 1886 წელს სულ შემოიტანეს 2.732.746 ფუთი, ხოლო გაიტანეს - 19.667.885 ფუთი (133;357-375).

ასეთი წარმატებებით ბათუმი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა შავი ზღვის სხვა მეზობელ პორტებს. "დროება" წერდა: "ინგლისის ბათუმელი კონსული თავისი მთავრობისადმი მოხსენებაში ამბობს, რომ ბათუმი თანდათან ისეთს წარმატებაში მიდის, რომ იმის ნავსადგური, უქვევლია დიდ ზარალს მისცემს და დაამცირებს ფოთისა და ტრაპზონის ვაჭრობასაო" (65;1882). "დიდი ხანია, რაც შავს ზღვაზედ გამოჩენილ ქალაქებში იხსენიება ბათუმი... ბათუმს საუკეთესო ნავსადგური აქვს თვით ბუნებისაგან გაკეთებული, რომელსაც გროშის დახარჯვა არც კი მოუწდება... დღეს ფოთი ვეღარ შეეჯიბრება და თითქმის გადაწყვეტით უნდა ვსთქვათ, რომ არც დღეის შემდეგ დაიჭერს იმ ადგილს, რაც აქამდის ეჭირა. ბათომი უპირველეს ადგილად უნდა გადაიქცეს შავს ზღვაზე, ვაჭრებმა დიდი ხანია კარგად გაიგეს და დაესივნენ ბათუმს" (63;1882).

ვაჭრობის გამოცოცხლება გახდა მთელი ქალაქის განვითარების საფუძველი. შემოსავლების ზრდამ ქალაქის იერსახეზე დადებითი გავლენა იქონია. "ივერია" წერდა: "გუშინ წინ თავისთვის მივარდნილი, მიყუჩებული ბათუმი, "აზიური ქალაქი", დღეს ევროპის ქალაქად გადაიქცა, გავეროპეულდა!... მოქალაქეობრივი ცხოვრება ბათუმში ნელნელა ხორც ისხამს... ბათუმს აქვს წლიური შემოსავალი 80.000 მანეთზე მეტი. ამ შემოსავლის რაოდენობა ყოველს წელს ჰმატულობს" (74;1886).

80-იანი წლებიდან ბათუმის, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრის განვითარებაში დიდი იყო პორტო-ფრანკოს როლი. ამას თვით რუსეთის ოფიციალური

პირებიც აღიარებდნენ – “რა თქმა უნდა პორტო - ფრანკომ, დაფუძნებულმა ისეთ ნაკლებად კულტურულ პუნქტში, როგორც ბათუმი, გარკვეული გავლენა მოახდინა მის სავაჭრო-სამრეწველო განვითარებაზე” (133;357). ე.ი. მეფის მოხელეები ბათუმის წარმატებებს მისი თავდაპირველი ჩამორჩენილობით უფრო ხსნიდნენ, ვიდრე პორტო-ფრანკოს დამსახურებად მიიხსენებდნენ.

რუსეთის ხელისუფლება, რომელიც თავიდანვე წინააღმდეგი იყო ბათუმში პორტო-ფრანკოს შემოღებისა, სარგებლობს რა XIX საუკუნის 80-იან წლებში ევროპის სახელმწიფოთა შორის ახალი გადაჯგუფებით, თანდათან იწყებს პორტო-ფრანკოს შეზღუდვას. 1886 წლის 27 ივნისს, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე 111-ის ბრძანებულებით ბათუმში პორტო-ფრანკო გაუქმებულად გამოცხადდა. ამ ფაქტმა უდავოდ უარყოფითად იმოქმედა ბათუმის განვითარების პროცესზე. ივერია წერდა: “პორტო-ფრანკოს გაუქმების შემდეგ სამუშაო საქმე, ხელოსნობა და ვაჭრობა შემცირდა” (76;1887).

მოწინავე ქართველი ინტელიგენცია სიხარულით შეხვდა პორტო-ფრანკოს რეჟიმის გაუქმებას. ასეთი დამოკიდებულება გამოწვეული იყო შექმნილი საბაჟო-საკარანტინო სისტემის უმსგავსოებით, ბიუროკრატიზმით და ძალადობით. ილია წერდა: “თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გაჭირვებასა და შეწუხებას, რაც მის გამო ხალხს ედგა, ვგონებ საბუთი გვქონდეს სიხარულით მივეგებოთ მაგ პორტო-ფრანკოს გაუქმებას, რომელიც მარტო სახელი იყო და არა სახრავი ქვეყნისათვის. თვითონ ბათომმა იქნება მაგით ცოტად თუ ბევრად იხეირა, მაგრამ ეს ხეირი საზოგადოების კისრიდამ იყო ამოღებული (128;296).

### **§ III სოფლის მეურნეობის განვითარება აჭარაში 1886-1903 წლებში**

აჭარაში სოფლის მეურნეობა უხსოვარი დროიდან იყო დაწინაურებული დარგი. ამის შესახებ მეტყველებს მდიდარი ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული მასალა. "არს აჭარა ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა, ყოვლითა მარცვლითა არს ტყიანი"-შენიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი (95;676). ოსმალთა ბატონობამ მძიმე დალი დაასვა აჭარის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას საერთოდ და კერძოდ, მის სოფლის მეურნეობას.

ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლებისთანავე რუსეთის ხელისუფლება იწყებს საკუთარი "აგრარულ-კოლონიური პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე მხარის ყოველმხრივ დაუფლებას"(96;74). ამ მიზნით უდგებოდა რუსეთის ცარიზმი ახლადშემოერთებულ მხარეში ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტას, როგორც იყო მიწათმფლობელობის საკითხი. კავკასიის არმიის მთავარსარდალი გენერალ-ადიუტანტი სვიატოპოლკ-მირსკი 1879 წლის 8 თებერვალს ბათუმისა და ყარსის გუბერნატორებისადმი გაცემულ ინსტრუქციაში მიუთითებდა, რომ მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე უცვლელად დაეტოვებინათ მიწათმფლობელობის არსებული (ე.ი. ოსმალური-ავტ.) წესები (4;378-379). 1879 წლის მარტში შეიქმნა სპეციალური "საადგილმამულო კომისია", რომელსაც სათავეში ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ჩაუყენეს. ამ კომისიას ევალებოდა შეესწავლა მიწათმფლობელობის ფორმები და შესაბამისი დოკუმენტები. სამწუხაროდ, მიწაზე საკუთრების დამადასტურებელი ოფიციალური საბუთი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ძირითადად დაბალ ფენებს არ გააჩნდათ. რაც იმის შედეგი იყო, რომ "თანზიმათის შემდგომ პერიოდის აჭარაში მოსახლეობის დაბალი ფენის, მწარმოებელი კლასის უმეტესი ნაწილი მიწებს ფლობდა ყოველგვარი ოფიციალური, სახელმწიფო აქტების გარეშე" (84;18). დიმიტრი ბაქრაძის ღრმა პატრიოტული განწყობილების მიუხედავად, "საადგილმამულო კომისია" იძულებული იყო ისე გადაეწყვიტა აჭარაში მიწათმფლობელობის საკითხი, როგორც ამას ცარიზმის კოლონიური ინტერესები მოითხოვდა ამიერიდან ბათუმის



ოლქის მოსახლეობა სახელმწიფო გლეხებად იქნა აღიარებული, ხოლო მათ სარგებლობაში მყოფი მიწები – სახაზინო მიწებად. სამწუხაროდ, მიწათმფლობელობის საკითხი აჭარაში ამის შემდეგაც დიდხანს რჩებოდა გადაუჭრელ პრობლემად. “ბათუმის ოლქში, რომელიც რუსეთის შემადგელობაშია 33 წელია, ჯერ კიდევ არაა მოწესრიგებული მიწათმფლობელობის საკითხი” (54;1911). “არსად არ მოიპოვება ისეთი შეუსაბამო იურიდიული განწყობილება, როგორც დღეს არსებობს ბათუმისა და ყარსის ოლქებში... ამ ოლქების შემოერთების შემდეგ საერთაშორისო კანონის ძალით უნდა დარჩენილიყო ოსმალეთში არსებული მიწათმფლობელობის კანონები, მაგრამ ახლად შემოსულმა მთავრობამ ის არ სცნო. არც თავისი კანონები გააგრძელა ადგილობრივი მიწათმფლობელობის შესახებ და ოცდაცამეტი წელიწადი აქ, ამ მხრივ, სრული გაუგებრობა არსებობს” (57;1911). შექმნილ კრიტიკულ ვითარებას ვერც ოფიციალურ წრეებში ფარავდნენ. კავკასიის სამთო სამმართველოს 1913 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: “მიწათმოწყობა ბათუმის ოლქში ჯერ არ განხორციელებულა, ამდენად ჯერ კიდევ დაუდგენელია, სად მთავრდება ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი მიწები და სად იწყება სახაზინო მამულები” (37;307). ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა განაპირობებდა ადგილობრივი მოსახლეობის განწყობა-დამოკიდებულებას არსებული სახელმწიფო რეჟიმისადმი. “ხანგრძლივი დროის მანძილზე მიწათმფლობელობის მხრივ გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა, რასაც განიცდიდა სამხრეთ-დასათლეთ საქართველოს მოსახლეობა (მითუმეტეს აჭარაში, სადაც სახნავ-სათესად ვარგისი მიწის ფონდი ძალზე მცირე იყო-ავტ.), გავლენას ახდენდა ხელისუფლებისადმი მათ სიმპათიებზე და აძლიერებდა სხვაგან გადასახლების სურვილს” (87;76). ამ პრობლემის დიდი ხნით გადაუჭრელობა მომავალში გახდა აჭარის სოფლის მოსახლეობის ანტირეჟიმული განწყობილების ძირითადი მიზეზი.

მაინც რატომ აყოვნებდა ხელისუფლება მიწათმფლობელობის საკითხის გადაჭრას? ვფიქრობთ, ასეთ გაურკვეველ

ვითარებაში უფრო თავისუფლად შეეძლო კოლონიზატორული პოლიტიკის განხორციელება. თავის დროზე ცარიზმი ხომ ყოველნაირად უწყობდა ხელს კავკასიაში მუჰაჯირობას, რათა "განთავისუფლებულ" მიწებზე "ერთგული" ელემენტი ჩამოესახლებინა. "შემოერთების შემდეგ ბათუმის ოლქში თავისუფალი მიწები ბლომად იყო. მუჰაჯირობას ამ საქმეში დიდი როლი მიუძღოდა. ამ მიწებზე მეფის ხელისუფლება რუსული ელემენტების ჩამოსახლებას ითვალისწინებდა." (116;41-42). მმართველი წრეები თანდათან სულ უფრო მეტ ყურადღებას იჩენდნენ კავკასიის კოლონიზაციისადმი. "მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში წარმოებული საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია მხოლოდ ერთგვარი დასაწყისი იყო იმავე საუკუნის 80-90-იანი წლებიდან დაწყებული ფართო კოლონიზაციისა" (93;656). ხელისუფლებას ამ გეგმის განსახორციელებლად რაც შეიძლება მეტი მიწა სჭირდებოდა, რომლის "გასათავისუფლებლადაც" ყველა ღონისძიებაზე მიდიოდა. კავკასიაში მიწათმოწყობისა და მიწათმოქმედების მთავარი სამმართველოს უფროსის გუბერნატორებისადმი დაგზავნილ ციკლეულიარში ხაზგასმული იყო: "გამოუცხადეთ თქვენდამი რწმუნებული რაიონების მოსახლეობას, რომ მათ საოლქო ადმინისტრაციასთან შეთანხმებისა და ჩვენი ნებარვის გარეშე უფლება არა აქვთ გაყიდონ მათ სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთები. ასეთი წესების დაცვის გარეშე მიწის ყოველგვარი გაყიდვა ჩაითვლება უკანონოდ" (36;41). ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ "მიწის ფონდის უდიდესი ნაწილი მემამულეებისა და სახელმწიფოს ხელში აღონდა, ეს უკანასკნელი კი მის განკარგულებაში მყოფ მიწებს იყენებდა არა ადგილობრივი მოსახლეობის (თუნდაც მარტო სახაზინო გლეხების) მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ რუსი და სხვა კოლონისტების დასახლებლად (85;107-108). კავკასიაში კოლონიზაციის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ რეგიონს აჭარა (განსაკუთრებით მისი ზღვისპირა ზოლი) წარმოადგენდა. უკვე "1905 წლისთვის ქობულეთამდე გადაჭიმულ რუს მემამულეთა შორის მხოლოდ ქართველი მიწათმოგლობელი სევასტი ჭელიძე ყოფილა" (92;110).

მიუხედავად ასეთი კოლონიური პოლიტიკისა, რუსეთის ხელისუფლება საკუთარი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე ხელს უწყობდა აჭარის ზღვისპირა ზოლში ახალი, სუბტროპიკული კულტურების სამრეწველო მოშენების პროცესს. მხარის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ძირითად დარგებს წარმოადგენს: მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და მებაღეობა. თანაც, მდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობა იძულებულია მისდოს ამ დარგებს ერთად, რათა შექმნონ არსებობა... მესაქონლეობა განვითარებულია და ამავრებს მიწათმოქმედებას, თანაც ჭარბ მუშახელსაც ასაქმებს. რაც შეეხება მესაქონლეობას, მებოსტნეობას, მეფუტკრეობას, მეთამბაქოეობას, ისინი არათანაბრად, სხვადასხვა ადგილასაა განვითარებული ხელსაყრელი კლიმატური პირობების შესაბამისად (148;83-84).

აჭარაში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ მეურნეობის ძველი, ტრადიციული დარგების: მარცვლეული კულტურების, მევენახეობის, მეთამბაქოების, მეხილეობის, მესაქონლეობის და სხვ. პარალელურად მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ხდებოდა ახალი, სუბტროპიკული კულტურების დანერგვა-გაშენება.

### **მარცვლეული კულტურები**

მარცვლეული კულტურების მოყვანას აჭარაში ოდითგან მისდევდნენ. აჭარა "ყოფლით მარცვლითა არს ტყიანი" წერდა ვახუშტი ბატონიშვილი (95;676). "აჭარელნი იყვნენ ძველად მხნე მუშა-კაცნი, მხენელ-მთესველნი" (80;1894).

მიწათმოქმედება და მესაქონლეობა აჭარაში მეურნეობის მთავარი წამყვანი დარგები იყო. ისინი თავიდანვე შერწყმული, სიმბიოზური ფორმით ვითარდებოდა და ერთიმეორის განმაპირობებელ როლს თამაშობდა. მიწათმოქმედს არ შეეძლო მესაქონლეობის გარეშე ყოფნა და პირიქით. "ამ შემთხვევაში მიწათმოქმედება წარმოგვიდგება, როგორც მესაქონლეობის თავისებური ბაზა (საქონლის საკვებით უზრუნველყოფა). ხოლო თავის მხრივ მესაქონლეობა კი მიწათმოქმედებისათვის

ხელშემწეობი პირობა (გამწევი ძალა, ორგანული სასუქი და სხვ.) (101;36).

მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავდათ: სიმინდი, ქერი, ფეტვი, ჭვავი, ხორბალი, ბრინჯი, ღომი და სხვა. ზემო აჭარაში სიმინდთან ერთად მოჰყავდათ ხორბალი და ქერი (109;217), კლიმატური პირობებიდან გამომდინარე აჭარაში თანდათან გაბატონებული მდგომარეობა დაიჭირა სიმინდმა. უკვე მე-19 საუკუნიდან მთელს აჭარაში მონოკულტურად სიმინდი იქცა (101;36). მესიმინდეობის გაბატონებულ მდგომარეობაზე ცნობებს გვაწოდის დიმიტრი ბაქრაძეც, რომელმაც ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის დროს იმოგზაურა აჭარაში. "აჭარული სოფლები ორივე ფერდობზეა შეფენილი და ხელისგულივით ჩანს თავისი სიმინდის და აქა-იქ ღომის ყანებით (88;43). სხალთის ხეობაში კულტივირებულ მცენარეთა შორის სიმინდი ჭარბობს, ხორბალი კი გაჭირვებით მოდის – ამბობს ჟან მურიე (103;30,51;11). ქვემო აჭარაში, რომელიც ძალიან ღარიბია სახნავი მიწებით და კინტრიშის უბანში ძირითადად სიმინდს თესავენ, გონიოში – სიმინდს და ნაწილობრივ ბრინჯს, ზემო აჭარაში – სიმინდს, ვიდრე დანარჩენ პურეულს"-წერს ვ.ლისოვსკი (148;85-86). სიმინდს თესდნენ როგორც ვაკე, ისე ფერდობ, ტყისაგან გაწმენდილ ნაკვეთებზე: "აჭარისთვის, როგორც მთელი ქუთაისის გუბერნიისათვის, მჭადი მოსახლეობის ძირითადი საჭმელია, ხოლო სიმინდის ჩალა ძირითადი საკვები საქონლის"(133;215). აჭარაში სიმინდი მაღალი მოსავლიანობით გამოირჩეოდა. "სიმინდი საშუალოდ ერთი ოცად ერთი ოცდაათად, ხშირად ერთი ორმოცდაათად და კიდევ მეტად მოდის; ხორბალი კი – ერთი ათად. ამ მიზეზების და იმის გამოც, რომ სახნავ-სათესი მიწები ცოტა აქვთ, ადგილობრივი მოსახლეობა თითქმის მარტო სიმინდს თესავს"(122;57). ბათუმის ოლქში მარცვლოვანი კულტურებიდან ძირითადია სიმინდი, შემდეგ ქერი, შემდეგ ხორბალი (51;11-12). ბუნებრივია, სიმინდს ეჭირა ნათესი ფართობების აბსოლუტური უმრავლესობა. 1896 წლის ბათუმის ოკრუგში დათესილი იყო: სიმინდი – 16.655 დესეტინა, ხორბალი – 478 დესეტინა, ქერი – 16 დესეტინა, სხვა მარცვლეულები – 716 დესეტინა, სულ – 17865 დესეტინა (47;2,

43;9). სიმინდის თესვა მიმდინარეობდა მარტის ბოლოდან ივნისის შუა რიცხვებამდე, ხოლო მოსავლის აღება სექტემბრის შუა რიცხვებიდან ოქტომბრის ბოლომდე. მოსავლიანობა ყველგან ერთნაირი არ ყოფილა. იგი დამოკიდებული იყო ნიადაგის მდებარეობაზე (ვაკე თუ ფერდობი), მის ხარისხზე და ამინდზე. ამის გათვალისწინებით მოსავლიანობა სიმინდის მერყეობდა (ბარში 150 ფუტიდან ერთ დესეტინაზე, ფერდობზე - 60-80 ფუთამდე ერთ დესეტინაზე) (30;9).

გავრცელების მიხედვით მარცვლეული კულტურებიდან აჭარაში მეორე ადგილი ეჭირა ბრინჯს, განსაკუთრებით ბარის რაიონებში. სიმინდისა და ბრინჯის ისეთი უხვი მოსავალი მოდის, რომ მისი დიდი ნაწილი ბაზარზე იყიდება. წერს ფრენკელი (160;83). ბრინჯის ორი ჯიში არსებობს - მთის და ჭაობის. ჭაობის ბრინჯს ამიერკავკასიაში მეტოქეობა ვერ გაუწია მთის ბრინჯმა და პირველმა გავრცელებულობის მხრივ ბოლომდე შეინარჩუნა თავისი გაბატონებული მდგომარეობა (94;81). მაგრამ ბრინჯის კულტურას დიდი რაოდენობით წყალი სჭირდებოდა, რითაც იგი ხელს უწყობდა ნიადაგის დაჭაობებას და შესაბამისად მაღარის გაჩენას. ამის გამო მოსახლეობა თანდათან მის მიმართ ნეგატიურად განეწყო, რამაც შეზღუდა კიდევ ბრინჯის კულტურა.

მარცვლოვანებიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ლობიოს კულტურას. სიმინდისა და პურის შემდეგ ბევრი მოჰყავთ ლობიო (109;218). ითესებოდა ქერი, ფეტვი, ჭვავი, ღომი. მარცვლოვანთა გავრცელებულობის და შესაბამისად მათი მოსავლიანობის თვალსაზრისით საყურადღებოა ქუთაისის გუბერნიის 1899 წლის მიმოხილვაში მოტანილი სტატისტიკა, რომლის მიხედვით საანგარიშო წელს ბათუმის ოკრუგში დაითესა:

45.278 ფუტი სიმინდი, რომლისგანც მიიღეს 1.130.100 ფუტი მოსავალი

920 ფუტი ხორბალი - მიიღეს 4.160 ფუტი

1.604 ფუტი ლობიო - მიიღეს 18.786 ფუტი

180 ფუტი ქერი - მიიღეს 1.440 ფუტი

295 ფუტი ბრინჯი - მიიღეს 8.535 ფუტი (49;4).

სასაქონლო დანიშნულებით ძირითადად სიმინდი მოჰყავდათ, დანარჩენი მარცვლეული კულტურები ძირითადად საშინაო მოხმარებისათვის ითესებოდა. 1892 წლის "ივერია" იუწყებოდა: "ფინანსთა სამინისტროს რამდენიმე თხოვნა მიუღია ფოთიდან, ბათუმიდან და ქუთაისიდან იმისა, რომ აუარებელი სიმინდი გვაქვს, მაგრამ მყიდველი არსად არის, გვიღებენ და ამიტომ სიმინდის საზღვარგარეთ გაგზავნის ნება მოგვეცითო. ფინანსთა სამინისტროს ეს თხოვნა არ შეუწყნარებია, მხოლოდ შეუტყობინებია რუსეთის ყველა საერო დაწესებულებებისათვის, შეგიძლიათ კავკასიაში იაფად იყიდოთ სიმინდი"(79;1892). ხელისუფლების მხრიდან ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად სიმინდის უცხოეთში გატანა თანდათან იზრდებოდა. 1901 წელს "იანერისა და თებერვლის განმავლობაში ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ გაეტანათ 334 ათასი ფუთი სიმინდი, მათ შორის ბათუმის ნავსადგურიდან – 220 ათასი ფუთი (83;1901). XX საუკუნის დასაწყისში ბათუმის ნავსადგურიდან სიმინდს საექსპორტო საქონელს შორის მესამე ადგილი ეჭირა. საშუალოდ წელიწადში გადიოდა 24.000 ტონა სიმინდი (130;64), რაც კიდევ უფრო უწყობდა ხელს აჭარაში სიმინდის გაგრძელებას 1903. წელს ბათუმის ოკრუგში მარცვლეული კულტურები დათესილი იყო:

- ხორბალი – 628 დესეტინაზე,
- ქერი – 95, ღომი – 66,
- ლობიო – 314,
- ბრინჯი – 54,
- ჭვავი -2,
- ხოლო სიმინდი – 11.545 დესეტინაზე (26;6).

### **მევენახეობა**

მევენახეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. ვაზის კულტურა აჭარაშიც უსსოვარი დროიდან ყოფილა გაშენებული. "არს აჭარა ვენახოვანი, მოსავლიანი"-წერს ვახუშტი (95;676).

ოსმალთა ბატონობის პერიოდში მტერი სარწმუნოებრივი მოსაზრებით განსაკუთრებული სისასტიკით ებრძოდა მევენახეო-

ბას. ჩეხდნენ ვენახებს, ხეხილის ბაღებს, რათა ქართველთათვის მოესპოთ ცხოვრების სახსარი, შეერყიათ ტრადიციული დარგები და ეკონომიკური კეთილდღეობა. "მაგრამ უცხოელმა დამპყრობლებმა ვერ ჩაკლეს ქართველ კაცში ვაზის სიყვარული" (107;6). მიუხედავად დევნისა, მოსახლეობა თურქთა ბატონობის ხანაშიც ასერხებდა მაღალხარისხოვანი ღვინოების დაყენებას. დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ყურძენიც. გიორგი ყაზბეგის ცნობით, "რამდენიმე წლის წინათ აჭარაში მოდიოდნენ ახალციხელი სომხები, ყიდულობდნენ ყურძენს და იქვე წურავდნენ ღვინოს" (122;93-94). მევენახეობის განვითარების უტყუარ საბუთად უნდა მივიჩნიოთ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიწაში დამარხული ძველი ქვევრების - "ჭურების" აღმოჩენა (133;322).

მართალია მაჰმადიანური სარწმუნოებიდან გამომდინარე ოსმალებმა აკრძალეს ღვინის დაყენება და გამოყენება, მაგრამ "მართლმორწმუნეთ ნება დართეს აუღუღარი ყურძნის წვენი მიერთვათ. ასეთი სახის სასმელს "ხარდალი" ჰქვია - ამბობს თედო სახოკია (109;223). დიმიტრი ბაქრაძის თქმით, აჭარაში მოგზაურობისას მისთვის მიურთმევიათ ყურძნის წვენი, რომელსაც მასტიკას ეძახდნენ (88;17).

მევენახეობა აჭარის ყველა კუთხეში ყოფილა განვითარებული. სხალთის ხეობაში ვაზი ისე კარგად იზრდება, როგორც ქართლსა და კახეთში - ამბობს ჟან მურიე (103;20). აჭარაში გაბატონებული მაღლარი ვენახი ყოფილა. ვაზი ხეებზე იყო გაშვებული - წერს დიმიტრი ბაქრაძე (88;44). "აქეთკენ დაბლარი არ იციან, სულ მაღლარია, როგორც გურია-სამეგრელოში: ვაზი უზარმაზარ ხეზეა გაშენებული, ღვთის ანაბარა იზრდება სხვა ხეთა შორის"-წერს თ.სახოკია (109;222). როგორც ჩანს, მევენახეობის განვითარებაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია მხარის ბუნებრივმა პირობებმა - რთულმა რელიეფმა და მცირემიწიანობამ. ვაკე ადგილები მარცვლეულ კულტურებს ეჭირა, ხოლო "მაღლარი ვენახი სახნავ-სათესად საფარგული მიწების დაბანდებას არ მოითხოვდა" (101;44-45). ბათუმის მხარეში მისდევდნენ "იზაბელას" ჯიშის მოშენებას, რომელსაც ადგილობრივნი "ადესას" ეძახდნენ (49;5). მაღლარი ვენახი მოშენებული იყო როგორც ქვემო, ისე ზემო აჭარაში.

კინტრიშისა და გონიოს უბნებში ვენახი მოშენებული ჰქონდა 3200-დან 1200 კომლს. ე.ი. საერთო რაოდენობის ნახევარს (156;169-170).

დაბლარი ვენახის მოშენება აჭარაში მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო. 1903 წლისთვის კინტრიშის უბანში დაბლარ ვენახს ეჭირა 505 დესეტინა და 1905 კვ. საუენი, გონიოს უბანში – 209 დესეტინა და 942 კვ.საუენი. მოსახლეობას ასევე ჰქონდა "მაღლარი", რომელიც მამულთან ახლოს ხეებზე იყო გაშვებული და თითქმის არანაირ მოვლას არ საჭიროებდა. "მაღლარს" ეჭირა 80 დესეტინა და 989 კვ.საუენი (26;7).

ღვინო გასატან საქონელსაც წარმოადგენდა. 1880 წელს გემ "იუნონით" ბათუმიდან ოდესაში შეიტანეს 25 ბოჩკა (კასრი) ბათუმშივე დაყენებული ახალი ღვინო"(62;1880).

### **მეთამბაქოეობა**

აჭარის კლიმატი ხელსაყრელი იყო მეთამბაქოეობის განვითარებისათვის. თამბაქოს კულტურა აჭარაში, ისევე როგორც საქართველოში, ცნობილი იყო მე-17 საუკუნიდან, მაგრამ სამრეწველო ხასიათი მან მიიღო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან (131;70).

1879 წლის 3 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვლის ხელმოწერით გამოვიდა ახალი ინსტრუქცია, რომლის თანახმად ყარსისა და ბათუმის ოლქებში ვრცელდებოდა მეთამბაქოეობაზე რუსეთში მანამდე მოქმედი სააქციზო წესები."ამ წესების თანახმად თამბაქოს გაშენება, ნაწარმის დამზადება და მისი გასაღება მხოლოდ სახელმწიფოს ნებართვით შეიძლებოდა" (99;61) სახელმწიფოს ნებართვის გარეშე თამბაქოს ყველა მწარმოებელს პასუხისგებაში აძლევდნენ (39;10). თამბაქოს წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლის გამკაცრების მიუხედავად, რაც მეურნეს სურვილს უკარგავდა, ამ ღონისძიებას წარმოების შემცირება არ მოჰყოლია. თუ 1879 წელს თამბაქო მოჰყავდათ ბათუმის ოკრუგის 4 სოფელში, 1889 წელს უკვე 45-ში, ხოლო 1899 წელს -84 სოფელში (40;132).

მეთამბაქოეობა განსაკუთრებით დაწინაურებული იყო ქვემო აჭარისა და გონიოს უბნებში. პლანტაციები ძირითადად



მოშენებული იყო კერძო მამულებში. თამბაქო იყო თურქული ჯიშის, შედარებით მაღალი ხარისხის (53;12). ბათუმის ოკრუგში მოწეულ თამბაქოს ნედლეულს სოსუმის ოკრუგის მოსავალთან ერთად პირველი ადგილი ეჭირა. აქ მოწეულ თამბაქოზე, როგორც საკაზმზე მაღალხარისხოვანი პროდუქციის დასამზადებლად, დიდი მოთხოვნილება იყო. თანდათან იზრდებოდა თამბაქოს პლანტაციების რაოდენობაც. 1899 წლისთვის ქვემო აჭარაში თამბაქოს 566 პლანტაცია იყო, გონიოს უბანში – 443, ზემო აჭარაში – 70 (49;7). 1903 წლისთვის აჭარაში თამბაქოს პლანტაციებს ეჭირა 130 დესეტინაზე მეტი ფართობი (26;7). თამბაქოს მოყვანა ძალზე შრომატევადი საქმე იყო, მოითხოვდა მუდმივ ყურადღებას. “ვისაც უნახავს თამბაქოს პლანტაციებში მუშაობა, მან იცის, რამდენად დამღლელია ეს შრომა” – იუწყებოდა “ჩერნომორსკი ვესტნიკი” 1902 წელს. (161;1902). ბათუმიდან თამბაქო გაჰქონდათ როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე. თამბაქოს დამუშავება ადგილზეც ხდებოდა. ბათუმში მოქმედებდა 2 თამბაქოს ფაბრიკა, რომელშიც 1896 წელს 42 მუშა ყოფილა დასაქმებული, ხოლო წლიურად ისინი აწარმოებდნენ 51.500 მანეთის პროდუქციას (47;38-39).

### მეხილეობა

“არს აჭარა ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი” – წერდა ვახუშტი (95;676). აჭარაში ხეხილის მრავალი სახეობა იყო გავრცელებული: ვაშლი, მსხალი, ბალი, ატამი, ქლიავი, თუთა, ლეღვი, ტყემალი, შინდი, კაკალი, თხილი, ნესვი, ზღმარტლი და სხვა. ჩამოთვლილ სახეობათაგან განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა ვაშლი და მსხალი (122;57). “აჭარაში ხარობს საზამთრო და ნესვი, უხვადაა ყურძენი, აქაური მსხალი ძალზე გემრიელია” – მიუთითებს დიმიტრი ბაქრაძე (88;54). თედო სახოკიას თქმით აჭარა მთლიანი ბაღია, ხილი და განსაკუთრებით მსხალი ყველგანაა. ხეხილს აშენებდნენ ძველებურად: ხეს გადაჭრიდნენ, გააპობდნენ და ზედ კარგი ჯიშის ხეხილის ყლორტს

დაამყინდნენ. თ.სახოკია ჩამოთვლის ვაშლის 14 (დემირ-ალმა (მაგარი ვაშლი), ბოტია, წითელი, ყარაფილა, შაქარ-ვაშლა, ბია-ვაშლა და სხვ.) და მსხლის 38 (ხეჭეჭურა, ბელეთურა, ბუტურა, საღორა, კვირის-თავა, ბარაქა და სხვ.) ჯიშს (109;222).

საზამთროდ ხილისაგან (განსაკუთრებით მსხლისაგან) ამზადებდნენ ჩირს, რომლისაგანაც ზამთარში ამზადებდნენ წვეწვს (კომპოტს), რომელსაც ხოშიავს ეძახდნენ. მსხლის ნაყოფის წვეწვის დაღუღებით მზადებოდა ბეთმეზი, რომელსაც ადგილობრივთა მენიუში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. იგი ნაწილობრივ ცვლიდა ხელოვნურ შაქარს.

მეხილეობა განსაკუთრებით დაწინაურებული ყოფილა კინტრიშის უბანში, რომელზეც მოდიოდა აჭარაში არსებული ვაშლის ნარგავების 60%, მსხლის - 45%, თხილის - 80%, ციტრუსოვანთა კულტურების - 94%, კაკლის -25%. კინტრიშის შემდეგ მეხილეობა დაწინაურებული იყო ქვემო და ზემო აჭარაში (99;84).

გასაყიდად მიჰქონდათ ყველა სახის ხილი. ყოველწლიურად ხილი მიაქვთ ახალციხესა და ახალქალაქში, სადაც ან ჰყიდიან ან ცვლიან პურსა და მარილზე (148;106). განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იყიდებოდა ვაშლი და მსხალი. 1880 წელს "დროება" წერდა: "ამ დღეებში გემ "იუნონით" ბათუმიდან ოდესაში მოიტანეს 9.000 ფუთი ვაშლი. ბათუმში ფუთი ვაშლი ცხრა-ათ შაურად იყიდეს, გადმოტანა სამ შაურად დაუჯდათ. თვით ნავსადგურზე ნარდათ ექვს-შვიდ მანეთად ჰყიდნენ ფუთს" (63;1880).

მე-20 საუკუნის დასაწყისში როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე ბათუმიდან გაჰქონდათ 20-50.000 ფუთი ვაშლი და 12-15.000 ფუთი მსხალი (133;441).

### **მეჩაიეობა**

ბათუმის ოლქის შეერთების შემდეგ რუსეთი სწრაფი ტემპით იწყებს ახლადშემოერთებული მხარის (განსაკუთრებით მისი ზღვისპირა ზოლის) ათვისებას. მით უფრო, რომ აჭარის შავი ზღვისპირა ზოლი წარმოადგენდა მეტად ხელსაყრელ ადგილს სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად. "ფრანგი

და გერმანელი ნატურალისტები ერთხმად აღიარებდნენ შავი ზღვისპირეთს სოხუმიდან ბათუმამდე ყველაზე ხელსაყრელ ადგილად კავკასიაში ჩაის გასაშენებლად“(133;16).

ჩაის საქართველოში გაცილებით უფრო დიდი ხნით ადრე იცნობდნენ, ვიდრე მის გაშენებას დაიწყებდნენ. ქართველი მეფეები და დიდებულები მონღოლთა ბატონობის პერიოდში ხშირად მიდიოდნენ საყაენოში, ქართველი ვაჭრები მოგზაურობდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში (ინდოეთში, ჩინეთში), რაც შესაძლებლობას მისცემდა ჩვენს წინაპრებს გაეცნოთ ჩაის კულტურა. საქართველოში ჩაი (მზა პროდუქტი) უშუალოდ ჩინეთიდან რომ არის შემოსული ადასტურებს ქართულ ენაში შემორჩენილი ცნება “ჩაი ხათაია”, რაც ხატაეთურ-ჩინურ ჩაის უნდა ნიშნავდეს. მე-18 საუკუნეში თბილისელი ხელოსნები ეწეოდნენ ჩაიდნებისა და ყავადნების დამზადებას, რაც გამართლებული იყო ჩაიზე და მის მოხმარებასთან დაკავშირებულ საგნებზე ფართო მოთხოვნებით (12;12).

საქართველოში ჩაის ბუჩქი პირველად 1842 წელს შემოიტანეს იალტიდან და სოხუმის ბოტანიკურ ბაღში გააშენეს. 1848 წელს ჩაის ნერგი დაირგო ოზურგეთის სახაზინო სანერგეში და დადიანის მამულში ზუგდიდში. 1845 წელს კავკასიის მეფისნაცვლის მ.კორნცოვის ინიციატივით ჩინეთიდან გამოიწერეს ჩაის თესლი. XIX საუკუნის 60-იან წლებში მიხეილ ერისთავმა ჩოხატაურში, თავის ბაღში, სხვა სუბტროპიკულ კულტურებთან ერთად ჩაის ბუჩქის გაშენებაც დაიწყო (86;28).

XIX საუკუნის 70-იან წლებში კვლავ დღის წესრიგში დადგა საქართველოში ჩაის გაერცვლების საკითხი. ეს წამოწყება კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას ეკუთვნოდა. საზოგადოების მესვეურებმა შეაგროვეს გარკვეული თანხა და ხელისუფლებისაგან მხარდაჭერის უქონლობის მიუხედავად ინდოეთიდან მოიწვიეს ჩაის საქმის სპეციალისტი ინგლისელი ვალტერ ლაიელი (99;73). მაგრამ ხელისუფლებამ ამ წამოწყებას კვლავ მხარი არ დაუჭირა, რის გამოც მას შედეგი არ მოჰყოლია.

ბათუმის ოლქში ჩაის ნერგები პირველად შემოვიდა 1884 წელს. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩაქვში მცხოვრებმა მიწისფლობელმა ა.ა.სოლოვცოვმა. იგი ძლიერ დააინტერესა 1884 წელს პეტერბურგში ბოტანიკისა და მებაღეობის საერთაშორისო კონგრესზე ნ.კ.ზეიდლიცის მიერ ჩაის კულტურაზე წაკითხულმა მოხსენებამ. "გადამდგარმა ინჟინერ-პოლკოვნიკმა სოლოვცოვმა 1884 წელს ჩინეთიდან (ხანკოუდან) გამოიწერა 3 წლის ასაკის ჩაის ბუჩქები, ასევე ნერგები, რომლებიც თესლიდან გზაში ამოვიდა... მცენარეები 1884 წლის ზაფხულში დარგეს სოლოვცოვის მამულში ჩაქვში (47;11). თავდაპირველად ა.სოლოვცოვი ძირითადად ყურადღებას აქცევდა ჩაის თესლის მიღებას და ჩაის ბუჩქის ადგილობრივ კლიმატთან შეგუების შესწავლას. 1889 წელს თბილისში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ა.სოლოვცოვმა წარადგინა საკუთარ პლანტაციაში გაზრდილი ჩაის ბუჩქები ყვავილითა და თესლით. კომისიამ იგი ბრინჯაოს მედლითა და ქების სიგელით დააჯილდოვა. ადგილობრივი ნედლეულით სოლოვცოვმა პირველი ნაყენი გააკეთა. მის მიერ მიღებული ჩაი "გამოვიდა ნამდვილი ბრწყინვალე, არომატული ჩაი, რომელიც ნაყენის თვისებებით, სინაზით, არომატითა და გემოვნებით შეესაბამებოდა უმაღლესი ხარისხის ჩინურ ჩაის. მას აკლდა მხოლოდ ის დამუშავება, რომელიც ჩინელ ჩაის მწარმოებლებს მიღწეული აქვთ ხანგრძლივი გამოცდილებების გზით- წერდა ა.კრასნოვი (146;338). სოლოვცოვის პირველმა წარმატებებმა ჩაის გაშენების მსურველები დააინტერესა. მეფის ხელისუფლება იმხანად არ ზრუნავდა ჩაის გაშენებაზე. ჩვენს ქვეყანაში ჩაის სამრეწველო პლანტაციების გაშენება თუ მაინც მოხერხდა, ეს იმიტომ, რომ ამ საქმის ინიციატორებად და პიონერებად გამოდიოდნენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე სწავლულები და მეურნე პრაქტიკოსები (86;28). განსაკუთრებულ გულმოდგინეობას ჩაის შესწავლის საქმეში იჩენდა მოსკოველი ჩაით მოვაჭრე კ. პოპოვი. 1892 წელს მან აჭარაში შეიძინა 300 დესეტინა მიწა (100 დესეტინა ჩაქვში, 140 სალიბაურში და 60 დესეტინა კაპრეშუმში). მანვე ოთხჯერ მეჩაიეობის შესწავლის მიზნით მოაწყო ექსპედიცია სუბტროპიკული კულტურის ქვეყნებში –

ჩინეთში, კუნძულ ცვილონსა და იავაზე. კ.პოპოვმა ჩინეთიდან ორჯერ (1893 წელს 12 კაცი, 1897 წელს 14 კაცი) ჩამოიყვანა სპეციალისტთა ჯგუფი, რომელშიც იყო ლაუ-ჯონ-ჯაუც, თუმცა ჩამოსულთა უმრავლესობა ვერ შეეგუა ადგილობრივ კლიმატს და უკან გაბრუნდა. კ.პოპოვთან ერთად მალე ჩაის გაშენების საქმეს ხელი მოჰკიდეს მ.დალფონსმა, ე.სტოიანოვმა, ნ.უჩინომ, საუფლისწულო უწყებამ და სხვებმა (59;1913).

საქართველოში ჩაის და საერთოდ სუბტროპიკული კულტურების გაშენების საქმეში განსაკუთრებით დიდია ჩაქვის საუფლისწულო მამულის როლი.

რუსეთის საიმპერატორო ოჯახს მთელს იმპერიაში დიდძალი მამულები ჰქონდა მფლობელობაში, რომლის მართვისათვის შექმნილი იყო სპეციალური უწყება - საუფლისწულო მამულების მთავარი სამმართველო. ბათუმის ოლქში მამულის მოსაწყობად მე-XIX საუკუნის 80-90-იან წლებში საუფლისწულო უწყების არაერთი მოხელე ჩამოვიდა. მათი არჩევანი ჩაქვის ხეობაზე შეჩერდა, რაც შემთხვევითი არ ყოფილა. ხეობის საერთო ფართობი 16.378 დესეტინას აღწევდა, სადაც 205 კომლი ცხოვრობდა. მთელს ოლქში ჩაქვის ხეობა ნაყოფიერი მიწებით გაცილებით მდიდარი იყო, ხოლო მოსახლეობა შედარებით მცირე (99;119). XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩაქვის ხეობაში ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებაში 6053 დესეტინა მიწა ითვლებოდა, ხოლო დანარჩენს - 10.325 დესეტინას მთავრობა სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად აცხადებდა (38;28).

ვითარების ადგილზე გაცნობის მიზნით 1892 წელს აჭარაში ჩამოვიდა პეტერბურგის საუფლისწულო მამულების მთავარი სამმართველოს კაპიტანის მხარის ინსპექტორი აგრონომი ი.ნ.კლინგენი, რომელმაც გულდასმით დაათვალიერა ჩაქვის ხეობა. ი.კლინგენი გაეცნო რუსი მოახალშენეების მოწყობილ მეურნეობებს. 1893-1894 წლებში ის კიდევ რამდენჯერმე ეწვია ჩაქვს ვითარების დეტალურად შესწავლის მიზნით. აღნიშნულის საფუძველზე ი.კლინგენმა პეტერბურგში, მამულების მთავარ სამმართველოში წარადგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებული იყო ჩაქვის ხეობაში ჩაისა

და სუბტროპიკული კულტურების მეურ-ნეობის მოწეობის მიზანშეწონილობა (144;18-21). კლინგენის მოხსენების საფუძველზე საუფლისწულო უწყებამ გადაწყვიტა ჩაქვის ხეობაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მსხვილი მეურნეობა მოეწყო (99;111). მეურნეობის მოსაწეობად საჭირო იყო დიდი რაოდენობით მიწის ფართობი. საუფლისწულო უწყება ჩაქვში მამულების შეძენას 1894 წლიდან შეუდგა. ჯერ ე.წ. სახაზინო მიწები დაისაკუთრა, შემდეგ მუჰაჯირთა მიტოვებულ მიწებს დაეპატრონა (1826 დესეტიანა) (29;124). 1896 წლისათვის ჩაქვის მამული 16.000 დესეტიანა მიწას ფლობდა (47;12) რომელთაგან ჩაის ბუჩქი დარგული იყო 20 დესეტიანაზე. ამ ფართობზე საუფლისწულო უწყებასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე 60.000 ნერგი დარგო ა.სოლოცოვმა. ჩაქვის მამულში გაშენებული იყო არა მარტო ჩინური ჩაი, არამედ ინდური და იაპონური ჯიშებიც... ჩატარდა პირველი ცდები ჩინური მცენარის “რამის” (ჩინური ჭინჭარი, რომლისგანაც ამზადებდნენ ქადალდს - ავტ.) გასაშენებლად (47;12). საუფლისწულო უწყებამ 1299,451 დესეტიანა მიწის შესყიდვაზე 106.925 მანეთი დახარჯა. ერთი დესეტიანის საშუალო ფასმა 82მან.29 კაპ. შეადგინა (13;115-116).

საუფლისწულო მამულების მთავარი სამმართველო ჩაქვში მიწების შეძენისთანავე შეუდგა აქაური ნიადაგისა და კლიმატური პირობების მეცნიერულ შესწავლას. მოეწყო მეტეოროლოგიური სადგურები ქვედა ჩაქვსა, ხალასა და სახალვაშოში. ნიადაგის სინჯები გამოსაკვლევად გაიგზავნა ხარკოვის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ჩაქვის ხეობის ნიადაგების ქიმიური შემადგენლობა და აქაურ კლიმატურ პირობები აღმოსავლეთის სუბტროპიკული ქვეყნების შესაბამის მონაცემებთან მსგავსებას ამჟღავნებდნენ (145;557-576). აჭარაში სუბტროპიკული კულტურების გაშენებასთან დაკავშირებით გაზეთი “ივერია” წერდა: “1885 წელს ჩაქვის სადგურის მახლობლად გაშენდა პირველად პლანტაცია ჩაისა... ბუჩქები მშვენიერად იზრდება და კარგად იტანს იქაურ ჰავასა და ნიადაგიც ძლიერ უხდება. ეს ნიადაგი თურმე არაფრით განსხვავდება ჩინეთისა და იაპონიის

ნიადაგიდან... აშკარაა, რომ ჩაის ბათუმის ოლქში მეორე სამშობლო გამოუჩნდა და აქ ნაკლებად არ გაიზრდება ჩაი, ვიდრე თავის ნამდვილ სამშობლოში (81;194).

მამულების საუფლისწულო უწყებამ დიდი მუშაობა და ხარჯი გასწია აღმოსავლეთის სუბტროპიკული ქვეყნების (ჩინეთი, ცვილონი, ინდოეთი, იაპონია და სხვა) კლიმატური პირობების, სხვადასხვა სუბტროპიკული ჯიშების გაშენება-განვითარების, ნედლეულის დამუშავების წესების შესასწავლად. პირველი ასეთი ექსპედიცია 1895 წელს მოეწყო. "საუფლისწულო უწყება, რომელსაც სურდა თავის ჩაქვის მამულში მოეშენებინა ჩაის კულტურა, 1895 წელს აგრონომებისა და სხვა სპეციალისტების შემადგენლობით მოაწყო ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ პროფესორი კრასნოვი და აგრონომი კლინგენი. ექსპედიციას უნდა მოეწყო შორეული აღმოსავლეთის სუბტროპიკული ქვეყნები, შეესწავლა ადგილზე ჩაის საქმე და სხვა სუბტროპიკული კულტურები. ექსპედიციის შედეგებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. გაირკვა, რომ იაპონიის, ჩინეთის და ინდოეთის ჩაის ოლქებში თითქმის ისეთივე კლიმატური პირობებია, როგორც ბათუმის ოლქში (51;12). ექსპედიციის წევრებმა თან ჩამოიტანეს ჩაის თესლი და ბუჩქები, სხვა სუბტროპიკულ მცენარეთა ნერგები, სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა, მეჩაიეობასთან დაკავშირებული ინვენტარი (143;9-10). ანალოგიური ექსპედიცია მომდევნო წელსაც მოეწყო, ოღონდ შესასწავლი ქვეყნების არეალი იყო უფრო ფართო. ექსპედიცია გრძელდებოდა დაახლოებით ერთ წელიწადს და მისი მარშრუტი შემდეგი იყო: ოდესა-კაირო-ბომბეი-დელი-დასავლეთ ჰიმალაებში ჩაის რაიონი კატრი-კალკუტა-კოლომბო-შანხაი და ხანკოუ-იაპონია-სანდვიჩის (ჰავაის) კუნძულები-სან-ფრანცისკო-ახალი ორლეანი-ნეაპოლი-ბერლინი (146;176). ექსპედიციების მანძილზე მიღებული ინფორმაცია და დაკვირვების შედეგები კლინგენმა და კრასნოვმა გადმოსცეს ძალზე საფუძვლიან და პოპულარულ წიგნებში: "ჩაის სუბტროპიკული ოლქების ჩაის მხარეები" და "მიწათმოქმედების პატრიარქთა შორის".

ამ წიგნებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რუსული საზოგადოების ფართო ფენებში ბათუმის ოლქისადმი ინტერესის გაძლიერებაში, როგორც ერთადერთი ადგილისადმი რუსეთში, რომელიც გამოირჩევა იგივე კლიმატური განსაკუთრებულობით, როგორითაც შორეული აღმოსავლეთის სუბტროპიკული ქვეყნები (51;13).

1895 წლის ექსპედიციის მოწყობაზე საუფლისწულო უწყებამ 48.219 მანეთი დახარჯა (16;4-6,59;1913).

1895 წელს, ექსპედიციის დასრულებამდე დაიწყო საუფლისწულო უწყებამ ჩაქვში მეურნეობის მოწყობა. ამ მიზნით მამულის ადმინისტრაციამ ხელშეკრულება გააფორმა პ.სოლოვოვთან 20 დესეტინაზე ჩაის გაშენების თაობაზე. ამავე წელს გააფორმა ხელშეკრულება ჩინელ და იაპონელ სპეციალისტებთან (11;20-25) მეურნეობას მუშახელიც სჭირდებოდა, მთავრობა ცდილობდა აღნიშნული საკითხი მხარის კოლონიზაციის შესაბამისად გამოეყენებინა. თუმცა, რუსეთიდან გადმოსახლებულთ უჭირდათ ადგილობრივ პირობებთან სწრაფად შეგუება. ამან აიძულა ხელისუფლება უკან დაეხია. მამულების მთავარი სამმართველოდან კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორის სახელზე 1899 წლის 5 მარტს გამოგზავნილ წერილში ნათქვამია: "რუსი მოახელშენებებისათვის არახელსაყრელი პირობების გამო გვიხდება მამულის მხოლოდ რუსი ეროვნების ადამიანებით დასახლების (კოლონიზაციის-ავტ.) გეგმაზე უარის თქმა, თუმცა უარი არ ვუთხრათ მათ შესაძლებლობების შემთხვევაში დასახლდნენ აქ. რადგან მამულის დასახლება აუცილებელია მუდმივი მუშახელის ფორმირების მიზნით, საჭიროა აგენტების შუამდგომლობით, მათი განსაკუთრებული წახალისებით მამულის მიწებზე მივიზიდოთ კავკასიის ქრისტიანი მოსახლეობა, ოღონდ არა ბერძნები" (15;96).

ჩაქვის მამულში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ჩაის პლანტაციების გაშენება. 1900 წლისათვის უკვე გაშენებული პლანტაციების ფართობმა (მოსავლიანი და ახლადგაშენებული-ავტ.) 100 დესეტინას გადააჭარბა (18;75). 1901 წლისთვის ჩაქვის საუფლისწულო მამულში დამუშავებული მიწის ფართობი



შეადგენდა 194 დესეტინას. აქედან ჩაის ეჭირა 152 დესეტინა, ბამბუკს – 7 დესეტინა და 240 კვ.საუენი, ციტრუსებს (ფორთოხალი და მანდარინი) – 2 დესეტინა და 1100 კვ.საუენი, ხილის ნარგავს-1 დესეტინა და 1660 კვ.საუენი, სანერგე მეურნეობას -3 დესეტინა და 1860 კვ.საუენი, რამას (ქაღალდის ხე) -4 დესეტინა და სხვ (19;1-9). პლანტაციების ზრდასთან ერთად ხდებოდა მოწეული მოსავლის რაოდენობის ზრდაც. ჩაის პროდუქცია პირველად 1899 წელს აწარმოეს კუსტარული წესით, ხოლო იმავე წლის მეორე ნახევარში ჩაქვის საუფლისწულო მამულში ჩაის ფაბრიკა ააგეს. მზა ჩაის პროდუქციის წარმოების ზრდა ფუნტებში 1899-1904 წლებში ასეთ სურათს გვაძლევს: 1899 წ.-300ფ., 1900-5000, 1901-24.000, 1902-38.273. 1903-45.141, 1904-100.000 ფუნტი (51;13).

ჩაქვში გაშენებული ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციები საყოველთაო მოწონებას და აღიარებას იმსახურებდა. 1897 წლის სექტემბერში ჩაქვის საუფლისწულო მამული მოინახულა ბონის უნივერსიტეტის პროფესორმა იოჰან რეინმა, რომელიც ნანახით აღფრთოვანებული დარჩა და განაცხადა: „კავკასიის მთებსა და შავ ზღვას შორის მოქცეული ეს სანაპირო ზოლი გამოირჩევა რბილი ზამთრით და წვიმიანი ზაფხულით, ამას ემატება ნაყოფიერი და რკინით მდიდარი ნიადაგი... ჩაქვის საუფლისწულო მამულის პლანტაციებმა ჩემს ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მე აქ ვნახე გულმოდგინედ მოვლილი და სარეველა ბალახებისაგან გაწმენდილი სანერგეები, სადაც დაახლოებით 40-მდე იაპონური და ჩინური სასარგებლო მცენარე ხარობდა ბრწყინვალედ, ყველაფერი ეს უეჭველად არის საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ ადგილობრივი ნიადაგი და კლიმატი სრულად ხელსაყრელია ამ ჯიშებისათვის“ (15;83). ი.რეინმა ამ მოგზაურობის შესახებ მოხსენება 1897 წლის დეკემბერში წაიკითხა ბონის უნივერსიტეტში.

ხელისუფლება თანდათან უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა მეჩაიეობის განვითარებას. საუფლისწულო მამულების უწყება მუდმივად ზრუნავდა ჩაქვის მამულის განვითარებაზე. აგზავნიდა სპეციალისტებს უცხოეთში და შემოჰქონდა

სუბტროპიკული მცენარეების ახალი ჯიშები (17;7), შეიქმნა ჩაქვში ჩაისა და სუბტროპიკული მცენარეების საცდელი სადგური (18;107-108) ჩაქვში იწვევდა კომისიის საგანგებო სხდომას, რათა სათანადო ყურადღება მიექცია მამულის განვითარებისათვის (14;99). ჩაქვის საუფლისწულო მამულისა და აქ დანერგილი ახალი დარგებისადმი ხელისუფლების ყურადღების გამოხატულება იყო მამულის ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა დაჯილდოების ფაქტები. 1896 წელს ჩაქვის საუფლისწულო მამულის მმართველი ივანე იაკობის ძე შალუხინი მამულების მთავარი სამმართველოს უფროსის, გენერალ-მაიორ ვიახემსკის წარდგინებით წმინდა ანნას მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს (12;2-3). ადგილობრივი და ცენტრალური ადმინისტრაცია სადღესასწაულო დღეებში ხშირად მატერიალურად აჯილდოებდა ჩაქვის მამულის თანამშრომლებს (18;126-127, 20;40-41).

ჩაქვის საუფლისწულო მამულმა დიდი როლი შეასრულა არა მარტო აჭარაში, არამედ მთელ საქართველოში მეჩაიეობის, მეციტრუსეობის და საერთოდ სუბტროპიკული კულტურების შესწავლა-გავრცელების საქმეში.

მეჩაიეობის სწრაფი ტემპით განვითარებას ხელს უწყობდა სახელმწიფოს მიერ ჩაიზე საბაჟო გადასახადის ზრდა (147;106). ჩაქვის საუფლისწულო მამულთან ერთად ჩაის მსხვილი მწარმოებელი იყო კ.პოპოვის მეურნეობა. 1902 წლისათვის მას ჩაის პლანტაციები გაშენებული ჰქონდა 140 დესეტინაზე. თუ 1895 წელს პოპოვის მამულში მოკრიფეს 85 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლი, რომლისგანაც დაამზადეს 20 გირვანქა მზა პროდუქცია, 1901 წელს მოკრიფა 38.555 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლი და დაამზადდა 9.300 გირვანქა მზა პროდუქცია (31;6). კ.პოპოვმა საკუთარ მამულში დაამზადებული ჩაის ნიმუშები არაერთ გამოფენაზე გაიტანა და დიდი აღიარებაც მოიპოვა. მაგალითად, 1900 წელს პარიზის გამოფენაზე კ.პოპოვი ოქროს მედლით დააჯილდოვეს, 1901 წელს გლაზგოს გამოფენაზე – დიპლომით, იმავე წელს კავკასიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის გამოფენაზე – საპატიო დიპლომით. 1902 წელს რუსეთის იმპერატორის ბრძანებით მიწათმოქმედებისა და

სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ იგი პირველი ხარისხის ოქროს მედლით დააჯილდოვა (97;21).

ჩაი სხვადასხვა ხარისხის მზადდებოდა, რომლის ღირებულებაც განსხვავებული იყო:

უმადლესი ხარისხის – 1 ფუნტი – 2 მან.40 კაპ.

პირველი ხარისხის – 1 ფუნტი – 2 მან

მეორე ხარისხის – 1 ფუნტი – 1 მან.60 კაპ.

მესამე ხარისხის – 1 ფუნტი – 1 მან.20 კაპ.

დაბალი ხარისხის (ჯარისკაცული) – 1 ფუნტი – 64 კაპ. (21;5).

ჩაის წარმოება მომგებიანი საქმე იყო. "ბათუმში ერთი დესეტიჩა ჩაის პლანტაციას წელიწადში მოჰქონდა 700-დან 1000 მანეთამდე შემოსავალი, მაშინ როცა ხარჯები 200-300 მანეთს შეადგენდა (51;13).

აჭარაში წარმოებული ჩაი ძირითადად რუსეთის იმპერიაში სადებოდა. გაჰქონდათ მოსკოვში, კიევში, ვარშავაში, ხარკოვში, სოჭში, ოდესაში, როსტოვში და სხვა ქალაქებში (21;56-117).

ჩაი და სხვა სუბტროპიკული კულტურები ყველაზე უფრო პასუხობდა აჭარის კლიმატურ და სასოფლო-სამეურნეო პირობებს (153;1912). აჭარაში ჩაის კლტურის განვითარების თვალსაჩინო წარმატებების საფუძველზე სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ დაახლოებით 20 წლის შემდეგ რუსეთი შიდა ბაზრის მოთხოვნებს საკუთარი წარმოების ჩაით დააკმაყოფილებდა (142;1901).

### **მეციტრუსეობა**

აჭარაში ციტრუსები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან ყოფილა გავრცელებული. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის დიდი ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი. რომ ბათუმში, გონიოსა და ერგეში იზრდება ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული (95;676). "ლიმონი ლაზიკის სანაპიროზე ღია ცის ქვეშ ხარობს და ცნობილია თავისი ხარისხით" -მიუთითებს დიმიტრი ბაქრაძე (88;25).

აჭარაში ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ციტრუსები გაშენებული იყო მახინჯაურში, ციხისძირში, მწვანე კონცხზე, გონიოში, სარფში და სხვა სოფლებში. მოსახლეობას ფორთოხლის, ლიმონის, ციტრუსის ნერგები შედარებით მცირე რაოდენობით ჰქონდათ მოშენებული, ვინაიდან მას სავაჭრო დანიშნულება ჯერ კიდევ არ ჰქონდა. დაბალი იყო ციტრუსოვანთა ფასებიც.

აჭარაში მეციტრუსეობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რუსმა მოახალშენებმა. სოლოვცოვმა, სტოიანოვმა, დაღფონსმა, ვუჩინომ და სხვებმა. აჭარის შავიზღვისპირეთი ზედგამოჭრილი ადგილი იყო ციტრუსოვანი კულტურების გასაშენებლად. "ჩვენი სანაპირო არის ტიპური, ნესტიანი სუბტროპიკული ქვეყანა, რომელსაც ანალოგი თითქმის არა აქვს ევროპაში. სამაგიეროდ იგი არაჩვეულებრივად ახლოსაა ისეთ შორეულ, მაგრამ სუბტროპიკული თვალსაზრისით ბრწყინვალე ქვეყნებთან, როგორებიცაა აშშ-ს სამხრეთ-დასავლეთი, იაპონია, ჰიმალაის სამხრეთი კალთები, ავსტრალიის სამხრეთ-აღმოსავლეთი, ახალი ზელანდია და ჩილე. მხოლოდ კოლხეთში, ბათუმის სანაპიროზე, შეგვიძლია ვნახოთ ჩვენ ისეთივე პირობები და არა შავი ზღვის უფრო ჩრდილოეთ სანაპიროზე – სოხუმისა და სოჭის ოკრუგებში" - წერდა ა.ნ.კრასნოვი (154;1913).

თავდაპირველად როგორც მოახალშენები, ისე ხელისუფლებაც უფრო მეტ ყურადღებას ჩაის კულტურისადმი იჩენდა. მაგრამ ექსპედიციების დროს ერთის მხრივ ეცნობოდნენ სხვა სუბტროპიკულ კულტურების, მათ შორის ციტრუსების მოშენების წესებს, მეორე მხრივ თან მოჰქონდათ ციტრუსის ტრიფოლიატის თესლი, ნერგები, თვით ციტრუსოვანთა ნერგებიც. 1886 წელს მ.დაღფონსმა პირველმა შემოიტანა იტალიიდან მანდარისა და ფორთოხლის ნერგები. 1897 წელს ჩაქვის საუფლისწულო მამულში ჩაის მოშენების პარალელურად ხელი მოჰკიდეს ციტრუსების სამრეწველო მოშენებას. ბონის უნივერსიტეტის პროფესორი იოჰან რეინი, რომელმაც 1897 წელს დაათვალიერა ჩაქვის საუფლისწულო მამული, აღფრ-

თოვანებული დარჩა ნანახი ჩაის პლანტაციებით და ციტრუსების სანერგით (15;82-83).

მთავრობა, რომელიც დარწმუნდა აჭარის შავიზღვისპირეთში ციტრუსოვანთა გაშენების სარგებლიანობაში, მეტ ყურადღებას იჩენს ამ დარგის მიმართ. ამ საქმით დაინტერესებული ყოფილა ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობაც. შედეგად თანდათან იზრდებოდა ციტრუსებით გაშენებული პლანტაციების ფართობი, რაც ხელისუფლებას იმედს აძლევდა, რომ მალე "საკუთარ ქვეყანაში" მოწეული ციტრუსებით დააკმაყოფილებდა ძირითადად შიდა ბაზრის მოთხოვნილებას. მე-20 საუკუნის დასაწყისში აჭარაში ციტრუსების გაშენების სწრაფი ტემპით იმედმოცემული ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი ანგარიშში წერდა: "თუკი სუბტროპიკული კულტურების განვითარება მომავალში გაგრძელდება იმავე გზით და იმავე ტემპით, როგორც აქამდე იყო, სავსებით უნდა ველოდოთ მანდარინის, ლიმონის, ჩაის, ბამბუკის იმპორტის მნიშვნელოვნად შემცირებას (32;5).

ციტრუსების, განსაკუთრებით მანდარინის გაშენებამ მე-20 საუკუნის დასაწყისში ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ იგი უკვე ჩაისაც უწევდა კონკურენციას.

### **მესაქონლეობა**

მესაქონლეობა აჭარაში მეურნეობის განვითარებული დარგი ყოფილა. ოსმალთა ბატონობის ხანაში საქონლის სულადობა მკვეთრად შემცირებულა, რისი მიზეზიც პირუტყვის ყოლაზე გაზრდილი გადასახადი ყოფილა. მიუხედავად ამისა, მესაქონლეობა აჭარაში მაინც რჩებოდა სოფლის მეურნეობის ერთერთ წამყვან დარგად. "ზემო აჭარის სოფლებში მეცხოველეობა ძლიერაა განვითარებული" - წერდა გ.ყაზბეგი (136;32). პეტრე უმიკაშვილი "ივერიაში" 1877 წელს გამოქვეყნებულ წერილში "ოსმალეთის საქართველო" წერდა: "საქონელს ძალიან ბევრს ინახავენ ზედა აჭარაში, მეტადრე სოფლებში: ბაკოს, ხიხაძირს, ზემო და ქვემო თხილვანს, ღორჯომს და ნაგორევს. საზღვარზე მდებარე სოფლებიდან დიდძალი კარაქი და ერბო გადმოაქვთ ჩვენკენ გურიაში და

ამით კარგი სარგებლობა აქვთ... საქონელს (იგულისხმება მსხვილფეხა პირუტყვი - ავტ.) გარდა ყოველ მოსახლეს ათიოდე ცხვარი და თხა ჰყავს და თითო ცხენი" (73;1877). ე.ი. მესაქონლეობა არა მარტო საოჯახო მოხმარებისათვის ვითარდებოდა, არამედ იგი წარმოადგენდა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროსაც.

აჭარაში სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგები იყო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ისინი თავიდანვე პარალელურად, თითქმის შერწყმული ფორმით ვითარდებოდა და ერთიმეორის განმაპირობებელ როლს თამაშობდა. არც ერთ მათგანს არ შეეძლო ცალ-ცალკე განვითარება. ამ შემთხვევაში მიწათმოქმედება წარმოგვიდგება, როგორც მესაქონლეობის თავისებური ბაზა (საქონლის საკვებით უზრუნველყოფა), ხოლო თავის მხრივ მესაქონლეობა კი მიწათმოქმედების ხელშემწყობი პირობა (გამწვევი ძალა, ორგანული სასუქი და სხვა) (101;36).

მეურნეობის ეს დარგი აჭარის ყველა რაიონში ერთნაირად არ ყოფილა განვითარებული, რისი მიზეზიც საძოვრებისა და სათიბების სიმცირე იყო (30;10). ქვემო აჭარაში მეცხოველეობა ძირითადად საოჯახო მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, მაგრამ მესიმიწეობის განვითარების მაღალი დონე და შესაბამისად ჩაღის დიდი რაოდენობა საშუალებას აძლევდა აჭარის ბარის მოსახლეობას საკმარის რაოდენობით პირუტყვი შეენახა. მეცხოველეობის მხრივ დაწინაურებული იყო ზემო აჭარა: "მესაქონლეობა ზემო აჭარაში ძლიერადაა განვითარებული სოფლებში: ბაკოში, ხიხაძირსა და თხილვანში. განსაკუთრებით ღორჯომსა და ნაღვარევში" - წერდა გიორგი ყაზბეგი (122;57). თ.სახოკია აღნიშნავდა: "საქონლის მოშენებას ისეთ საზოგადოებებში მისდევენ, სადაც მთის იაღალები ახლოს აკრავთ. ასეთებია ზემო აჭარაში, განსაკუთრებით ღორჯომის, აგარის, შუახევისა და ფურტიოს საზოგადოებანი. ამ საზოგადოებათა მცხოვრებნი, სხვებთან შედარებით შეძლებულად ცხოვრობენ" (110;219).

ხელისუფლების წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ მეურნეობის ეს დარგი დაწინაურებული არ ყოფილა. ბათუმის ოლქის 1903 წლის მიმოხილვაში ნათქვამია, რომ აჭარაში მესაქონლეობა დაბალ დონეზე დგასო (152;13). განსაკუთრებით

უნიოდნენ მუშა პირუტყვის ნაკლებობას (133;219). ოფიციალის ასეთი დავმოკიდებულება რეალობას არ ასახავდა. ქუთაისის გუბერნიის 1896 და 1898 წლების ანგარიშების მიხედვით ბათუმის ოკრუგის (აჭარის – ავტ.) მოსახლეობას საქონლის სულადობის მიხედვით საკმაოდ მოწინავე ადგილი ეჭირა (47;12, 48;8-9).

ამ სტატისტიკით ბათუმის ოკრუგში ცხენების სულადობა მეტი იყო ვიდრე ოზურგებისა და სვანეთის მაზრებში და რაჭა-ლეჩხუმში ერთად აღებული: ხოლო ცხერის სულადობით (98.533 სული) ბათუმის ოკრუგს ქუთაისის გუბერნიაში პირველი ადგილი ეჭირა (48;8).

მსხვილფეხა საქონლის შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ცხერისა და თხის მოშენებას. „მოსახლეობა ძირითადად ინახავს მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, წვრილფეხა (ცხვარი და თხა) პირუტყვს და ცხენებს. მცირე რაოდენობით ჰყავთ კამეჩი, ვირი და ღორი. სულ ჰყავთ:

ძროხა, ხარი და კამეჩი - 43000

ცხვარი და თხა – 53.000

ცხენი - 3. 500

ეს საშუალოდ ერთ კომლზე შეადგენს -3 სულ მსხვილფეხა და 4 სულ წვრილფეხა პირუტყვს და ერთ ცხენს (148;102).

აჭარის მკვიდრნი საქონლის მოვლას დიდ ყურადღებას უთმობდნენ. „გლეხი თავის თავს დააკლებს და საქონელს კი როგორმე საკვებს არ დააკლებს. წარმოსადგენადც ძნელია, თურა ციცაბოზე ადის გლეხი, ოღონდ ერთი მუჭა მეტი თივა მოიმარაგოს ზამთრისათვის... შორს გზაზე რომ წავა აჭარელი, თავისი ცხენის საგზალი თივა თან მიაქვს. კიდევ ამიტომ ჰყავთ ხოლმე ცხენები დასუქებულები. მთელს აჭარაში იშვიათად შევხვედრივარ მჭლე და უღონო ცხენსა - წერს თ.სახოკია (109;12)).

მაღალმთიან სოფლებში, სადაც უფრო განვითარებული იყო მეურნეობა, პირუტყვი თითქმის ნახევარი წლის მანძილზე, ნოემბრიდან მოყოლებული მარტ-აპრილამდე ბაგურ კვებაზე ჰყავდათ. ბარის სოფლებში, სადაც თოვლი უფრო გვიან

მოდით და ადრე შრებოდა, საქონელიც უფრო დიდხანს ჰყავდათ საძოვარზე. თივისა და ჩაღის უკმარისობის გამო საქონლის საკვებად იყენებდნენ ფინხს, წყავის ფოთოლსა და ნეკერს.

ხანგრძლივი გამოცდილების შედეგად აჭარის მოსახლეობამ უკვე იცოდა თუ რომელი ჯიშის საქონელი გამოადგებოდა მას. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ აჭარაში და საერთოდ ბათუმის ოლქში ჭარბობდა ქართულ-კავკასიური ჯიშის საქონელი, რომელიც კარგად იყო შეგუებული რეგიონის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან. აქაური საქონელი იყო ტანად პატარა, მკვრივი, მოქნილი აგებულების, საკვებისადმი დიდ მოთხოვნილებას არ იჩენდა, შესანიშნავად ეგუებოდა უხეშ საკვებსაც. ამიტომაც ანიჭებდა ადგილობრივი მოსახლეობა ამ ჯიშის საქონელს უპირატეობას (123;44-46).

აჭარაში მესაქონლეობის განვითარების ასეთი რთული პირობების მიუხედავად იგი მაინც სასაქონლო ხასიათს ატარებდა. "მესაქონლეობას ზემო აჭარაში აქვს სამრეწველო-სავაჭრო ხასიათი, აქედან ყოველწლიურად 1000 სული საქონელი მიჰყავთ ბათუმში გასაყიდად" (26;8). "ბათუმში ოკრუგში სამრეწველო მეცხვარეობას მისდევდნენ ქურთები და ჰემშილები" (47;12).

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები ცხადყოფენ, რომ "აჭარაში რძის პროდუქტების, პირველ რიგში კარაქისა და ყველის დამზადების საქმე საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა (101;51). პირუტყვი და რძის პროდუქტები, რომლებიც საოჯახო მოხმარებისათვის არ სჭირდებოდათ, ბათუმში გასაყიდად მიჰქონდათ. აჭარის მკვიდრი მეცხოველეობის პროდუქტებით ვაჭრობდნენ მეზობელი გურიის რეგიონის მოსახლეობასთან. პროდუქტებს ყიდდნენ ან საჭირო სამრეწველო საქონელზე ცვლიდნენ. "ყოველ ზაფხულ თითოეული კომლი (იგულისხმება ზემო აჭარის მცხოვრებნი - ავტ.) 10 ფუთამდე გაჰყიდის ერბოს ბათუმსა თუ გურიაში. ფუთი აჭარული ერბო ბათუმში 10-20 მანეთი ფასობს (109;219-220). "ჭვანისა და ღორჯომის მცხოვრებლებს შეეძლოთ გაესაღებინათ თავიანთი პირუტყვი და რძის ნაწარმი ქალაქ ოზურგეთში"(122;57).



საბაზრო ურთიერთობები თანდათან იწვევდა საქონლის სულადობის ზრდას. 1900 წლის სტატისტიკური მონაცემებით ბათუმის ოკრუგში სულ 108.089 სული პირუტყვი ყოფილა, მათ შორის:

- ცხენი – 3.830
- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი – 49.364
- კამეჩი – 2.076
- ცხვარი – 31.502
- თხა – 20.929 (50;18).

#### **§ IV მრეწველობის განვითარება აჭარაში 1886-1903 წლებში**

ჭოროხის აუზი მეტალურგიისა და ხელოსნობის განვითარების თვალსაზრისით საქართველოში ისტორიულად დაწინაურებული მხარე იყო. ამას არაერთი არქეოლოგიური აღმოჩენა ადასტურებს. ოსმალთა ბატონობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა აჭარის სამრეწველო განვითარებაზე. რუსეთთან შეერთებამდე აჭარაში მრეწველობა ფაქტიურად არც არსებობდა. "ძველი სისტემის თოფების, ხანჯლებისა და საერთოდ ცივი იარაღის დამზადების გარდა, არა თუ ბათუმის მხარეში, არამედ მთელს ბათუმის ოლქში არანაირი ფაბრიკა და ქარხანა არ არის" - წერდა ფრენკელი (160;4). ამ მიმართულებით გამონაკლისს წარმოადგენდა წვრილი, პრიმიტიული სახელოსნოები. "ქალაქ ბათუმში და მიმდებარე სოფლებში ამზადებდნენ მაუდს და შავი მატყლის შალს, რომელიც იყიდება ადგილობრივ მცხოვრებლებში. ამას გარდა ამზადებდნენ სპილენძის სხვადასხვა საგნებს, ვერცხლის ნივთებს, რომლებსაც ასაღებდნენ ბათუმის ოკრუგშივე. აქ არიან კარგი მჭედლები და მაუდის ოსტატები" - აღნიშნავდა ფრენკელი (160;24). აჭარაში მრეწველობის განვითარების ყველა წინაპირობა არსებობდა. მხარე მდიდარი იყო წიაღისეული რესურსებით (სპილენძი, მარგანეცი და სხვა) (58;1911), ამავე დროს აჭარის

მკვიდრთ ხელოსნობის მდიდარი ტრადიციები გააჩნდათ. აჭარლები იარაღის კარგი ოსტატები არიან - წერდა უან მურიე (103;31). ასეთივე აზრის იყო თედო სახოკია: „ქვედა აჭარაში სოფელი მაჭახელაა განთქმული თავისი ზეინკლებით, თავისი ღირსებებით ცნობილი „მაჭახელას“ თოფები სწორედ ამ სოფელში კეთდება“ (109;227). (ამ შემთხვევაში არა ერთი სოფელი, არამედ მთელი ხეობა იგულისხმება - ავტ.) მაჭახლის ხეობასა და აჭარის სხვა ადგილებში დამზადებული იარაღი მთელ დასავლეთ საქართველოში იყო ცნობილი. „თოფებს, იატაგანებს და სხვა ცივ იარაღს ქვემო აჭარაში ამზადებდნენ- მაჭახელაში, ცხმორისში, საღორეთსა და ახლში. ეს იარაღი, განსაკუთრებით თოფები, ცნობილია მაჭახელას სახელით და განთქმულია არა მარტო აჭარაში, თვით იმერეთშიც“ (88;71).

არსებითად შეიცვალა ვითარება აჭარაში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ. არა მარტო მრეწველობაში, არამედ საერთოდ მხარის ეკონომიკურ განვითარებაში გადამწყვეტი როლი ბათუმს დაეკისრა.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, ბათუმი რუსეთს გადაეცა პორტო-ფრანკოს სტატუსით. თავისუფალ სავაჭრო ნავსადგურად გამოცხადება მართალია ხელსაყრელი იყო ბათუმის ეკონომიკური განვითარებისათვის, მაგრამ იგი არ შეესაბამებოდა რუსეთის იმპერიის ინტერესებს. „რუსეთს ნაკლებად აშინებდა თურქული ნაწარმის კონკურენცია, მას უფრო აშინებდა იაფი ინგლისური (საერთოდ ევროპული) საქონელი, რომელიც დაუბრკოლებლად იპყრობდა ბათუმის ბაზარს და ადვილად ვრცელდებოდა ქვეყანაში. ამიტომ მოძალდებულ კონტრაბანდას ხელისუფლებამ გარესამყაროსთან პორტო-ფრანკოს სრული იზოლირება დაუპირისპირა და საბაჟო კარანტინების მეშვეობით უმკაცრესი პოლიციური რეჟიმი დააწესა.“ (117;33) რუსეთის ხელისუფლებამ ისარგებლა ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარებით და 1886 წლის 27 ივნისს ბათუმის პორტო-ფრანკო გაუქმებულად გამოაცხადა.

რუსეთთან შეერთების დროისათვის ბათუმი პატარა ქალაქი იყო, თითქმის 3000 მცხოვრებით (9;18). მაგრამ გააჩნდა

შესანიშნავი ყურე, რაც დიდ პერსპექტივას უქმნიდა მის განვითარებას. „ბათუმის ყურე გამორჩეულია თავისი ბრწყინვალე ბუნებრივი მონაცემებით, სიგანე 150 საუენამდეა, სიღრმე ზოგ ადგილას 40 საუენს აღწევს, რაც უზრუნველყოფს ყურეში ყველაზე დიდი მოცულობის სახაზო გემების შესვლას“. (23;14) ასეთი შესაძლებლობების მიუხედავად, ბათუმს რამდენადმე მოხერხებული ნავსადგური არ გააჩნდა. მას სუსტი კაეშირი ჰქონდა თვით ამიერკავკასიის სამრეწველო-ეკონომიკურ ცენტრებთან. ცხადი იყო, რომ ბათუმის ეკონომიკური განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ნავსადგურის მშენებლობას და რკინიგზის გაყვანას. აღნიშნული საკითხების გადაწყვეტას თვით რუსეთის იმპერიის ეკონომიკური ინტერესები მოითხოვდა, რომელიც იმ დროისათვის ნავთობის ექსპორტის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო.

ბათუმის განთავისუფლებამდე ბაქოს ნავთობის საზღვარგარეთ გატანა ფოთის და ბალტიის ზღვის ნავსადგურებიდან ხდებოდა. ამ უკანასკნელიდან ნავთობის ექსპორტი ძვირიც ჯდებოდა და დიდი დროც სჭირდებოდა. არსებული ვითარებიდან ნავთის მრეწველები გამოსავალს ეძებდნენ. ამ თვალსაზრისით ბათუმი საუკეთესო ბაზა იყო ბუნებრივი ყურეთი და მოხერხებული სატრანზიტო მდებარეობით. (55; 1911) 1881 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევადა ბათუმის ნავსადგურის მშენებლობის პროექტის შემუშავება. კომისიამ პროექტი იმავე წელს დაასრულა, რის საფუძველზეც დაიწყო სამშენებლო სამუშაოები. ნავსადგურის მშენებლობა ძირითადად 1885 წელს დასრულდა და 5 მილიონ მანეთამდე დაჯდა. აგებულ იქნა ცალკე ნავსადგომი ნავთობპროდუქტების გადასატვირთად. ნავსადგურის აშენებამ გამოკვეთა ის უპირატესობანი, რაც ბათუმს ფოთთან შედარებით გააჩნდა. „ფოთის მნიშვნელობა თანდათან ეცემოდა, ხოლო ბათუმი სწრაფად იზრდებოდა. მისი სერიოზული კონკურენტი ხდებოდა“. (106;108) ეს პროცესი უფრო თვალსაჩინო გახდა ბათუმ-სამტრედიის რკინიგზის ხაზის გაყვანის შემდეგ, რომლის მშენებლობა 1880 წელს დაიწყო და ექსპლუატაციაში შევიდა 1883 წლის 21 მარტს. ამიერიდან ბათუმი რკინიგზით ბაქოს

დაუკავშირდა, რამაც მისდამი მსხვილი კაპიტალისტების ინტერესიც განსაზღვრა. „ამიერკავკასიის დიდმა ბუნებრივმა სიმდიდრემ, განსაკუთრებით ნავთმა და შავმა ქვამ, ერთბაშად თავი ამოაყოფინა ჩვენში უპირველეს კაპიტალისტებს ევროპისას: როტშილდს, ნობელს და სხვებს... ბათუმმა და ბაქომ განსაკუთრებით ჩქარა დაიჭირა უპირველესი ადგილი მრეწველობასა და ვაჭრობაში. იმიტომ, რომ მსწრაფლად შეითვისა აწინდელი საუკეთესო იარაღი მსოფლიო ბრძოლისა, შეისისხლხორცა ის საშუალებანი, რომელსაც ჰხმარობენ დასავლეთ ევროპის დაწინაურებულსა და უმთავრესს სამრეწველო ქალაქებში“. (77;1891) იმთავითვე გამოიკვეთა, რომ „ბათუმის სამრეწველო განვითარება ძირითადადში ბაქოს ნავთობის ექსპორტის ხარჯზე ხდებოდა“ (1276;43) ბათუმის სამრეწველო განვითარება ნავთობის ექსპორტის მიზნებს დაუქვემდებარდა (114;122)

მართლაც, ბაქოს ნავთობის ექსპორტმა განსაზღვრა ბათუმის არნახულად სწრაფი სამრეწველო განვითარება XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან. „შეიქმნა ნავთობპროდუქტების დახარისხებისა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული მყარი ინფრასტრუქტურა (113;105).

იმ დროისთვის ნავთობის ექსპორტის ორი სახე არსებობდა - სატარო (ჭურჭლით) და გადასხმითი. ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის პროფილი თავიდანვე განისაზღვრა სატარო ფორმით, რამაც ტარის დასამზადებელი საწარმოების აღმოცენებას შეუწყო ხელი. ნავთობპროდუქტების გადასაზიდი ტარის დასამზადებელი პირველი ქარხნის მშენებლობას ბათუმში საფუძველი ჩაეყარა 1882 წელს, რომლის ინიციატორები იყვნენ ინჟინერი ბურგე და პალაშკოვსკი. ე.ი. ქარხნის მშენებლობა დაიწყო ბათუმი-სამტრედიის რკინიგზის ამოქმედებამდე და დასრულდა 1883 წელს. ქარხანა ქალაქ ბათუმში მდებარეობდა. რისი მიზეზიც იმ დროს მოქმედი პორტო-ფრანკოს რეჟიმი იყო. „რათა არ გადაეხადათ უცხოეთიდან შემოტანილი მანქანების, ჩარხების და თუნუქის (რომელიც საჭირო იყო ყუთების დასამზადებლად - ავტ.) ბაჟი. მექარხნეები გრძნობდნენ რა პორტო-ფრანკოს საზღვრების

სივიწროვეს, აღძრეს შუამდგომლობა ჩრდილო-აღმოსავლეთით (ორთაბათუმის ველი-ავტ.) მდებარე ადგილების პორტო-ფრანკოს ფარგლებში მოსაქცევად, რათა იქ აეგოთ ქარხნები, მაგრამ შუამდგომლობა მექარხნეების სასარგებლოდ არ გადაწყდა და იმათაც მომგებიანად ჩათვალეს ქარხნების აგება პორტო-ფრანკოს საზღვრებში“ (46; 12).

პირველი ქარხნისათვის ჩარხები და მოწყობილობა გამოიწერეს ამერიკიდან, საიდანაც მოიწიეს დასამონტაჟებლად ტექნიკოსებიც. საპროექტო შესაძლებლობით ქარხანას ერთ დღეში უნდა გამოეშვა 3. 000 ხის და 6. 000 თუნუქის ყუთი, მაგრამ გამოცდილი მუშების არყოლის გამო იგი ამ სიმძლავრით ვერ მუშაობდა. 1886 წლამდე აღნიშნული ქარხანა ერთადერთი იყო, რომელიც ხისა და თუნუქის ყუთებს მანქანური წესით ამზადებდა (46;13) ქარხანა მოგვიანებით როტშილდის საკუთრებაში გადავიდა და ითვლებოდა „კასპიისა და შავი ზღვის ნავთობის მრეწველობისა და ვაჭრობის ამხანაგობის“ (როტშილდის) ქარხანად. ბათუმში როტშილდის გამონენას „ივერია“ ასე იუწყებოდა: „როტშილდმა დიდი საქმე დაიწყო ბათუმში. ეს დიდი საქმე ნავთის მრეწველობის საქმეა. ოთხმა მილიონმა ფულმა უნდა იტრიალოს ჩვენში. ამ საქმეში უფრო ის არის საინტერესო, რომ საქმის მმართველებად ჩვენებურები არიან... ყველამ იცის, რომ ეკონომიურს კეთილდღეობაზე დამოკიდებულია გონებრივი და ზნეობრივი სიკეთეც“ (75;1886). XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან რუსეთი ნავთობის უმსხვილესი ექსპორტიორი გახდა. ნავთობი გაჰქონდათ ტანკერებით, ძირითადად ევროპაში, ხოლო მახლობელი და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში ხისა და თუნუქის ბიდონებით. სწორედ ნავთობპროდუქტების ტარის დასამზადებელი საწარმოების დაარსებამ მისცა ბიძგი ბათუმის სამრეწველო განვითარებას. 1885 წელს ბათუმში ამოქმედდა სიდერიდისისა და რიხნერის, 1887 წელს ხაჩატურიანცის, შემდეგ მანთაშევის, ძმების ცოვიანოვების და სხვა ქარხნები. ბათუმი ამიერკავკასიის მსხვილი სამრეწველო ცენტრი გახდა. 1887 წლის მონაცემებით ქუთაისის გუბერნიაში საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობის პროდუქციის მოცულობამ შეადგინა 5

მილიონ 237 ათას 254 მანეთი, რომლიდანაც 4 მილიონ 482 ათას 500 მანეთი ბათუმის ქარხნებზე მოდიოდა. ბათუმის ნავთის ქარხნები, რომლებიც ნავთობის ექსპორტს ემსახურებოდნენ, წარმოების მოცულობით 9-ჯერ აჭარბებდნენ მთელი დანარჩენი გუბერნიის საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობას (44;10)

ბათუმის ბაქოსთან რკინიგზით დაკავშირების მიუხედავად კვლავ დღის წესრიგში იდგა ბათუმამდე ნავთობის ტრანსპორტირების საკითხი. ნავთობპროდუქტების დიდი რაოდენობით შეუფერხებელი ექსპორტი მოითხოვდა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი მილის გაყვანას. 1884 წლის მარტში ამერიკელმა მილიონერმა გეორგ ვილსონმა თხოვნით მიმართა კავკასიის უმაღლეს ხელისუფლებას მიეცათ მისთვის კონცესიის წესით ბაქო ბათუმს შორის ნავთობსადენის გაყვანის ნებართვა. მაგრამ მას უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ ევროპელი სპეციალისტების დასკვნით საქართველოშიც აღმოჩნდა ნავთობის ბუდობები, რომელთა ექსპლოატაციის დაწყების შემდეგ აქაური ნავთობი გახდებოდა ბათუმიდან უცხოეთში გასატანი მთავარი საგანი. (111;79) ნავთობსადენის ხარჯები პროექტით 16 მლნ. მანეთს მიაღწევდა. სიძვირის გამო ხელისუფლების წარმომადგენლები გარკვეულ ხანს თავს იკავებდნენ ამ იდეის მხარდაჭერისაგან. მაგრამ იმთავითვე ნათელი იყო ნავთობსადენის გაყვანის სარგებლიანობა რუსეთის სახელმწიფოსათვის. „ნავთის მილის გაყვანა აუარებელს ნავთს გაზიდავს ბაქოდან ბათუმში, საიდანაც ეს მასალა გავა ევროპიულს ბაზრებში და თავის სიუხვით ადვილად დასწავრავს სხვათა ქვეყნების ნავთს... ამგვარი გამარჯვება ჩვენის ნავთისა შესცვლის სავაჭრო ბალანსს რუსეთის სასარგებლოდ და ეს გარემოება ადვილად დააჯილდოებს რუსეთის სახელმწიფოს იმ დანაკლისისათვის, რომელიც მას მოუვა ამიერკავკასიის რკინიგზის გარანტიის ვალდებულებათა შესასრულებლად. ფრიად სასარგებლოა ამ მილის გაყვანა“ (72;1885). ნავთობსადენის გახსნით ერთი ფუთი ნავთობის ბაქოდან ბათუმში გადატანა 18 კაპიკის (ამდენი ჯდება ბათუმიდან რკინიგზით ნავთობის გადაზიდვა-ავტ.) ნაცვლად ექვსი კაპიკი დაჯდება. ხელისუფლების მხრიდან ნაკლები მხარდაჭერის მიუხედავად,

ნობელების ინიციატივით, 1889 წელს 59 ვერსის სიგრძის ნავთობსადენით ერთმანეთს დაუკავშირდა ხაშური და ზესტაფონი. ხაშურამდე ცისტერნებით მოტანილი ნავთობი იხმებოდა რეზერვუარებში, აქედან ნავთობსადენით გადაიქაჩებოდა ზესტაფონში, სადაც ხელახლა იხმებოდა ცისტერნებში და ასე გადაჰქონდათ ბათუმში. ნავთობის ტრანსპორტირების ასეთ სირთულეს განაპირობებდა სურამის უღელტეხილზე გვირაბის არ არსებობა. ნავთობის გატანის მზარდმა მოთხოვნებამ აუცილებელი გახადა სურამის გვირაბის გაყვანა, რომლის მშენებლობა 1886 წელს დაიწყო და 1890 წელს დასრულდა. რაც შეეხება ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის ბათუმი-ხაშურის მონაკვეთს, ექსპლოატაციაში 1900 წელს შევიდა და მისი გამტარუნარიანობა წელიწადში 60,000,000 ფუტს აღწევდა. ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი ბათუმიდან ბაქოს ნავთობის ექსპორტის გაიფხვებას. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ერთი ფუტი ნავთობის მოპოვება ბაქოში ჯდება 3 კაპიკი, ხოლო ამერიკაში 20 კაპიკი, გადამუშავება ერთი ფუტის კი ბაქოში 6 1/4, ხოლო ამერიკაში 21 – კაპიკი. ნავთობის მოპოვება-დამუშავების სიახლე ამერიკაში მოპოვებასთან შედარებით, რუსეთის ნავთობს მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის აბსოლუტურ უპირატესობას ანიჭებდა (133:318-319). ასეთი უპირატესობის გამო ბაქოს ნავთობი უკვე 1886 წლიდან თანდათან ავიწროებდა ამერიკულ ნავთობს მსოფლიო ბაზარზე. ნავთობის ექსპორტის სწრაფი ზრდა ბათუმის ტარის დასამზადებელი ქარხნების მეპატრონეებისაგან შესაბამისად მოითხოვდა წარმოების მოცულობის დაჩქარებულ გაზრდას. ექსპორტიორებისათვის მომგებიანი აღარ იყო ხისა და თუნუქის ყუთების ხელით დამზადება, ან მათი შესყიდვა წვრილი მრეწველებისაგან შედარებით მაღალ ფასებში. „ამ დროიდან დაიწყო გაძლიერებული მშენებლობა ისეთი ქარხნებისა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თუნუქის ყუთების მანქანური წესით დამზადებას, ხოლო ხის ყუთები კვლავ ხელით მზადდებოდა.“ (46:12) თუნუქის ყუთების წარმოების მანქანურ წარმოებაზე გადასვლამ, რასაც თან ერთვის ხე-ტყის თანდათანობით გაძვირებაც, გამოიწვია ხის

ყუთების წარმოების თვითღირებულების გაზრდა თუნუქის ყუთებთან შედარებით. მაგალითად, თუ ხის ყუთების წარმოება მერყეობდა 22-27,3 კაპიკამდე, თუნუქის ყუთის ღირებულება 19-23 კაპიკს აწევდა. ყოველივე ამის შედეგი ის იყო, რომ ხის ტარის წარმოება მცირდებოდა, ხოლო თუნუქისა იზრდებოდა. თუ 1898 წელს თუნუქის ყუთები, რომელიც შეფუთვის გარეშე (შეფუთვისას გამოიყენებოდა ხის ტარა, რაც ასევე ძვირი ჯდებოდა და თანდათან შეუფუთავ თუნუქის ჭურჭელს ენიჭებოდა უპირატესობა - ავტ.) გაიგზავნა საქსპორტოდ, დამზადებული იქნა 1.124. 000 ცალი, ანუ საერთო რაოდენობის 5, 7%, 1899 წელს დამზადებულმა ასეთი ყუთების რაოდენობამ 2. 073. 000 ცალი ანუ საერთო რაოდენობის 8, 9% შეადგინა. საერთოდ 1899 წელს დამზადებული იქნა 11. 942. 055 ცალი ხის ყუთი, ხოლო თუნუქის - 25. 948, 704 ცალი, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენდა 8. 430. 073 მანეთს (49;12).

ბათუმის მსხვილი ფირმების მიერ 1896-1899წწ. ხისა და თუნუქის ყუთების წარმოება ასეთ სურათს გვაძლევს (133;304):

N	ტარის წარმოებელი ფირმები	1896 წელი		1897 წელი		1898 წელი	
		დამზადებული ყუთების რაოდენობა	დამზადებული თუნუქის ბილი-ნების რაოდენობა	დამზადებული ყუთების რაოდენობა	დამზადებული თუნუქის ბილი-ნების რაოდენობა	დამზადებული ყუთების რაოდენობა	დამზადებული თუნუქის ბილი-ნების რაოდენობა
1	ბნიტო	3174661	6349322	3423691	6847382	3372288	6745376
2	მანთაშევი	2215850	4431700	2044350	4088700	2995450	5910900
3	ცოვიანოვი	1608473	3216946	1909690	3811380	1460000	2920000



4	სიდერისი	1223020	2446040	1147570	2295140	912500	1825000
5	ხანატურიანი	150000	2300000	1400000	2800000	1826000	3650000
6	რისნერი	-	-	-	-	365000	730000
7	მესროპოვი	-	-	-	-	-	-
8	სამხ.რუსეთის ბანკი	1727677	3455345	354370	708740	-	-
9	გრამატიკოპული		-	-	-	492750	985500
	<b>ს უ ლ</b>	<b>11099681</b>	<b>22199362</b>	<b>10275671</b>	<b>20551342</b>	<b>11383388</b>	<b>22766771</b>

თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე ბათუმის მრეწველობამ განვლო რთული გზა. „თუ შეერთების მომენტში იქ გაბატონებული იყო ხელოსნობა, XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს უპირატესობა უკვე მანუფაქტურამ და ქარხანამ მოიპოვა. 90-იან წლებში დამთავრდა ტექნიკური გადატრიალება და ბათუმში თითქმის განუყოფლად საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა გაბატონდა“ (18;225) ტექნიკური სიახლეების დანერგვა ამცირებდა საწარმოების ხარჯებსა და ხელს უწყობდა მის ზრდას, მაგრამ უარყოფითად მოქმედებდა ქარხნებში დასაქმებულთა ბედზე და იწვევდა მათი რიცხვის შემცირებას.

ტარის დასამზადებელი ყოველი ქარხანა შედგებოდა ორი განყოფილებისაგან: ხის სახერხი-სადურგლო და თუნუქის. პირველი განყოფილება ყველა ქარხანაში ერთნაირად იყო მოწყობილი, ჰქონდათ ერთნაირი დაზგები, რომელიც მოძრაობაში მოჰყავდა ორთქლის ძრავას, რაც შეეხება თუნუქის განყოფილებებს, დაზგების მოძრაობაში მოყვანის თვალსაზრისით ორ კატეგორიად იყოფოდა: ქარხნები, რომელთა დაზგები მოძრაობაში მოჰყავდა მექანიკურ ძრავას და ქარხნები, რომელთა დაზგები მოძრაობაში მოჰყავდა მუშებს. მაგრამ ასეთი ქარხნები თანდათან გადადიოდნენ მექანიკური ძრავის

გამოყენებაზე. 1895 წლისათვის ბათუმში ტარის დასამზადებელი ასეთი 8 ქარხანა მოქმედებდა. 1. კასპია-შავი ზღვის ნავთობის მრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოების (როტშილდის), 2. ა.ი. მანთაშევის. 3. ძმები ცოვიანოვებისა და კომპანიის 4. რ.ა. რიხნერის, 5. ს.ა. სიდერისის, 6. სავაჭრო სახლ მ.გ. ხაჩატურიანცისა და კომპანიის, 7. ძმები გრამატიკოპულოს, 8. საიად შაჰბაზოვის (46;12).

იმავე 1895 წელს ბათუმის ოკრუგში მოქმედებდა 3 ქარხანა - 1 სპილენძ-სადნობი და ორი ტყავის, ხოლო ქალაქ ბათუმში სულ 35 საწარმო იყო. მათ შორის: 1 თუჯისსახსმელი, 2 თამბაქოს, 4 მინერალური წყლების, 1 ხელოვნური ყინულის, 1 ხისსახერხი, 17 ტარის დასამზადებელი ქარხანა და ნავთის ჩამოსასხმელი სადგური, 7 კასრის, 1 ფანერის, 1- ლურსმნის დასამზადებელი. ქალაქ ბათუმის საწარმოებში მუშაობდა სულ 3845 მუშა, ხოლო წარმოებული პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 26. 541. 965 მანეთს. მაშინ როცა მთელს ქუთაისის გუბერნიაში ითვლებოდა 723 საწარმო, 5474 მუშით და წარმოებული პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 27 401. 793 მანეთს (46;36).

ბათუმის ზრდა უპირველესად ნავთობის ექსპორტზე იყო დამოკიდებული, რაც თავისთავად იწვევდა შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას - ნავთის ჩამოსასხმელი სადგურების, რეზერვუარების მშენებლობას, რომელთა ძირითადი ნაწილი უშუალოდ ქალაქის ტერიტორიაზე იყო განლაგებული.

ნავთის ქარხნების თავმოყრა ერთ მხრივ ქალაქთან, ხოლო მეორე მხრივ ბარცხანის ბატარეასთან სახიფათო იყო მშვიდობიანობის დროს, ხანძრის შემთხვევაში. საფრთხე გაცილებით გაიზრდებოდა საომარი მოქმედების ვითარებაში. ვინაიდან ბათუმში, როგორც მნიშვნელოვანი საპორტო ქალაქი დაცული უნდა ყოფილიყო უსაფრთხოების თვალსაზრისით. საჭირო იყო ნავთის ქარხნების რეზერვუარების გატანა ქალაქის გარეთ. ამ მიზნით გადაწყდა ნავთის ქალაქის (ე.წ. გოროდოკის - ავტორი) მშენებლობა. „ბათუმში ნავთობის ქალაქის მშენებლობის საკითხში ერთმანეთს დაუპირისპირდა ნავთის მრეწველებისა და

სამხედროთა ინტერესები (33;8). ამ საკითხის გადასაწყვეტად ქალაქ ბათუმის გამგეობამ შექმნა კომისია 1891 წელს, რომელიც თავის სხდომებზე იწვევდა ნავთის მრეწველებს (8;117) მენავთობეთა ქალაქის მოსაწყობად განიხილებოდა რამდენიმე ვარიანტი: 1) მდ. ყოროლისწყლის ველი (ქალაქიდან 2-3 ვერსის დაშორებით) 2) ჩაქვის წყლის შესართავი (დაახლოებით 12 ვერსი) 3) მდინარე ჭოროხის ველზე კაპანდობი (დაახლოებით 9 ვერსი). კომისიას ესმოდა რა მეორე და მესამე ვარიანტის ხარჯიანობა სიშორის გამო, შესაძლებლად თვლიდა ყოროლისწყლის ნაპირზე მშენებლობის მხარდაჭერას იმ პირობით თუ „მენავთობეთა ქალაქი გადაიწვედა შესაძლებლობის ფარგლებში, მდინარე ყოროლისწყლის ზემო წელისკენ და შეიზღუდებოდა ქალაქის გაფართოება დასავლეთისაკენ“ (8;208-210). კომისიამ თავისი გადაწყვეტილება წარუდგინა ქალაქის გამგეობას დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარსადგენად.

ბათუმიდან ნავთობპროდუქტების გატანის ზრდის კვალობაზე არნახული ტემპით იზრდებოდა პორტის ტვირთბრუნვა. თუ ბათუმის რუსეთთან შეერთების დროს პორტის ტვირთბრუნვა არ აღემატებოდა 500. 000 ფუტს, 20 წლის შემდეგ 1899 წელს მან 90. 000.000 ფუტს მიაღწია (24;52-53) ხოლო 1903 წლისათვის 107.700.000 ფუტი შეადგინა (26;10) საერთო ტვირთბრუნვაში წამყვან როლს ექსპორტი ასრულებდა. თუ 1890 წელს ბათუმის პორტში უცხოეთიდან შემოიტანეს 5. 115. 000 ფუტი ტვირთი, გაიტანეს 45.395.709 ფუტი (34;12). 1893 წელს შემოიტანეს 5. 760. 000 ფუტი, ხოლო გაიტანეს 57. 724. 000 ფუტი (27;2).

უცხოეთში გატანილი საქონლის ძირითად ნაწილს ნავთობი და ნავთობპროდუქტები შეადგენდა. თუ 1884 წელს ბათუმიდან გაიტანეს 3. 745. 653 ფუტი ნავთობპროდუქტი, 1892 წელს ამ ციფრმა 51. 419. 838 ფუტი შეადგინა, ხოლო 1893 წლისათვის 55. 397. 994 ფუტს მიაღწია (27;1-2). ბათუმიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გატანამ პიკს 1902 წელს მიაღწია და 78. 338. 800 ფუტი შეადგინა (133;310-311).

ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული სამრეწველო დარგების გარდა დიდი მნიშვნელობა აჭარის (და საერთოდ ბათუმის ოლქის - ავტ.) ეკონომიკური განვითარებისათვის სამთამადნო მრეწველობას ჰქონდა. მხარეში ჯერ კიდევ შორეულ წარსულში მეტალურგიის განვითარების მაღალ დონეზე არაერთი არქეოლოგიური აღმოჩენა მეტყველებს.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წიაღისეული რესურსებით ევროპელი კაპიტალისტები ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის პერიოდში დაინტერესდნენ. XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში გერმანულმა ფორმამ "ძმები სიმენსები" ბათუმის რაიონში დაიწყო სპილენძის საბადოების დამუშავება და ააგო სპილენძსადნობი ქარხანა, რომელიც 44 ათას ფუთზე მეტ სპილენძს იძლეოდა წლიურად, რომლის ღირებულება 500 ათას ოქროს მანეთს შეადგენდა (159;28). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის, განსაკუთრებით სპილენძის ათვისება-დამუშავებას მეტი ყურადღება მიექცა ამ რეგიონის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ. მდ.ჭოროხისა და მისი შენაკადების ხეობებში სპილენძის არაერთი საბადო იქნა აღმოჩენილი. "ბათუმის ოლქი მეტად მდიდარია მადნეულობით. ტყვია-ვერცხლი, სპილენძი, ცინკი ბევრია ყველა ესენი ცხადად სჩანან ისე, რომ მთის ინჟენერებს, ვისაც კი აქაურობა უნახავს, არაერთხელ ეს ამბავი გამოუცხადებიათ" (82;1896). ბათუმის ოლქის წიაღისეული რესურსებით სიმდიდრეზე არერთი ცნობა არსებობს. "რაიონი განსაკუთრებით მდიდარია სპილენძის, მარგანეცისა და სხვა წიაღისეულის საბადოებით, რომელთა დამუშავება აუცილებელია არა მარტო ოლქის მოსახლეობის ინტერესებისათვის, არამედ სახელმწიფო ხაზინისთვისაც"(6;1). "ბათუმის ოლქი ძალზე მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, რომელთა შორის წამყვანი ადგილი უჭირავს სპილენძის საბადოებს. ამჟამად მიკვლეულია ბათუმის ოლქში 45 სპილენძის საბადო, 34 ართვინის ოკრუგში და 11 ბათუმის ოკრუგში. ასევე ცნობილია ვერცხლისა და ტყვიის 14 საბადო ართვინის ოკრუგში და ამდენივე ბათუმის ოკრუგში. 8 თუთიის საბადო, გოგირდის საბადო, რკინის 10 საბადო, გრანიტის,

მარგანეცის საბადოები“(41;17). სამწუხაროდ, აღნიშნული საბადოების ათვისება საკმაოდ ნელა მიმდინარეობდა.

ამის მიზეზი რთულ რელიეფთან ერთად გზების მოუწყვსრიგებლობაც იყო. “ბათუმის მაზრაში მადნები საკმაოდ მდიდარნი არიან, მაგრამ მათი წარმოება შეფერხებით მიდის. ამის მიზეზი ის არის, რომ მდინარესთან ახლოს კი არ მდებარეებენ ისინი, არამედ ჭოროხზე კარგა მოშორებით. ასე რომ გადაზიდვა მთიან და კლდიან ალაგებში ძალიან ძვირად ჯდება. ამის გარდა, თვით ჭოროხი არ ვარგა... მენავეები ქვევით ზევით სამ დღეს უნდებიან, ხოლო ზემოდან ქვევით 5 საათს... ამის გამო განზრახვა აქვთ გზა გაიყვანონ ბათუმისა, არტანისა და არსის შუა და ერთი ტოტით ართვინსაც შეუერთონ. ეს გზა მეტად საჭიროა უფრო სპილენძის წარმოების გასაძლიერებლად” (64;1884).

თანდათან სპილენძის საბადოების დამუშავებას მეტი ყურადღება ექცეოდა. 1890 წელს გერმანელმა მრეწველებმა რობერტ რიხნერმა და ანტონ სალერნიმ ბათუმიდან 11 ვერსის დაშორებით, სოფელ ერგეში ააგეს სპილენძის სადნობი ქარხანა, რომლის ტექნოლოგიური შესაძლებლობა 50-60 ათასი ფუთი წითელი სპილენძი იყო წელიწადში (133;455).

რუსეთში სპილენძის მრეწველობა სამ ძირითად რეგიონში – კავკასიაში, ურალსა და ყაზახეთში იყო განვითარებული. 1906 წლამდე სპილენძის წარმოებაში კავკასია პირველ ადგილზე იყო, 1907 წლიდან დაწინაურდა ურალი. თუმცა, ამის შემდეგაც ამიერკავკასიის ხვედრითი წილი რუსეთის სპილენძის წარმოებაში მაინც დიდი იყო და 1913 წელს 33%-ს შეადგენდა (104;349). ისევე როგორც რუსეთის მრეწველობის სხვა დარგებში, სპილენძის წარმოებაშიც დიდი იყო უცხოური კაპიტალის როლი. 1900-1913 წლებში რუსეთის იმპერიის მაშტაბით გამოდნობილი სპილენძის 75% უხოელთა წილად მოდიოდა. ანალოგიური იყო ვითარება ბათუმის ოლქის სპილენძის წარმოებაშიც. სწორედ უცხოელმა, გერმანელმა რ.რიხნერმა დაარსა პირველი სპილენძსადნობი ქარხანა სოფ.ერგეში. აი, რას წერდა რიხნერის საქმიანობის შესახებ “ივერია”:“ამ რვა წლის წინად სოფლაგარი რ.ა.რიხნერი

შესდგომია სპილენძის მადნის დამუშავებას ართვინის ადგილებში და ამ საქმეზე დაუხარჯავს 800.000 მანეთით. მაგრამ მალე ბატონ რიხნერს და მისს ამხანაგს ბატონ სალერნის რაღაც ერთმანეთში დავა ასტეხიათ... ეხლა მარტო ბ-ნს რიხნერს დარჩენია ეს მადანი, რომელიც ისე მდიდარია თურმე სპილენძით, რომ მას სხვა მადანი რუსეთში არ შეედრებაო. და ხელახლა შესდგომია საქმეს მარტო, უამხანაგოდ და არა მარტო ხოტში, რომელიც ართვინის მაზრაშია, არამედ აჭარაშიც სოფელ მერისშიო. მადნის გადასადნობელი ქარხანა ბ-ნს რიხნერს ბათომიდან 12 ვერსზე, თურმე სოფელ ერგეში აქვს და მოწყობილი აქვს უკეთესის მანქანებით, საზღვარგარეთიდან მოტანილებითა. თითონ მადანი გადასადნობად ართვინის მაზრიდან ჭოროხის წყლით მოაქვთ და აჭარიდან კი ჩარვადრები ეზიდებიანო. ბათომიდან ქარხანამდე მშვენიერი გზატკეცილია და ბათომში მოტანა ხალასის სპილენძისა ბევრი არ ჯდებაო...

ზემოთხსენებული ამბავი აღსანიშნავია, როგორც ერთი იმისთანა მაგალითი, რომელიც გვაუწყებს, რომ ჩვენს გამრჯელობას სძინავს, ჩვენ ჩვენშივე ბრმასავით დავიარებით, ვერა ვხედავთ რის მომცემია ჩვენი ქვეყანა“(82;1896).

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიის სპილენძის მრეწველობაში გამოჩენას იწყებს ინგლისურ-ამერიკული კაპიტალი. ამავე რაიონში აქტიურობდა გერმანული კაპიტალიც (112;137). უცხოელთა დაინტერესება დიდი იყო ბათუმის ოლქის სპილენძის საბადოებით. 1901 წლისთვის ბათუმის ოლქში სასარგებლო წიაღისეულის დამუშავებას ეწეოდა 14 სამთო-სამრეწველო ორგანიზაცია (133;21), რომელთა უმრავლესობა უცხოური კომპანიები იყო.

1890 წელს დაარსებული ერგეს სპილენძსადნობი ქარხანა ხოდის (ართვინის ოკრუგი), მადანზე მუშაობდა. ქარხანა მაღაროებზე 130 ვერსით იყო დაშორებული, რაც შეუძლებელს ხდიდა მადნის უწყვეტად მიწოდებას და შესაბამისად ქარხნის შეუფერხებელ მუშაობას. 1902 წლამდე ერგეს ქარხანაში მუშავდებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა საბადოების მადანიც. მიუხედავად ამისა, ქარხნის მუშაობა

მაინც არასტაბილური იყო. თუ 1890 წელს გამოადნეს 292 ფუთი სუფთა სპილენძი, 1900 წელს -7.800 ფუთი, 1910 წელს მხოლოდ 1.672 ფუთი (96;112-113). ასეთი არასტაბილური შედეგის მიზეზი იყო ქარხნიდან მადაროების სიშორე, უგზოობა, რასაც ზედ დაერთო ქარხნის მფლობელის რ.რიხნერის ფინანსური გართულებებიც. ასეთი პრობლემების გამო ერგეს ქარხანამ საბოლოოდ მუშაობა შეწყვიტა.

ბათუმის ოლქში ერგეს და ხოდის სპილენძის ქარხნების გარდა მე-20 საუკუნის დასაწყისში კიდევ ორი სპილენძისადნობი კომპლექსი მოქმედებდა-ჭინკათხევსა (ძანსულსა) და ქვარცხანაში. ჭინკათხევსის კომპლექსი ეკუთვნოდა ინგლისურ-ამერიკულ ფირმა "კაეკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოებას". ფირმის დაბანდებული კაპიტალის უდიდესი ნაწილი ეკუთვნოდა ამერიკელ კაპიტალისტს ს.მორგანს. 1901 წელს ფირმამ მურღულის ხეობაში ჩაატარა სპილენძის მადნის საძიებო სამუშაოები და არსებული მარაგი დაახლოებით 400 მილიარდი ფუთით (66 მილიარდი ტონა) განსაზღვრა. მართალია მადანში სპილენძის შემცველობა მცირე იყო, მაგრამ მარაგის დიდი რაოდენობა წარმოებას დიდი ხნით უზრუნველყოფდა. 1902 წელს ფირმამ რუსეთის მთავრობისაგან ბათუმის ოლქში სასურველი ტერიტორიების შეძენის, ქარხნების აგებისა და სპილენძის საბადოების განუსაზღვრელი ვადით ექსპლუატაციის უფლება მიიღო (22;12). იმავე წელს ძანსულის საბადოებიდან 9 ვერსზე, ჭინკათხევში სპილენძისადნობი ქარხნის მშენებლობა დაიწყო. ქარხნის სამრეწველო შესაძლებლობა წელიწადში 200 ათასი ფუთი სუფთა სპილენძი იყო. 1903 წელს ქარხანამ უკვე გამოუშვა 31.000 ფუთი სპილენძი (112;143). ქარხნის საპროექტო შესაძლებლობით ამოქმედებისათვის თანდათან არაერთი მშინენველოვანი ღონისძიება ტარდებოდა: სათადარიგო ნაწილებით შეუფერებლად მომარაგებისათვის ქარხანასთან ააგეს თუჯსასხმელი, სამჭედლო და მექანიკური საამქროები, მადნის დაბალი ხარისხის გამო აგებული იქნა 4 გამამდიდრებელი ფაბრიკა, მადაროებიდან ფაბრიკამდე გაიყვანეს რკინიგზის ხაზი, 2620 მეტრი სიგრძის საბაგირო გზა, საწვავით შეუფერებლად მომარაგებისათვის ბათუმიდან

ჭოროხის და მურღულის ხეობებით გაიყვანეს 60 ვერსის სიგრძის ნავთობსადენი. წარმოებაში დაინერგა ტექნიკური სიახლენი (მექანიკური ბურღვა, ელექტრომექანიკური ნიჩბის გამოყენება და სხვა). სულ 1901-1914 წლებში "კავკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოებამ" ჭინკათხევის სამრეწველო კომპლექსის აღჭურვისათვის 20 მილიონი მანეთი დააბანდა.

ყველა ამ გატარებული ღონისძიების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სპილენძის მადნის მოპოვება-დამუშავება. თუ 1903 წელს გააღწეს 31.000 ფუთი სუფთა სპილენძი, ხოლო 1910 წელს 101.000 ფუთი, 1913 წელს უკვე – 206.000 ფუთი (22;16).

ბათუმის ოლქში სპილენძის დამუშავებაში აქტიურ როლს ასრულებდა გერმანული ფირმა "ძმები სიმენსები" რომლებმაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60- იან წლებში, ოსმალთა ბატონობის ხანაში დაიწყო ბათუმის ოლქში სპილენძის მოპოვება. 1901 წელს კარლ სიმენსმა ართვინის ოკრუგში, სოფ.ქვარცხვანაში აიღო მიწის ნაკვეთი და დაიწყო სპილენძის დამუშავება" (42;29). თავდაპირველად სიმენსებს სპილენძის მადანი საზღვარგარეთ გაჰქონდათ ან მეზობელ ქარხნებში ამუშავებდნენ. 1905-1907 წლებში აქ ააგეს შავი სპილენძის სადნობი ქარხანა. სადაც უკვე 1907 წელს გამოაღწეს 53.000 ფუთზე მეტი შავი სპილენძი. სპილენძის მადნის მოპოვების ზრდამ (1909 წელს ამოიღეს 436.000 ფუთზე მეტი მადანი) სიმენსებს გადააწყვეტინა დიდი სპილენძისადნობი ქარხნის აგება. ამ მიზნით მათ გამოყვეს ერთი მილიონი მანეთი, კიდევ დაწვეს ქარხნის მშენებლობა, მაგრამ მსოფლიო ომის დაწყებამ სიმენსების სპილენძისადნობი ქარხნის ამოქმედება გადაავადა.

აჭარის სასოფლო-სამეურნო რესურსები მსუბუქი მრეწველობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. თუ არ ჩავთვლით თამბაქოსა და ჩაის სამრეწველო დამუშავებას, ამ მიმართულებით აჭარაში სამწუხაროდ ბევრი არაფერი გაკეთებულა.

თამბაქოს ფოთლის მთავარ სავაჭრო ცენტრს ბათუმის ოლქში ქალაქი ბათუმი წარმოადგენდა.თამბაქოს ნედლეულის



როგორც შემსყიდველი, ისე მისი სამრეწველო დამუშავების ინიციატორები ბათუმში ძირითადად უცხოელი ფაბრიკანტები იყვნენ. ბათუმში განლაგებული თამბაქოს საწებები ეკუთვნოდნენ ბინიათ-ოლდის, დანილოვის, პოდოლეცკის და სხვებს XIX საუკუნის დამლევს ქ.ბათუმში უკვე მოქმედებდა 3 თამბაქოს ფაბრიკა, რომელთა შორის გამოირჩეოდა 1889 წელს დაარსებული ბინიათ-ოლდის და 1899 წელს დაარსებული შელოვიცკი-ლევებერგის თამბაქოს ფაბრიკები. 1899 წელს ქუთაისის გუბერნიის ეკონომიკური განვითარების მიმოხილვიდან ჩანს, რომ ბათუმის 3 თამბაქოს ფაბრიკამ საანგარიშო წელს მიიღო 4.194 ფუთი თამბაქოს ფოთოლი, რომლისგანაც გამოუშვა 7.931.000 ცალი სიგარეტი. სამივე ფაბრიკაში დასაქმებული იყო 82 მუშა (49;49). ბათუმის თამბაქოს ფაბრიკები მუშაობდნენ როგორც ადგილობრივ, აჭარაში (და საერთოდ ბათუმის ოლქში) მოწვეულ ისე სოხუმის ოკრუგიდან, ყუბანიდან და თურქეთიდან შემოტანილ ნედლეულზე.

1902 წელს ბინიათ-ოლდის თამბაქოს ფაბრიკამ მიიღო და გადაამუშავა 5.501 ფუთი თამბაქო, ხოლო შელოვიცკი-ლევებერგის ფაბრიკამ-1.804 ფუთი (133;430-440).

აჭარაში დიდი პერსპექტივა ჰქონდა სოფლის მეურნეობის ახალი სუბტროპიკული კულტურების, განსაკუთრებით ჩაის გაშენებისა და მისი სამრეწველო დამუშავების საქმეს. XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან უცხოელმა მოახალშეენებმა პირველი ჩაის პლანტაციები გააშენეს ჩაქვში, სალიბაურსა და კაპრეშუმში. აჭარაში ჩაის გაშენების პროცესი გაცილებით სწრაფად წარიმართა ჩაქვის საუფლისწულო მამულის შექმნის შემდეგ. უკვე 1901 წლისთვის მარტო ჩაქვის საუფლისწულო მამულში გაშენებულმა ჩაის პლანტაციებმა 100 დესეტინას გადააჭარბა (18;75), ხოლო საერთოდ აჭარაში გაშენებულმა პლანტაციების ფართობმა 248 დესეტინა შეადგინა (32;5). ჩაის პლანტაციების მფლობელთა უმრავლესობა მოწვეულ ნედლეულს კუსტარულად, საოჯახო პირობებში ამუშავებდა. 1899 წელს პირველი ფაბრიკა აიგო ჩაქვის მამულში. 1900 წლისთვის აჭარაში ორი ჩაის ფაბრიკა იყო, რომელთა რიცხვი 1907 წლისთვის 4-მდე გაიზარდა. თანდათან კუსტარულად

დამზადებული ჩაის ხვედრითი წილი საერთოდ აჭარაში ჩაის წარმოებაში უმნიშვნელო გახდა. სწრაფად იზრდებოდა აჭარაში დამზადებული მზა ჩაის რაოდენობაც. მაგ.თუ 1899 წელს მხოლოდ ჩაქვის მამულში დაამზადეს 300 ფუნტი მზა ჩაის პროდუქცია, 1904 წელს ამ ციფრმა 100.000 ფუნტი შეადგინა (51;13).

აჭარის სამრეწველო განვითარებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნოდა ბათუმს. ამ თვალსაზრისით (როგორც საწარმოთა რაოდენობით, ისე საერთო საქონელბრუნვით) ბათუმს არა თუ აჭარაში, არამედ მთელს ქუთაისის გუბერნიაში ჰქონდა გამოკვეთილი უპირატესება. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში. ამ მხრივ საინტერესოა ქუთაისის გუბერნიის 1893 წლის მიმოხილვის ციფრები, რომელიც შეეხება საანგარიშო წელს სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებების რაოდენობას და მათ საქონელბრუნვას (45;13).

გილდიების საწარმოები

ქალაქი, მაზრა	საწარმოების რაოდენობა	საერთო ბრუნვა (მანეთებში)	მოგება	გადასახადის თანხა
ბათუმი	195	32.554.000	733.000	12.000
სოხუმი	50	719.400	68.000	700
ქუთაისის მაზრა და ქ. ქუთაისი	326	4.211.000	375.000	7.200
<b>სულ გუბერნიაში</b>	<b>1.327</b>	<b>44.521.654</b>	<b>1.562.180</b>	<b>35.000</b>

არაგილდიების საწარმოები

ქალაქი, მაზრა	საწარმოების რაოდენობა	საერთო ბრუნვა (მანეთებში)	მოგება	გადასახადის თანხა
ბათუმი	553	1.429.500	180.120	2.400

სოხუმი	80	365.600	74.400	200
ქუთ. მაზრა და ქ. ქუთაისი	847	2.212.640	300.000	3.000
<b>სულ გუბერნიაში</b>	2666	5.632.560	760.741	9.000

ბათუმის აღმავალი სამრეწველო განვითარება არც შემდეგ წლებში შენელებულა. 1902 წელს ქ.ბათუმში ფუნქციონირებდა 1026 სავაჭრო და 366 სამრეწველო დაწესებულება (133;416).

მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა აჭარის (განსაკუთრებით ბათუმისა-ავტ.) მრეწველობა სწრაფად იზრდებოდა და XX საუკუნის დამდეგიდან ქ.ბათუმი თბილისისა და ბაქოს შემდეგ ამიერკავკასიაში მესამე სამრეწველო ცენტრად ითვლებოდა.

ბათუმის სამრეწველო განვითარების მაშტაბებმა განსაზღვრა აქ რუსეთის ბანკების აქტიური საქმიანობა. ჯერ კიდევ 1886 წელს გაიხსნა ბათუმში სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება. 1890 წელს გაიხსნა თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილება, ხოლო 1895 წელს - სამხრეთ-რუსეთის სამრეწველო ბანკის განყოფილება. 1903 წლისათვის ბათუმში ფუნქციონირებდა შემდეგი ბანკები: 1. სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება, რომლის საერთო ბრუნვამ 1903 წელს შეადგინა 84. მილიონი 320. 049 მანეთი და 90 კაპიკი.

2. თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილება, რომლის წლიურმა ბრუნვამ შეადგინა 167 მილიონ 315. 432 მანეთი და 16 კაპიკი.

3. საერთო კრედიტის ბათუმის საზოგადოება, რომლის საერთო ბრუნვამ შეადგინა 18 მილიონ. 676. 345 მანეთი და 22 კაპიკი.

4. სამხრეთ-რუსეთის სამრეწველო ბანკის ბათუმის განყოფილება, რომლის წლიურმა ბრუნვამ შეადგინა 69 მილიონ 537 მანეთი და 90 კაპიკი.

5. რუსეთ-ჩინეთის ბანკის ბათუმის განყოფილება, რომლის წლიურმა ბრუნვამ შეადგინა 5 მილიონ 554 მანეთი და 87 კაპიკი.

6. 1903 წელს ბათუმში გაიხსნა სასოფლო ბანკი, რომლის ძირითადი კაპიტალი შეადგენდა 300.000 მანეთს (26;11).

სამრეწველო განვითარების პარალელურად იზრდებოდა ქალაქ ბათუმის მოსახლეობა, მატულობდა ფასი მიწაზე, იზრდებოდა ქალაქის ფართობი, რომელმაც 1891 წელს 924 000 კვადრატული საუენი შეადგინა. სწრაფად იზრდებოდა ქალაქის შემოსავალი, რომელმაც 1889 წელს 145. 453 მანეთი და 21 კაპიკი შეადგინა, 1892 წელს - 192. 882 მანეთი. 56 კაპიკი, 1891 წელს კი 248. 701 მანეთი და 40 კაპიკი (78;1891).

განვითარების ასეთი ტემპის წყალობით „ოციოდე წელიწადში ბათუმი პატარა, აზიური ფეოდალური ქალაქიდან, გადაიქცა ევროპულ კაპიტალისტურ ქალაქად, რუსეთის იმპერიის ერთერთ მსხვილ სამრეწველო ცენტრად, რომელიც ბაქოსა და თბილისთან ერთად ტონს აძლევდა ამიერკავკასიის კაპიტალისტურ განვითარებას“ (89;227).

ბათუმის ზრდა-განვითარება ბაქოს ნავთობის ექსპორტის ხარჯზე ხდებოდა. ნავთობის მსოფლიო ბაზარზე მომხდარ ცვლილებებს შეეძლო სერიოზული ზიანი მიეყენებინა ბათუმის სამრეწველო განვითარებისათვის. „ექსპორტის დარგში მომხდარ შეფერხებას, შეიძლება, მთელი საწარმოების ერთბაშად პარალიზება მოჰყოლოდა (106;176).

XX საუკუნის დასაწყისში, როგორც ამერიკაში, ისე ინდოეთსა და ბირმაში აღმოჩენილი იქნა ნავთობის ახალი საბადოები, რამაც შეზღუდა რუსეთიდან ნავთობის გატანა აღმოსავლეთის ქვეყნებში, რაც უარყოფითად აისახა ბათუმის სამრეწველო განვითარებაზე.

## **§ V ვაჭრობის განვითარება აჭარაში 1886-1903 წლებში**

ვაჭრობა ისტორიულად აჭარაში მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი ყოფილა. აჭარელნი ძველთაგანვე მუშაობასა და ვაჭრობას იყვნენ შეჩვეულნი. ვაჭრობაში ზღვის ნაპირები და ლაზისტანი უწყობდა ხელს” (80;1894) ოსმალეთის ხანგრძლივმა ბატონობამ საერთო დადი დაასვა აჭარის ეკონომიკას, განსაკუთრებით კი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ უგზობობის გამო მხარის სასოფლო-სამეურნეო რაიონები ფაქტიურად მოწყვეტილი იყო ძირითად სავაჭრო ცენტრს – ბათუმს, სადაც დიმიტრი ბაქრაძის ცნობით 800 დუქანი ყოფილა (88;24). ვაჭართა უმრავლესობა უცხოელები იყვნენ (160;117-118). ადგილობრივი მოსახლეობა ვაჭრობასა და მრეწველობის განვითარებისადმი დიდ ინტერესს არ იჩენდა. “ქართველობამ ვერ შესძლო დროისათვის აღდოს აღება, მრეწველობა, აღებ-მიცემობა მან სათაკილო საქმედ მიიჩნია და სომხებსა და ებრაელებს დაუტოვა ეს დაბალი ხელობა” (56;191). ქვემო აჭარის მცხოვრებთათვის მნიშვნელოვან ცენტრს ქელა წარმოადგენდა, სადაც ყოველ პარასკევს ბაზრობა იმართებოდა (103;14). აქ ასაღებდა ადგილობრივი მოსახლეობა ხელოსნურ ნაკეთობებს, მეცხოველეობის პროდუქტებს, ხილს.

აჭარის რუსეთთან შეერთების შემდეგ ბათუმში ვაჭრობის განვითარებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ბათუმი რუსეთს გადაეცა როგორც თავისუფალი სავაჭრო ნავსადგური – პორტო-ფრანკო. მკაცრი კონტროლის მიუხედავად, ბათუმიდან ევროპული საქონელი კონტრაბანდული წესით ვრცელდებოდა არა მარტო დასავლეთ საქართველოში, არამედ თვით რუსეთშიც. რუსულ სამრეწველო საქონელს არ შეეძლო კონკურენცია გაეწია მაღალხარისხოვანი და შედარებით იაფი ევროპული (განსაკუთრებით ინგლისური) საქონლისათვის. რუსეთის ხელისუფლება საკუთარი მრეწველ-კაპრალისტების ინტერესებიდან გამომდინარე ცდილობდა პორტო-ფრანკოს რეჟიმის გაუქმებას ბათუმში, რასაც 1886 წლის 27 ივნისს მიაღწია კიდევ. პორტო-ფრანკოს გაუქმება ბათუმში ვაჭრობის განვითარებისათვის უდავოდ უარყოფითი მოვლენა იყო.

“ოსმალეთიდან ბათუმში მრავალი მუშა, ხელოსანი და მათხოვარა სომეხი მოდის სარჩოს მოსაპოვებლად. ქუჩები სავსეა მოსულეებით... საშოვარი, სამუშაო კი ვერ მოუპოვებით, რადგანც პორტო-ფრანკოს გაუქმების შემდეგ სამუშაო საქმე ხელოსნობა და ვაჭრობა შემცირდა (76;1887).

მაგრამ ბათუმს შესანიშნავი ბუნებრივი ყურე გააჩნდა “ბათუმის, როგორც ბრწყინვალე პორტის რეპუტაცია განმტკიცებულია ყველა მოგზაურს შორის. ეს სრულად ცხადია ყველასათვის, ვისაც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ უცურავს, შეუწუხებია ზღვის ავადმყოფობას და უგრძვნია მისი შეწყვეტა, როცა ხომალდი შედიოდა ბათუმის წყნარ ყურეში” (151;1878). ბათუმის პორტი ძალზე მოხერხებული და ღრმაა... წყლის სიღრმე შესანიშნავია -26-40 საყენამდე. დიდ ნავმისადგომთან, ნაპირიდან 20 საყენზე, შეუძლია მიაღვეს ყველაზე დიდ სამხედრო ხომალდებს – წერდა ფრენკელი (160;89). ბათუმის პორტი დაცული იყო ქარებისაგან. მაგრამ ასეთი შესაძლებლობა შესაფერისი ნავსადგურის უქონლობის გამო არ იყო გამოყენებული. აჭარაში ვაჭრობის განვითარებას ძლიერ აფერხებდა გამართული კომუნიკაციების არ არსებობა. ყოველივე ამის შედეგად მცირე იყო პორტის ტვირთბრუნვა. 1878 წლის 29 ოქტომბრიდან 1879 წლის 1 იანვრამდე ბათუმში სულ შემოუტანიათ 226.782 მანეთისა და 40 კაპიკის საქონელი (მათ შორის უცხოეთიდან -7.200 მანეთისა და 50 კაპიკის, ხოლო რუსეთიდან 219.581 მანეთისა და 90 კაპიკის) (60;1879). შესაბამის პერიოდში ბათუმიდან გაუტანიათ 32.300 მანეთის საქონელი (141;37).

ბათუმის, როგორც მომავალი დიდი სავაჭრო ცენტრის როლი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მხოლოდ მისი გეოგრაფიული მდებარეობა ზღვის სანაპიროსთან, შესაძლებლობა დაუკავშირდეს თბილისსა და ბაქოს ერთი მხრივ, ხოლო ყარსს მეორე მხრივ, საშუალებას მისცემს ბათუმს გახდეს ტრაპეზუნდის ძლიერი მეტოქე საქონლის ტრანზიტის საკითხში (160;92-93). მაგრამ არ არსებობდა რკინიგზა, რომლითაც აჭარა ამიერკავკასიის თუ რუსეთის ეკონომიკურ ცენტრებს დაუკავშირდებოდა. ის კი არა, ნორმალური შიდა

გზების უქონლობის გამო ბათუმი თვით ოლქის მდიდარ სასოფლო-სამეურნეო რაიონებს იყო მოწვევტილი. ოსმალთა ბატონობისდროინდელ აჭარაში გზების მოუწესრიგებლობას საგანგებოდ ეხებოდა პ.უმიკაშვილი "ივერიაში" 1877 წელს გამოქვეყნებულ წერილში "ოსმალოს საქართველო": "ეს ლამაზი კუთხე (იგულისხმება აჭარა - ავტ.) საქართველოსი საქმოდ გამდიდრდებოდა, ცოტადენი რიგიანი გზები რომ ჰქონოდა, მაგრამ გზები ისეთი საბაგელი აქვს, რომ მარტო ცხენი თუ იველის, თორემ ურმის ხსენება არ არის. მმართველობა ამაზე არ ფიქრობს, წყლებზე თუ სადმე ხიდია, ისიც ძველის-ძველად აშენებულია, საქართველოს მეფეების დროინდელია. ამის გამო ვაჭრობა და მიმოსვლა ძნელდება" (73;1877) ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენდა მდინარე ჭოროხი, როგორც საგზაო მაგისტრალი. "ჭოროხზე ნაოსნობა უძველესი დროიდან იყო განვითარებული. იგი მუდამ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მხარის სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში" (120;211). ადგილობრივ მოსახლეობას ამ მდინარის საშუალებით შეეძლო ევაჭრა (103;14). "ლივანისა და ბათუმის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს მდ.ჭოროხი... ნაოსნობა ხდება კაიკუებით... რომლებიც 200 ფუთამდე ტვირთს ეზიდებიან"(136;22) აჭარის მკვიდრნი გამოცდილი მეზღვაურები იყვნენ. "შავი ზღვისა და ჭოროხის სანაპიროებზე მცხოვრებნი ითვლებიან საუკეთესო მცურავებად და ზღვაოსნებად (160;101) ჭოროხზე სამი სახის ნაოსნობა წარმოებდა: სატვირთო, სამგზავრო და შიდასამეურნეო (126;1958). ართვინიდან ბათუმისაკენ მომავალი ნაგები ზღვამდე იშვიათად ჩამოდიოდნენ და ძირითადად კაპანდილთან ჩერდებოდნენ. აქედან ბათუმამდე დიდი მანძილი აღარ იყო – დაახლოებით 10 კილომეტრი. ამ გზას კი ართვინიდან მომავალი ნავი მცირე წყლიანობის დროს 6-7 საათში ფარავდა, ხოლო აპრილსა და მაისში, როცა ჭოროხი ადიდდებოდა, ზოგიერთი გამოცდილი მენავე ერთნახევარ საათში გადიოდა (134;140). ამ გზით მოჰქონდათ ბათუმში უცხოეთში გასატანი ხე-ტყე, ხილი და სხვა.

რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა აღმოეფხვრა ეს პრობლემა. გზების მოწესრიგება არა მარტო ეკონომიკური მოთ-

ხოვნებით იყო ნაკარნახევი, არამედ ამას მოითხოვდა სამხედრო-სტრატეგიული საჭიროებაც. "ბათუმის მაზრის შემოერთების-თანავე მთავრობამ დაიწყო გზების გაყვანა ბათუმიდან სამი მხრით: არტანისაკენ, ახალციხისაკენ და ოზურგეთისაკენ. არტანისაკენ ბათუმიდან 103 ვერსი გზა ამჟამად არის გაკეთებული ერთი საუენი სიგანით: ახალციხისაკენ - 110 ვერსი, აგრეთვე 1 საუენი სიგანისა და ბათუმიდან ოზურგეთისაკენ - 46 ვერსი, სიგანე 2 საუენი. სულ ამ გზების გასაკეთებლად, ხიდებისა და თოფის წამლის ხარჯით, დახარჯულია 442.000 მანეთი (61;1880). ცარიზმი არც შემდეგ აკლებდა ყურადღებას გზებს, ცდილობდა მათ სრულყოფას. 1896 წლის ქუთაისის გუბერნიის ანგარიშის მიხედვით, ბათუმი-ახალციხის გზის (საერთო სიგრძე 147,452 ვერსი - ავტ.) 106.153 ვერსი იყო მოკირწყლული: ბათუმი-ქობულეთი-ოზურგეთის გზა (საერთო სიგრძე 62,914 ვერსი) მოკირწყლავი იყო. ბათუმი-არდაგანის გზა (საერთო სიგრძე 158,136 ვერსი - ავტ.) მოკირწყლული იყო მხოლოდ 24,842 ვერსი. 1895 წელს ბათუმი-ახალციხის გზის სამუშაოებზე დაიხარჯა 143.871 მანეთი; ბათუმი-არდაგანის გზის სამუშაოებზე - 234.877 მანეთი. ამავე წელს კახაბრის ველის ჭოროხის შემოტევისაგან დასაცავად ქვის ჯებირების ასაგებად გამოყოფილი იყო 57.686 მანეთი (47;24-25). მაგრამ გატარებული ღონისძიებები საქმეს ვერ შეველოდა. 1911 წელს ბათუმის ოლქის გზატკეცილებისა და შენობა-ნაგებობების შემოწმება დაევალა მეფისნაცვლის ტექნიკური სამმართველოს თამაჯდომარის, ინჟინერ ბუინოვის ხელმძღვანელობით შექმნილ კომისიას. ოფიციალური პირის ანგარიშიდან ჩანს, რომ აჭარაში გზები კვლავ სავალალო მდგომარეობაში იყო (28;3-8).

ბათუმის რუსეთთან შეერთების შემდეგ მისი, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის განვითარებისათვის აუცილებელი იყო რკინიგზის გაყვანა და სრულფასოვანი ნავსადგურის მშენებლობა. ამ საკითხების შედარებით სწრაფად გადაჭრას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ: ამ დროისათვის რუსეთს მსოფლიო ბაზარზე დიდი რაოდენობით გაჰქონდა ბაქოს ნავთობი, რომლის გატანა ფოთის და ბალტიისპირეთის ნავსადგურებიდან ხდებოდა.



ბალტიისპირეთიდან ნავთობის გატანას ბევრი დრო სჭირდებოდა და ძვირიც ჯდებოდა. ნავთობის ექსპორტიორები გამოსავალს ეძებდნენ. ბათუმის განთავისუფლებისთანავე ყურადღება მასზე შექმერდა, როგორც შავი ზღვის ერთ-ერთ საუკეთესო ნავსადგურზე.

1883 წლის 21 მარტს ექსპლოატაციაში შევიდა ბათუმი-სამტრედიის სარკინიგზო ხაზი. ამით ბათუმი ბაქოს დაუკავშირდა, რამაც მის შემდგომ განვითარებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა. ამიერკავკასიის მთავარი მაგისტრალი ბაქო-თბილისი-ბათუმი გადაიქცა მთავარ არტერიად... მან უდიდესი როლი შეასრულა ამიერკავკასიის ეკონომიკური ცხოვრების როგორც რუსეთის, ისე მსოფლიოს კაპიტალისტურ ეკონომიკასთან დაკავშირების საქმეში (118;7).

ბაქოსთან რკინიგზით დაკავშირების შემდეგ ბათუმი უნდა გამხდარიყო ნავთობის ექსპორტის ძირითადი ცენტრი, რამაც დღის წესრიგში დააყენა გამტარუნარიანი ნავსადგურის მშენებლობის საკითხი. ბათუმს ხომ საუკეთესო ყურე გააჩნდა, სადაც ცუდი ამინდის დროს 50-მდე გემს შეეძლო შესვლა. ამ თვალსაზრისით ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობა მართლაც დიდი იყო. 1879 წელს შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალია ნავსადგურის მშენებლობის პროექტის მომზადება. 1882 წელს კომისიამ პროექტი კავკასიის მთავარმართველს დონდუკოვ-კორსაკოვს წარუდგინა დასამტკიცებლად. ა.გრევეს პროექტი სიძვირის გამო (8 მილ.მან) მთავრობამ არ მიიღო, მაგრამ მის საფუძველზე შემუშავდა პროექტი, რომელიც უფრო იაფი (5 მილ.მანეთი ჯდებოდა) (113;93). 1884 წელს დაიწყო სამშენებლო სამუშაოები, რომელიც ძირითადად 1885 წელს დასრულდა.

რკინიგზის გაყვანამ და სრულყოფილი ნავსადგურის აგებამ სერიოზული ბიძგი მისცა ბათუმის განვითარებას. "გუშინ წინ თავისთვის მივარდნილი, მიყრუებული ბათუმი, "აზიური ქალაქი", დღეს ევროპის ქალაქად იქცა, გაევროპელდა!... მოქალაქეობრივი ცხოვრება ბათუმში ნელ-ნელა ხორცს იხსამს... ბათუმს აქვს წლიური შემოსავალი 80.000 მანეთზე მეტი. ამ შემოსავლის რაოდენობა ყოველ წელს ჰმატულობს" (74;1886).

ამიერიდან აშკარა გახდა ის უპირატესობა, რაც ბათუმს, როგორც საპორტო ქალაქს ფოთთან შედარებით გააჩნდა. "ომამდე (იგულისხმება 1877-1878წლების ომი – ავტ.) სავაჭრო ადგილი მომეტებულად მოხერხებული ჩვენის მხარისათვის მხოლოდ ფოთი იყო. ბევრი ლაპარაკი იმის გაკეთებაზე, იმის ნავსადგურზე, ფულიც ბევრი დაიხარჯა და დღესაც იხარჯება ამ ნავსადგურის გაკეთებისათვის... ყველაზე მომეტებული მიზეზი ფოთის უკუგდებისა ახლა ის არის, რომ ბათუმს საუკეთესო ნავსადგური აქვს თვით ბუნებისაგან გაკეთებული, რომელსაც გროშის დახაჯვა არც კი მოუნდება... ამგვარად დღეს ფოთი ვეღარ შეეჯიბრება და თითქმის გადაწყვეტით უნდა ვსთქვათ, რომ არც დღეის შემდეგ დაიჭერს ის ადგილს, რაც აქამდის ეჭირა. ბათომი უპირველეს ადგილად უნდა გადაიქცეს შავ ზღვაზე, ვაჭრებმა დიდი ხანია კარგად გაიგეს და დაესივნენ ბათუმს." ბათუმიდან ინგლისის კონსული თავის მთავრობას ატყობინებდა, რომ ბათუმი ისეთი წარმატებით ვითარდება, რომ მალე ის "დიდ ზარალს მისცემს და დაამცირებს ფოთისა და ტრაპიზონის ვაჭრობასაო"(65;1882). მართლაც, 80-იანი წლებიდან ბათუმის ამიერკავკასიის რეინიგზასთან დაკავშირების შემდეგ ფოთი დაეცა, ბათუმის სახით მას სერიოზული კონკურენტი გაუჩნდა. მართალია ფოთის მესვეურები ცდილობდნენ მდგომარეობის გამოსწორებას, "მაგრამ ამას არსებითი სარგებლობა არ მოუტანია ფოთისათვის. სამაგიეროდ ბათუმი იწყებს ზრდა-განვითარებას. რასაც ფოთი ჰკარგავდა, მას ბათუმი იძენდა.. იზრდებოდა მისი როლი ადგილობრივ და საგარეო ვაჭრობაში (106;108).

რუსეთთან შეერთებამდე ბათუმი უმნიშვნელო ეკონომიკური ცენტრი იყო. ნ.პეტროვსკი, რომელმაც 1878 წელს ინახულა ბათუმი, წერდა: ბათუმში კარგია მხოლოდ ყურე. სხვა მხრივ იგი მოგვაგონებს განაპირა სავაჭრო სოფელს (158;1879) უმნიშვნელო იყო მისი პორტის ტვირთბრუნვა, 1,25 მლნ.მანეთი წელიწადში. მაგ. 1878 წლის ბოლო 3 თვის მანძილზე საკუთრივ ბათუმისთვის შემოტანილ იქნა მხოლოდ 7.444 ფუთი საქონელი (133;257). მთავარი საქონელი რომელიც ბათუმიდან გაჰქონდათ ევროპაში იყო:კაკლის ხე, ხე-ტყე, ბრინჯი, ზეთისხილი, ლიმონი,

აბრეშუმი, თევზის ქონი, სიმინდი. შემოჰქონდათ: ალექოსა და დამასკოს აბრეშუმის ქსოვილი, ფოლადის ნაწარმი ინგლისიდან, რკინის ნაწარმი რუსეთიდან, პური, შაქარი, ყავა, პიმპილი, მარილი, ღვინო და სხვადასხვა სახის სასმელები (160;44-45).

ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო განვითარებისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა ბაქოს ნავთობის ექსპორტს. ბათუმმა მსოფლიო სახელი უმთავრესად ნავთობის პროდუქტების ვაჭრობით მოიხვეჭა (5;34). ნავთობის მსოფლიო ბაზარზე უდიდესი მასშტაბის ექსპორტირებას ბაქო უმთავრესად ბათუმის მეშვეობით აწარმოებდა (114;119). ბათუმიდან ბაქოს ნავთობის გატანა არნახული ტემპით იზრდებოდა. 1883-1902 წლებში ბათუმიდან ნავთისა და ნავთობპროდუქტების გატანა ასეთ სურათს გვაძლევს:

წლები	ნავთი	საცხები ზეთი	სხვა ნავთობპრ.	ს უ ლ
1883	1.372,5	1.721	2554	3.348,9
1884	3.803,9	1.457,8	9391	6.200,8
1885	7.099,5	2.138,6	1.170,8	10.408,9
1886	8.879	2.228,5	3.289,6	14.397,1
1887	11.191,9	2.739	4.135	18.065,9
1888	22.543,5	1.727,5	4.280,1	28.551,1
1889	33.040,9	1.951,7	5.121,3	40.113,9
1890	36.211,8	3.497,2	2.715,5	42.424,5
1891	42.223	4.062,6	2.586,6	48.872,2
1892	45.439,5	5.178,9	1.709,6	52.328
1893	48.137,4	5.515,3	1.491,5	55.144,2
1894	41.557,1	4.893	2.006,3	48.456,4
1895	47.885,1	5.042,9	1.895,6	54.823,6
1896	37.730,8	3.222,6	1.130,3	42.083,7
1897	48.843,4	6.382,8	2.897,3	57.826,5
1898	51.841,5	7.280,2	2.909,1	62.030,8
1899	56.063,3	8.001,4	2.239,9	66.304,6
1900	50.786,7	8.203,3	1.668,9	60.658,9
1901	65.016	8.268,2	1.087,7	74.371,9

1902	67.560,9	9.270,3	1.507,6	78.338,8
------	----------	---------	---------	----------

ბათუმიდან უცხოეთში გატანილი ნავთობის მოცულობა (ათასობით ფუთი) ქვეყნების მიხედვით ასეთ სურათს გვაძლევს (133;315):

წლები	ქვეყნები					
	აესტრია	ინგლისი და კ. მალტა	პოლანდია და ბელგია	კერმანია	იტალია	თურქეთი და საბერძნეთი
1889	5.642	6.749	2.538	763	2.521	5.550
1890	6.489	7.952	2.657	422	1.740	4.825
1891	6.514	8.412	3.041	-	2.285	6.293
1892	6.216	8.412	2.284	295	2.270	5.743
1893	6.686	7.811	2.044	679	1.411	5.848
1894	6.413	7.346	2.363	120	593	6.629
1895	3.781	7.277	2.907	1.129	1.300	4.102
1896	2.026	8.627	1.041	1.188	1.298	6.527
1897	2.859	7.636	527	1.240	1.564	5.906
1898	2.415	10.083	2.267	1.628	1.475	5.179
1899	2.573	12.875	1.955	2.405	1.163	3.073
1900	342	12.939	1.868	3.100	367	5.397
1901	1.163	13.409	3.206	3.044	1.249	5.004
1902	795	21.045	5.054	4.167	1.291	4.490

ექსპორტის ასეთ ზრდას თან ახლდა ქალაქის სოციალ-ეკონომიკური განვითარების სწრაფი აღმავლობა. ბათუმის საეკონომიკური საქმიანობა, რომელსაც იგი უნდა უმაღლოდეს თავის კეთილდღეობას, კონცენტრირებულია ნავთობპროდუქტებით ვაჭრობაზე და მასთან დაკავშირებული კომერციული და

სამრეწველო დაწესებულებების საქმიანობაზე“ (133;259). ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების კვალობაზე. იცვლებოდა ბათუმის იერსახე, ხდებოდა მისი კეთილმოწყობა. აი რას წერდა “დროება” ჯერ კიდევ 1882 წელს: “გარეგანის შეხედულებით დიდი განსხვავებაა მაშინდელს და ახლანდელს ბათუმს შუა. სად ახლანდელი ორ-სამ და ოთხ-ეჭაუიანი უზარმაზარი ქვითკირის სახლები და სასტუმროები და სად მაშინდელი მინგრეულ-მონგრეული ხის ქოხები და უწმინდური ყავახანები. სად ახლანდელი ნამდვილად ევროპული მდიდარი მაღაზიები, რომელშიც მგონი ჩიტის რქესაც კი იშოვნის კაცი, და სად მაშინდელი დუქნები, რომლებშიც მუხლ-მოკეცილი ბათუმელი ორი ოდ თოფ ტრაპზონის ჩითეულით ვაჭრობდა... საცა არ გაიხედავთ, ყველგან ახალი შენობები გაუშენებიათ ან აშენებენ. მთელი ახალი უბნები გაკეთებულან, ქალაქის ბაღს კმართავენ, ქალაქი გააღლანულია“, ტბებს აშრობენ, წყალი გამოჰყავთ, ნავთ-სადგურის გაფართოებას აპირებენ, რკინის გზა გაჰყავთ და სხვ. და სხვ.” (66;1882).

ბათუმში ვაჭრობის სწრაფ განვითარებას ცხადყოფს პორტში შემოსული გემების რაოდენობის ზრდა. თუ 1879 წელს ბათუმის პორტში შემოვიდა 466 გემი, 1887 წელს ეს რიცხვი 1263-მდე გაიზარდა (44;11), 1893 წელს 1539 შეადგინა (45;14), ხოლო 1901 წელს 1753-ს მიაღწია, რომელთაგან უცხოეთში გაიგზავნა 829 გემი (53;2). ბათუმის პორტს ინტენსიური ტემპით უხდებოდა გემების მიღება-გაგზავნა. “1887 წლის მანძილზე ბათუმის პორტში საშუალოდ ყოველდღიურად ხდებოდა ერთდროული ოპერაციით 7,3 ორთქლის და 28,2 იალქნიანი ხომალდის დამუშავება, პატარ-პატარა ნაგების ჩაუთვლელად”(7;11). იმავე წელს ნავთობროდუქტების გარდა ყველა სახის ტვირთბრუნვამ შეადგინა 7 მლნ. ფუთი, ხოლო ნავთობროდუქტების გატანამ შეადგინა 18,5 მლნ. ფუთი (7;12) მაგრამ ეს მოცულობა არ იყო მაქსიმუმი. სურამის ქედზე ნავთობსადენის მშენებლობით ბათუმიდან ნათეობის ექსპორტი კიდევ უფრო გაიზარდა – ვარაუდობდნენ მის გაზრდას 50 მლნ. ფუთამდე. ცხადია, ასეთ მასშტაბებს პორტი ვეღარ აუდიოდა, ხშირი იყო გემების რეიდზე რიგში დგომა. “მარტო 1892 წლის

დეკემბერში 12 საოკეანო თბომავალი იღვა რეიდზე შიგნით ზღვაში და ელოდებოდა რიგს ყურეში შემოსასვლელად და ტვირთს მისაღებად (3;2).

XIX საუკუნის 80-იანი წლების დამლევს ბათუმმა არა მარტო ფოთს გაუსწრო საერთო ტვირთბრუნვის მანვენებლით, არამედ მთელს ქუთაისის გუბერნიაში მოიპოვა აბსოლუტური უპირატესობა. ამას ცხადყოფს შემდეგი სტატისტიკა. 1893 წელს ბათუმისა და ფოთის პორტების ტვირთბრუნვა ასეთ სურათს გვაძლევს:

პორტის დასახელება	გემის სახეობა	შემოვიდა		გავიდა	
		უცხოეთიდან	კაბოტაჟით	უცხოეთში	კაბოტაჟით
ბათუმის	ორთქლის	1.071	1.087	1.071	1.087
	იალქნიანი	468	125	468	125
ფოთის	ორთქლის	95	419	94	419
	იალქნიანი	12	64	11	64

ამავე 1893 წელს ბათუმის მთავარი სასაწყობო საბაჟოს გავლით შემოიტანეს: 6.068.120 ფუთი – 9.701.774 მანეთის ღირებულების

გაიტანეს: 57.725.902 ფუთი – 23.556.69 მანეთის ღირებულების

ამავე 1893 წელს ფოთის საკარანტინო-საბაჟო კონტროლის გავლით

შემოიტანეს: 1.787 ფუთი – 2.239.5 მანეთის ღირებულების

გაიტანეს: 11.495.542 ფუთი – 5.277.072 მანეთის ღირებულების

სულ ქუთაისის გუბერნიაში

შემოიტანეს: 6.077.825 ფუთი – 9.730.815.5 მანეთის ღირებულების

გაიტანეს: 71.562.357 ფუთი – 30.113.585,5 მანეთის ღირებულების (45;14-15).

მოტანილი სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ბათუმის პორტის ტვირთბრუნვა აღემატებოდა ქუთაისის გუბერნიის დანარჩენი პორტების : ფოთის, სოხუმის, ოჩამჩირის, გუდაუთის, ნიკოლაევის ტვირთბრუნვას ერთად აღებულს.

ბათუმიდან გატანილი საქონლის ძირითადი ნაწილი ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო. უკვე 1888 წლისთვის რუსეთმა ბათუმიდან გაიტანა 28.551.100 ფუტი ნავთობპროდუქტი, რაც შეადგენდა მსოფლიო მოხმარების 22,2% (133;344).

ბათუმიდან ნავთობპროდუქტების ექსპორტს არაერთი ფირმა ეწეოდა, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად იცვლებოდა (ძირითადად 17-18 ფირმა ფიქსირდება - აგტ.). მათ შორის გამოირჩეოდა სამი ფირმა:

1. კასპია-შავი ზღვის ნავთობმრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოება (როტშილდი)
2. ძმები ნობელების ამხანაგობა
3. მანთაშევი და კომპანია

უკვე 1893 წლისთვის მათ ანგარიშზე მოდიოდა ბათუმიდან ექსპორტირებული ნავთობპროდუქტების 69,4.(ქუთაისი გუბერნიის 1983 წლის ანგარიშის მიხედვით) ძირითადი ფირმების წილი ნავთობის ექსპორტში ასეთ სურათს გვაძლევს:

1. კასპია-შავი ზღვის საზოგადოება (როტშილდი) – 35,7%
2. ძმები ნობელების ამხანაგობა – 25,5%
3. მანთაშევი და კომპანია – 8,2%
4. რისნერი და კომპანია – 7,2%
5. შაბაევი და კომპანია – 5,2%

სულ 9 ფირმის ხელში იყო ნავთობის ექსპორტის 95,5% (45;16).

როტშილდის, ძმები ნობელების და მანთაშევის კომპანიების მონოპოლიურ გავლენას ბათუმიდან ნავთობის ექსპორტში 1893-1903 წწ. ცხადყოფს შემდეგი სტატისტიკა:

წლები	უმთავრესი ფირმა	ყველა დანარჩენი ფირმები	სულ გაიტანეს
1893	43.432,1	19.142	62.574,1
1894	47.683,3	90.61,8	56.745,1
1895	40.581,1	20.28,95	60.870,6
1896	35.656,2	12.485,4	48.141,6

1897	50.573,6	15.057,7	65.631,3
1898	56.883,8	11.553,9	68.437,7
1899	54.339,6	16.845,4	71.185
1900	48.684,1	16.679,5	65.363,6
1901	54.397,3	24.109,3	77.506,6
1902	57.511,3	26.674,5	84.185,8

ფირმების მიერ ბათუმიდან ნავთობის გატანა (ათასობით ფუთი) (133;291)

კასპია-შავი ზღვის ნავთობპროდუქტებისა და გატრობის საზოგადოება იყო ერთ-ერთი მსხვილი, მრავალმხრივი სავაჭრო ორგანიზაცია, რომელსაც ფრანგი როტშილდები განაგებდნენ. საზოგადოების სათავე ოფისი იყო პარიზში, ხოლო გასაღების ბაზრების შესაბამისად ჰქონდათ წარმომადგენლობები. როტშილდები ეწეოდნენ მსოფლიო ბაზარზე რუსული ნავთობით ვაჭრობას.

ძმები ნობელების ამხანაგობას საწყოები და სააგენტოები ჰქონდა ევროპის ბევრ ქალაქში: ჰამბურგში, ბერლინში, ვენაში, გენუაში, ანტვერპენში, ლონდონში, ლივერპულში და სხვ. არაერთი განყოფილება ჰქონდა კომპანიას რუსეთში.

მანთაშევი და კომპანია ნავთობპროდუქტებით ვაჭრობას უპირატესად ეწეოდა თურქეთსა და აზიის ქვეყნებში, სადაც ჰქონდა წარმომადგენლობები და საწყოები: კონსტანტინეპოლში, სმირნაში, ალექსანდრიაში, პორტ-საიდში, ბომბეში, კალკუტაში და სხვა. ამ ფირმას ჰყავდა რამდენიმე საკუთარი თბომავალი და ერთი ტანკერი – 230.000 ფუთი ტევადობის.

სამწუხაროდ, ნავთობის ექსპორტიორი ბათუმის ფირმები სარგებლობდნენ დაქირავებული, ძირითადად უცხოური გემებით, რაც ამცირებდა მათ შემოსავლებს (133;295-296).

ნავთობპროდუქტების გარდა ბათუმიდან გაჰქონდათ მარ-განეცი, ხე-ტყე, სოფლის მეურნეობის პროდუქტები, თაფლი, თევზი და სხვ. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გადიოდა სიმინდი და კაკლის ხე. მოსავლიანობის შესაბამისად სიმინდის ექსპორტი მერყეობდა 100.000 – 500.000 ფუთამდე. კაკლის ხე



გადიოდა საშუალოდ წელიწადში 100-125.000 ფუთი. ძირითადად გაჰქონდათ საფრანგეთსა და გერმანიაში, შედარებით ნაკლები ინგლისში, რუმინეთში, ბელგიაში, ავსტრიაში, თურქეთში (133;400-401).

აჭარაში კარგი პირობები იყო მეხილეობის განვითარებისათვის. ხარობდა ვაშლისა და მსხლის ათობით ჯიში, კაკალი, ქლიავი. ხილი აკმაყოფილებდა ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს და გაჰქონდათ რუსეთშიც (133;441).

ხილის დასახელება	გაყიდვა ბათუმში (ფუთებში)	გატანა რუსეთში (ფუთებში)	ფასი ერთი ფუთის
ვაშლი	1000-1200	20.000-50.000	40 კაპ – 1 მან.20 კაპ
მსხალი	2000-4000	5.6000-10.000	24 კაპ – 60 კაპ
კაკალი	200 ფუთამდე	15-3000-5000	1 მან.20 კაპ- 1 მან.60 კაპ

სუბტროპიკული კულტურების, განსაკუთრებით მეჩაიეობის განვითარების კვალობაზე იზრდებოდა მათი ექსპორტი. ბათუმიდან გაჰქონდათ თევზი – 1900 წელს გაიტანეს 154.870 ფუთი; თაფლი, საშუალოდ 2.900-3.400 ფუთი და სანთელი 700-1400 ფუთი წელიწადში.

ბათუმის პორტში სხვადასხვა სახის ტვირთბრუნვა (გარდა ნავთობპროდუქტებისა) 1883-1902 წწ ასეთი იყო:

- 1883 წელი – 2.527.867 ფუთი
- 1886 - 9.085.457
- 1889 - 12.009.344
- 1892 - 13.936.525
- 1895 - 17.276.013
- 1898 - 18.273.394
- 1902 - 24.206.709

ბათუმის პორტის საერთო ტვირთბრუნვა (ფუთებში) 20 წლის მანძილზე (1883-1902 წწ) ასეთ სურათს იძლეოდა (133;372-373):

წლები	სულ გაიტანეს უცხოეთსა და რუსეთში	მათ შორის ნავთობპროდუქტები	სხვა სახის საქონელი	სულ შემოიტანეს	პორტის სრული ტვირთბრუნვა
1883	4.607.585	3.026.141	1.581.444	921.423	5.554.008
1884	9.141.188	4.890.685	4.250.530	1.820.125	11.032.160
1885	13.173.721	9.342.015	3.801.706	2.253.007	15.506.728
1886	19.667.885	13.460.174	6.207.711	2.732.746	22.565.631
1887	23.033.914	18.593.685	4.440.299	3.537.612	26.748.116
1888	35.789.370	30.661.500	5.127.870	5.084.000	41.161.179
1889	46.436.468	41.885.335	4.551.133	7.056.501	53.894.679
1890	50.638.000	47.049.085	3.588.915	8.058.000	59.041.373
1891	57.913.000	54.261.320	3.651.680	10.292.638	68.738.070
1892	61.986.000	57.479.838	4.506.162	8.995.415	71.416.363
1893	67.699.689	62.797.994	4.901.695	12.237.570	80.300.069
1894	61.395.000	57.467.402	3.927.598	14.790.587	76.582.374
1895	65.963.810	62.128.915	3.834.895	13.228.197	79.445.964
1896	51.551.651	48.663.000	2.888.651	14.100.823	65.902.357
1897	68.170.000	65.030.837	3.139.163	15.062.002	83.681.064
1898	71.622.000	68.174.795	3.447.205	14.782.937	86.713.623
1899	77.538.965	73.098.886	4.440.076	15.214.522	93.238.537
1900	74.199.147	67.293.308	6.902.839	16.017.733	90.993.393
1901	84.459.337	78.004.21	5.955.916	16.315.332	101.458.351
1902	92.094.340	82.673.763	9.420.577	14.524.340	107.397.146

XX საუკუნის დასაწყისში ბათუმმა სავაჭრო მნიშვნელობით ამიერკავკასიაში მესამე ადგილი დაიჭირა თბილისისა და ბაქოს შემდეგ. 1902 წლისთვის ბათუმში 1026 სავაჭრო დაწესებულება და 366 საწარმო იყო. სოლიდური თანხები შედიოდა ქ.ბათუმის ბიუჯეტში ვაჭრობა-მრეწველობიდან. 1898-1902 წწ. (ე.ი. ოთხი წლის მანძილზე- ავტ) ქალაქის შემოსავალმა შეადგინა 1.985.979 მანეთი და 45 კაპიკი.

რომლისგანაც ვაჭრობა-მრეწველობაზე მოდიოდა 826.726 მანეთი და 40 კაპიკი, ანუ 41% (132;416-421).

ქალაქ ბათუმის გარდა სავაჭრო პუნქტებად ბათუმის მხარეში ითვლებოდა შემდეგი დასახლებები: ჩურუქ-სუ, ბორჩხა, მარადიდი, ქედა და ხულო (53;37). მათგან უფრო დაწინაურებული იყო ჩურუქ-სუ, რომლის წლიური სავაჭრო ბრუნვა შეადგენდა 50.000 მანეთს (49;16).

რომ არა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა, ბათუმის და საერთოდ აჭარის სავაჭრო განვითარება უფრო სწრაფად წარიმართებოდა.

**თაზი IV**  
**სოციალური ურთიერთობანი აჭარაში**  
**1878-1903 წლებში**

**§ I სოციალური ვითარება აჭარაში რუსეთთან**  
**შეერთების წინ**

აჭარა ეკონომიკური პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით უხსოვარი დროიდან საქართველოს დაწინაურებული რეგიონი იყო. როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, აჭარაშიც გაბატონებული მდგომარეობა ფეოდალურ ურთიერთობებს ეჭირა. საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა გაბატონება საგანგაშო მნიშვნელობის მოვლენა იყო. აღნიშნული საფრთხე აჭარასაც დაატყდა თავს. მტერი ყოველმხრივ ებრძოდა მაღალგანვითარებულ ქართულ ეკონომიკურ სისტემას და სამხედრო-ფეოდალური წესების დანერგვას ცდილობდა. რაც საქართველოს ეკონომიკას კარჩაკეტილობითა და დაცემით ემუქრებოდა. ნ.ბერძენიშვილი აღნიშნავდა: "ოსმალეთი იმთავითვე საქართველოს მიმართ დაპყრობის (ინკორპორაციის) პოლიტიკას ახორციელებდა: "ოსმალობის" (ე.ი.სოციალურ-პოლიტიკური წყობილების) დანერგვით "საქართველოს" მოსპობას ცდილობდა" (42;116).

ოსმალთა გაბატონება აჭარაში XVI საუკუნიდან დაწყებული (57;151). ევლია ჩელების ცნობით, სულთან სულეიმან კანუნის (1520-1566 წ.წ.) მმართველობაში აღწერეს ტრაპიზონი, მას ბათუმის სანჯაყიც შეუერთეს და ცალკე ვილაიეთი შექმნეს. ტრაპიზონის ვილაიეთი ხუთი სანჯაყისაგან შედგებოდა: ჯანპას, ქვემო ბათუმის, ზემო ბათუმის, გონიოს და ტრაპიზონის. ბათუმის ლივაში 13 ზიამეთი და 72 თიმარი იყო (59;81-82). თანდათან უფრო აქტიური ხდებოდა ოსმალთა მოძალეობა. მათ მიზანს დაპყრობილ ტერიტორიებზე ქართული ფეოდალური წეს-წყობილების სრული განადგურება შეადგენდა. ამ გეგმის განსახორციელებლად საჭირო იყო ქართული ფეოდალური

არისტოკრატის სრული მოსპობა, ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში არსებული ქონებრივი და უფლებრივი განსხვავების ლიკვიდაცია, ქართველი ფეოდალის ოსმალო მოხელედ-ფაშად, ბეგად გადაქცევა (58;182). სულთან სულეიმან 11 „კანუნ-ნამე“ განასხვავებდა მიწისფლობელობის სამ ძირითად ფორმას: ერაზი აშრიე, ერაზი ხარაჯიე და ერაზი მემლექეთი.

ერაზი აშრიე იყო ისეთი მიწები, რომლებიც დაპყრობილ ოლქებში ეძლეოდათ მუსლიმებს სრულ საკუთრებად (იგივე მუღქი მიწები - ავტ.) იმ პირობით, რომ ისინი გადაიხდიდნენ „აშარს“ (მეთედს). სხვა გადასახადებიდან ასეთი მიწები თავისუფალი იყო.

ერაზი-ხარაჯიე დაპყრობილ ოლქებში ეწოდებოდა ისეთ მიწებს, რომლებსაც უტოვებდნენ არამაჰმადიანებს იმ პირობით, რომ ისინი გადაიხდიდნენ როგორც მიწის, ასევე სულადობრივ და მოსავლის გადასახადსაც. ასეთი მიწაც სრულ საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ ერაზი-აშრიე მიწებისაგან განსხვავდებოდა მეტი ვალდებულება-გადასახადებით. ცხადია, ასეთი მიწისმფლობელი დიდხანს ვერ გაუძლებდა – ან დატოვებდა მამულს და გაიქცეოდა, ან კიდევ გამაჰმადიანდებოდა.

ერაზი-მემლექეთი კი იყო ტახტის, ხაზინის ან სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი მიწები (49;52).

ოსმალური წესით მიწათმფლობელი აუცილებლად მხედარი, სამხედრო პირი უნდა ყოფილიყო, ამასთან ერთად მაჰმადიანიც. არამუსლიმანს ოსმალეთში იარაღის ტარების უფლებაც კი არ ჰქონდა. მამული (იგულისხმება დიდი მამული, ფეოდი – ავტ.) როგორც წესი, შთამომავლობით მემკვიდრეებზე ვერ გადავიდოდა სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების თანხმობის გარეშე. სულთან სულეიმან II 1530 წლის ფირმანით ჩამოართვა ფეოდალებს მამულებზე განკარგვის უფლება და ეს უფლება გადასცა საიმპერატორო დივანს, უმაღლეს ვეზირს. ამიერიდან სულთნის ფირმანს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა დაედასტურებინა მემკვიდრე მიწისმფლობელისათვის საკუთრების უფლება. ამრიგად, ფეოდის ანუ მამულის ცნება შეხლულული იყო, რადგან იგი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში

ცენტრიდან ფირმანით დადასტურებული უნდა ყოფილიყო. "მამიდან შვილზე ცენტრალური ხელისუფლების გარეშე საფეოდალოს გადასვლა, როგორც წესი, აღიკვეთა" (49;53). სწორედ ამაში იყო ოსმალურ ფეოდალიზმის ერთ-ერთი თავისებურება.

ოსმალური მიწათმფლობელობის სისტემაში არსებობდა იურთლუქებისა და ოჯაქლიქების კატეგორია. ოსმალეთის ხელისუფლება დაპყრობილ განაპირა მხარეებში ადგილობრივ ფეოდალებს მიწებს უნარჩუნებდნენ იურთლუქებისა და ოჯაქლიქების წესით, რაც ნიშნავდა იმას, რომ ადგილობრივი ფეოდალების დაქვემდებარებაში რჩებოდა მათ მიწებზე მცხოვრები გლეხები. ფეოდალები სარგებლობდნენ საგადასახადო და ადმინისტრაციული იმუნიტეტით და უშუალოდ პასუხისმგებლები იყვნენ სულთნის ხელისუფლების წინაშე. სულთნის მიერ განახლებული ფირმანი ადგილობრივ ფეოდალს უხანგრძლივებდა უფლებებს თავის მამულზე. თავის მხრივ ფეოდალი ვალდებული იყო შეესრულებინა ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ვალდებულებანი. "იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით მიწისმფლობელი ფეოდალი მისდამი ბოძებული მიწებისა და მასზე მოსახლე გლეხების სრული ბატონ-პატრონი იყო" (58;192). იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით მიწის ფლობა ოსმალეთის ხელისუფლების მხრიდან ქართველ ფეოდალთა პრივილეგიური მდგომარეობის აღიარება იყო. როგორც ჩანს, ოსმალებმა ვერ მოახერხეს ქართული მიწათმფლობელობის სისტემის სრული გაუქმება და გარკვეულ დათმობებზე წავიდნენ. სწორედ იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით მიწის ფლობა იყო გარკვეული კომპრომისი, რაც გულისხმობდა, რომ ქართული მიწების მფლობელნი კვლავ ქართველი ფეოდალები იყვნენ. ისინი კისრულობდნენ ვალდებულებას ცენტრალური ხელისუფლების წინაშე, მაგრამ საკუთარ მამულში თავიანთი ნება-სურვილით ატარებდნენ პოლიტიკას. ასეთი ქართველი ფეოდალები ვალდებულნი იყვნენ ყოველი ახალი სულთნის ტახტზე ასვლასთან ერთად განეახლებინათ ფირმანები, რომლის ძალითაც ენიჭებოდათ მათ აღნიშნული უფლებები გარკვეული ტერიტორიების მიმართ.

ამრიგად, ოსმალთა ბატონობის დიდი ხნის მანძილზე აჭარის მკვიდრმა ფეოდალებმა ძირითადი პრივილეგიები შეინარჩუნეს. ბუნებრივია, ოსმალეთის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა მათ შეზღუდვას, მაგრამ თანზიმთამდე ამას ვერ მიაღწიეს. თანზიმთმა კი ყველა ეს შეღავათი გააუქმა და ყველა მიწა ოსმალეთის მიწისმფლობელობის კატეგორიებს სრულად დაუქვემდებარდა. ა.აგალიანი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა მიწათმფლობელობის ფორმები XIX საუკუნის აჭარაში, მათ შორის იურთლუქისა და ოჯაქლიქის არსებობა, აღნიშნავდა: "ზოგიერთ ქართულ სანჯაყში (ლივანა, ნისფი-ლივანა, შავშეთი, აჭარა და ნაწილობრივ ფანაკი) თურქი დამპყრობლები ადგილობრივი თავადაზნაურობის წინაშე იძულებული იყვნენ დათმობებზე წასულიყვნენ. ამ სანჯაყებს ადგილობრივი ფეოდალები (კერძოდ, აჭარაში ხიმშიაშვილები და აბაშიძეები) იურთლუქის, ოჯაქლიქისა და მულქიეთის საფუძველზე ფლობდნენ. ეს უფლება კი ძალიან გავს და თითქმის არაფრით განსხვავდება მულქის კატეგორიისაგან... ეს უფლება იკვეცებოდა, იზღუდებოდა, თანზიმთმა კი იგი საერთოდ გააუქმა" (39;106).

როგორც აღინიშნა, ოსმალური კანონმდებლობით მიწა ეძლეოდათ სამხედრო პირებს, რომლებიც აუცილებლად მამაძიანები უნდა ყოფილიყვნენ. თუმცა, აჭარაში მიწათმფლობელობის ოსმალური წესების დამკვიდრება ერთბაშად არ მომხდარა. "ქართველობას, ყოველ შემთხვევაში მის მოწინავე ნაწილს, კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ამ წესების შემოღება "ოსმალთის", როგორც სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას მოასწავებდა. პრაქტიკულად ეს ერის გადაშენება იქნებოდა" (48;33). ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობა მტერს თვდადებით ებრძოდა და იცავდა სარწმუნოებასა და თავისუფლებას. სწორედ ამ თავგანწირული ბრძოლის შედეგი იყო, რომ ოსმალებმა სასტიკი ძალადობის მიუხედავად საკუთარი გეგმის, აჭარის გამაჰმადიანება და დამორჩილება თვით XIX საუკუნემდე ვერ შესძლეს. აღნიშნულის თაობაზე საინტერესო ცნობა აქვს შემონახული ზ.ჭიჭინაძეს, რომელიც მას შავშეთში მოგზაურობის დროს ჩაუწერია: "ჩვენ ბერიკაცებს

მოვესწარით და ისინი ამბობდნენ, რომ თორთუმის ხეობის გამაჰმადიანების შემდეგ ტაო გამაჰმადიანებულა, შემდეგ ზარუშეთი (ერუშეთი), შავშეთი და იმერხევი. ყველაზე გვიან აჭარა და მაჭახელი გამაჰმადიანებულა“ (62;19).

მართლაც, აჭარაში ოსმალების ბატონობა არასოდეს ყოფილა ისეთი მტკიცე, როგორც ეს იმპერიის შიდა რაიონებში იყო. აჭარა ოსმალებისათვის ფაქტიურად მონაპირე რაიონი იყო. ამიტომაც “ცენტრალური მთავრობა პოლიტიკური და სტრატეგიული მოტივების გამო აქ ფრთხილად იქცეოდა და იძულებული იყო ადგილობრივი ბეგების წინაშე დათმობებზე წასულიყო“ (39;61).

წარუმატებელი ომების შედეგად შემცირებული ნადავლის კომპენსაციას ოსმალები ერთი მხრით გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერებაში, ხოლო მეორე მხრივ დაპყრობილი ტერიტორიების უღმობელ ძარცვაში ხედავდნენ. ამ მიზნით ისინი ფართოდ უხსნიდნენ გზას ტყვეებით ვაჭრობას, რომელიც სარფიან საქმედ გაიხადეს როგორც გარეშე, ისე შინაურმა მტრებმა. აჭარაში ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს ზედაფენის წარმომადგენლებმა, ისინი სარგებლობდნენ გლეხთა მიძიმე სოციალური მდგომარეობით, ადგენდნენ მათგან რაზმებს და თავს ესხმოდნენ შავშეთს, ართვინს, ახალციხის, გურიის სოფლებს“ (49;26-27).

ოსმალების იმპერიის არამაჰმადიან მოსახლეობას სერიოზულ ტვირთად აწვა ჯიზია, რომელიც იყო სულადობრივი გადასახადი. ამ გადასახადისაგან არ თავისუფლდებოდა ქრისტიანული მოსახლეობის არცერთი ფენა.“ ამ გადასახადით იბეგრებოდა არა ცალკეული პირები ამა თუ იმ სახლიდან, არამედ სახლის უფროსები“ (58;195).

“გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით ჯიზიას გადასახადი მიძიმე ტვირთად აწვებოდა არათურქი, ქრისტიანი მოსახლეობის მწარმოებელ ნაწილს. ჯიზიას გადასახადი სხვა-დასხვა ოდენობით იკრიფებოდა. ოსმალების იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობისათვის ჯიზია ერთიანი, უნიფიცირებული ოდენობის გადასახადი არ ყოფილა. იგი სხვადასხვა ვილაიეთი-სათვის სხვადასხვა ოდენობით იყო



რეგლამენტირებული (45;247). ოსმალეთის იმპერიაში ჯიზიას გადასახადის არსებობა რელიგიურ-ნაციონალური დისკრიმინაციის პოლიტიკაზე მეტყველებდა. ყოველ არამუსლიმანს, მამრობითი სქესისას, 15-დან 75 წლამდე მართებდა გადაეხადა ჯიზია (58;196). ჯიზიას არსებობა ხაზს უსვამდა მუსლიმანების უპირატესობას არამუსლიმანებთან შედარებით.

ჯიზიას გარდა არაერთი გადასახადი არსებობდა. ოსმალეთის ხელისუფლების მიერ დანიშნული მოხელეების ძირითადი მოვალეობა გადასახადების აკრება ყოფილა. განსაკუთრებით მძიმე გადასახადები ყოფილა აშარი (მეათედი) და თახშიდი, რომელიც ყველა სახის პროდუქტზე უნდა გადაეხადათ. მოსალოდნელ მოსავალს ყოველწლიურად აღწერდნენ და ამის შემდეგ მეათედს განსაზღვრავდა სპეციალური კომისია. მეათედი დაწესებული ყოფილა ხორბალზე, სიმინდზე, თამბაქოზე, თაფლზე, ცხვრის ნამრავლზე და სხვა. ამ გადასახადს ახდევინებდნენ ნატურითაც და ფულითაც. ფულის სახით შეკრებილ მეათედს თახშიდი ეწოდებოდა, ხოლო ნატურის სახით შეკრებილს – აშარი. მეათედი ნატურის სახით გაიწერებოდა ხორბალზე, ქერზე, სიმინდზე, ხოლო ყველა დანარჩენ საქონელზე მოითხოვდნენ მეათედს ფულის სახით. აშარის აკრეფა გაიცემოდა იჯარით (65;66).

გარდა ამისა გადასახადები იყო დაწესებული ადმინისტრაციის შესანახად, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ყოლისათვის, ვაჭრობისათვის (ბაჟი), საქორწინო გადასახადი, ქრისტიან მოსახლეობას ეკისრებოდა სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ გადასახადიც.

ოსმალთა ბატონობით (გამუდმებული ომიანობა და თარეში, აუტანელი გადასახადები) შექმნილმა ვითარებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო აჭარის მოსახლეობა, განსაკუთრებით მისი მწარმოებლური ფენები. გლეხობასთან ერთად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ვაჭარ-ხელოსნები. შეიძლება ითქვას, რომ ოსმალთა ბატონობის პერიოდის აჭარაში ვაჭრობა და ხელოსნობა ფაქტობრივად ჩაკვდა. ის მცირერიცხოვანი

ვაჭრები, ვისაც აჭარაში საქონელი შემოჰქონდა, მხოლოდ უცხოელები იყვნენ. აჭარაში ვაჭრობას საწვრილმანო ხასიათი ჰქონდა. სომხები ვაჭრობდნენ დამასკოდან მოტანილი საპნით, სანთლით, მაკრატლებით, სარკეებით და სხვადასხვა სახის ფრანგული ფაბრიკაციის იაფი საქონლით. ბერძნები ვაჭრობდნენ ინგლისური ჩითისა და მატყლის ქსოვილებით. უნდა ითქვას, რომ საქონლის მცირე მარაგიც კი, რაც შემოჰქონდათ აჭარაში დიდი ხნობით ეწყო სავაჭრო თაროებზე” (49;43-44).

XIX საუკუნის პირველ ნახევარში კრიზისით მოცული ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებამ რეფორმების გატარება გადაწყვიტა. დაიწყო ე.წ. თანზიმათის პერიოდი. (თანზიმათი ქართულად გარდაქმნას, რეფორმას ნიშნავს – ავტ.) რეფორმებით საფუძველი ეცლებოდა სამხედრო-ლენურ მიწათ-მფლობელობას ოსმალეთის იმპერიაში. სამხედრო-ლენური სისტემის გაუქმება ერთბაშად მთელს იმპერიაში არ მომხდარა. ამას ისიც განაპირობებდა, რომ ძირითადი საკანონმდებლო აქტები 1834, 1836 და 1840 წლებში იქნა მიღებული. რეფორმას ყველა ერთფეროვნად როდი ხვდებოდა ფეოდალთა ერთი ნაწილი მის წინააღმდეგ გამოდიოდა. სახელმწიფო ურჩებს სჯიდა, ხოლო მორჩილთ კომპენსაციას აძლევდა. “ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ იგზავნებოდა სამხედრო ძალები, დამარცხებული ფეოდალების ქონების კონფისკაციას ახდენდნენ ყოველგვარი პირობებისა და ანაზღაურების გარეშე. სამხედრო-ლენების მფლობელთა მეორე ნაწილს სახელმწიფომ ერთგვარად აუნაზღაურა ზარალი სამუდამო პენსიების დანიშვნებით... პენსიის რაოდენობა უდრიდა საკარგავის წლიური საშუალო შემოსავლის ნახევარს” (39;42).

როგორი იყო რეფორმების შედეგები აჭარაში? თანზიმათის შემდეგ ქართველმა ფეოდალებმა დაკარგეს არა მარტო სამხედრო ლენებზე საკუთრების უფლება, არამედ გლეხებზე მიწათსარგებლობის საბუთების (თაფუს) გაცემის უფლებაც. ამიერიდან ყოველგვარი უძრავი ქონების მფლობელობა მხოლოდ მთავრობის შესაბამისი ნებართვით მოიპოვებოდა. რა თქმა უნდა აჭარის ზედაფენა აღნიშნულ ღონისძიებებს უკმაყოფილებით შეხვდა. “ქართველი თავადაზნაურების შთამომავლები ასეთ

ღონისძიებას პასიურად არ შეხედებოდნენ. მათი პრივილეგიებისა და პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების საფუძველი სწორედ სამხედრო-ლენები იყო... მაგრამ ქართველ ფეოდალებს ჰქონდათ კიდევ დამატებითი შეღავათები, რომელთა არსებობა ორი ძირითადი მიზეზით განისაზღვრებოდა. პირველი და ძირითადი იყო ის, რომ აჭარას და საერთოდ ოსმალეთის საქართველოს უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა... ამგვარი კომპრომისის საფუძველი ქართველი ხალხის მედგარი წინააღმდეგობაც იყო" (39;42). ამიტომაც რეფორმების წინააღმდეგ გამოსული ქართველი ფეოდალების მიმართ ხელისუფლებას დამსჯელი ღონისძიებები არ განუხორციელებია. სულთნის მთავრობამ უფრო მოქნილი, ტაქტიკური სვლა გააკეთა. ქართველ წარჩინებულებს გამოუცხადეს, რომ საჭირო იყო მათ ხელთ არსებული მიწათმფლობელობის დამადასტურებელი საბუთების სტამბულში წარდგენა, რათა მომხდარიყო მათი ახალი წესების შესაბამისად დამტკიცება. "ბეგები მთავრობის მოთხოვნებს მაშინვე დაემორჩილნენ და დაპირებებით მოხიბლულებმა გადასცეს მას (იგულისხმება ოსმალეთის მთავრობა – ავტ.), როგორც ქართველი მეფეების, ისე თურქი სულთნების მიერ მათ წინაპრებისათვის ნაბოძები საბუთები, რომელთა ხელში ჩაგდების შემდეგ მთავრობამ გამოაცხადა თანხიმათის ცნობილი სიტყვები: "იმპერიის ყველა ქვეშევრდომი, განურჩევლად კლასისა და რეგალიისა, ერთნაირ საფუძველზე იხდის გადასახადს" (56;69).

რეფორმები აჭარის წარჩინებულთათვის (ბეგებისათვის) მხოლოდ პრივილეგიების შეზღუდვითა და სხვა ფენებთან იურიდიულად გათანაბრებით როდი შემოიფარგლებოდა. "თანხიმათმა ობიექტურად ხელი შეუწყო მთელს ოსმალთს საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების პოზიციებისა და ოსმალური მმართველობითი სტრუქტურის საფუძვლის გამყარებას" (40;21).

რეფორმების შემდეგ შედგენილ იქნა ახალი კოდექსი – დასტური, რომელიც გამოიცა 5 ტომად. დასტური განარჩევდა მიწათმფლობელობის 5 ფორმას:

1 მულქი – ეს იყო უძრავი ქონება სრული საკუთრების საფუძველზე. იგი მემკვიდრეობით გადადიოდა. პატრონს შეეძლო მისი დაგირავება, გაყიდვა, გაჩუქება, შეწირვა – ე.ი. სრულად ფლობდა ასეთ მიწას და განკარგავდა მას. (დასტურის ხანაში მულქი მიწები სათანადო დოკუმენტების მიხედვით აჭარაში არ აღმოჩენილა).

2 ერაზი - მირიე – ეს იყო სახაზინო, სახელმწიფო მიწები: მინდვრები, საძოვრები, ტყეები და სხვა. ასეთ მიწაზე მფლობელობის უფლება მოიპოვებოდა თაფუს მეშვეობით. თაფუსათვის პიროვნება ხაზინის სასარგებლოდ იხდიდა გადასახადს. მირიე ნაკვეთის მფლობელს, რომელსაც გააჩნდა შესაბამისი თაფუ, ხელისუფლების სათანადო ორგანოების ნებართვით შეეძლო გაეყიდა, გაეჩუქებინა, გაეცვალა თუ დაეგირავებინა აღნიშნული ნაკვეთი. მფლობელის სიკვდილის შემდეგ ნაკვეთი მემკვიდრეობით გადადიოდა შვილზე. (აჭარაში ყველაზე გავრცელებული მიწათმფლობელობის ეს ფორმა იყო). თუ ასეთი მიწა არასაპატიო მიზეზით სამი წლის განმავლობაში გამოუყენებელი იქნებოდა, იგი ჩამოერთმეოდა ძველ მფლობელს და გადაეცემოდა ახალ მსურველს თაფუს საფუძველზე.

3 სავაყუფო მიწები – ჯამეების შესანახად განკუთვნილი მიწები. წარმოშობის მიხედვით ასეთი მიწები ორგვარი იყო:

ა) მულქი მიწა, რომელიც შეწირვის გზით გადაიქცეოდა ვაყუფად,

ბ) მირიე მიწა, რომელიც ხელისუფლების ნებართვით გადაიქცეოდა ვაყუფად.

სავაყუფო მიწების მოურავად ინიშნებოდა სპეციალური პირი, რომელსაც მუთეველი ეწოდებოდა. ჩვეულებრივად მუთეველი შემწირველის ვაჟებიდან შეირჩეოდა. სავაყუფო მიწები საკმაოდ ყოფილა როგორც ზემო აჭარაში, ისე ქვემო აჭარაში და ქობულეთის მხარეშიც.

სავაყუფო ქონებაზე სახელმწიფო გადასახადები არ ვრცელდებოდა და იგი კონფისკაციისა თუ სასამართლოს სხვა სახის ძიებისაგან განთავისუფლებული იყო.

ზემო აჭარაში პირველი მსხვილი ვაყუფი საკმაოდ გვიან, 1839 წელს შეიქმნა. იგი შერიფ-ბეგის მამამ, ჩილდირის

ვილაიეთის ბეგლარ-ბეგმა ახმედ-ფაშამ უბოძა ხულოში მის მიერ აგებულ მეჩეთს და მედრესებს. როგორც ჩანს, ეს იყო პირველი მეჩეთი, რომელიც აჭარაში დაარსეს და მასთანვე ჩამოყალიბდა პირველი მედრესები.

4. მეთრუქე მიწები – ეს იყო საერთო საკუთრებაში მყოფი მიწები (ტყე, ბაზრის ადგილი, საძოვარი და სხვა)

5. მევათი მიწა – გამოუყენებელი, დაუმუშავებელი მიწა. ასეთი ნაკვეთის მიღება შეეძლო ყველას, ოღონდ თუ არ დაამუშავებდა, ისევ ჩამოერთმეოდა (49:67-69, 39:91-116).

აჭარაში გლეხები უპირატესად ერაზი-მირიე მიწებით სარგებლობდნენ და ფორმალურად სამამულო დამოკიდებულებაში აღარ იყვნენ ფეოდალებთან (ბეგებთან - აგტ.) მაგრამ ძველი საგვარეულო ტრადიციების გამო იმდენად ძლიერი იყო არისტოკრატის გავლენა ადგილებზე, რომ ფეოდალური ექსპლუატაცია სხვადასხვა ფორმით კვლავ ძალაში რჩებოდა. არისტოკრატის გავლენას კიდევ უფრო განამტკიცებდა ის ფაქტი, რომ ბეგების უმრავლესობას ადგილზე მსხვილი სახელმწიფო სამოსხლეო თანამდებობები ეჭირათ. ეს უფრო მოქმედებდა მათდამი გლეხობის ეკონომიკურ დაქვემდებარებაზეც. ე.ი. რეფორმების შემდეგაც ბეგები კვლავ ინარჩუნებდნენ გლეხობაზე ბატონობას. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ რეფორმების შემდეგ საგვარეულო არისტოკრატის პენსიებით დაკმაყოფილებამ მოითხოვა გადასახადების გაზრდა, რამაც დაამძიმა გლეხთა მდგომარეობა. ფრენკელი შენიშნავდა: "ეს პენსია იყო ყოველწლიური გადასახადებიდან, რასაც ჰკრეფდნენ ბათუმის სანჯაყში" (65:112). ამრიგად, ფეოდალების ინტერესების დამცველად გამოდიოდა სულთნის ხელისუფლება, რომელიც გადასახადების ერთ ნაწილს ბეგებს აძლევდა კომპენსაციის სახით.

XIX საუკუნისათვის აჭარაში გლეხობა უკვე დიფერენცირებულია. გლეხთა დაწინაურებული, კულაკური ფენა გაცილებით მეტ მიწას ფლობდა. მათ აჭარაში ზენგინებს უწოდებდნენ. ზენგინები სარგებლობდნენ ღარიბი გლეხების შრომით, რომელთაც საკმაო მიწა არ ჰქონდათ. ეკონომიურად შევიწროებული ღარიბი გლეხი აიღებდა ბეგის, აღის, ზენგინის

მიწის ნაკვეთს საზიაროდ, სანახევროდ და ამუშავებდა ამ ნაკვეთს თავისი ინვენტარით, ხოლო მიწის მფლობელს მოსავლით ისტუმრებდა“ (49;72). თუ გლეხი იმდენად ღატაკი იყო, რომ არ გააჩნდა არც მიწა, სათესლე მარცვალი, მიწის დასამუშავებელი ინვენტარი, მაშინ იგი იძულებული იყო მოჯამაგირედ წასულიყო მიწისმფლობელთან – ბეგთან, აღასთან, ზენგინთან. “მოჯამაგირეს აჭარაში უწოდებდნენ მორბედს ან ხიზმეთქარს. ხიზმეთქრობა ძალზე გაგრძელებული მოვლენა ყოფილა. ზენგინებს ჰყოლიათ აგრეთვე ხალაიდები, დარიბი გლეხის ოჯახიდან წამოყვანილი ქალები შინამოსამსახურეებად, რომლებსაც სამსახურისთვის “პატრონობას” და “გათხოვებას” ჰპირდებოდნენ” (49;73).

თანზიმათის შემდგომ პერიოდში ძველი ფეოდალები, ბეგები არა უბრალოდ სულთნის მოხელეს წარმოადგენდნენ, არამედ ადგილობრივ მოსახლეობას კვლავ ყოველსშემძლე ბატონად და ფეოდალად მიაჩნდათ. გიორგი ყაზბეგი, რომელმაც იმოგზაურა აჭარაში, სოფ.სხალთაში, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილთან სტუმრობისას ნანახს ასე აღწერს: “სხალთაში 3 იენისამდე დაეყავით ბათუმში წარგზავნილი კაცის მოლოდინში. ამ ხნის განმავლობაში გარშემო გვეხვია ბეგთან სხვადასხვა საქმეზე მოსულ აჭარელთა დიდი ჯგუფი. ოველი მათგანი უახლოვდებოდა ბეგს, უკოცნიდა ტანსაცმლის ქობას, ხელს შუბლზე იდებდა, შემდეგ უკან იხევდა და საპატიო მანძილიდან თავის საქმეზე მოახსენებდა” (56;46). გ.ყაზბეგის აღწერილ სცენაში მხოლოდ ტრადიცია არ იგულისხმება. ამით ნათლად ჩანს ბეგისადმი, როგორც მბრძანებლისადმი, ბატონისადმი ქვეშევრდომთა მოკრძალებული დამოკიდებულება. ფეოდალისადმი, ბეგისადმი მორიდებული დამოკიდებულება ყველაფერში ხაზგასმული უნდა ყოფილიყო. “შერიფ-ბეგის სასახლესთან მიახლოებისას ცხენოსანი გლეხი შორითგან უნდა ჩამომსტარიყო ცხენიდან და ისე გაყოლოდა გზას ბეგის კარმიდამოს გასწვრივ და მხოლოდ შემდეგ შეეძლო გაეგრძელებინა გზა ცხენით... ბეგს რაც სჭირდებოდა, ყოველივე გლეხს ეკისრებოდა. სარგებლობდნენ ბეგის საძოვრებით და ამისთვის იადს უხდიდნენ. თითოეულ კომლს უნდა მიეტანა თითო

პინა სიმინდი, ქათამი, 25 ფარა ფული, უნდა მოემარაგებინათ თაფლით და შეშით (49;73). გარდა ამისა გლეხს ევალებოდა ბეგის მასპინძლობა, ბეგარის სახით უსასყიდლოდ მუშაობა და სხვა.

თანზიმათის შემდგომი პერიოდის აჭარაში მწარმოებელი კლასის უდიდესი ნაწილი მიწებს ფლობდა ყოველგვარი საბუთების გარეშე, რამაც მათ შემდგომ სერიოზული პრობლემები შეუქმნა.

ასეთ მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი გლეხობა საკუთარი ინტერესების დასაცავად ხშირად იარაღითაც გამოდიოდა. სამწუხაროდ, ოსმალთა ბატონობის პერიოდში სოციალური ხასიათის გამოსვლებთან დაკავშირებით ხალხური გამოსვლების გარდა დოკუმენტური წყაროები თითქმის არ მოგვეპოვება.

## § II ცვლილებები სოციალურ ურთიერთობებში 1878-1903 წლებში

1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად სანსტეფანოს ზავით ბათუმი და აჭარა რუსეთს გადაეცა. ეს პირობა ძალაში დატოვა ბერლინის კონგრესმა. 1878 წლის 25 აგვისტოს 11 საათზე რუსთა და ქართველთა ჯარი ბათუმში შევიდა. კავკასიის მეფისნაცვალმა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ დეპეშით მიულოცა იმპერატორ ალექსანდრე II ბათუმის დაკავება. ამ მოვლენას აღტაცებით შეხვდა ქართველი საზოგადოება.

აჭარაში რუსული მმართველობის დამყარება დაიწყო. 1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა ხელი მოაწერა ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მმართველობის დროებით დებულებას. აღნიშნული დებულებით "განისაზღვრა მხარის ტერიტორიული მოწყობის, სამოხელეო აპარატის, საგადასახადო სისტემისა და სხვა საკითხები" (40;39). ბათუმის ოლქს სათავეში ჩაუდგა სამხედრო გუბერნატორი. პირველი გუბერნატორი გახდა გენერალ-მაიორი კონსტანტინე ბესარიონის ძე კომაროვი. მალე მას პირადი თვისებების გამო ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაში პრობლემები შეექმნა, რის გამოც მის ნაცვლად ბათუმის გუბერნატორად გენერალ-მაიორი ბ.სმეკალოვი დაინიშნა.

გუბერნატორი ვალდებული იყო ეხელმძღვანელა მეფისნაცვლის ხელმოწერილი დებულებით.

რუსეთთან შეერთების შემდეგ გენერალ-ადუტანტმა სვიატოპოლკ-მირსკიმ აჭარის მოსახლეობას გამოუცხადა, რომ ხელშეუხებელი იქნებოდა მათი ქონება, რელიგია, სახელმწიფოს მიმართ ვალდებულებები დარჩებოდა იგივე, რაც ოსმალთა მმართველობის პერიოდში იყო; უცვლელი დარჩებოდა ადგილობრივი მმართველობა: გადასახლების მსურველებს მიეცემოდათ ქონების გაყიდვის დრო" (23;10-11). სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლებამ ადგილობრივი მოსახლეობისადმი მიცემული ეს პირობა არ შეასრულა, რაც ოსმალეთში წასვლის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. აჭარის მკვიდრთათვის ძნელად



ასატანი და შესაგუებელი იყო უცხო რუსული მმართველობის ხელაღებით შემოღება. ეხებოდა რა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ შექმნილ ვითარებას, ამ რეგიონის მოსახლეობის მუჰაჯირად წასვლის მიზეზებს, "დროება" ასეთ დასკვნას აკეთებდა: "ჩვენი მხარე ვერანდება, ხალხი დიდი და პატარა, ფუხარა და შეძლებული, ყველაფეი სტოვებს თავის სახლ-კარს, დედულ-მამულს და მიეშურება ხონტქრის სამკვიდრებელში... სადმე რომ სამართალი იყოს და მთავრობას სურდეს ამ გავერანებას ბოლო მოუღოს, კვლავად გადასახლება შეაჩეროს და ჩვენს ხალხს გული გაუკეთოს – ერთი რაცდაის შემოღების მეტი არაფერი იქნება საჭირო. ამ ერთს რადაცას სახელად ჰქვია სამართალი. სამართლის მეტი ჩვენ არაფერი გვინდა. იგი დაგვაკმაყოფილებს სულ მთლად. იგი მოგვიბრუნებს გულს, ხელს აგვაღებინებს გადასახლებაზე, შეგვაყვარებს რუს-მმართველობას და ტირილით გარდახვეწილ მუჰაჯირებსაც კი დააბრუნებს" (28;1881).

აჭარაში რუსეთის ადმინისტრაციული მმართველობის შემოღების შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საადგილმამულო ურთიერთობების მოწესრიგებას. ამ თვალსაზრისით რუსეთის ხელისუფლებას გამოკვეთილი ინტერესები გააჩნდა, განსაკუთრებით ზღვისპირა ზოლში. ცარიზმის დაინტერესება მდგომარეობდა შემდეგში – რაც შეიძლება მეტი მიწის ფართობი გამოეთავისუფლებინა კოლონისტებისათვის ახლადშემოერთებულ მხარეში.

ცარიზმის რეალური მიზნების გასარკვევად საინტერესო დოკუმენტია კავკასიის ჯარების მთავარსარდალის გენერალ-ადუტანტ თავად სვიატოპოლკ-მირსკის ქ.თბილისში, 1879 წლის 8 თებერვალს დამტკიცებული ინსტრუქცია კომისიებისადმი, რომლებსაც უნდა შეესწავლათ ბათუმისა და ყარსის ოლქებში მიწისმფლობელთა უფლებები და მათზე არსებული აქტები (9;378-381). კომისიის შემადგენლობა განისაზღვრებოდა თავმჯდომარით, ორი წევრითა და თარჯიმნით. თავმჯდომარესა და კომისიის ერთ წევრს ამტკიცებდა კავკასიის მმართველობა.

ხოლო მეორე წევრსა და თარჯიმანს შესაბამისი ოლქის სამხედრო გუბერნატორი.

ინსტრუქციის N 9 პარაგრაფი მიუთითებდა უძრავი ქონების სხვადასხვა სახის მფლობელობის, მათი სარგებლობის სრული და ყოველმხრივი შესწავლის მიზნით კომისიას მხედველობაში უნდა მიეღო არა მხოლოდ თურქეთის იმპერიის პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობა, არამედ შეესწავლა, ეს კანონმდებლობა როგორ გამოიყენებოდა ფაქტიურად, როგორი იყო გამონაკლისი შემთხვევები, განსაზღვრული ადგილობრივი გარემოებებით და სხვა. ამ მიმართულებით შეეკრიბა აუცილებელი საბუთები ადგილზე და გულდასმით შეემოწმებინა ისინი (9;378). აღნიშნული ინფორმაციის მოპოვების საქმეში კომისიას მომავალში ბევრი წინააღმდეგობა ელოდა, ვინაიდან "თანხიმათის შემდგომ პერიოდში აჭარაში მოსახლეობის დაბალი ფენის, მწარმოებლური კლასის უდიდესი უმეტესობა მიწებს ფლობდა ყოველგვარი ოფიციალური; სახელმწიფო აქტების გარეშე" (39;18). ამას გარდა ოსმალეთის ხელისუფლებამ აჭარის წარჩინებულებს (ბეგებს) გამოსცემა მიწის საკუთრების დამდასტურებელი "როგორც ქართველი მეფეების, ისე თურქი სულთანების მიერ მათი წინაპრებისათვის ნაბოძები საბუთები" (56;69). ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირი არ იყო, რომ აჭარის მოსახლეობის უმრავლესობას, როგორც ზედაფენის ისე განსაკუთრებით გლეხობის წარმომადგენლებს არ შეეძლოთ მიწაზე საკუთრების დამდასტურებელი ოფიციალური საბუთის წარმოდგენა.

სერიოზულ პრობლემას ქმნიდა ისიც, რომ ოსმალეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა წასვლისას შეთანხმების მიუხედავად, მთელი არქივები ( და მათ შორის საკადასტრო წიგნები თუ მიწათმფლობელობასთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტები) თან წაიღეს. ახლადშექმნილი კომისიების მოვალეობას შეადგენდა მოეძიებინა ადგილობრივ მოსახლეობაში ამ სახის დოკუმენტები და თუ ასეთი აღმოჩნდებოდა, გადაეცა იგი კავკასიის სამხარეო მმართველობისათვის.

კომისიებს მიწათმფლობელების შესახებ არსებული ყველა აქტის შესწავლის შემდეგ დასკვნა უნდა შეეცნაოთ სპეციალურად გახსნილ ოქმების წიგნში. ყოველი ასეთი ოქმი კეთხებოდა აქტის მფლობელს საბოლოო ვარიანტით და მასზე ხელს აწერდა კომისიის ყველა წევრი (9;379).

ინსტრუქციის N 15 პარაგრაფის მიხედვით, თუ რომელიმე დოკუმენტი ტოვებდა ყალბის შთაბეჭდილებას, ხდებოდა ამის დაფიქრება ოქმში, შემდეგ კი მისი შედარება სხვა საკადასტრო წიგნებთან (თუ კი ასეთი კომისიას მოეძებნებოდა), თუ არა ხდებოდა "კეთილსინდისიერი პირების დაკითხვა, რის შემდეგაც დოკუმენტი მიიჩნეოდა სანდოდ ან "ყალბად". ცხადია, ხელისუფლების ნდობით აღჭურვილი "კეთილსინდისიერი პირები" ცარიზმისათვის სასურველ თვალსაზრისს დაუჭერდნენ მხარს. რუსეთის ხელისუფლების ნამდვილ მიზანს ცხადყოფს ინსტრუქციის N 10 პარაგრაფი: "კომისია ვადლებული იყო ზუსტად განესაზღვრა ყველა თავისუფალი მიწისა და სავარგულის რაოდენობა, რომელიც შეადგენდა ხაზინის საკუთრებას" (9;378-379).

საადგილმამულო ურთიერთობების, მიწაზე საკუთრების უფლების სწრაფი მოწესრიგების აუცილებლობას ყველა ხვდებოდა. "ერთი იმ საქმეთაგანი, რომელთა მალე გადაწყვეტა სასურველია მართველობის და ყველა ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესისათვის, უსათუოდ არის საკუთრებისა და მისი თავისუფლად გაცემის აღვიარება, ბათომის გარეშე მდებარე მიწისა. ამ საქმის გადაწყვეტას განსაკუთრებით ახლა ექნება დიდი მნიშვნელობა, რადგან ადგილობრივი მცხოვრებნი აწმყო წესების კმაყოფილნი არ არიან და სულ ყველანი გადასახლებას აპირებენ ოსმალეთის სამფლობელოში" (27;1880).

მართალია საადგილმამულო კომისიას სათავეში ცნობილი ისტორიკოსი და პატრიოტი დიმიტრი ბაქრაძე ედგა, მაგრამ მანაც ვერ შეძლო ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვა. ეს გასაკვირიც არაა, რადგან ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის აღკვეთა მაშინ იოლი საქმე არ იყო. მოსახლეობა კი უკმაყოფილო კომისიის საქმიანობით რჩებოდა. სწორედ ამ

განწყობილებას გამოხატავდა "დროება", როცა წერდა: "აგერ რამდენი ხანია, რაც ბათუმში არსებობს ერთი დაწესებულება, რომელსაც აქ საადგილმამულო კომისიას ეძახიან. ამ კომისიის მოქმედება დღემდე ისეთი საიდუმლო ფარდით იყო დაფარული, რომ არავინ იცოდა, რას აკეთებდა და როგორ აწარმოებდა საქმეებს... ასე განსაჯეთ, თურმე საქმეებსაც კი არ აჩვენებდნენ ხოლმე მოხონელებს" (29;1884). კომისიის მიერ სადგილმამულო ურთიერთობების შესწავლა-მოწესრიგების თვალსაზრისით წარმოებული საქმიანობით ადგილობრივი მოსახლეობა იმდენად უკმაყოფილო იყო, რომ ოსმალთა ბატონობისდროინდელი ვითარებაც კი სანატრელი გაუხდათ. "ჩვენს ბათუმში, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიაც საადგილმამულო საქმე დღიურს ვარამს შეადგენს. იგი ყველას აწუხებს, მოსვენებას არ აძლევს. რასაკვირველია, ეს უფრო მაჰმადიან ქართველებზე ითქმის, რადგანც ოსმალეთის მფლობელობის დროს ყველა მათგანს ადგილები ჰქონდათ მიზომილი და, მაშასადამე, ადგილმამულის მქონენი იყვნენ. ოსმალეთის მთავრობა სულ სხვა წესზე და რიგზე ურიგებდა ხალხს, ჩვენმა მთავრობამ კი უარყო ძველი წესები და შემოიღო ახალი. ოსმალეთის მთავრობა აძლევდა მესაკუთრეს მიწას საზღვრებში, რომლებიც "თაფებში" (საბუთი, წერილობითი სიგელი) უნდა ყოფილიყვნენ აღნიშნულნი და გარჩევით ნაჩვენებნი. დღეს ჩვენი ბათუმელი საადგილ-მამულო კომისია საზღვრებს ყურადღებას არ აქცევს და მიწას ზომით იძლევა. ამის გამო ბევრს მეპატრონეთაგანს, რომლებსაც მიწა "თაფით" ჰქონდათ მიზომილი გარკვეულ საზღვრებში, მიწა იმოდენი არ ერგებათ... ინსტრუქციის ძალით, რომლითაც ხელმძღვანელობს ჩვენი მთავრობა, საზღვრებით კი არ იძლევიან მიწას, არამედ კვადრატული საუენობით. ამის თაობაზე დიდი უკმაყოფილებაა მეპატრონეთა და მეტადრე ბათუმელ ბევთა შორის... ამ გვარმა გარემოებამ ბევრი უწესობა და უსამართლობა გამოიწვია... ბათუმში საადგილმამულო საქმე განუსაზღვრელს და გამოურკვეველს მდგომარეობაშია" (30;1884).

მიწისმფლობელობის საკითხის მოუწესრიგებლობა ამის შემდეგაც დიდი ხნის მანძილზე აწუხებდა აჭარის მოსახლეობას. ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა კი თვით

ხელისუფლების წამრომადგენლების აზრით აფერხებდა მხარის (ოლქის) ნორმალურ განვითარებას. "დღემდე ბათუმში მთავრობის განკარგულებით ნება არავის არა აქვს გაჰყიდოს მამული, გასცეს იგი სასარგებლოდ და საექსპლუატაციოდ სხვადასხვა წესით, იჯარით თუ გასყიდვით და სხვა პირობით. როგორც თვით გუბერნატორი ამბობს, ამგვარმა ახირებულმა აკრძალვამ სული შეუხუთა ქალაქის წარმოებას, ქალაქის სამოქალაქო ზრდას, აღორძინებას" (33;1889). თუ რამდენად "ზუსტად განსაზღვრა" და "შეისწავლა მიწათმფლობელთა უფლებები" საადგილმამულო კომისიამ, კარგად ჩანს იქედან, რომ ეს საკითხი გადაუჭრელი რჩებოდა XX საუკუნის დასაწყისშიც. "ბათუმის ოლქში, რომელიც რუსეთის შემადგენლობაშია 33 წელია, ჯერ კიდევ არაა მოწესრიგებული მიწათმფლობელობის საკითხი" (24;1911). ამ სფეროში შექმნილ კრიტიკულ ვითარებას ვერც ოფიციალური ხელისუფლების წამრომადგენლები ფარავდნენ. კავკასიის სამთო სამმართველოს 1913 წლის ანგარიშში ნათქვამი იყო: "მიწათმფლობელობა ბათუმის ოლქში ჯერ არ განხორციელებულა, ამდენად ჯერ კიდევ დაუდგენელია, სად მთავრდება ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი მიწები და სად იწყება სახაზინო მამულები" (22;307).

ჩნდება კითხვა: რატომ აჭიანურებდა რუსეთის ხელისუფლება აჭარაში მიწათმფლობელობის საკითხის გადაჭრას? ვფიქრობთ, ასეთი გაურკვეველი ვითარება აიძულებდა მკვიდრ ქართველ მოსახლეობას მუჰაჯირად წასვლის გადაწყვეტილება მიეღო, რაც კიდევ უფრო უიოლებდა ცარიზმს კოლონიზატორული პოლიტიკის განხორციელებას - "განთავისუფლებულ" მიწებზე "ერთგული" ელემენტის ჩამოსახლებას. აჭარის მიწებს, განსაკუთრებით მის ზღვისპირა ზოლს ეტანებოდნენ რუსი გადამდგარი სამხედრო პირები, ყოფილი ჩინოვნიკები, ვაჭრები. XX საუკუნის დასაწყისისათვის ისინი ფლობდნენ ციხისძირის, მწვანე კონცხის, მახინჯაურის, ჩაქვის მიწების უდიდეს ნაწილს. რუსი კოლონისტების მასობრივი ჩამოსახლება სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა მცირემიწიანობით ისედაც შეწუხებულ აჭარის მკვიდრ მოსახლეობას.

რუსეთის ხელში ბათუმისა და აჭარის გადასვლის შემდეგ დიდი სოციალური ცვლილებები ხდებოდა. ბათუმი თავისი მოხერხებული მდგომარეობისა და შესანიშნავი ნავსადგურის წყალობით სულ მალე მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი გახდა.

თანდათანობით ფეოდალური ურთიერთობები ირღვეოდა და ბურჟუაზიული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები მკვიდრდებოდა. ამ მიმართულებით სერიოზული ცვლილებები ხდებოდა ზღვისპირა ზოლში, სადაც სუბტროპიკული კულტურების სამრეწველო გაშენებას თან ახლდა რუსი მოახელშენებლის აქტიური მოზღვავებაც. აჭარაში მიწის დიდი ნაწილი ხაზინის საკუთრებაში გადავიდა. მცირემიწიანობით შეწუხებული გლეხობა იძულებული იყო შემოსავლის საძიებლად ქალაქში წასულიყო. კავკასიის მმართველობა აღიარებდა, რომ "მეტად რთული იყო გლეხთა საკითხი, დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული საეროთა ვალდებულებათა განსაზღვრა და მისი რეალიზაცია" (47;58). რუსეთის მთავრობამ დაარღვია აჭარის მოსახლეობისათვის მიცემული პირობა ძველი ვალდებულებების ძალაში დატოვების შესახებ. გაზრდილი გადასახადებით შეწუხებული "აჭარის გლეხობის დელეგაცია 1892 წელს ეწვია კავკასიის მთავარმართებელს თბილისში და სთხოვა გადასახადების შემცირება, მაგრამ დელეგაცია ცარიელი დაპირებით გამოისტუმრეს" (61;49).

მთლად სახარბიელო მდგომარეობაში არც აჭარის წარჩინებულნი იყვნენ. "ბათუმის მხარეში წოდებათა გამოსარკვევად მმართველობის მხრით კომისია არ არის დადგენილი და თუ თავად-აზნაურობამ იკისრა ბათუმის კეთილშობილთ უფლებების გამორკვევის საქმე, ეს მმართველობას ააცდენს ხარჯსა და მეორეს მხრით თვით ბათუმის კეთილშობილთაც შეუმცირებს სიძნელეს" (31;1885). ე.ი. აჭარის ფეოდალები ცდილობდნენ წოდებაში დამტკიცებას. წარჩინებულთა კლასი არც თუ მრავალრიცხოვანი იყო აჭარაში. "ნამდვილი ბეგები ცოტა არიან აქ... სანჯაყბეგიშვილები ბათუმში, აბაშიძე გვარად; ზემო აჭარაში - ხიმშიაშვილები; თავდგირიძეები - ქობულეთში; ბეჟან-ოღლი - ჩაქვში; მაჭახელში

არიან კვირიტაძეები, რომელნიც უწოდებენ თავის თავს წულუკიძეებად”(26;1879).

აჭარის წარჩინებულები მოითხოვდნენ დანარჩენ ქართველ თავადაზნაურებთან გათანაბრებას, კერძოდ კი ქუთაისის გუბერნიის კეთილშობილთა წოდებაში ოფიციალურად ჩარიცხვას. ჩანს, ამ მოთხოვნას მეტი საფუძველი მიეცა ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთების შემდეგ. 1885 წლის 17 ივლისს “დროებაში” აჭარის 20 წარჩინებულის მიერ ხელმოწერილი ასეთი შინაარსის წერილი გაიგზავნა: “უმორჩილესად გთხოვთ ბათუმის მაზრის მაჰმადიანი ქართველნი თავადაზნაურნი, თქვენის პატივისცემულის “დროების” შემწეობით გამოეცხადოს გულითადი ჩვენი თანაგრძნობა და პატივისცემა ქუთაისის და თბილისის გუბერნიების კეთილშობილთ, რომელთაც გუბერნიის მარშლებად ამოირჩიეს ღირსეულნი მამულიშვილნი, ცნობილნი, დაუღალავანი, საზოგადოებრივი მოღვაწენი, დიმიტრი ყიფიანი და ივანე მუხრან-ბატონი...”

ჩვენ, გამაჰმადიანებულნი ქართველნი კეთილშობილნი ბათუმის მაზრისა, ვმადლობთ უზენაეს განგებას, რომელმაც ორასი წლის შემდეგ ისევ შეგვყარა საქართველოს სახელოვან კეთილშობილებთან, ჩვენს ღვიძლს ძმებთან, გულწრფელად ვადვიარებთ, რომ გულით, სულით, მთლად ჩვენი არსებით ვეკუთვნივთ აღნიშნულს წოდებას ჭირშიც, ღვინშიც, ავშიც და კარგშიც.

ამ ზნეობრივს კავშირთან საჭიროა ფორმალური, ოფიციალური კავშირიც: ჩვენ გვსურს, რომ ჩვენც მიწერილნი ვიყვნეთ ქუთათურის გუბერნიის თავადაზნაურობასთან.

სრული იმედი გვაქვს, რომ დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი იშუამდგომლებს სადაც ჯერ არს, რომ ჩვენც მიგვაწეროს ქუთაისის გუბერნიის კეთილშობილთა წოდებას, რათა მათთან ერთად შეძლებისდაგვარად ჩენც ვემსახუროთ იმ წმინდა დანიშნულებას და მოვალეობას, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად დაუნიშნა საზოგადოდ მთელი იმპერიის თავადაზნაურობას უმაღლესის რესკრიპტით”(32;1885).

მიუხედავად ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა, ახლადშემოერთებული ბათუმი თანდათან მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი ხდებოდა. მოხერხებულმა სატრანზიტო მდგომარეობამ, შესანიშნავმა ბუნებრივმა ყურემ არაერთი რუსი თუ ევროპელი მრეწველი დააინტერესა. რკინიგზით ბათუმის ბაქოსთან დაკავშირების შემდეგ აქედან დაიწყო ბაქოს ნავთობის ექსპორტი, რომლის მასშტაბები თანდათან იზრდებოდა. ნავსადგურის აგებისა და ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის ამოქმედებით ბათუმი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი გახდა. ბათუმს არაერთი ბედის მაძიებელი მოაწვდა როგორც მთელი დასავლეთ საქართველოდან, ისე რუსეთის შიდა გუბერნიებიდან და თურქეთიდან. "დიდალი ხალხი ჩამოვიდა... ყველა აქ მოელის გაკეთებას, საქმეს ეძებენ"(25;1878).

იმთავითვე გამოიკვეთა, რომ "ბათუმის სამრეწველო განვითარება ძირითადად ბაქოს ნავთობის ექსპორტის ხარჯზე ხდებოდა"(60;43). XIX საუკუნის 80-იან წლებში ნავთობპროდუქტების ექსპორტის კვალობაზე იზრდებოდა ბათუმის როლი მსოფლიო ნავთობის ვაჭრობაში. "ბათუმმა მსოფლიო სახელი უმთავრესად ნავთობის პროდუქტების ვაჭრობით მოიხვეჭა" (8;34). ნავთობის გატანის ტემპების სწრაფ ზრდასთან ერთად (კერძოდ, თუ 1883 წელს ბათუმიდან საერთოდ გატანილი იქნა 3.348.900 ფუთი ნავთობპროდუქტი, 1902 წლისათვის შესაბამისმა ციფრმა 78.338.800 ფუთი შეადგინა"(64;31--311), ხდებოდა ქალაქ ბათუმის დაჩქარებული განვითარებაც, მას არა მხოლოდ ვაჭარ-მრეწველები მოაწვდა, დიდი რაოდენობით, არამედ სამუშაოს მაძიებლებიც, რამაც ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა გამოიწვია და იგი ძველ ფარგლებში ვეღარ ჩაეცია. "ბათომი დიდად მნიშვნელოვანი ქალაქი შეიქმნა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური წარმატებისათვის. აქ აუარება ხალხმა მოიყარა თავი, ერთის მხრივ მოვაჭრე ფულის პატრონებმა და მეორე მხრივ დღიური ლუკმის მონატრულმა მუშა ხალხმა და გაჩაღდა ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, გაიხსნა მრავალი ნათვის ქარხანა და სხვა. რა თქმა უნდა წინადადელი ბათომი ვეღარ დაეცია თავის წინანდელ ვიწრო



კალაპოტში და აი ბათომსაც მოემატა სულ მცირე ხანში ორი ვრცელი ადგილი ათი ათასზე მეტი მცხოვრებით. ე.წ. "გორლოკი" და "ბარცხანა". ამ ადგილებში ძირითადად მუშა ხალხი ცხოვრობს"(38;1898). XX საუკუნის დასაწყისში ბათუმი სამრეწველო განვითარების მიხედვით ამიერკავკასიაში მესამე ადგილზე იყო თბილისისა და ბაქოს შემდეგ. როგორც ავღნიშნეთ მრეწველობისა და ვაჭრობის სწრაფი ტემპით ზრდა შესაბამისად იწვევდა ქალაქის მოსახლეობის ზრდასაც. თუ 1878 წელს ბათუმის მოსახლეობა დაახლოებით 3000-ს აღწევდა, 1903 წლისათვის 30.000 გადააჭარბა. მოსახლეობის ზრდის ტემპი ტემპი ძირითადად მუშათა კლასზე მოდიოდა. ქარხნებში, ფაბრიკებში, ნავსადგურში, რკინიგზის სატვირთო სადგურში, სახელოსნოებსა და სხვა წვრილ საწარმოებში დასაქმებული იყო 11.000-ზე მეტი მუშა" (5;52). ე.ი. სულ რაღაც ორი ათეული წლის განმავლობაში "ბათუმი პატარა, აზიური, ფეოდალური ქალაქიდან გადაიქცა ევროპულ-კაპიტალისტურ ქალაქად, რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად, რომელიც ბაქოს და თბილისთან ერთად ტონს აძლევდა ამიერკავკასიის კაპიტალისტურ განვითარებას" (41;227). მართალია ბათუმის სამრეწველო განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, "მაგრამ ყველაფერი ეს ბაქოს ნავთობის პროდუქტების ექსპორტს ემსახურებოდა და ამდენად ადგილობრივი ნედლეულის სამრეწველო წარმოების განვითარებისათვის არ იყო მყარი საფუძველი, ექსპორტის დარგში მომხდარ შეფერხებას შეიძლებოდა მთელი საწარმოების ერთბაშად პარალიზება მოჰყოლოდა" (52;176).

ბათუმის სწრაფი სამრეწველო განვითარება მოითხოვდა შესაბამის მუშახელსაც. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მას მოაწვდა არა მხოლოდ მახლობელი სოფლებისა და რაიონების, არამედ თვით რუსეთის გუბერნიებიდან გამოსული სამუშაოს მაძიებელთა არმია. ბათუმის მუშათა კონტინგენტი არაერთგვაროვანი იყო (55;93). მეტად მძიმე იყო მუშათა შრომის პირობები: "ქარხნები სავსე იყო მუშებით, რომლებიც საცოდავ პირობებში იყვნენ, მეტისმეტად იზაგრებოდნენ, ნამეტურ ჩაგვრას განიცდიდნენ ქართველი მუშები, რომლებიც ახლად

გამოდინდნენ თავიანთი სოფლებიდან და ახლად ეჩვეოდნენ მათთვის უჩვეულო მუშაობას“ (50;177). ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეები სარგებლობდნენ რა დასაქმების მსურველთა ჭარბი კონტინგენტით, მუშებს მეტად მძიმე პირობებში აყენებდნენ.“მუშების შრომისა და ცხოვრების პირობები მთლიანად იყო დამოკიდებული მეპატრონეებზე, რომლებიც უსახლვრო ექსპლოატაციას უწევდნენ მათ“ (63;148).

XIX საუკუნის 90-იან წლებში ბათუმელ მუშათა მდგომარეობას გაზეთი “კვალი” ასე აღწერდა:“მუშა კი ისევ უმწეოა ცისანაბარად მიგდებული, უანგარიშო, უთვალავ უბედურება-გაჭირვებას და ვაი-ვაგლახს ითმენს ქედმოსრილი. არსით ჩანს მისი ავადმყოფობისათვის თავის შემწეუბნელი, ამჟამად ნავსადგურსა და ქარხნებში შეჩერებული მუშები ცხრა ათასამდეა. საშუალო დღიური ქირა სამ აბაზს არ აღემატება... პაპანაქება სიცხე, უსაშველო ჯაფა – ტანჯვა – შრომა, საბაგელი სადგომი ფეხ-ქვეშ აცლის ჯანმრთელობას (35;1895). ბათუმელ მუშებს მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ შრომა. დაბალი ხელფასი, ხანგრძლივი სამუშაო დღე, მოუწესრიგებელი საყოფაცხოვრებო პირობები მუშათა ჩვეულებრივი ხვედრი იყო. 1897 წლის კანონით მუშებისათვის სამუშაო დღე დღის ცვლაში 11,5 საათით, ხოლო ღამის ცვლაში 10 საათით განისაზღვრებოდა. თუმცა კანონმა ძალაში დატოვა ადმინისტრაციასთან შეთანხმებით სამუშაო საათების გაგრძელება მუშებისათვის, რაც ფაქტიურად ნებას აძლევდა ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეთ საკუთარი ნება-სურვილით განესაზღვრათ სამუშაო დღის ხანგრძლივობა. ამავე კანონით შრომის პროცესში დაზარალებულ მუშას პენსია უნდა მისცემოდა, თუ ეს შემთხვევა არ იქნებოდა მუშის მიერ განზრახ გამოწვეული. მაგრამ ფაქტიურად კანონის არც ეს მუხლი სრულდებოდა და კაპიტალისტები ცდილობდნენ მუშებისათვის დაებრალებინათ ყველაფერი. საერთო მძიმე პირობებს თან ერთვოდა მუშათა ჭარბი რაოდენობით გამოწვეული უმუშევრობა, რაც უფრო საცოდავს ხდიდა მათ მდგომარეობას.“აუტანელ შრომას ეწევიან დილიდან საღამომდის და იმდენ ფულს ძლივს შოულობენ, რომ შიმშილით არ

მოკვდნენ. ეს კიდევ არაფერი, სამუშაო რომ ყველას ჰყოფნიდეს. მუშები ისე გამრავლდნენ, რომ ნახევარზე მეტი უსაქმოდ რჩებიან და გამხდარი, გაყვითლებული აზრდილივით დაიარებიან ქუჩებში“ (36;1897). სამუშაოს შემცირებასთან ერთად იშვიათი არ იყო ხელფასის შემცირებაც. “ათი წლის წინათ (იგულისხმება 1892 წელი –ავტ.) როტშილდის ქარხანაში მუშაობდა 4000 კაცი. მუშები გასამრჯელოდ 2-3 მანეთს იღებდნენ. ამჟამად იმავე სამუშაოს არსულებს 1500 კაცი, ქარხნიდან დაითხოვეს 2500 მუშა, ხოლო ხელფასი შემცირდა 60 კაპიკამდე” (18;1). ფაბრიკა-ქარხნებში ფართოდ გამოიყენებოდა მოზარდთა შრომა, რომლებიც სრულსაკოვანი მუშების მსგავსად იყვნენ დატვირთულნი. “მანთაშევის ქარხანაში 7-8 წლის ბავშვები იმდენივე საათს მუშაობდნენ, როგორც დიდები. მანთაშევის ქარხანაში სამუშაო კვირა 105 საათს აღწევს, ბავშვები დაზგებთან მუშაობენ 15-16 საათს” (18;2). ასეთ უმძიმეს სამუშაო პირობებს თან ერთვოდა მუშების ფიზიკური შეურაცხყოფა, ცემა. გაზეთი “ისკრა” წერილში “მუშათა მდგომარეობა კავკასიაში. ბათუმი” იუწყებოდა: “ბათუმის ქარხნებში მუშებთან დამოკიდებულებაში გაბატონებულია მუშტით გასწორება. ამ თვალსაზრისით გამოირჩევიან მანთაშევის ქარხნის მმართველი ტერ-აკოფოვი და როტშილდის ქარხნის მექანიკოსი შტუბნერი” (34;1902). ანალოგიური ხასიათის ცნობა დაცულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმშიც (18;1). არც ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეები და არც ხელისუფლება მუშათა ასეთ მდგომარეობას ელემენტარულ ყურადღებასაც კი არ აქცევდნენ. “კაპიტალისტები ხალხის ამ მასას (იგულისხმება მუშათა კლასი-ავტ.) უყურებენ, როგორც მეწველ ძროხას. თვითმპყრობელური ხელისუფლება ყრუა მუშებისა და მათი ოჯახების კვნესისა და უბედურების მიმართ”(19;17). XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ბათუმის ფაბრიკა-ქარხნებში ფართოდ დაიწვეს მანქანა-დანადგარების გამოყენება, ე.ი. მიმდინარეობდა წარმოებაში ტექნიკური გადატრიალების პროცესი. ეს უდავოდ სამრეწველო თვალსაზრისით დადებითი მოვლენა, უარყოფითად აისახებოდა მუშების სოციალურ მდგომარეობაზე. ფაბრიკა-ქარხნების

მფლობელებს ამით შესაძლებლობა მიეცათ შეემცირებინათ მუშათა კონტინგენტი, წაეყენებინათ მათთვის მაქსიმალურად მომგებიანი პირობები.

ბუნებრივია ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფი მუშები პროტესტის ფორმებს ეძებდნენ და საკუთარი უფლებების დაცვისათვის ბრძოლას იწყებდნენ. მუშათა პირველ გაფიცვას ბათუმში ადგილი ჯერ კიდევ 1882 წელს ჰქონდა. ბათუმში მუშათა მოძრაობის განვითარებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა რუსეთის იმპერიაში მიმდინარე რევოლუციურ მოვლენებს ჰქონდა; როგორც საქართველოს სხვა ქალაქებში, ბათუმშიც იქმნებოდა პირველი მუშათა წრეები. ამ ეტაპზე წრეების საქმიანობას ძირითადად საგანმანათლებლო ხასიათი ჰქონდა. საქართველოში "მესამე დასის" ჩამოყალიბებამ განსაზღვრა ბათუმის მუშათა კლასის საქმიანობის მიმართულება. "მესამე დასის" წარმომადგენლებს (ნ. ჟორდანიას, ფ. მახარაძე, კ. ჩხეიძე, ი. რამიშვილი) სერიოზული წვლილი მიუძღვით ბათუმში მარქსისტული იდეების პროპაგანდის საქმეში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო 1896 წელს გ. ფრანჩესკისა და ი. ლუზინის შექმნილი პირველი მარქსისტული წრე. 1898 წელს ლუზინის, ფრანჩესკისა და კალანდაძის დაპატიმრების შემდეგ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების განვითარება ბათუმში შეფერხდა, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში მან სერიოზული წარმატებებს მიაღწია. 1900-1901 წლებში ბათუმში არაერთი გაფიცვა და საპირველმართო დემონსტრაცია მოეწყო. "ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის შემდეგ მალე დაიწყო მუშაობა მასობრივი გაფიცვების მოსამზადებლად" (51;229). 1901 წლიდან მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით იწყება რევოლუციური აღმავლობის პერიოდი. "რევოლუციური მოძრაობის საერთო აღმავლობამ განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი ბათუმში" (53;46). ბათუმში სოციალური უკმაყოფილების გაძლიერებას აღიარებდნენ ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლებიც. ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის თანაშემწე ბათუმში როჟანოვი ნარკვევში "ანტისახელმწიფოებრივი მოძრაობა ბათუმის რაიონსა

და გურიაში“ (უფრო სწორი იქნება აღნიშნულ ინფორმაციას ეწოდოს ანგარიში, რომელშიც აისახა ქუთაისის გუბერნიაში 1900-1901 წწ. რევოლუციური გამოსვლების მონაცემები – ავტ.) წერდა: “ბათუმი თავისი რევოლუციური და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობით წარმოადგენს ძალზე სერიოზულ პუნქტს, რომელიც უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, როგორც საპორტო ქალაქი და როგორც მეზობელი გურიის მაზრასთან, რომელთანაც დაკავშირებულია რკინიგზით. გურიის “კომიტეტი”, რომელიც ოზურგეთის მაზრის საქმეებს უძღვება, იმყოფებოდა ქ.ბათუმში. ბათუმის გავლით შემოდის უცხოეთიდან არალეგალური ლიტერატურა, პროკლამაციები. ზემოთ აღნიშნული ცხადყოფს, რომ ქ.ბათუმი კავკასიისათვის იძენს არანაკლებ მნიშვნელობას, ვიდრე ქ.ტფილისი...” (17;5).

მუშათა მოძრაობის აღმავლობის შედეგი იყო, რომ 1901 წლის დეკემბერში ბათუმის სოციალ-დემოკრატიული წრეები ორგანიზაციულად გაერთიანდნენ და შექმნეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტი. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა ჩაატარა თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტიდან ბათუმში მოვლინებულმა ი.ჯუღაშვილმა (43;31).

ი.ჯუღაშვილის ბათუმში ჩასვლის თარიღი დღემდე ზუსტად დადგენილი არ არის. ქუთაისის ჟანდარმერიის სამმართველოს მასალების მიხედვით (რომელიც უნდა ემყარებოდეს როტმისტრ ჯაყელის შეტყობინებას ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს თანამშემწისადმი ბათუმში (13;18). სტალინი ბათუმში უნდა ჩასულიყო 1901 წლის შემოდგომაზე (21;4-5). აი, როგორ იგონებს იმ მოვლენის თანამონაწილე, მანთაშევის ქარხნის ყოფილი მუშა კოტე კაღანდაროვი სტალინის ბათუმში ჩამოსვლისა და მუშათა წრეების ერთიან ორგანიზაციად ჩამოყალიბების ფაქტს: “1901 წლის ნოემბრის ბოლოს ბათუმში ჩამოვიდა ამხანაგი სტალინი. ის დროებით ჩემთან დაბინავდა. ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე დაიწყო რევოლუციური მუშაობა ბათუმში. სტალინის ხელმძღვანელობით საწარმოებში დაიწყო სოციალ-დემოკრატიული წრეების ჩამოყალიბება, რომელშიც მოწინავე

მუშებს აერთიანებდნენ. 1901 წლის ბოლოს ამხანაგმა სტალინმა გადაწყვიტა გაეერთიანებინა მის მიერ ჩამოყალიბებული მუშათა წრეები ერთიან სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციად. მანვე შემოგვთავაზა ახალი წლის შეხვედრის მიზეზით შეგვეკრიბა სხვადასხვა ქარხნის წრეების წარმომადგენლები და ჩაგვეტარებინა შეკრება. ეს იდეა ჩვენ მოგვეწონა... შეკრება დაინიშნა ს.ლომჯარიას ბინაზე. 31 დეკემბერს შებინდებისას ჩვენ გაგვიეთ იქეთ (შეკრებას ესწრებოდნენ პ.ქურიძე, თ.გოგიბერიძე, კ.ცერცვაძე, დ.ჩარკვიანი, კ.კანდელაკი, კ.კალანდაროვი, პ.ქიქავა, პ.ნინიძე, გ.კალაძე, ფ.ლომთათიძე, დ.ლომთათიძე, კ.დუდუჩავა და სხვა. სულ 25-30 კაცი). სადამოს განმავლობაში ამხ.სტალინმა დაახლოებით 4-5 –ჯერ ისაუბრა. მისი ყველა გამოსვლა ატარებდა პოლიტიკურ ხასიათს.სტალინი საუბრობდა დამაჯერებლად და გასაგებად... გამთენიისას შეკრება დასრულდა“(14;25-26). ამრიგად 1901 წლის ბოლოს ბათუმში შეიქმნა ერთიანი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რაც დიდი მნიშვნელობის ფაქტი იყო.“ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა 1901 წელს მიანიშნებდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დიდ აღმავლობაზე საქართველოში. XX საუკუნის დამდევისათვის საქართველოს მეორე სამრეწველო ქალაქი ბათუმი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დიდ ცენტრად იქცა” (46;119). თანდათან ბათუმელი მუშების გამოსვლები სულ უფრო ორგანიზებული და მასობრივი ხდებოდა. ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნებს თანდათან ემატებოდა პოლიტიკური მოთხოვნებიც.

1902 წლის დასაწყისში სტალინმა დარახველიძეების ბინაზე მოაწყო არალეგალური სტამბა. აქ იბეჭდებოდა პროკლამაციები, მოწოდებები, ბროშურები, რომლებიც მთელ დასავლეთ საქართველოში ვრცელდებოდა. “ბათუმის კომიტეტმა აღნიშნული სტამბის საშუალებით ისე ფართოდ გაშალა ბეჭდვითი აგიტაცია, რომ მან თავისი იდეური გავლენის ქვეშ მოაქცია ქალაქის მშრომელი მოსახლეობა” (54;212). ჩატარებული მუშაობის შედეგად 1902 წელი ბათუმში არნახული რევოლუციური გამოსვლებით აღინიშნა: ბათუმის ქალაქის თავი ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი იგონებდა:” 1902 წელი

ბათუმის ნავთობის ქარხნების მუშათა შორის იყო რევოლუციური განწყობილებისა და სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდის აღმავლობის წელი. ამ დროს ბათუმი მთელ საქართველოში გამოირჩეოდა მუშათა კლასის განსაკუთრებული სიმრავლისა და აქტიურობის თვალსაზრისით. აქეთ იყო მიმართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყურადღება და მნიშვნელოვანი ძალები. გახშირდა გაფიცვები მუშათა შორის, რომლებიც არა მხოლოდ ეკონომიკურ მოთხოვნებს აყენებდნენ, არამედ შორსმიმავალი პოლიტიკური მიზნებიც გააჩნდათ` (15;21).

1902 წლის 31 იანვარს, მანთაშევის ქარხნის მუშებმა (დაახლოებით 400 კაცი) მუშაობა შეწყვიტეს იმის გამო, რომ ქარხნის მმართველმა ტერ-აკოფოვმა დაითხოვა ერთ-ერთი მუშა ხაჩი კახაროვი სამუშაო საათებში ამხანაგთან საუბრის მიზეზით. დათხოვილს `მხარი დაუჭირეს ასატურ ბაგიროვმა, გეორქ და აკოფ გეურქოვებმა. მათი წაქეზებით მუშები გაიფიცნენ. ქარხანა გაჩერდა` (16;26). მმართველმა დასახმარებლად პოლიცია გამოიძახა, რომელთაც დააპატიმრეს 112 მუშა. ამის მიუხედავად მუშები მტკიცედ იდგნენ, მათზე არ იმოქმედა არც მუქარამ, არც ტკბილმა დაპირებებმა... ისინი აცხადებდნენ, რომ არ წავიდოდნენ სამუშაოდ მანამამ, სანამ არ გაათავისუფლებდნენ მათ ამხანაგებს. ერთი კვირის შემდეგ პოლიციამ მუშების დიდი ნაწილი სოფლებში გაასახლა, მაგრამ მუშები მესამე დღეს დაბრუნდნენ და კვლავ მოითხოვეს დაპატიმრებულთა განთავისუფლება. მანთაშევემა, რომელიც დიდ ზარალს განიცდიდა ქარხნის გაჩერებით, იშუამდგომლა დაკავებულთა განთავისუფლებისათვის. პოლიცია უარს ამბობდა მუშების განთავისუფლებაზე, ისინი თქვენი მოთხოვნით დაეჭირეთო, მაგრამ 17 თებერვალს, ბათუმში საფაბრიკო ინსპექტორის ჩამოსვლის შემდეგ, ყველა დაპატიმრებული, ორის გარდა, გაათავისუფლეს. ქარხნის ადმინისტრაცია იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მუშათა მოთხოვნები:

1. სადილობისას შესვენება 1 საათიდან გაიზარდა 1,5 საათამდე

2. დაითხოვეს მმართველი ტერ-აკოფოვი და სხვა უხეში ოსტატები

3. ადმინისტრაცია მუშებს დაპირდა დარჩენილი 2 დაპატიმრებულის განთავისუფლებასაც

4. მთელი გაცდენილი დრო, 31 იანვრიდან 18 თებერვლამდე მუშებს მთლიანად აუნაზღაურდებოდათ

**18** თებერვლიდან მუშებმა განაახლეს მუშაობა (14;13-14).

მანთაშევის ქარხნის მუშების ამ გაფიცვამ ცხადყო ის დიდი პოლიტიკური მუშაობა, რომელსაც ბათუმის კომიტეტი სხვადასხვა ეროვნების მუშათა შორის ეწეოდა. "სოლიდარობის სულისკვეთება, რომელიც ბათუმის კომიტეტმა ყველა ქარხნის მუშებში დანერგა, უფრო ძლიერი აღმოჩნდა ვიდრე ადგილობრივი პოლიცია" (61;88).

მანთაშევის ქარხნის მუშათა წარმატებამ იმედი ჩაუსახა სხვა ქარხნების მუშებსაც. თებერვალში გაიფიცა როტშილდის ქარხანა. გაფიცვის მიზეზი შემდეგი იყო: ქარხნის დირექტორმა ვანშტეინმა განკარგულება გასცა დაეთხოვათ ძველი მუშები (დაახლოებით 420 კაცი), როგორც არაკეთილსინდისიერი პირები. 28 თებერვალს ქარხნის ყველა მუშა (დაახლოებით 1500 კაცი), გარდა სატყეო მასალების საწყობის მუშებისა, სადაც უპირატესად თურქები მუშაობდნენ, გაიფიცა. 2 მარტს მათ აიძულეს მუშაობა შეეწყვიტათ მემანქანეებს და ელექტროგანყოფილების მუშებს, რითაც შეაჩერეს რეზერვუარებიდან გემებში ნავთობის გადატვირთვა. 6 მარტს გაფიცულებს შეხვდა სამხედრო გუბერნატორი დრიაგინი, რომელმაც მართალია მუშებს მოუსმინა, მაგრამ მათ სამხედრო ყაიდაზე უბრძანა: "თუ ხვალ სამუშაოზე არ გახვალთ, მკაცრი ღონისძიებებს მივიღებთ". მუშებმა უკან არ დაიხიეს. 7-8 მარტს ღამით დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს 32 კაცი. ქარხნის საწყობები და ადმინისტრაციული შენობა პოლიციამ განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანა. 8 მარტს შუადღისას შეიკრიბა 800-მდე ადამიანი და კოლონებად დაწყობილი გაემართნენ პოლიცმეისტერისაკენ მოთხოვნით – ან ჩვენც დაგვაპატიმრეთ, ან ჩვენი ძმები გაათავისუფლეთ" (13;5). პოლიციის მოთხოვნას, რომ დაშლილიყვნენ, მუშები



ყურადღებას არ აქცევდნენ და კვლავ თავიანთ მოთხოვნებს იმეორებდნენ. პოლიციამ მუშები ალყაში მოაქცია, გამოიძახეს სამხედრო ნაწილებიც. ჯარისკაცებმა ხიშტებით სცადეს მუშების დაშლა, მაგრამ უშედეგოდ. მართალია 2 მუშა დაიჭრა, მაგრამ ისინი არ დაემორჩილნენ და 5-6 ჯარისკაცს თოფიც კი წაართვეს. ბოლოს იმ პირობით, რომ ყველანი ყაზარმებში წავიდოდნენ, მუშებმა მიაღწიეს დაპატიმრებულთა განთავისუფლებას. ასე დამთავრდა 8 მარტის მანიფესტაცია.

მეორე დღეს, დილით როტშილდის, მანთაშევის, სიდერიდისის და სხვა ქარხნების მუშები, დაახლოებით 2000 კაცი სიძღვრით მიუახლოვდა ყაზარმებს და მოითხოვეს მუშათა განთავისუფლება. ამ მოვლენების მონაწილე ქსენაფონტე ანტონისძე ზამბახიძე იგონებს: "მე მაშინ კავკასიის მეშვიდე მსროლელ ბატალიონში ვმსახურობდი, რომელიც ქალაქ ბათუმში იდგა... მარტის 8 რიცხვი იყო, როცა მოვიდა ციხესიმაგრის კომენდანტის განკარგულება - 150 კაცამდე, საომრად გამზადებული, გაყვანილი ყოფილიყო ქალაქის ციხესთან. განკარგულება სასწრაფოდ იქნა შესრულებული... მე მაშინ უფროსი უნტერ-ოფიცერი ვიყავი და ერთ განყოფილებას (ათეულს) ვხელმძღვანელობდი. მივედი ციხესთან, მუშებით გაჭედილი იყო იქაურობა, ყვიროდნენ, მოითხოვდნენ პატიმრების განთავისუფლებას. ჩვენ განკარგულება მოგვცეს გაგვევანტა მუშები, მაგრამ ჩვენ ეს ვერ შევძელით. მუშები გვესროდნენ ქვებს, გვიწევდნენ წინააღმდეგობას. ბოლოს ადმინისტრაციამ უკანასკნელი მოთხოვნის დაკმაყოფილება გადაწყვიტა და რადგან ყველას ციხეში მოთავსება არ შეიძლებოდა, გამოიყვანეს ციხიდან წინა დღეებში დაპატიმრებული მუშები, შეუერთეს გარეთ მყოფთ და მათთან ერთად წავიყვანეთ წითელ ყაზარმებში, პუშკინის ქუჩაზე. გზაზე ბევრი ჩამოსცილდა, ჩვენც არ ვაქცევდით ყურადღებას, ყაზარმებამდე 300-400 კაცი მიგვეყვა. დამე მშვიდობიანად გავიდა. დილის 10 საათზე მივიღეთ განკარგულება და კაპიტან ანთაძესთან ერთად პირდაპირ წავედით წითელი ყაზარმებისაკენ... ზღვა ხალხი დავინახეთ. აქ იყვნენ არა მარტო ქარხნის მუშები, არამედ ქალები, მოხუცები ... ისინი მოითხოვდნენ პატიმრების განთავისუფლებას და

იმუქრებოდნენ“ (14;67-69). მუშები არანაირ მოთხოვნას არ დაემორჩილნენ, პირიქით, “საშინელი ქვის სროლა აუტეხეს საღვთებს, ზოგიერთმა რევოლვერიც დაცალა“ (37;1902). კაპიტანმა ანთაძემ ბრძანება გასცა ესროლათ შეკრებილთათვის. დაიღუპა 15, დაიჭრა 54 კაცი, მსუბუქად დაჭრილები მიიმაღნენ“ (20;12). ასეთი აქტიურობისათვის კაპიტანი ანთაძე დააჯილდოვეს და მალე პოდპოლკოვნიკის ჩინი მისცეს (14;72). 9 მარტის მსხვერპლთა დაკრძალვის პროცესი ბათუმელმა მუშებმა რსდმპ ბათუმის კომიტეტის ორგანიზებით სოციალური პროტესტის გამოსახატავად გამოიყენეს.

დაღუპულები 12 მარტს დაკრძალეს. მათ ცხედრებს 5000 მეტი ადამიანი მიაცილებდა. სასაფლაოზე მუშებმა შემდეგი ხასიათის პროკლამაცია გაავრცელეს: “დიდება თქვენ, სიმართლისათვის დაღუპულებო, დიდება თქვენს დედებს... დიდება თქვენ, რომლებიც სიკვდილის წინ გაფერმკთალებული ტუჩებით მოგვიწოდებდით ჩვენ ბრძოლისაკენ, დიდება თქვენს აჩრდილებს, რომლებიც თავს დაგვეტრიალებენ და ჩაგვკახიან: “შური იძიეთ!” (13;7).

მიუხედავად დამარცხებისა, 1902 წლის 9 მარტის გამოსვლა მნიშვნელოვანი ფურცელია ბათუმის და საერთოდ საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში. მან დიდი როლი შეასრულა მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის შემდგომი გაძლიერების საქმეში.

9 მარტი ბათუმელი მუშების სოციალური ბრძოლის ერთგვარ სიმბოლოდ გადაიქცა. ხელისუფლების მხრიდან სასტიკი რეპრესიების მიუხედავად რაც გამოიხატებოდა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და მის შემდგომ გაგრძელებაში, დაპატიმრებებში, პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პირების ადმინისტრაციული წესით გასახლებაში, მუშათა გამოსვლების შეჩერება მაინც ვერ მოახერხეს. მომდევნო წლებში 1902 წლის 9 მარტს დაღუპულთა პატივსაცემად ბათუმელი მუშები მძლავრ საპროტესტო გამოსვლებს აწყობდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ 9 მარტის მოვლენები და საერთოდ მუშათა რევოლუციური გამოსვლები ბათუმში გახდა 1903 წლის ქუთაისის გუბერნიიდან ბათუმის ოლქის

გამოყოფის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. თუმცა საქმეს ვერც ამან უშველა. ხელისუფლებამ რომ ბათუმში დასახულ მიზანს ვერ მიაღწია ცხადყოფს 1903 წლის 26 ივლისს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს კანცელარიაში გაგზავნილი საიდუმლო წერილი: "...დილით 17 ივლისს 8 საათზე, როცა ჩვეულებრივად არის საუზმის წინა შესვენება, ყველა ქარხნის მუშებმა დემონსტრაციულად დატოვეს რა სამუშაო, დაიძრნენ ქალაქის ცენტრისაკენ რკინიგზის სასაქონლო სადგურის გავლით და აიძულეს სადგურის მუშები შეეწყვიტათ სამუშაო... მომდევნო დღეს, 18 ივლისს, ქალაქში ყველა მაღაზია დაკეტილი იყო, არ გამოსულან მეეტლეებიც...თბილისის ქუჩაზე შეიკრიბა 1500-2000 კაცამდე, რომელთაც ჰქონდათ წითელი დროშა"(2;48-49). კაზაკებმა შეკრებილ მუშებს ცეცხლი გაუხსნეს, დაიჭრა ორი კაცი, მათ შორის ერთი სასიკვდილოდ. ამ გზით პოლიციამ და კაზაკებმა შეძლეს შეკრებილი მუშების დაშლა, თუმცა მდგომარეობა მაინც კრიტიკული იყო. ბათუმის გუბერნატორი წერდა: "ამჟამად მე შეშფოთებული ვარ ცნობებით აგიტატორთა საქმიანობის შესახებ ბათუმის მუშებში. ასევე იმ მუშების რაოდენობით, რომლებიც არ გამოცხადდნენ სამუშაოზე 23 რიცხვში" (2;50). გუბერნატორის აზრით მუშათა გამოსვლების წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარებას აფერხებდა პოლიციის მწირი დაფინანსება და რევოლუციონერთა (იგულისხმება რსდმპ ბათუმის კომიტეტი – ავტ.) დიდი გავლენა მუშებზე. კავკასიის მმართველობამ ყველაფერი იღონა, რათა აღეკვეთა ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები ბათუმში, რასაც გარკვეული წარმატებაც მოჰყვა. ამით იმედმოცემული ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი მიხეილ ნიკოლოზისძე დრიაგინი 1903 წლის საანგარიშო მოხსენებაში წერდა: "მიხაილოვსკის ციხის გარნიზონის, პოლიციისა და ჟანდარმერიის შეთანხმებული და დროული მოქმედების წყალობით შესაძლებელი გახდა საანგარიშო წლის ზაფხულში დაწყებული უწესრიგობების დათრგუნვა და ბოროტგამზრახველ პირთა ისე პარალიზება, რომ ქუჩის უწესრიგობები კარგა ხანია არ მომხდარა. გატარებული მუშაობის შედეგად ბევრი მუშა

გონს მოეგო და პროტესტი გამოუცხადა საკუთარ მეთაურებს. ასეთი გათიშვა მუშებისა, ასევე არაკეთილსამიედლოთა უმრავლესობის გადასახლება მხარიდან, ჩანს მოგვცემს სასურველ შედეგებს“ (6;3-4). მაგრამ გუბერნატორი ამ შემთხვევაში ტენდენციური უფრო იყო და ვითარებას სასურველთან მიახლოებულად წარმოაჩენდა. სინამდვილეში კი “მიუხედავად რუსების ასეთი გააქტიურებისა, ბათუმის ოლქში ხელისუფლებამ მაინც ვერ შეძლო “ქართული ნაციონალური სულის აღმოფხვრა“. მთავრობამ ასევე ვერ შეძლო სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის საქმიანობის შეფერხება“ (44;36-37). მართალია მუშათა გამოსვლები ბათუმში ხელისუფლების გატარებული ღონისძიებების შედეგად გარკვეული დროით შემცირდა, მაგრამ მალე იგი ახალი ძალით გაიშალა. ბათუმი არა მარტო აჭარის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ცენტრად იქცა. აქ უცხოეთიდან შემოდინდა აკრძალული ლიტერატურა, მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები (10;28), რომლებიც შემდეგ მთელ დასავლეთ საქართველოში ვრცელდებოდა. პოლიციის მონაცემებით, ნავთობის ექსპორტიორ გემებს უცხოეთიდან ბათუმში შემოჰქონდათ იარაღიც (11;33). ბათუმში რევოლუციური გამოსვლების ახალ აღმავლობაზე მეტყველებს თვით ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიერ კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მმართველის კანცელარიაში 1904 წლის 12 აპრილს გაგზავნილი წერილი: “1903 წლის 20 ივნისს უმაღლესი განკარგულებით ქალაქ ბათუმში შემოდებული გაძლიერებული დაცვის მდგომარეობა გაგრძელდა კიდევ ერთი წლით. ამ ვადის გასვლის დროისათვის პროპაგანდა ქალაქ ბათუმში არა თუ შეწყდა, პირიქით გაძლიერდა უწყსრიგობანი“ (1;71).

ბათუმის გუბერნატორის ზემოთაღნიშნულ ორ წერილს შორის, რომელიც კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მმართველს გაეგზავნა, სერიოზული წინააღმდეგობაა. თუ 1903 წლის ანგარიშში გუბერნატორი ამაყად აღნიშნავს “მიღწეულ სასურველ შედეგებზე“, სულ ორიოდ თვის (მხედველობაშია 1904 წლის 12 აპრილს გაგზავნილი წერილი – ავტ.) შემდეგ

გაგზავნილ წერილში საუბრობს "უწესრიგობების გაძლიერებაზე".

ფაქტია, რომ მუშათა გამოსვლები 1903 წელსაც გრძელდებოდა. უფრო მეტიც, ბათუმის კომიტეტი აღარ კმაყოფილდებოდა ქ.ბათუმში საქმიანობით და ცდილობდა რევოლუციური იდეების პროპაგანდა აჭარის მაღალმთიან სოფლებშიც ეწარმოებინა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო რევოლუციური გამოსვლების თვალსაზრისით აქტიურ გურიის რეგიონთან სიახლოვე. ბათუმის სამხედრო გუბერნატორი 1904 წლის 4 ივნისს საიდუმლოდ ატყობინებდა კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მმართველის კანცელარიას: "მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდა გურიიდან ცდილობს შემოაღწიოს აჭარაში, გამოჩნდნენ გარკვეული ბნელი პიროვნებები და მოუწოდებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას არ შეასრულონ ვალდებულებები და საერთოდ ცდილობენ აადელონ მოსახლეობა... 1903 წლის შემოდგომაზე ღორჯომის ხეობაში მოვიდა ვიღაც ქართველი და მოსახლეობას უკითხავდა პროკლამაციას: "რომ მოსახლეობა ტყუილად უხდის ხაზინას გადასახადს, რადგან ეს ფული მიდის მეფის და მისი ოჯახის შენახვაზე, ასევე ჩინოვნიკებზე, რომ ეს ადამიანები ხალხს არ სჭირდება, რომ ყველა ადამიანი უნდა იყოს თანასწორი" (4,9). თვით ბათუმში მუშათა მოძრაობის გაძლიერებაზე არაერთი საარქივო დოკუმენტი მეტყველებს. 1904 წლის თებერვლიდან მუშაობა შეწყვიტეს "მანთაშევისა და კომპანიის" ქარხნის მუშებმა, 12 თებერვალს მათ შეუერთდნენ როტშილდის ქარხნის მუშები. 1904 წლის 9 მარტს კი 2 წლის წინათ დაღუპული მუშების ხსოვნის პატივსაცემად ბათუმის ყველა ქარხანამ შეწყვიტა მუშაობა" (3;3-19). მუშათა რევოლუციური აქტივობის მაჩვენებელია ისიც, რომ ისინი ყველა შემთხვევას იყენებდნენ ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობილების გამოსახატავად, თვით დაკრძალვის პროცესსაც კი. 1904 წლის 11 დეკემბერს ბათუმის ოკრუგის უფროსი მოახსენებდა ოლქის გუბერნატორს: "დღეს, საღამოს 5 საათზე, მართმადიდებლურ სასაფლაოზე კრძალავდნენ ქარველ ქალს, გვარად შაფათავას. წესრიგის დასაცავად სასაფლაოზე გაიგზავნა 5 პოლიციელი. ადგილზე მისულებმა დაინახეს, რომ

კუბოს წინ შეკრებილიყო საკმაოდ დიდი ჯგუფი (1000-ზე მეტი კაცი), რომელთაც ვინმე ქალი უკითხავდა პროკლამაციას: "ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს თავისუფლებას". პოლიციელთა მოთხოვნაზე, შეეწყვიტა კითხვა, ხალხმა მღელვარება დაიწყო. პოლიციელები იძულებულნი გახდნენ 30-მდე პაერში გაესროლათ, რათა ბრბო დაეშალათ" (7;1).

ამრიგად რუსეთთან შეერთების შემდეგ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა კვლავაც მძიმე რჩებოდა. ცარიზმის კოლონიზატორულმა პოლიტიკამ, პორტო-ფრანკოს რეჟიმით შექმნილმა ვითარებამ აჭარის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის თურქეთში გადასახლება გამოიწვია. მუჰაჯირთა მიწებზე კი ხელისუფლება "ერთგული ელემენტის" ჩამოსახლებას ცდილობდა, რაც აჭარის გლეხობის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა. მთავრობა შეგნებულად აფერხებდა მიწათმფლობელობის საკითხის გადაჭრას, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. მართალია ბათუმი მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი გახდა, მაგრამ ამან მუშათა კლასის მდგომარეობა სრულებით ვერ გააუმჯობესა. ხშირ შემთხვევაში პირიქით იყო, დიდ მოგებას დახარბებული უცხოელი მრეწველები (სამწუხაროდ ბათუმის მსხვილი ქარხნების მფლობელები მხოლოდ უცხოელები იყვნენ: როტშილდი, მანთაშევი, ნობელი, რიხნერი, პასეკი, სიდერიდისი, ცოვიანოვი და სხვა, რომელთაც ნაკლებად აღელვებდათ ადგილობრივი მოსახლეობის ბედი) ზრდიდნენ სამუშაო დღეს, ამცირებდნენ ხელფასს, ითხოვდნენ მუშებს ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ფართოდ იყენებდნენ ქალთა და ბავშვთა შრომას, რაც მუშათა მოთმინების ფიალას ავსებდა. ასეთი მდგომარეობით შეწუხებული მუშები საკუთარი უფლებების დასაცავად ბრძოლას იწყებდნენ. მუშათა მოძრაობა უფრო აქტიური გახდა მას შემდეგ, რაც 1901 წლის დეკემბერში ბათუმის სოციალ-დემოკრატიული წრეები გაერთიანდნენ და შექმნეს კომიტეტი, რომელიც მუშათა გამოსვლების ხელმძღვანელად იქცა. მუშათა გამოსვლებს 1902 წლის 9 მარტს პოლიციასთან სასტიკი შეტაკებაც მოხდა. XX საუკუნის დასაწყისში ბათუმი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი

რუსეთის იმპერიის მასშაბით რეგულაციური გამოსვლების  
მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა.

## დასკვნები

აჭარის 1878-1903 წლების სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორიის საკითხების გულდასმით შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. სან-სტეფანოს ზავით მოპოვებული რუსეთის წარმატებები არ შედიოდა ევროპის დიდი ქვეყნების განსაკუთრებით ინგლისის ინტერესებში. ახალი დიდი ომის საფრთხის გამო რუსეთი იძულებული გახდა დათანხმებოდა ოსმალეთთან გაფორმებული სან-სტეფანოს საზავო პირობების გადასინჯვას ევროპის სახელმწიფოთა კონგრესზე. ბერლინის კონგრესზე, რომლის მუშაობაში შეიდი სახელმწიფოს: რუსეთის, თურქეთის, ინგლისის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, საფრანგეთისა და იტალიის დელეგაციები მონაწილეობდნენ, სერიოზული წინააღმდეგობა წარმოიშვა ბათუმის საკითხის გარშემო. საბოლოოდ კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბათუმი რუსეთს შეუერთდებოდა პორტო-ფრანკოს-თავისუფალი, ღია სავაჭრო ნავსადგურის სტატუსით.

2. 1878 წლის 25 აგვისტოს ქართველთა და რუსთა გაერთიანებულმა მხედრობამ ბათუმი დაიკავა. დევრიშ-ფაშას მეთაურობით ოსმალთა რაზმებმა აჭარა დატოვეს. საუკუნეთა მანძილზე უცხოელ დამპყრობთა ბატონობაში მყოფი მხარე გათავისუფლდა და მშობლიურ საქართველოს შეუერთდა. ეს ფაქტი ქართველი ხალხის ეროვნული გამთლიანების გზაზე მოპოვებული მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო. აჭარის დედასამ-შობლოსთან დაბრუნებას მიესალმა მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა, რომელიც ძალასა და ენერგიას არ იშურებდა საუკუნეთა მანძილზე სამშობლოს მოწყვეტილ თანამომემთა ეროვნული ცნობიერების აღსადგენად.

3. რუსეთის ცარიზმმა ახლადშემოერთებულ მხარეში საკუთარი მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო. 1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ხელი მოაწერა ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მმართველობის დროებით დებულებას.



დებულებით შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელსაც სათავეში სამხედრო გუბერნატორი ედგა. ბათუმის პირველი სამხედრო გუბერნატორი გახდა გენერალ-მაიორი კონსტანტინე ბესარიონის ძე კომაროვი. ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი იყო ბათუმი. ოლქი დაიყო სამ ოკრუგად. ცარიზმი იმთავითვე აშკარა რუსიფიკაციისა და კოლონიზაციის კურსს დაადგა. ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა მხარის მართვაში უმნიშვნელო იყო.

4. რუსეთის იმპერიაში შესული აჭარის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას მიწათმფლობელობის საკითხის მოუწესრიგებლობა წარმოადგენდა. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ამ საკითხის "გარკვევასა" და "შესწავლას". ამ მიზნით 1879 წელს შეიქმნა დროებითი საადგილმამულო კომისია დიმიტრი ბაქრაძის თავმჯდომარეობით. რეგიონის საადგილმამულო ურთიერთობებში გარკვევამდე კავკასიის ხელისუფლებამ აკრძალა უძრავ ქონებაზე ყოველგვარი გარიგება. გამონაკლის შემთხვევაში, გუბერნატორების გადაწყვეტილებით, შეიძლებოდა საკუთრების გაყიდვა, თუ კი ამ საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის სანდოობა იქნებოდა უტყუარი. ვინაიდან რუსეთის მთავრობას აინტერესებდა სახაზინო მიწის ფონდის გაზრდა, ამ მიზეზით იგი შეგნებულად აყოვნებდა აღნიშნული პრობლემის მოგვარებას. ფაქტია, რომ მიწათმფლობელობისა და მიწათმოწყობის საკითხები ჩვენი განსახილველი პერიოდის ბოლომდე, ე.ი. XX საუკუნის დასაწყისამდე, ბათუმის ოლქში კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა.

5. სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც უცვლელი დატოვა ბერლინის კონგრესმა, ოსმალეთისათვის წართმეული მოსახლვრე ტერიტორიების მოსახლეობას სამი წლის განმავლობაში უფლება ეძლეოდა ნებაყოფლობით გაეყიდა თავისი უძრავ-მოძრავი ქონება და საცხოვრებლად სასურველ ტერიტორიაზე გადასახლებულიყო. რუსეთ-ოსმალეთს შორის 1879 წლის თებერვალში გაფორმებული შეთანხმებით განისაზღვრა გადასახადების კონკრეტული ვადები: 1879 წლის 3 თებერვლიდან – 1882 წლის 3 თებერვლამდე. ამიერიდან ოფი-

ციალურად დაიწყო მშობლიური მიწა-წყლიდან აჭარის მკვიდრი მაჰმადიანი ქართველი მოსახლეობის გადასახლების, ანუ მუჰაჯირობის პროცესი. აჭარელთა მუჰაჯირობაში უფრო გადამწყვეტი პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები იყო. როგორც რუსეთი, ისე ოსმალეთი დაინტერესებული იყო ამ პროცესის ხელშეწყობით.

6. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ბათუმი რუსეთს გადაეცა პორტო-ფრანკოს სტატუსით, როგორც თავისუფალი ნავსადგური. 1878 წლის 20 ოქტომბერს ბათუმში ოფიციალურად გამოცხადდა პორტო-ფრანკოს რეჟიმი. ბათუმი მთელს რუსეთის იმპერიაში მესამე ქალაქი იყო ოდესისა და ვლადივოსტოკის შემდეგ, სადაც გამოცხადდა პორტო-ფრანკო. მთავრობამ შეიმუშავა ბათუმის პორტო-ფრანკოს წესდება. პორტო-ფრანკოს რეჟიმისათვის თანმხლები უარყოფითი მოვლენებისა (გარკვეული ტერიტორიის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც თავისთავად ზღუდავდა და აფერხებდა დანარჩენი ნაწილის ეკონომიკურ განვითარებას) და რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მკაცრი საკარანტინო პოლიტიკის მიუხედავად, ბათუმის პორტო-ფრანკომ უდავოდ დიდი როლი ითამაშა როგორც ქალაქ ბათუმის, ისე მთელი მხარის ეკონომიკური დაწინაურების საქმეში. მიუხედავად ამისა, ცარიზმმა ისარგებლა რა XIX საუკუნის 80-იან წლებში ევროპის სახელწიფოებს შორის მომხდარი გადაჯგუფებით, თანდათან დაიწყო პორტო-ფრანკოს შეზღუდვა, ხოლო 1886 წლის 27 ივნისს იმპერატორ ალექსანდრე 111-ის ბრძანებით იგი საერთოდ გააუქმეს.

7. ბათუმის ეკონომიკური განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ნავსადგურის მშენებლობას და რკინიგზის გაყვანას ჰქონდა. 1883 წელს ბათუმი – სამტრედიის რკინიგზის ხაზის გაყვანით, რომლის საშუალებითაც ბათუმი რკინიგზით ბაქოს დაუკავშირდა, ხოლო 1885 წელს ნავსადგურის მშენებლობის ძირითადად დასრულებით ბათუმი კაპიტალისტებისათვის მიმზიდველი ქალაქი გახდა. სწორედ ბაქოს ნავთობის ექსპორტი გახდა ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი.

ნავთობის ექსპორტის ზრდაზე თვალნათლივ მეტყველებს შემდეგი სტატისტიკა: თუ 1884 წელს ბათუმიდან გაიტანეს 3.745.653 ფუთი ნავთობროდუქტი, 1893 წელს მან 55.397.994 ფუთი შეადგინა, ხოლო 1902 წელს 78.338.800 ფუთს მიაღწია.

8. სამრეწველო განვითარების კვალობაზე სწრაფი ტემპით იზრდებოდა ბათუმის პორტის ტვირთბრუნვა. თუ 1878 წლისთვის პორტის ტვირთბრუნვა არ აღემატებოდა 500.000 ფუთს, 20 წლის შემდეგ, 1899 წელს მან 90.000.000 ფუთი შეადგინა, ხოლო 1903 წლისთვის 107.700.000 ფუთს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ტვირთბრუნვაში წამყვან როლს ექსპორტი ასრულებდა.

9. აჭარა ძალზე მდიდარი იყო თავისი სასოფლო-სამეურნეო რესურსებით. განსახილველ პერიოდში მოსახლეობა კვლავინდებურად მისდევდა სოფლის მეურნეობის ტრადიციულ დარგებს: მარცვლეული კულტურების მოყვანას, მევენახეობას, მეთამბაქოეობას, მეხილეობას, მესაქონლეობას, მეფუტკრეობას. სასაქონლო ხასიათს იძენდა მარცვლეულის, კერძოდ სიმინდის, მეცხოველეობის, მეთამბაქოეობის, მეხილეობის, მეფუტკრეობის დარგები. სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა, რაც უპირველესად მიწათმფლობელობის საკითხის მოუგვარებლობაში ვლინდებოდა.

ცარიზმი აქტიურად ახორციელებდა აჭარის ზღვისპირა ზოლის კოლონიზაციას, სადაც რუსი მოახალშენეები სწრაფი ტემპით იწყებდნენ ახალი, სუბტროპიკული კულტურების სამრეწველო დანიშნულებით მოშენებას. ამ საქმეში სერიოზული წვლილი შეიტანეს რუსმა მოახელშენე მიწათმფლობელებმა: ა.სოლოვცოვმა, კ.პოპოვმა, მ.დალფონსმა, ე.სტოიანოვმა, ნ.ვუჩინომ და სხვებმა.

10. სწრაფი ეკონომიკური განვითარება განაპირობებდა ბათუმის მოსახლეობის რაოდენობის ზრდასაც. თუ 1878 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა 3.000 არ აღემატებოდა, 1903 წელს მან 30.000 გადააჭარბა. მოსახლეობის ზრდა უპირატესად მუშათა კლასის ხარჯზე ხდებოდა. ოციოდე წლის მანძილზე ბათუმი პატარა, აზიური, ფეოდალური ქალაქიდან გადაიქცა

ვეროპულ კაპიტალისტურ ქალაქად, რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო ცენტრად.

11. ეკონომიკურ დაწინაურებული და გაზრდილი ქალაქი მოითხოვდა ცვლილებებს მმართველობის სფეროშიც. არსებული სამხედრო-პოლიტიკური მმართველობა ვერ უზრუნველყოფდა ბათუმის ეკონომიკური შესაძლებლობების გამოყენებასა და აფერხებდა მის ზრდა-განვითარებას. 1885 წელს ბათუმის მოსახლეობამ თხოვნით მიმართა კავკასიის მმართველობას საქალაქო თვითმმართველობის შემოღების თაობაზე. 1888 წლის 28 აპრილს გაიცა უმაღლესი განკარგულება ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის შემოღების შესახებ.

ცარიზმის რეჟიმის მხრიდან ხელისშეშლისა და სერიოზული ზეწოლის მიუხედავად ბათუმის საქალაქო თვითმმართველობამ მთლიანობაში დიდი როლი შეასრულა როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღების, ისე განსაკუთრებით ქართული ძალების კონსოლიდაცია-განმტკიცების საქმეში.

12. ბათუმის ეკონომიკური განვითარების შედეგები ნაკლებად ეხებოდა დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს. მუშათა კლასი, რომლის ექსპლოატაციის ხარჯზე იქმნებოდა მატერიალური დოვლათი, მეტად მძიმე პირობებში ცხოვრობდა.

არსებული მდგომარეობით უკმაყოფილო მუშები ჯერ ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეების წინააღმდეგ გამოდიან და ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნებს აყენებენ. თანდათან მათი მოთხოვნები პოლიტიკურ ხასიათს იძენს და იწყებენ ორგანიზებულ ბრძოლას არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ.

მაღე ბათუმში მუშათა რევოლუციური მოძრაობის მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა.

13. 1902 წლის 9 მარტს მუშათა დემონსტრაციას ჯარისკაცებმა ტყვია ესროლეს. დაიჭრა 54 და დაიღუპა 16 ადამიანი. მიუხედავად დამარცხებისა, 1902 წლის 9 მარტის გამოსვლა დიდი მნიშვნელობის ფაქტი იყო ბათუმელი მუშების რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში, მან მძლავრი ბიძგი

მისცა პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლებას. 9 მარტი მომდევნო წლებში აღინიშნებოდა როგორც მუშათა სოლიდარობისა და პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის დღე.

14. რუსეთის ხელისუფლებამ გამოიყენა ბათუმში და საერთოდ აჭარაში შექმნილი გამწვავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და მუშათა მოძრაობასთან ეფექტური ბრძოლის საბაბით 1903 წლის 1 ივნისს ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობიდან კვლავ გამოყვეს ბათუმისა და ართვინის ოკუპაციები და შექმნეს ბათუმის ოლქი. ეს ნაბიჯი რეალურად ცარიზმის მხრიდან ქართველი ხალხის გაერთიანების წინააღმდეგ იყო მიმართული.

**Djemal Karalidze**

**Adjara in 1878-1903  
(Political, Economic and Social Situation of the Region)**

**Summary**

The research is about an important and remarkable period of our country from 1878, when Adjara, unyoked from Ottoman Empire, was returned to motherland – Georgia, till 1903, when broken away from Qutaisi Province, it became an independent administration district. That period of our history is characterized with critical political events, economic development, and worsened social status, etc.

On basis of archival documents, the press of that period, memoirs, other reliable sources and historiography, author tries to discuss the main issues of Adjara development in the end of XIX and the beginning of XX, i.e. its joining to Georgia, creation of Batumi District and establishment of Russian administration, real aims of Russian Empire and the principles of Russian colonial policy in that region. The role of Batumi Free Port in the economic development of the region and also its influence on the case of Adjara Muslim residents made go into exile is discussed.

Considering the region's economic situation, its full picture is given. The author has studied different aspects of it: agriculture, industry, especially export of oil and the development of the production related to it.

Besides, the proper attention is paid to the tsarist intention to prevent the restoration of national consciousness of local population and their return to Georgia. It is concluded that the rapid social-economic and political development of Batumi stimulated revival of social-political life of the region, a direct result of which was the establishment of an institution of self-governing in Batumi by 1888.

The history of social relations in Adjara and especially in Batumi is well-examined. On basis of quick economic development and concentration of labor force, the logical outcome of difficult social situation was a creation of labor class as a strong political and active force of the region. Batumi became an important revolutionary center as of Georgia, so of Russian

Empire too. The events of March 9<sup>th</sup> of 1902 had a great resonance in the Empire.

The facts mentioned above determined the aspiration of Russia to hinder the unification of Adjara with motherland, the logical outcome of which was the restoration of Batumi district independent from Qutaisi province.

The research represents the history of political and social-economic development of Adjara in 1878-1903 in details.

**Аджария в 1878-1903 годах**  
**(политическое, экономическое и социальное положение)**

**Резюме**

В работе дан анализ весьма важного и интересного периода в жизни нашей страны, с 1878 г., когда Аджария была освобождена от османского господства и вернулась к своей родине - Грузии, до 1903 г., когда Аджарию выделили из Кутаисской губернии в самостоятельную, отдельную административную единицу. Этот период нашей истории полон острых политических событий, его характеризует значительный подъем экономического развития, обострение социального положения и др.

На основе имеющихся архивных материалов, других источников, прессы, мемуарной литературы и с учетом данных новейшей литературы по указанному периоду в книге по по-новому и интересно исследуются основные проблемы развития Аджарии в последней четверти 19-го и в начале 20-го века.

В работе анализируется вопрос освобождения Аджарии от османского господства в результате русско-турецкой войны 1877-1878 гг. и возвращения ее к Грузии. Рассмотрен также вопрос о создании Батумского округа и об установлении здесь Российского правления, показаны реальные цели и сущность колониальной политики царской России. В монографии раскрыты роль и значение введения системы Порто-франко в Батуми в экономическом развитии края, а также влияние этой системы на исход местного мусульманского населения. Дана полная картина экономического развития Аджарии, в том числе сельского хозяйства, его отдельных отраслей, а также промышленности. Проанализирован и процесс возникновения и развития экспорта российской нефти из Батуми.

В книге освещается политическое положение, сложившееся в недавно освобожденном регионе в результате попытки реализовать намерение царизма - помешать местному населению восстановить национальное самосознание. Показано, что быстрое развитие Батуми,



как экономического и политического центра, дало сильный толчок оживлению общественно-политической жизни города, логическим завершением чего было введение здесь городского самоуправления в 1888 году.

В работе достаточно полно изучается и история развития социальных отношений в Аджарии, особенно в Батуми.

В условиях быстрого экономического развития и, соответственно, высокой концентрации рабочих их крайне тяжелое социальное положение способствовало тому, что рабочий класс сформировался как мощная и активная политическая сила. Город превратился в значительный революционный центр не только Грузии, но всей Российской империи. Батумские события 9 марта 1902 года вызвали сильный резонанс в стране.

Именно обострившаяся общественно-политическая ситуация и стремление царизма помешать консолидации населения Аджарии с остальной Грузией, стали причиной того, что Батумский и Артвинский округа были вновь выделены из Кутаисской губернии и восстановлены, в самостоятельную административную единицу – Батумскую область.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

### თ ა ვ ი I წყაროები და ისტორიოგრაფია

1. ავალიანი ა., მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი 1960
2. ახვლედიანი ხ., ნარკვევები აჭარის წარსულიდან, ბათუმი 1944
3. ახვლედიანი ხ., სახალხო-განმანათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი 1956
4. ახვლედიანი ხ., სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, ბათუმი 1972
5. ახვლედიანი ხ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი 1987
6. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი 1987
7. ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი 1999
8. ბენდიანიშვილი ალ., საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში, თბილისი 1982
9. გოგოლიშვილი ო., საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1914 წწ., ნაკვეთი 1, ბათუმი 1996
10. გოგოლიშვილი ო., ახალი დოკუმენტები იოსებ სტალინის ბათუმში მოღვაწეობის შესახებ, "ლიტერატურული აჭარა", N 4, ბათუმი 2000
11. გოგოლიშვილი ო., სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში, ბათუმი 2005
12. გურული ვ., ვანნაძე მ., ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), თბილისი 1999
13. დაუშვილი ალ., სოსო ჯუღაშვილის ამბავი, წიგნი მეორე, თბილისი 2004
14. ვარდმანიძე ჯ., მუჰაჯირობა სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში (XIX საუკუნის 30-80-იან წლებში), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი 2002
15. ვახტანგიშვილი თ., კაპიტალისტური მრეწველობის ფაბრიკულ (მანქანურ) სტადიაზე გადასვლა საქართველოში, თბილისი 1976
16. თურმანიძე ო., აჭარის სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან 1878-1920 წწ., ბათუმი 1973
17. თურმანიძე ო., საადგილმამულო ურთიერთობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში, ბათუმი 2001
18. თურმანიძე ო., სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1920 წწ.), ბათუმი 2004
19. იაშვილი ვ., აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათუმი 1948

20. კახიძე ნ., მაჭახლის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), ბათუმი 1974
21. კახიძე ნ., ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი 2004
22. მარგიანი გ., საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი (1864-1917 წწ), თბილისი 1976
23. მეგრელიძე შ., აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი 1956
24. მეგრელიძე შ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი 1963
25. მეგრელიძე შ., საქართველო აღმოსავლეთის ომებში, თბილისი 1974
26. მურიე ჟან, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი 1962
27. მუშკუდიანი ქ., ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ დასავლეთ საქართველოში (1800-1914), თბილისი 1982
28. ნიკოლეიშვილი მ., დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან, ქუთაისი 1994
29. ნუცუბიძე მ., მევენახეობა აჭარაში, ბათუმი 1976
30. სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი 1985
31. სიორიძე მ., სამთო-მეტალურგიული მრეწველობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და უცხოური კაპიტალი (1878-1921 წწ), აჭარის სოციალ-ეკონომიკური პრობლემები, VIII, ბათუმი 1987
32. სიორიძე მ., ბათუმის როლი ნავთობის მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში, ბსუ, შრომები (კუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ტ.1, ბათუმი 1995
33. სიორიძე მ., ბათუმის საბაჟო, ბათუმი 2003
34. სიჭინავა ვ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი 1958
35. სიჭინავა ვ., პორტო-ფრანკოს როლი რუსეთ-საქართველოს ვაჭრობის განვითარებაზე (ოდესა-ბათუმის მაგალითზე), მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), N 3, თბილისი 1976
36. სურგულაძე აბ., ბათუმის ნავსადგურის მუშათა რევოლუციამდელი ყოფის საკითხისათვის, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ.11, თბილისი 1962
37. სურგულაძე აბ., პირველი მარქსისტული წრე ბათუმში, ბათუმი 1972
38. სურგულაძე აბ., გულო კაიკაციშვილი, თბილისი 1973
39. სურგულაძე აბ., განმანათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან აჭარაში, ბათუმი 1978
40. სურგულაძე აბ., სელიმ ხიმშიაშვილი, ბათუმი 1986
41. სურგულაძე აბ., სიორიძე მ., პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი 1996

42. ტატიშვილი ო., ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება ბათუმში 1878-1920 წწ. (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი), თბილისი 1948
43. ტყეშელაშვილი ნ., ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1861-1920), თბილისი 1958
44. უზუნაძე რ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი 1997
45. უზუნაძე რ., ნაოსნობა ბათუმის ოლქში, ბათუმი 2001
46. ქარჩავა გ., ჩაის კულტურის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი 1970
47. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი 1995
48. ჩხეიძე ჯ., ბათუმი (ისტორიული ნარკვევი), ბათუმი 1959
49. ჩხეიძე ა., ინგლისის პოლიტიკა კავკასიაში, თბილისი 1973
50. ჩხეიძე ა., ბათუმი ინგლისის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში, ბათუმი 1974
51. ცქვიტარია პ., აჭარის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1890-1914 წწ), ბათუმი 1959
52. ჭიჭინაძე ზ., ქართველების გამაჰმადიანება, თბილისი 1907
53. ჯაოშვილი გ., ბათუმი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1966
54. ჯიბლაძე ი.; ბათუმის რაიონი, ბათუმი 1960
55. ჯიქია ვ.; საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან 1900-1914 წწ. თბილისი 1973
56. Бакрадзе Д. Краткий очерк Гурии, Чурук-су и Аджарии, Тифлиς, 1873.
57. Батумь и его окрестности, Батумь, 1906 г.
58. Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского санджака (составленные Генерального штаба подполковникомъ Казбекомъ), Тифлиς, 1876.
59. Лисовский В. Я. Чорохский край, Тифлиς, 1887 г.
60. Мегрелидзе Ш. В. Вопросы Закавказья в истории русско-турецкой войны 1877-1878 гг. Тб. 1969 г.
61. Обзор Батумской области за 1903 год, Батумь, 1904.
62. Отчеты Кавказского управления горнорудной промышленности за 1890-1913 гг. Тифлиς, 1914.
63. Чулок И. Очерки истории Батумской коммунистической организации (1890-1921 гг.), Батуми, 1970.
64. Френкель А. Очерки Чурук-су и Батума, Тифлиς 1879 г.

**თავი II**  
**პოლიტიკური ვითარება აჭარაში 1878-1903 წლებში**

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემოკლებით აცსა) ფონდი 1, აღწერა 1, ს.1
2. აცსა, ფ.1, ა.1, ს. 11
3. აცსა, ფ.1, ა.1, ს. 70
4. აცსა, ფ.1, ა.1, ს. 80
5. აცსა, ფ.1, ა.1, ს. 78
6. აცსა, ფ.1, ა.1, ს. 83
7. აცსა, ფ.1, ა.1, ს. 118
8. აცსა, ფ.1, ა.1, ს. 143
9. აცსა, ფ.1, ა.1, ს. 146
10. აცსა, ფ.6, ა.1, ს. 112
11. აცსა, ფ.6, ა.1, ს. 141
12. აცსა, ფ.6, ა.1, ს. 152
13. აცსა, ფ.6, ა.1, ს. 194
14. აცსა, ფ.7, ა.1, ს. 379
15. აცსა, ფ.7, ა.1, ს. 431
16. აცსა, ფ.14, ა.2, ს. 6
17. აცსა, ფ.14, ა.2, ს. 9
18. აჭარის სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერები (ასმხ), ფონდი 2, აღწერა 1, ს.1
19. ასმხ, ფ.2, ა.1, ს. 5
20. ასმხ, ფ.2, ა.1, ს. 7
21. ასმხ, ფ.2, ა.1, ს. 46
22. ასმხ, ფ.2, ა.1, ს. 109
23. ასმხ, ფ.4, ა.1, ს. 20
24. ასმხ, ფ.4, ა.1, ს. 23
25. ასმხ, ფ.4, ა.1, ს. 25
26. ასმხ, ფ.4, ა.1, ს. 124
27. ასმხ, ფ.4, ა.1, ს. 125
28. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა) ფონდი 8, ა.3, ს.773
29. სცსსა, ფ.12, ა.1, ს. 156
30. სცსსა, ფ.12, ა.1, ს. 2619
31. სცსსა, ფ.12, ა.1, ს. 2947
32. სცსსა, ფ.264, ა.4, ს. 4805
33. სცსსა, ფ.416, ა.3, ს. 163
34. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ქცსა), ფონდი 18, ა.1, ს.1554
35. ქცსა, ფ.18, ა.1, ს.2145

36. ქცსა, ფ.130, ა.1, ს. 175
37. ქცსა, ფ.130, ა.1, ს. 258
38. ქცსა, ფ.186, ა.1, ს.759
39. "ბათუმის გაზეთი", N8, 1911 წელი
40. "დროება" N 4, 1877 წელი
41. "დროება", N 17 , 1877 წელი
42. "დროება", N 36, 1877 წელი
43. "დროება", N37 , 1877 წელი
44. "დროება", N 48, 1877 წელი
45. "დროება", N 194, 1877 წელი
46. "დროება", N 199, 1877 წელი
47. "დროება", N 198, 1878 წელი
48. "დროება", N 14, 1879 წელი
49. "დროება", N 32 , 1879 წელი
50. "დროება", N 87, 1879 წელი
51. "დროება", N 150, 1879 წელი
52. "დროება", N 4, 1881 წელი
53. "დროება", N 173, 1881 წელი
54. "დროება", N 34 , 1882 წელი
55. "დროება", N 39, 1882 წელი
56. "დროება", N 257, 1882 წელი
57. "ივერია", N 7, 1877 წელი
58. "ივერია", N 8, 1877 წელი
59. "ივერია", N 9 , 1877 წელი
60. "ივერია", N 10 , 1877 წელი
61. "ივერია", N 34 , 1878 წელი
62. "ივერია", N4, 1879 წელი
63. "ივერია", N 24 , 1886 წელი
64. "ივერია", N145 , 1891 წელი
65. "ივერია", N 20 , 1895 წელი
66. "ისკრა", N 11, 1902 წელი
67. "კვალი", N 34, 1895 წელი
68. "კვალი", N 39, 1897 წელი
69. "კვალი", N 12, 1902 წელი
70. "ცნობის ფურცელი", N 563, 1898 წელი
71. ახვლედიანი ს., ნარკვევები აჭარის ისტორიიდან, ბათუმი 1944,
72. ავალიანი ა., მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი 1960
73. ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი 1999 წელი
74. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი 1987 წელი
75. ბენდიანი შვილი, სამოქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში, თბილისი 1982

76. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი მე-2, თბილისი 1965
77. გოგოლიშვილი ო., საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1914 წწ, ნაკვეთი 1, ბათუმი 1996
78. გოგოლიშვილი ო., ახალი დოკუმენტები იოსებ სტალინის ბათუმში მოღვაწეობის შესახებ, "ლიტერატურული აჭარა", N 4, ბათუმი 2000
79. გოგოლიშვილი ო., სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში, ბათუმი 2005
80. გურული ვ.ბ ვანნაძე მ., ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), თბილისი 1999
81. დაუშვილი ალ., სოსო ჯულაშვილის ამბავი, წიგნი 11, თბილისი 2004
82. ვარდმანიძე ჯ., მუჰაჯირობა სამცხე-ჯავახეთისა და აჭარაში (XIX საუკუნის 30-80-იანი წლებში), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი 2002
83. ვარდმანიძე ნ., ბათუმი საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში (XIX საუკუნის ბოლო მეოთხედი), "საისტორიო მაცნე", XIV, ბათუმი 2005
84. ვანიშვილი შ., ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში 1864-1917 წწ, თბილისი 1989
85. თურმანიძე თ., საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათუმი 2001
86. იაშვილი ვ., აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათუმი 1948
87. კარალიძე ჯ., აჭარის განთავისუფლება და რუსული მმართველობის შემოღება, ბსუ-ს შრომები (ჰუმანიტარულ მეცნიერებ. სერია), V, ბათუმი 2003
88. კარალიძე ჯ., ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა პირველი მსოფლიო ომის წინ, ბსუ მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული III, ბათუმი 2002
89. კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია (მე-19-მე-20 საუკუნეები), წიგნი II, (1861-1921 წწ), თბილისი 1959
90. კლდიაშვილი დ., "ჩემი ცხოვრების გზაზე", თხზ. ტ.11, თბილისი 1952
91. კომახიძე თ.ბ ბათუმის ამაგდარნი, ბათუმი 1993
92. მგალობლიშვილი ს., მოგონებანი, თბილისი 1938
93. მეგრელიძე შ., აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი 1956
94. მეგრელიძე შ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი 1963
95. მეგრელიძე შ., საქართველო აღმოსავლეთის ომებში, თბილისი 1974
96. ნიკოლეიშვილი მ., დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან, ქუთაისი 1994
97. ნაცვალაძე დ., გრიგოლ ვოლსკი, ბათუმი 1955

98. სახროკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი 1985
99. სვანიძე მ., ქართველები თურქეთში, თბილისი 1996
100. სიჭინავა ვ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი 1958
101. სურგულაძე აბ., ბათუმის ნავსადგურის მუშათა რეკონსტრუქციამდელი ყოფის საკთხისათვის, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ.მე-3, თბილისი 1962
102. სურგულაძე აბ., გულო კაიკაციშვილი, თბილისი 1973
103. სურგულაძე აბ., განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან აჭარაში, ბათუმი 1978
104. საქართველოს ისტორია (XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე, ი.კაჭარავას რედაქციით), თბილისი 1984
105. ტატიშვილი ო., ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება ბათუმში (1878-1920 წწ) (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი), თბილისი 1948
106. შაშიკაძე ზ., ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან, ბსუ მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული III, ბათუმი 2002
107. შენგელია ნ., თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობები გორგი სააკაძის შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 33, თბილისი 1960
108. შენგელია ნ., XV–XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბილისი 1974
109. ჩელები ე., მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა გ.ფუთურაძემ, ნაკვეთი 1, თბილისი 1971
110. ჩიტაძე ზ., დამპყრობთა წინააღმდეგ აჭარის მოსახლეობის ბრძოლის ისტორიიდან, ბათუმი 1974
111. ჩხეიძე ჯ., ბათუმი (ისტორიული ნარკვევი), ბათუმი 1959
112. ჩხეიძე ა., ინგლისის პოლიტიკა კავკასიაში, თბილისი 1973
113. ჩხეიძე ა., ბათუმი ინგლისის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში, ბათუმი 1974
114. ცქეიტარია პ., აჭარის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1890-1914 წწ), ბათუმი 1959
115. ჭავჭავაძე ი., რჩეული ტ.მე-5, თბილისი 1987
116. ჭიჭინაძე ზ., ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან-ქართველებსა, ბათუმი 1911
117. ჯანაშია ს., ბერძენიშვილი ნ., "თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ", "კომუნისტი", N246, 14.12.1945 წ.
118. Акты, т. 3.
119. Акты, т. 7.
120. Акты, т. 10.
121. Батумь и его окрестности, Батумь, 1906 г.
122. Восточный вопрос во внешней политике России (конец XVIII - начало XX века) Москва, 1978 г.



123. История внешней политики России (вторая половина XIX века) Москва, 1999 г.
124. История внешней политики России. Москва, 1997 г.
125. Кавказъ, N-155, 1879 г.
126. Лисовский В. Я. Чорохский край, Тифлисъ, 1887 г.
127. Мегрелидзе Ш. В. Вопросы Закавказья в истории русско-турецкой войны 1877-1878 гг. Тб. 1969 г.
128. „Московские ведомости”, N-161, 1877.
129. „Обзоръ”, N-240, 1878.
130. „Обзоръ”, N-318, 1878.
131. Отчет консула Пальгрева за 1872 г. , Известия Кавк. Отд. Русск. Географ. общ. (ИКОРГО), т. VII, 1882.
132. Сборник договоров с другими государствами (1856-1917) М. 1952.
133. Троцкий Н. А. Россия в XIX В. Москва 1999 г.
134. Френкель А. Очерки Чурук-су и Батума, Тифлисъ 1879 г.

**თავი III**  
**აჭარის ეკონომიკური განვითარება 1878-1903 წლებში**

1. აცსა, ფ. N 6, ა.1, ს. 1
2. აცსა, ფ. 6 , ა.1, ს. 24
3. აცსა, ფ. 6 , ა.1, ს. 99
4. აცსა, ფ. 6, ა.1, ს. 141
5. აცსა, ფ. 6 , ა.1, ს. 252
6. აცსა, ფ. 6 , ა.1, ს. 716
7. აცსა, ფ. 7, ა.1, ს. 3
8. აცსა, ფ. 7, ა.1, ს. 73
9. აცსა, ფ. 7, ა.1, ს. 551
10. აცსა, ფ. 13, ა.1, ს. 41
11. აცსა, ფ. 22, ა.1, ს. 7
12. აცსა, ფ. 22, ა.1, ს. 15
13. აცსა, ფ. 22, ა.1, ს. 19
14. აცსა, ფ. 22, ა.1, ს. 22
15. აცსა, ფ. 22, ა.1, ს. 25
16. აცსა, ფ. 22, ა.1, ს. 26

17. ՏԵՆՏ, Գ. 22, Տ.1, Ե. 67
18. ՏԵՆՏ, Գ. 22, Տ.1, Ե. 87
19. ՏԵՆՏ, Գ. 22, Տ.1, Ե. 101
20. ՏԵՆՏ, Գ. 22, Տ.1, Ե. 153
21. ՏԵՆՏ, Գ. 22, Տ.1, Ե. 170
22. ՏԵՆՏ, Գ. 24, Տ.1, Ե. 2
23. ՏԵՆՏ, Գ. 34, Տ.1, Ե. 24
24. ՆԵՆՏ, Գ.12,Տ.1,Ե. 713
25. ՆԵՆՏ, Գ.12,Տ.1,Ե. 1358
26. ՆԵՆՏ, Գ.12,Տ.1,Ե. 2947
27. ՆԵՆՏ, Գ.12,Տ.7,Ե. 1396
28. ՆԵՆՏ, Գ.13,Տ.4,Ե. 877
29. ՆԵՆՏ, Գ.13,Տ.7,Ե. 2353
30. ՆԵՆՏ, Գ.13,Տ.10,Ե. 297
31. ՆԵՆՏ, Գ.13,Տ.12,Ե. 567
32. ՆԵՆՏ, Գ.13,Տ.12,Ե. 576
33. ՆԵՆՏ, Գ.13,Տ.22,Ե. 175
34. ՆԵՆՏ, Գ.13,Տ.24,Ե. 350
35. ՆԵՆՏ, Գ.13,Տ.15,Ե. 1272
36. ՆԵՆՏ, Գ.243,Տ.5,Ե. 736
37. ՆԵՆՏ, Գ.264,Տ.4,Ե. 4805
38. ՆԵՆՏ, Գ.351,Տ.1,Ե. 16
39. ՆԵՆՏ, Գ.370,Տ.1,Ե. 1026
40. ՆԵՆՏ, Գ.370,Տ.1,Ե. 1076
41. ՆԵՆՏ, Գ.1438,Տ.1,Ե. 839
42. ՆԵՆՏ, Գ.1891,Տ.1,Ե. 643
43. ԺԵՆՏ, Գ.18, Տ.1.Ե.2145
44. ԺԵՆՏ, Գ.130, Տ.1.Ե.170
45. ԺԵՆՏ, Գ.130, Տ.1.Ե. 178
46. ԺԵՆՏ, Գ.130, Տ.1.Ե. 180
47. ԺԵՆՏ, Գ.130, Տ.1.Ե. 184
48. ԺԵՆՏ, Գ.130, Տ.1.Ե. 189
49. ԺԵՆՏ, Գ.130, Տ.1.Ե. 192
50. ԺԵՆՏ, Գ.130, Տ.1.Ե. 196
51. ԺԵՆՏ, Գ.130, Տ.1.Ե. 258

52. ქცსა, ფ.130, ა.1.ს. 710
53. ქცსა, ფ.186, ა.1.ს. 681
54. "ბათუმის გაზეთი" N 8, 1911 წელი
55. "ბათუმის გაზეთი" N 15, 1911 წელი
56. "ბათუმის გაზეთი" N 22, 1911 წელი
57. "ბათუმის გაზეთი" N 55, 1911 წელი
58. "ბათუმის გაზეთი" N 69, 1911 წელი
59. "ბათუმის გაზეთი" N 21, 1913 წელი
60. "დროება" N 44, 1879 წელი
61. "დროება" N 99, 1880 წელი
62. "დროება" N256 , 1880 წელი
63. "დროება" N 110, 1882 წელი
64. "დროება" N 151, 1884 წელი
65. "დროება" N 195, 1882 წელი
66. "დროება" N 257, 1882 წელი
67. "დროება" N 74, 1884 წელი
68. "დროება" N 77, 1884 წელი
69. "დროება" N 245, 1884 წელი
70. "დროება" N 121, 1885 წელი
71. "დროება" N 193, 1885 წელი
72. "დროება" N 193, 1885 წელი
73. "ივერია" N 15, 1877 წელი
74. "ივერია" N 24, 1886 წელი
75. "ივერია" N 264, 1886 წელი
76. "ივერია" N 84, 1887 წელი
77. "ივერია" N 145, 1891 წელი
78. "ივერია" N 146, 1891 წელი
79. "ივერია" N 23, 1892 წელი
80. "ივერია" N 68, 1894 წელი
81. "ივერია" N 195, 1894 წელი
82. "ივერია" N 53, 1896 წელი
83. "კვალი", N22, 1901 წელი
84. ავალიანი ა. მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი 1960 წ.

85. ანთელავა იარკლი, გუჩუა ვიქტორ, საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან (რეფორმის შემდგომდროინდელი ხანა), თბილისი 1967 წელი
86. ბაბილოძე კ., ჩაის მრეწველობა საბჭოთაშვილ აჭარაში, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ.1, ბათუმი 1960 წ.
87. ბარამიძე ირაკლი, საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი 1999 წელი
88. ბაქრაძე დიმიტრი, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი 1987 წელი
89. ბენდიანიშვილი ალ., საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში, თბილისი 1982 წელი
90. ბერძენიშვილი ნ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან მე-16-17 საუკუნეთა მიჯნაზე, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ტ.1, თბილისი 1944 წელი
91. გამბა ჟ.ფ., მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბილისი 1987 წელი
92. გოგოლიშვილი ოთარ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1914 წლებში, ნაკვეთი 1, ბათუმი 1996 წელი
93. გუგუშვილი პაატა, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტომი 1, თბილისი 1949 წელი
94. გუგუშვილი პაატა, მარცვლეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბილისი, 1954 წელი
95. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ IV, თბილისი 1973 წელი
96. ვახტანგიშვილი თ., კაპიტალისტური მრეწველობის ფაბრიკულ (მანქანურ) სტადიაზე გადასვლა საქართველოში, თბილისი 1976 წელი
97. თურმანიძე ო., აჭარის სოფლის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან 1878-1920 წწ., ბათუმი 1973 წელი
98. თურმანიძე ო., საადგილმამულო ურთიერთობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში, ბათუმი 2001 წელი
99. თურმანიძე ო., სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1920 წწ.) ბათუმი 2004 წელი
100. იაშვილი ვ. აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათუმი 1948 წელი

101. კახიძე ნ., მაჭახლის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), ბათუმი 1974 წელი
102. კახიძე ნ., ხელოსნობა სამხერთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი 2004
103. მურიე ჟან, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი 1962 წელი
104. მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროდუქტარიატი (1864-1917), თბილისი 1976 წელი
105. მესხი ს. თხზულებები, ტ. III, თბილისი 1964 წელი
106. ნიკოლეიშვილი მ., დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან, ქუთაისი, 1994 წელი
107. ნუცუბიძე მიხეილ, მევენახეობა აჭარაში, ბათუმი 1976 წელი
108. რობაქიძე ალ., მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბილისი 1960
109. სახოკია თედო, მოგზაურობანი, ბათუმი 1985 წელი
110. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბილისი 1972
111. სიორიძე მ., ბათუმის როლი ნავთობის მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ტ. 1, ბათუმი, 1995 წელი
112. სიორიძე მ., სამთო-მეტალურგიული მრეწველობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და უცხოური კაპიტალი (1878-1921 წწ.), აჭარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, VIII, ბათუმი 1987
113. სიორიძე მ., ბათუმის საბაჟო, ბათუმი, 2003 წელი
114. სიჭინავა ვ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958 წელი
115. სიჭინავა ვ., პორტო-ფრანკოს როლი რუსეთ-საქართველოს ვაჭრობის განვითარებაზე (ოდესა-ბათუმის მაგალითზე), მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), N 3, 1976 წელი
116. სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტიპონომიკა, წიგნი II, ბათუმი, 1959 წელი
117. სურგულაძე აბ., სიორიძე მ., პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი, 1996
118. ტატიშვილი ო., ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება ბათუმში 1878-1920 წწ., (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი), თბილისი 1948 წელი
119. უზუნაძე რ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1997 წელი
120. უზუნაძე რ., ნაოსნობა ბათუმის ოლქში, ბათუმი, 2001 წელი
121. ქარჩავა გ., ჩაის კულტურის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი 1970 წ

122. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995 წელი
123. შამილაძე ვ., აღპური მესაქონლეობა საქართველოში, თბილისი 1969 წ
124. შენგელაია ნ., XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბილისი 1971 წელი
125. ჩელები ევლია, მოგზაურობის წიგნი (თურქულიდან თარგმნა გ.ფუთურაძემ), ნაკვეთი 1, თბილისი 1971 წელი
126. ჩიქოვანი თ., ნიკოლაიშვილი, ნაოსნობა ჭოროხზე, "საბჭოთა აჭარა", N8, 1958 წელი
127. ჩხეიძე ჯ., ბათუმი (ისტორიული ნარკვევი), ბათუმი 1959 წელი
128. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტ.მე-8, თბილისი, 1887 წელი
129. ჭიჭინაძე ხ., ქართველობის გამაჰმადიანება, თბილისი 1907 წელი
130. ჯაოშვილი ვ., ბათუმი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1966 წელი
131. ჯიბლაძე ი., ბათუმის რაიონი, ბათუმი, 1960 წელი
132. Бакрадзе, Д., Краткий очерк Гурии, Чурук-су и Аджарии, Тифлиси, 1873г.
133. Батумь и его окрестности, Батумь, 1906 г.
134. Вейденбаум К. Д., От Батума до Артина, Кавказские этюды, 1, Тифлиси, 1901 г.
135. Восточный вопрос во внешней политике России (конец XVIII - начало XX века) Москва, 1978 г.
136. Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского Санджака (составленные Генерального штаба подполковникомъ Казбекомъ) Тифлиси, 1976 г.
137. Энциклопедический словарь, изд. Брокгауз Ф.А. и Ефрон Н. А. Т. XXIV<sup>a</sup>, С-Пб., 1998 г.
138. Кавказь, N-48, 1879 г.
139. Кавказь, N-34, 1881 г.
140. Кавказь, N-97, 1882 г.
141. Кавказский календарь, Тифлиси, 1879 г.
142. Кавказское сельское хозяйство, N-408, 1901 г.
143. Клинген И. Н., Краткое описание удельного Кавказского подтропического хозяйства в связи результатами удельной экспедиции на дальнем востоке, С-Петербург, 1900 г.
144. Клинген И. Н. , Проект организации подтропического хозяйства в Закавказье с чайным хозяйством во главе, Петроград., 1917 г.

145. Краснов А.Н. Чайные округа субтропических областей Азии, С-Петербург, 1898 г.
146. Краснов А. Н. Подтропиками Азии (очерки о путешествиях по тропическим странам Азии с целью изучения их растительности), Москва 1987 г.
147. Коломинцов Н. П. Чай, мировая торговля чаем и вопрос о казенной чайной монополии в России, Москва, 1916 г.
148. Лисовский В. Я. Чорохский край, Тифлиси, 1887 г.
149. Мегрелидзе Ш. В. Вопросы Закавказья в истории русско-турецкой войны 1877-1878 гг. Тб. 1969 г.
150. История внешней политики России (вторая половина XIX века) Москва, 1999 г.
151. Обзорь, N-24, 1878 г.
152. Обзор батумской области за 1903 год, Батумь, 1904.
153. „Русские субтропики“, N-12, 1912 г.
154. „Русские субтропики“, N-1, 1913 г.
155. Сборник договоров с другими государствами (1856-1917), Москва, 1952г.
156. Тимофеев С.Н. Очерки виноградарства в Батумском и Артвинском округах, сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе, IV, Тифлиси, 1896 г.
157. Троцкий Н. А. Россия в XIX В. Москва 1999 г.
158. Петровский Н. По Закавказью и ново-покоренным областям. „Древняя и новая Россия“, М. N-3, 1879 г.
159. Пипия Г. В. Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг. М. 1978 г.
160. Френкель А. Очерки Чурук-су и Батума, Тифлиси 1879 г.
161. Черноморский вестник, N-21, 1902 г.

#### თ ა ვ ი IV

#### სოციალური ურთიერთობანი აჭარაში 1878-1903 წწ.

1. აცსა, ფ.1, ა.1, ს.1
2. აცსა, ფ.1, ა.1, ს.11
3. აცსა, ფ.1, ა.1, ს.70
4. აცსა, ფ.1, ა.1, ს. 78

5. აცხა, ფ.1, ა.1, ს.80
6. აცხა, ფ.1, ა.1, ს.118
7. აცხა, ფ.1, ა.1, ს.146
8. აცხა, ფ.1, ა.1, ს.252
9. აცხა, ფ.6, ა.1, ს.142
10. აცხა, ფ.14, ა.2, ს.6
11. აცხა, ფ.14, ა.2, ს.9
12. ასმ, ფ.2, ა.1, ს.1
13. ასმხ, ფ.2, ა.1, ს.5
14. ასმხ, ფ.2, ა.1, ს.7
15. ასმხ, ფ.2, ა.1, ს.46
16. ასმხ, ფ.2, ა.1, ს.109
17. ასმხ, ფ.4, ა.1, ს.23
18. ასმხ, ფ.4, ა.1, ს.25
19. ასმხ, ფ.4, ა.1, ს.124
20. ასმხ, ფ.4, ა.1, ს.125
21. სცხსა, ფ.8, ა.3, ს.773
22. სცხსა, ფ.264, ა.4, ს.4805
23. სცხსა, ფ.416, ა.3, ს.163
24. "ბათუმის გაზეთი", N8, 1911
25. "დროება", N176, 1878წ.
26. "დროება", N35, 1879წ.
27. "დროება", N167, 1880წ.
28. "დროება", N4, 1882წ.
29. "დროება", N21, 1884წ.
30. "დროება", N64, 1884წ.
31. "დროება", N101, 1885წ.
32. "დროება", N152, 1885წ.
33. "ივერია", N42, 1889წ.
34. "ისკრა", N11, 1902წ.
35. "კვალი", N34, 1895წ.
36. "კვალი", N39, 1897წ.
37. "კვალი", N12, 1902წ.
38. "ცნობის ფურცელი", N563, 1898 წ.



39. ავალიანი ა., მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი 1960
40. ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი 1999
41. ბენდიანიშვილი ა., საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში, თბილისი, 1982
42. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, თბილისი 1965
43. გოგოლიშვილი თ., საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1914 წწ., ნაკვეთი 1, ბათუმი 1996
44. გოგოლიშვილი თ. სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში, ბათუმი 2005
45. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (თურქული ტექსტი თარგმნა და გამოსცა ს.ჯიქიაშვილი), წიგნი II, თბილისი 1941
46. გურული ვ., ვანხაძე მ., ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), თბილისი 1999
47. ვანიშვილი შ., ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში 1864-1917 წწ., თბილისი 1989
48. თურმანიძე თ., საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათუმი 2001
49. იაშვილი ვ., აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათუმი 1948
50. კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, თხზ. ტ. II, თბილისი 1952
51. კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია (XIX–XX საუკუნეებში), წიგნი II, (1861-1921წწ.), თბილისი 1959
52. ნიკოლეიშვილი მ., დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალ-ეკონომიკური განვითარების და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან, ქუთაისი 1994
53. საქართველოს ისტორია (XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე, ი.კაჭარავას რედაქციით), თბილისი 1984
54. სიჭინავა ვ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი 1958
55. სურგულაძე აბ., ბათუმის ნავსადგურის მუშათა რეკონსტრუქციამდელი ყოფის საკითხისათვის, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბილისი 1962
56. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი 1995
57. შაშიკაძე ზ., ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან, ბსუ მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული III, ბათუმი 2002
58. შენგელია ნ., XV–XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბილისი 1974

59. ჩელები ველია, მოგზაურობის წიგნი (თურქულიდან თარგმნა გ.ფუთურიძემ), ნაკვეთი 1, თბილისი 1971
60. ჩხეიძე ჯ., ბათუმი (ისტორიული ნარკვევი), ბათუმი 1959
61. ცქვიტარია პ., აჭარის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1890-1914 წწ.), ბათუმი 1959
62. ჭიჭინაძე ზ., ქართველების გამაჰმადიანება, თბილისი 1907
63. ჯიქია ვ., საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან 1900-1914 წწ., თბილისი 1973
64. Батумь и его Окрестности, Батумь, 1906 г.
65. Френкель, Очерки Чурук-су и Батума, Тифлисъ, 1879 г.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

<b>შ ე ს ა ვ ა ლ ი</b>	3
<b>თ ა ვ ი I წყაროები და ისტორიოგრაფია</b>	
§ I. წყაროები	7
§ II. ისტორიოგრაფია	14
<b>თ ა ვ ი II პოლიტიკური ვითარება აჭარაში 1878-1903 წლებში</b>	
§ I. აჭარის განთავისუფლება, ბათუმის ოლქის შექმნა და რუსული მმართველობის სისტემის შემოღება	22
§ II. პოლიტიკური ვითარება აჭარაში 1878-1903 წლებში	46
§ III. ბათუმის ოლქის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის აღდგენა	85
<b>თ ა ვ ი III აჭარის ეკონომიკური განვითარება 1878-1903 წლებში</b>	
§ I. ეკონომიკური მდგომარეობა აჭარაში რუსეთთან შეერთების წინ	91
§ II. პორტო-ფრანკო ბათუმში და მისი როლი აჭარის ეკონომიკურ განვითარებაზე	98
§ III. სოფლის მეურნეობის განვითარება აჭარაში 1886-1903 წლებში	112
§ IV. მრეწველობის განვითარება აჭარაში 1886-1903 წლებში	136
§ V. ვაჭრობის განვითარება აჭარაში 1886-1903 წლებში	155
<b>თ ა ვ ი IV სოციალური ურთიერთობანი აჭარაში 1878-1903 წლებში</b>	
§ II. სოციალური ვითარება აჭარაში რუსეთთან შეერთების წლებში	170
§ III. ცვლილებები სოციალურ ურთიერთობებში 1878-1903 წლებში	181
<b>დასკვნები</b>	212
<b>რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)</b>	208
<b>რეზიუმე (რუსულ ენაზე)</b>	210
<b>გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა</b>	212

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი  
გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე  
ტექნიკური რედაქტორი – ელუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.08.2009

ქალაქის ზომა 60X84 1/16

ფიზიკური თაბახი 14.3

ტირაჟი 50

შპსი სახელმწიფო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში

---

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35